ფრანსუაზ და რევაზ ნიკოლაძეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლებში

1939-1945 წლები

ინტელექტი

F93.522
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვუძღვნით რომანს, ჩვენს შვილიშვილთაგან უფროსს, რომელმაც პირველმა შთაგვაგონა ამ გამოკვლევის შექმნა, აგრეთვე ანას, ლორს, მანუელას, ტარიელს, მარკს, მატილდას, რობენს, ნოეს – ჩვენი გატაცებისადმი გამოჩენილი ერთგულებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Françoise et Révaz NICOLADZÉ

DES GÉORGIENS POUR LA FRANCE

Itineraires de résistance, 1939-1945

L'Harmattan

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანსუაზ და რევაზ ნიკოლაძეები

ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლებში

1939-1945 წლები

ინტელექტი

Ouvrage réalisé dans le cadre du Plan d'Aide à la Publication Mérab Mamardachvili avec le soutien du Ministère français des Affaires Étrangères et Européennes, de l'Ambassade de France en Géorgie et du Centre culturel français Alexandre Dumas de Tbilissi.

წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

Traduit du français par
Georges Antélava

ფრანგულიდან თარგმნა

გიორგი ანთელავამ

რედაქტორები:

ზაზა აბზიანიძე
თამაზ ჯოლოგუა

Tous droits réservés
ყველა უფლება დაცულია

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

© L'Harmattan, 2007.
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2009.
© ფრანსუაზ და რევაზ ნიკოლაძეები, 2009.
© გიორგი ანთელავა, თარგმანი, 2009.

ISBN 978-9941-410-83-3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲜᲐᲗᲥᲛᲐ

უდავოა, რომ ისტორიული ფაქტებისა, თუ მოვლენების ზეპირი გადმოცემის ტრადიცია მალიან ფაქიზი საქმეა. საკმარისია თხრობის ჯაჭვი გაწყდეს, რომ ამგვარი უმალ შეჩერდება და ადრე თქმული სამუდამოდ დაიკარგება. საფრანგეთის ოკუპაციისა და 1939-1945 წლების ფრანგული „წინააღმდეგობის" მოძრაობის ისტორია ჯერ სრულად არ დაწერილა. ამდენად, დღემდე პასუხი არ არის გაცემული მეხსიერებაში შემორჩენილ პოლიტიკურ, ისტორიულ პერიპეტიებთან დაკავშირებულ კითხვებზე. სწორედ ამიტომ, მხურვალედ უნდა მივესალმოთ ფრანსუაზ და რევაზ ნიკოლაძეების წიგნს, რომელიც ეძღვნება ფრანგი ქართველების ამ პერიოდის ისტორიას.

1920-იანი წლების დამდეგს სამშობლოდან დევნილ და საფრანგეთის მიერ შეფარებულ ქართველებს არ განელებიათ მადლიერების გრძნობა მასპინძელი ქვეყნის მიმართ. ფრანგებთან ერთად მათაც მძიმე დროში მოუწიათ ცხოვრება. ფრანგების დარად მათაც არჩევანი უნდა გაეკეთებინათ. მაგრამ, საკუთარი ისტორიიდან გამომდინარე, 1941 წლის ივნისში საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მათ უნდა აერჩიათ: მასპინძელი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა თუ მუდმივი ოცნება – დაკარგული სამშობლოს გათავისუფლება.

ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობთ ადამიანის ბუნებას და კარგად გვესმის, რომ გამორიცხული არ იქნებოდა შავი ფურცლებიც. ავტორები არ ცდილობენ მათ დაფარვას, მაგრამ არც ჩერდებიან მათზე. მათ მომავალი შეაფასებს.

ეს გამოკვლევა, რომელმაც მეცნიერულად ერთმანეთს დაუკავშირა წერილობითი წყაროები და უამრავი გამოკითხვის მასალა, საჭიროა და დროული: რამდენიმე წლის შემდეგ,

გამომდინარე მოვლენების თვითმხილველთა ასაკიდან, მისი დაწერა შეუძლებელი გახდებოდა.

იგი, პირველ რიგში, ქართველებს სჭირდება, მის მრავალსაუკუნოვან უმდიდრეს კულტურას, დღემდე „ვეფხისტყაოსნით" გაბრწყინებულს, უნდა მისცემოდა შესაძლებლობა საფრანგეთში მცხოვრები მისი ქართველთა ახალთაობისათვის მოეთხრო იმ განცდილი მძიმე წლების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ ინახავენ ბევრ სასახელო საბრძოლო ეპიზოდებს. ეს ნაშრომი საინტერესო იქნება საქართველოსათვისაც: გაბატონებული იდეოლოგიის გამო იქ არ იცოდნენ არც ქართველი ემიგრანტების ომში მონაწილეობისა და არც იმ ტყვე ქართველების შესახებ, რომლებმაც შეძლეს ტყვეობიდან გაქცევა და „წინააღმდეგობის" მოძრაობას შეუერთდნენ.

ნაშრომი სასარგებლო იქნება ფრანგებისათვისაც. ისინი გაეცნობიან ძალზე მოკლედ გადმოცემულ საქართველოს ისტორიას და იმ უცნობ ფურცლებს, რომლებიც საფრანგეთის ისტორიის კუთვნილებად იქცა. დღეს ეს მე უფრო მნიშვნელოვნად მესახება, რადგან დღევანდელი პოლიტიკური ლტოლვილების მიღება ვერ შეედრება გასული საუკუნის 20-იანი წლების ლტოლვილთა მიღების პათოსს. თუმცა ისტორია ამ შემთხვევაშიც სწორი აღმოჩნდა: მან კარგად დაგვანახა, როგორი მადლიერება მოჰყვა ამგვარ მიღებას.

ეს გამოკვლევა უდავოდ დააინტერესებს ისტორიკოსებს. ყველაფერი, რაც მასშია მოთხრობილი, განსაკუთრებით ქართველ ებრაელთა ხსნის (მხოლოდ ერთი დაღუპული) და ბევრი არაქართველი ებრაელის გადარჩენის ამბები, იმ პერიოდის ამსახველი ჭეშმარიტად დიდებული ფურცელია, რომელიც იმსახურებს უკვდავყოფას.

ფრანსუაზ ნიკოლაძეს უკვე შესწავლილი ჰქონდა მონპელიეს „წინააღმდეგობის" მოძრაობა. ქართველ რევაზ ნიკოლაძეს კი თავისუფლად შეეძლო თარჯიმნის გარეშე ესაუბრა ქართვე-

ლებთან. ამ წყვილის ერთობლივმა შრომამ ავტორებს სასურველი შედეგის მიღწევის საშუალება მისცა.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენს თვალწინაა გზის გამკვალავთა ნაშრომი. მკითხველო, გადაშალე მისი გვერდები: შენ გელის ამაღელვებელი შეხვედრები პოლკოვნიკ ამილახვართან და წმინდა მოწამე გრიგოლ ფერაძესთან.

ბერნარ უტიე

ქართული
ბიბლიოთეკა

შესავალი

პარიზი. 1943 წლის ნაცრისფერი, სევდიანი საღამო. სასადილო ოთახში შეფუთნული ოჯახი მისხდომია ოდნავ განათებულ მაგიდას. ჩემი პატარა და ხმამაღლა კითხულობს ქართულ ზღაპარს სამთავიან დევზე. დედამ დაჭრა სასურსათო ტალონები და მეგობრების მიერ დატოვებული ნამწვავებისაგან სიგარეტს იკეთებს. ბაბუა რაღაცას ბუტბუტებს და კარზე ჭიკარტებით დამაგრებულ რუკაზე პატარა დროშებს არჭობს.

ჩემი კეთილი ბებია, სკამზე მოკალათებული, ცდილობს აალაპარაკოს ძველი რადიო, რომელიც დროდადრო ისეთ უცნაურ ხმებს გამოსცემს, თითქოს იფურთხებაო. ბებია დარდისაგან ოხრავს: ამ საღამოს არ ისმის ლონდონის რადიოს საინფორმაციო გადაცემა, რომელსაც იგი მოუთმენლად ელის. მის ქალიშვილთაგან ერთი ინგლისში ცხოვრობს – გენერლის ცოლია. გენერალმა ქართული ენის საფუძველზე საიდუმლო სამსახურებისათვის გაუგებარი შიფრი შექმნა. ჩვენ მას ომის შემდეგ დავეუფლებით. მეორე ქალიშვილი შორს, ჩრდილოეთ აფრიკაშია. ალბათ, ისიც საფრთხეშია თავისი ქმრის მოლოდინში. იგი სამხედრო სამსახურს ინდოჩინეთში იხდის.

ჩაქუჩის კაკუნით დარღვეული ღამის ძილი: მამა სიყვარულით გამთბარ ხის ლანჩებს აჭედებს ჩემს ფეხსაცმელს. ნეტავ, ხვალამდე თუ მორჩება, ლიცეუმში რომ წავიდე. არ გვასვენებს მუდმივი ყრუ შფოთვა. ცივა და ყოველთვის მშია.

დილით სახლიდან გავდივართ საჰაერო განგაშის დროს ქალაქზე დაცემული ჭურვების ნამსხვრევების შესაგროვებლად[1]. თუმცა ბავშვებს ესეც აღარ გვართობს.

---

1. ვერმახტის საზენიტო არტილერია იწყებდა სროლას პარიზის თავზე მოკავშირეთა ბომბდამშენების გამოჩენისას.

ეს ომი არ მთავრდება მხოლოდ ადამიანთა გაჭაღარავებით. სენ-მიშელის ბულვარი. შიშს მგვრის სისხლისფერი პლაკატები. თავში კი მუდმივად ყეფენ გერმანული სიტყვები: Bekanntmachung! გაფრთხილებთ!..

დიდი ხნის შემდეგ, ჩემი ცხოვრების მიმწუხრის ჟამს, მეხსიერებაში მწყობრად დაბრუნებული ეს სურათები მიკარნახებენ იმ რამდენიმე ქართველის თავგადასავლის გადმოცემას, რომელთაც ღირსეულად იცხოვრეს იმ საზარელ დროში.

რევაზ ნიკოლაძე

გახსენება 1939-1945-ის შავი წლებისა, რომლებიც საფრანგეთის ქართველებმა ფრანგების გვერდით გაატარეს, თაობათა შორის დიალოგის დაწყებას ისახავს მიზნად. დღეს მეოთხე თაობა, – ხშირ შემთხვევაში, შვილიშვილები, – გვეკითხებიან წინაპრების არჩევანსა და სვე-ბედზე ნაცისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს.

რამდენად შეესაბამებოდა გაგონილი მითები უცხოეთის შესახებ საფრანგეთში აღმოჩენილ საპირისპირო რეალობას? როგორ მოეწყვნენ ისინი, ვისთვისაც სამშობლოს დატოვება სიცოცხლის შენარჩუნების საშუალება გახდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისტორიასთან ანგარიში მაინც ვერ გაასწორეს? რომელი საფრანგეთი აირჩიეს მათ 40-იან წლებში?

რადგან სულით ხორცამდე ვეკუთვნით საფრანგეთში დაბადებულ ქართველთა პირველ თაობას, განვიზრახეთ პასუხი გაგვეცა მათთვის ორი მოსაზრების გამო: ჯერ იმისთვის, რომ განგვემტკიცებინა მათი იდენტურობის ნიშნები, რომლებიც ერთობ ბუნდოვანი გახდა დამამცირებელი, მითურობისა თუ დამანგრეველი სიჩუმის გამო. წარსულის გამოკვეთილად გაგებას ხელს შეუწყობდა ბურუსით მოსილი გრძნობების გაღვივება.

შემდგომ, – და ეს მეორე მოტივაცია ძლიერ გვაღელვებს, – იმ ქართველ მამაკაცთა და ქალთა გახსენება, რომლებმაც მაღალი თვითშეგნებით ატარეს თემის ღირსება. მასპინძელი ქვეყნის მტერს დაპირისპირებულებმა, მათ ფრანგ მებრძოლებთან ერთად უარყვეს სიძულვილის იდეოლოგია – სრულიად მიუღებელი მშობლიური საქართველოს ტრადიციებისთვის.

დაწყებული უცხოური ლეგიონის პირველი მოხალისეებითა და დამთავრებული პარტიზანებით, რომლებიც ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალების გამო ბრძოლის ასპარეზზე მოგვიანებით ჩნდებიან, მათ უთუოდ მოიპოვეს იმის უფლება, რომ მუდმივად გვახსოვდნენ.

ჩვენი განზრახვის უკეთ განხორციელებისათვის და იმ დროის ატმოსფეროს გადმოსაცემად ერთმანეთს შევუდარეთ და დავუპირისპირეთ თანამედროვეთა მონათხრობი, შევისწავლეთ ისტორიკოსთა შრომები, დოკუმენტები და საარქივო მასალები. მოვლენათა სწორად დანახვა რთულდებოდა განსხვავებულ თვალსაზრისთა გამო, ჩვენ კი მხოლოდ ობიექტურობისაკენ ვისწრაფოდით. მიუხედავად ამისა, გამოგიტყდებით: ჩვენი გრძნობები მაინც შეიჭრა ჩვენს განზრახულებაში – გულგრილები ვერ დავრჩით.

ამ წიგნით შეიძლება დაინტერესდნენ ფრანგებიც, რომელთაგან ყოველ მესამეს უცხოელი წინაპარი ჰყავს. ნაშრომი ამომწურავი არ არის, მაგრამ, ვიმედოვნებთ, მნიშვნელოვანია, რადგან დაწერილია გულით და უდიდესი სიზუსტით.

ფრანსუაზ და რევაზ ნიკოლაძეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ლტოლვილი ქართველები საფრანგეთში

ისტორიული მიმოხილვა და პოლიტიკური კურსი

უძველესი ქართული სახელმწიფო, ევროპისა და აღმოსავლეთის ინტერესების გზაჯვარედინი, თავისი განვითარების აპოგეას მე-12 საუკუნეში, მეფე დავით აღმაშენებლის დროს აღწევს. ბერძნულ, ბიზანტიურ, სპარსულ და არაბულ[2] გარემოცვაში ერმა გამობრძმედა თავისი თვითმყოფადი კულტურული იდენტურობა საკუთარი ანბანისა და ენის სახით, რომელიც ენების არც ერთ ოჯახს არ ეკუთვნის. გაბრწყინებული რაინდული ღირსებებით, ჭედურობისა და ტიხრული მინანქრის ხელოვნებით, პრომეთესა და ოქროს საწმისის მითური მიწა გახდა სარკე-სურათი, რომელშიც მუდამ ირეკლება ქართველობა.

მე-18 საუკუნემდე, მიუხედავად მონღოლების, არაბების, სპარსელებისა თუ თურქების განუწყვეტელი შემოსევებისა, სამეფო ერთგვარად ინარჩუნებდა ერთიანობასა და დამოუკიდებლობას. შემოსევებს თან სდევდა ქვეყნის აოხრება. გარკვეული შვება ხალხმა იგრძნო მეცნიერებათა მფარველ ვახტანგ VI-ის გასხივოსნებული მეფობის დროს, რომელიც ამაოდ ემებდა ლუდოვიკო XIV-ისა და პაპ კლემენტ XI-ის მხარდაჭერას. საფრანგეთის სამეფო კარზე მან გააგზავნა ელჩი საბა-სულხან ორბელიანი. 1789 წელს მისი მემკვიდრე ერეკლე II იძულებულია რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-სთან ხელი მოაწეროს „მეგობრობისა და დახმარების ტრაქტატს", რათა თავი დააღწიოს თურქულ-სპარსულ მარწუხებს. მაგრამ 1801 წელს მეფე ალექსანდრე I-მა დაარღვია დადებული ხელშეკრულება,

---

2. S. et N. Gougouchvili, O. Zourabichvili, *La Géorgie*. Que Sais-je? PUF n° 2099, 1983.

შეიერთა საქართველო და აქცია იგი რუსეთის იმპერიის „შიდა პროვინციად“.

მოსახლეობის განუწყვეტელი მღელვარების გამო რუსიფიკაციის იმპერიული პოლიტიკა განმტკიცდა მხოლოდ 1860-იან წლებში: სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება, დაიხურა სასწავლებლები, ავტოკეფალური ეკლესია დაექვემდებარა მოსკოვის პატრიარქს, ქვეყანაში დაწესდა რუსული ქედმაღლური მმართველობა და მთელი ძალაუფლება გადაეცა მეფისნაცვალს, ცხადია – რუსს.

კოლონიზირებული ქართველები, მიუხედავად რეპრესიებისა, პატრიოტულ გრძნობებს გამოხატავდნენ ძლიერი მოთხოვნებით და ხშირი აჯანყებებით. ხალხი აღშფოთებული და შეურაცხყოფილი იყო უკანონო გადასახადებით, მშობლიურ ენაზე ლაპარაკის აკრძალვით. ეროვნული ლიტერატურის აღორძინება დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის სახელთან, რომელმაც თემად კვლავ აირჩია თავისუფლება და „საყვარელი მამულის“ დაცვა, რაც პატრიოტული გრძნობების სიცოცხლისუნარიანობის დამადასტურებელია.

ქართველი ინტელექტუალები ადიდებდნენ სამშობლოს და იმავდროულად ევროპის სოციალისტურ იდეებსაც ეცნობოდნენ. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რევოლუციური მოძრაობა რუსეთის მსგავსად საქართველოშიც ვითარდება. ცარიზმი სასტიკად უსწორდება ათასობით მის წინააღმდეგ მებრძოლს: ამწყვდევს საპყრობილეებში, აციმბირებს და ხშირად სიკვდილითაც სჯის.

საუკუნის დამლევს საქართველოში მარქსიზმის იდეების გავრცელება უკავშირდება ნოე ჟორდანიას, თეორეტიკოსსა და მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს.

ჟორდანია წინა პლანზე აყენებს გლეხთა გათავისუფლებას და მათ კავშირს მუშათა კლასთან, რომელიც, მისი აზრით, რუსეთის მსგავსად საქართველოსაც სჭირდება ქვეყნის ფეო-

დალიზმიდან გამოსაყვანად. დაჯგუფების რადიკალურ ფრაქციაში უკიდურესი მოქმედების მომხრეა იოსებ ჯუღაშვილი (სტალინად წოდებული). 1899 წელს პარტიიდან გარიცხული ავანტიურისტული ქმედებების გამო, იგი ტოვებს სამშობლოს და მიდის რუსეთში. მეფის საპატიმროდან გამოქცეული, უახლოვდება ლენინს და ხდება მისი თანამებრძოლი.

1903 წელს პარტია გაიყო „ბოლშევიკებად" და „მენშევიკებად". ამ უკანასკნელთა მხარეზე არიან ქართველი სოციალ-დემოკრატები. ისინი ირჩევენ დემოკრატიისა და პლურალიზმის პოლიტიკურ ხაზს, მიმართულს კაპიტალიზმის სამყაროში სოციალური სამართლიანობისაკენ. საპირისპიროდ, ლენინის ბოლშევიკები მხარს უჭერენ პროლეტარულ რევოლუციას, რომლის ავანგარდი რაზმავს და მიუძღვება მასებს უკლასო საზოგადოებისაკენ, რომელშიც მთელი საკუთრება სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდება.

1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუცია, მიმართული მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების დასამხობად, თბილისში საყოველთაო გაფიცვით დაიწყო. ადგილობრივი მმართველობის წინააღმდეგ გამოსვლებით განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა გურია და იმერეთი. კავკასიის მთავარმართებელი სასტიკად გაუსწორდა მეამბოხეებს: ათასობით გლეხი საპყრობილეებში ჩააგდო, ხოლო მათი ხელმძღვანელები ციმბირში გადაასახლა.

ამ მოვლენებს მოყვა „დუმას"[3] დაფუძნება, რომელიც, ფაქტობრივად პან-რუსული პარლამენტი იყო. 1907 წელს სანქტ-პეტერბურგში მის მუშაობაში საქართველოდან რვა დეპუტატი მონაწილეობდა. ირაკლი წერეთელი, ახალგაზრდა, ბრწყინვალე ორატორი, არჩეული იყო იმპერიის სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის თავმჯდომარედ. რეფორმების გატარების მოთხოვნის

3. ერთიმეორის მიყოლებით სულ იყო 4 მოწვევის დუმა. პირველი სამი, მათი მოთხოვნების გამო, განსაკუთრებით აგრარულ საკითხში, ნიკოლოზ II-მ დაშალა.

გამო, რომელიც ემუქრებოდა დასუსტებულ ხელისუფლებას, დუმის დაშლის შემდეგ ისინი სხვა 4000 ადამიანთან ერთად ციმბირში გადაასახლეს, ზოგი მათგანი – სამუდამოდ.

1917 წლის თებერვლის რუსეთის მეორე რევოლუციამ ჩამოაგდო „ყოველთა რუსთა იმპერატორი“. ამ ამბავმა სულ მალე საქართველომდე მოაღწია. „გლეხთა და მუშათა საბჭოები“ დაეპატრონნენ მიტოვებულ ძალაუფლებას. ჩატარდა პირველი არჩევნები, რომელშიც სოციალ-დემოკრატებმა ხმების 75% მოაგროვეს. ნოე ჟორდანია გახდა საქართველოს საბჭოების თავმჯდომარე.

ამიერკავკასიის ეფემერული ფედერაციის შემდეგ, რომელმაც ლენინის ბოლშევიკურ რუსეთთან ყველა იურიდიული კავშირი გაწყვიტა, ქართველებმა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადეს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა [4].

გაიმართა დამფუძნებელი კრების[5] არჩევნები. დამფუძნებელ კრებაში შევიდა 103 სოციალ-დემოკრატი დეპუტატი. დანარჩენი 27 ადგილი განაწილდა ფედერალისტებსა და არამარქსისტ ეროვნულ-დემოკრატებს შორის. დამფუძნებულ კრებაში არ იყო კომუნისტური პარტიის არც ერთი წარმომადგენელი[6].

ბოლშევიკების უმცირესობამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. პერიოდულად იგი აქტიურად მოქმედებდა ქვეყნის შიგნით[7]. მოსკოვთან შეთანხმებით ადგილობრივმა ბოლშევიკებმა შექმნეს წითელი არმიის შემოსევის წინაპირობა, რომელიც „თურმე ქვეყანაში ხალხის ნებით შემოვიდა“.

4. მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ „დე ფაქტოდ“ ცნობილი.
5. არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ქალებსაც ჰქონდათ.
6. D.Charachidzé, *H. Barbusse, les Soviets et la Géorgie*. Préface de Karl Kautsky Pascal, Paris, 1930.
7. ამ აქტიური უმცირესობის ზოგიერთი წევრი დააპატიმრეს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის შემდეგ, როგორიც იყო 1920 წლის მაისში თბილისის სამხედრო სკოლის აღების მცდელობა.

1918-1921 წლები. მოპოვებული დამოუკიდებლობით გამოწვეული ხანმოკლე ეიფორიის მშფოთვარე სამი წელი. ხელისუფლება გადადგამს პროგრესულ ნაბიჯებს. გატარდა:

– აგრარული რეფორმა, რომლითაც დიდი მამულები განაწილდა გლეხებს შორის. მიწის პატარა მფლობელობებად დანაწილების დემოკრატიული კონცეფცია, მისადაგებული ქვეყნის სასოფლო სტრუქტურას, ძალზე სცილდებოდა ბოლშევიკების „არარეალური, არაადამიანური ბატონობის"[8] პრინციპს. იგი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა იძულებით კოლექტივიზაციას, რომელსაც ქართველი გლეხები აუჯანყდნენ, როგორც კი სტალინმა მოინდომა მისი ცხოვრებაში გატარება;

– შრომის რეფორმა, რომელმაც ყველასათვის დააწესა 8 საათიანი სამუშაო დღე;

– ჭიათურის მარგანეცის საბადოების ნაციონალიზაცია;

– ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. სკოლებში რელიგიური სწავლების შეწყვეტა;

– ეროვნული და სახალხო გვარდიის შექმნა გლეხებისა და მუშების 90%-იანი შემადგენლობით. უფროს ოფიცრებს, რომელთაც სამხედრო განათლება მეფის რუსეთის სამხედრო სკოლებში ჰქონდათ მიღებული, დაევალათ მომავალი საჯარისო შემადგენლობის წვრთნა. საუბედუროდ, ამ ორპირმა სარდლობამ ბოლშევიკების შემოსევის დროს კიდევ უფრო დასცა ეროვნული ჯარის ბრძოლისუნარიანობა.

ჩვენ არ შევეხებით იმ სიძნელეებს, რომლებიც სამი წლის განმავლობაში საქართველოს თავს ატყდებოდა მისი მეზობლების მადის გამო: თურქეთი, სომხეთი, ძლიერი დასავლეთის ორაზროვანი თამაში, და განსაკუთრებით, მაკიაველიზმი საბჭოთა რუსეთისა, რომელსაც მიზნად ჰქონდა მთელი კავკასიის დაპყრობა. ამის საშუალებას მას აძლევდა ინგლისთან დადე-

---

8. *Docteur Jivago*, Gallimard, 1958

ბული საიდუმლო ხელშეკრულება[9]. როგორც იმ დროის ერთი ქართველი დიპლომატი აღნიშნავდა: „ქართველები ცხოვრობდნენ დასავლეთის დემოკრატიის მხარდაჭერის ილუზიაში"[10].

1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან 1920 წლის მაისში დადებული ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. ომის გამოუცხადებლად წითელი არმია[11] ოთხი მხრიდან შეიჭრა საქართველოში, რომელმაც, ხელშეკრულების პირობის თანახმად, მოახდინა ეროვნული გვარდიის ნაწილის დემობილიზაცია. თავის წიგნში „იმპერიალიზმი და რევოლუცია" ტროცკი აღიარებს, რომ შემოჭრა წინასწარ იყო დაგეგმილი. ამასვე ადასტურებს 1920 წლის დეკემბრის ერთ-ერთ პატაკში საბჭოთა გენერალი ჰეკერი[12]. ორკვირიანი სასტიკი, უთანასწორო ბრძოლების შემდეგ 1921 წლის 25 თებერვალს თბილისი დაეცა[13]. ამ ბრძოლებში ქართულ ჯარს გენერალი კვინიტაძე სარდლობდა[14].

---

9. ხელშეკრულება, ხელმოწერილი ლოიდ ჯორჯისა და კრასინის მიერ, ხელებს უხსნიდა რუსებს, რომლებმაც სანაცვლოდ რუსეთში ინგლისის საქონლის შემოტანას გაუხსნეს გზა.
10. ზ. ავალიშვილი. დამოუკიდებელი *საქართველო*. 1918-1921. პარიზი, 1924 (რუსულად).
11. წითელი არმიის ორგანიზატორი და სარდალი იყო ლევ ტროცკი.
12. P. Renaudel, *Lettre au groupe socialiste*. 3 juillet 1924, Paris, O.U.R.S. სოციალისტური კვლევების საუნივერსიტეტო ოფისი.
13. ომში ძალთა შეფარდება ასეთი იყო: საქართველოს მხრიდან ეროვნული გვარდია - 12000 მებრძოლი, მოხალისე-მოქალაქეებისაგან ახლადშექმნილი რაზმი, გაძლიერებული 300 კურსანტი-იუნკერით, რომლებმაც გმირულად იბრძოლეს. წითელი არმიის მხარეზე იყო: ქვეითთა 6, კავალერიის 5 დივიზია, 3 ჯავშნოსანი მატარებელი. ჯამში: 35000 ხიშტი და 4000 ხმალი.
14. ღირსეულმა და ბრწყინვალე პიროვნებამ, გენერალმა კვინიტაძემ, სამხედრო განათლება მეფის რუსეთში მიიღო. მენშევიკები მას არ ენდობოდნენ, მიუხედავად ამისა, სამჯერ დაავალეს ჯარის სარდლობა: 1918 წელს თურქების, 1919-ში – სომხების და 1920 წელს რუსების წინააღმდეგ ომებში. 1921 წლის 16 თებერვალს, მხოლოდ მისი წინამორბედის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, იგი დაინიშნა მთავარსარდლად. ერთხანს ასრულებდა სამხედრო სასწავლებლის უფროსის მოვალეობას.

ამრიგად, 1921 წლის 12 თებერვლისა და 18 მარტის შუალედში ქვეყნის ბედი განისაზღვრა 70 წლით, ანუ 1990 წლამდე, როდესაც საქართველომ დაიბრუნა თავისი დამოუკიდებლობა.

სამხედრო სარდლობის აზრის საწინააღმდეგოდ, ნოე ჟორდანია თვლის, რომ დამარცხება გარდაუვალია. 16 მარტს მისმა წარმომადგენელმა გ. ლორთქიფანიძემ და საბჭოთა პოლიტკომისარმა სამტრედიაში ხელი მოაწერეს დაზავებას[15]. 17 მარტს მთავრობის წევრები ოჯახებთან და ორმოცდაათამდე ოფიცერთან ერთად თავს აფარებენ იტალიურ გემ KIROULA-ს და 18-ში მიდიან „უცხოეთში ბრძოლის გასაგრძელებლად", როგორც ეს წერია ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მის მოგონებებში[16].

ამავე დროს ბათუმში, რომელსაც უკვე რევოლუციური კომიტეტები აკონტროლებდნენ, ქართული რეგულარული არმია ომობს თურქების წინააღმდეგ და უმძიმესი ბრძოლების შემდეგ უკუაგდებს ათათურქის ჯარისკაცებს[17]. 22 მარტს ბოლშევიკების ჯარი შევიდა ქალაქში და ქვეყანა აღმოჩნდა მთლიანად ოკუპირებული საბჭოელების მიერ.

საფრანგეთის ხელისუფლების მიწვევით, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ, იანვარში „დე-იურედ" ცნო საქართველოს რესპუბლიკა, საქართველოს მთავრობის წევრები[18] ჩადიან პარიზში. მათთან ერთად პარიზში ჩავიდნენ პოლიტიკოსები, სამხედრო პირები, ინტელექტუალური ელიტა, ბურჟუაზიისა

---

15. გ. კვინიტაძე. მოგონებები, ტ. II. გამომცემლობა „ლომისი", 1999.
16. ნ. ჟორდანია. *ჩემი წარსული*. პარიზი, 1952.
17. საქართველოსთან 22 თებერვლიდან ღია კონფლიქტში მყოფი თურქეთი მოითხოვდა ბათუმსა და სამხრეთის ტერიტორიების ნაწილს. გ. მაზნიაშვილი. მოგონებები. 1917-1925. თბილისი, 1927.
18. ნ. ჟორდანია, ევგ. გეგეჭკორი, ა. რამიშვილი, კ. კანდელაკი, ნ. ცინცაძე, ა. ჩხენკელი, ნ. ხომერიკი, რ. არსენიძე. მათ ახლდა სრულუფლებიანი მინისტრი და საფრანგეთის უმაღლესი კომისარი აბელ შევალიე.

საქართველოს პარლამენტის

და არისტოკრატიის ნაწილი[19]. ისინი 1921 წლიდან 1928 წლამდე ეცდებიან საფრანგეთში თავშესაფრის უფლების მოპოვებას.

1921 წლის ნოემბერში ქვეყანაში იწყება სახალხო მღელვარება. მასში მონაწილეობენ თბილისელი მუშები, სვანები და ხევსურები, კახელი გლეხები. ეს გამოსვლები ბოლშევიკებმა სასტიკად ჩაახშეს.

თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი 1924 წ. აგვისტოს შეიარაღებული აჯანყება იყო, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ხალხის პატრიოტული გრძნობები ედო საფუძვლად. აჯანყებამ გამოააშკარავა განსხვავება გარკვეული დემოკრატიული ნიშნების მატარებელ რეჟიმსა და საბჭოების ტოტალიტარული ხელებით დამყარებულ პოლიციურ წესრიგს შორის. ეს დაუვიწყარი აჯანყება დაიწყო ჭიათურის მაღაროებში და მთელ საქართველოში უნდა გავრცელებულიყო.

აჯანყებულებს მხეცურად გაუსწორდნენ: 7000 მოკლული გასამართლების გარეშე, ვაგონში ჩაცხრილული პატიმრები, ციხეების ეზოებში დახვრეტილი 1921 წელს დაპატიმრებული პოლიტიკური მძევლები. ამას ემატებოდა მოსახლეობის საყოველთაო დაშინება[20], ჩეკას მიერ წარმოებული მკვლელობები[21], ასობით ადამიანთა გადასახლება იმ ადგილებში, რომლებსაც შემდგომ „გულაგი" ეწოდა.

---

19. ქართული არისტოკრატიის დიდი ნაწილი ხელისუფლებასთან გააერთიანა პატრიოტულმა გრძნობამ: მისთვის უპირველესი იყო ერის დამოუკიდებლობა. არისტოკრატიის ქონება ექსპროპრირებული იყო ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.
20. ამბოხების მთავარი მონაწილეები გლეხები იყვნენ. „შეფიცულები" ლეგენდარული თავად ჩოლოყაშვილის მეთაურობით სამი წლის განმავლობაში კახეთის ტყეებში იბრძოდნენ მილიციისა და ჩეკას წინააღმდეგ. 1924 წელს ზოგიერთი მათგანი მეთაურთან ერთად თურქეთში გადავიდა და შემდგომ თავი შეაფარა საფრანგეთს. 2005 წლის ნოემბერში თავად ჩოლოყაშვილის ნეშტი თბილისის პანთეონში დაკრძალეს.
21. ავადსახსენებელი პოლიტიკური პოლიცია: მას სხვადასხვა დროს იცნობდნენ რუსული აბრევიატურებით: გეპეუ (ГПУ), ენკავედე (НКВД), კგბ (КГБ), დღეს ეფსბ (ФСБ).

1925 წლის საქართველოს სოციალ-დემოკრატების საიდუმლო კონფერენცია შექმნილ ვითარებას შეაფასებს როგორც „საბჭოთა სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში მუშათა კლასის ექსპლუატაციას, რაც ქვეყანას „კოლონიად“ აქცევდა[22].

მაშინდელი საქართველო, როგორც აღფრთოვანებით აუწყებდა სტალინი ტროცკის, „ტერორმა გადაბუგა“[23]. სტალინის შექმნილმა და ბერიას მიერ განმტკიცებულმა რეჟიმმა მოგვიანებით არც რესპუბლიკის ხელმძღვანელი ქართველი კომუნისტები[24] დაინდო: ოცდაერთი მათგანი დახვრიტეს „ეროვნული უკლონისტობისათვის“. 1937 წლის წმენდების შედეგად ქვეყანა სისხლისგან დაიცალა. კავკასიაში გაბატონდა სტალინური წესრიგი.

თუმცა დავუბრუნდეთ საფრანგეთს, სადაც ლტოლვილთა გონება დარდით ივსებოდა, როგორც კი შეიტყობდნენ საქართველოში დარჩენილი ახლობლების ტრაგედიას.

1921-1928 წლებში, როდესაც უკვე იმედიც გაქრა, ქართველთა დიდი ნაკადი ტოვებს სამშობლოს. ბევრი მათგანი თურქეთის გავლით ვიქტორ ჰიუგოს, ალექსანდრ დიუმასა და ჟან ჟორესის საფრანგეთისკენ მიეშურება. სულ ბოლოს ქვეყანას სამხედრო აჯანყების მონაწილენი ტოვებენ. 20-იანი წლების დამლევს ლტოლვილების რაოდენობა ბავშვების ჩათვლით პარიზის პოლიციის მიერ 1200 კაცით განისაზღვრა[25]. 700 კაცი ცხოვრობდა პარიზის რეგიონში. სხვები კი ლიონში, მონპელიეში, მარსელში ან სოშოში. ქართველთა 80% თავს ირჩენდა ქარხნებში მუშაობით, წვრილმანი ვაჭრობით და მაწვნის პატარა კუსტარული საწარმოებით. ამ საქმიანობამ ისინი უკიდურესი სიღარიბისაგან

---

22. O.U.R.S.-ის არქივი.
23. D. Charachidzé, *op. cit.*
24. საქართველოს პირველი ხელმძღვანელები „მთლიანად იმპორტირებულები იყვნენ... ბაქოდან, მოსკოვიდან და ვლადიკავკაზიდან“. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1921 წლის 27 მარტის ნოტა. La Géorgie. *Op.cit.*
25. პარიზის პოლიციის არქივი.

იხსნა. მათი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, რამდენიმე ოჯახი ებრაელია და უფრო ნაკლები – მუსლიმი.

პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებულობის მიუხედავად, წლების განმავლობაში ქართული საკრებულო მალიან შეკრული იყო. ქართველებმა დააფუძნეს სხვადასხვა კულტურული ასოციაცია, გახსნეს საბავშვო ბაღი, ეროვნული ცეკვების სკოლა, შექმნეს სპორტული ჯგუფები. ამას უნდა დავუმატოთ პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალების გამოცემა.

საფრანგეთში ქართველთა პლურალისტური ასოციაციის ინიციატივით, რომელსაც ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე თავკაცობს, მგზნებარე პატრიოტი ქართველები ყოველი წლის 26 მაისს იკრიბებიან მოპოვებული და დაკარგული დამოუკიდებლობის აღსანიშნავად. ამ დღეს ქართული სიმღერები და ცეკვები ქართული თვითმყოფადობის დახვეწილ და მგზნებარე სახეს წარმოაჩენენ. მათი მეგობარი ფრანგები მოჯადოებულები არიან მასპინძელთა თავდაჭერილი ქცევით.

ეს კულტურა მთელი სიგრძე-სიგანით ჩანს საზეიმო სუფრის ვითარებაში, როდესაც „თამადა" – სუფრის ხელმძღვანელი, არჩეული თავისი ორატორული ნიჭის გამო, მოვერცხლილი ყანწით ხელში, ლექსითა და იუმორით წარმოთქვამს სტუმრების, სამშობლოსა და მასპინძელი ქვეყნის სადღეგრძელოებს. საკრალურობით აღსავსე ერთსულოვნება შემორჩენილია განცდილი უკუღმართობის მიუხედავად. ეს გაერთიანების მომენტია. წარმოთქმული სიტყვები და დაცლილი თასები გამორიცხავენ ორაზროვნებას და ხსნიან დაძაბულობას.

კოლონიის პოლიტიკური სპექტრი ნაწილდება ფედერალისტებს, ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, რომლებიც აღარ წარმოადგენენ უმრავლესობას, რადგან მოწყვეტილნი არიან საქართველოში დარჩენილ საყრდენს. ყოველი ამ ფრაქციათაგანი თავის აზრებს გადმოსცემს

ბიულეტენების, ჟურნალებისა თუ საზოგადოებრივი შეკრებების საშუალებით. მთავრობის წევრთა დიდი ნაწილი დასახლდა პარიზის მახლობლად, ლევილ-სიურ-ორჟის (Leuville-sur-Orge) მამულში. ეს მამული მათ შეისყიდეს 1923 წელს თბილისის ყოფილ მერთან ერთად. ამ მამულით სარგებლობა შეეძლო თითქმის ყველა ლტოლვილს. ბევრი მათგანი დასაფლავებულ იქნა სოფლის სასაფლაოს ქართულ ნაწილში.

მარსელ ლივიანი (Marcel Livian) იგონებს თავის ვიზიტებს ლევილში მარიუს მუტესთან (Marius Moutet – მინისტრი ლეონ ბლიუმის მთავრობაში) ერთად. ისინი აქ ჩამოდიოდნენ მენშევიკი მეგობრებისა და ნოე ჟორდანიას მოსანახულებლად. „მუტეს ისინი უყვარდა და მფარველობდა მათ. „ქართულ სახლში", – წერს ლივიანი, – ჩვენ გავიცანით წერეთელი, დუმის წევრი, 1917 წლის თებერვლის რუსული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი. აგრეთვე მინისტრები, მაგალითად, ცინცაძე. ისინი საფრანგეთში ჩამოვიდნენ მას შემდეგ, რაც სტალინმა საქართველოს ანექსია განახორციელა[26].

ფრანგი სოციალისტები, რომლებმაც ევროპის მისიის შემადგენლობაში, 1920 წლის სექტემბერში „ადგილზე დაათვალიერეს"[27] პირველი სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა, დიდი ხნის მანძილზე მხარში ედგნენ საფრანგეთში ქართულ ემიგრაციას.

1925 წლის იანვარში პიერ რენოდელი (Pierre Renaudel) მუშათა ინტერნაციონალის ფრანგულ სექციაში მიმართავს დეპუტატებს „საბჭოების ცნობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე"[28]. ჯგუფის სახელით გაკეთებულ განცხადებაში მან ხაზი გაუსვა ბოლშევიკების თავდასხმის არაკანონიერებას და რეპრესიებს, რომლებიც თავს დაატყდა ერთდროულად

---

26. Marcel Livian, *La Parti socialiste et l'Immigration*. Thropos, 1982.
27. *La Géorgie indépendante*, *op.cit.* ამ მისიის შემადგენლობაში იყვნენ: კაუცკი, რამსეი-მაკდონალდი, ვან დერ ველდე, რენოდელი და სხვები.
28. O.U.R.S. არქივი.

აჯანყებულ და დაპყრობილ ქვეყანას. მან აგრეთვე ამხილა მარსელ კაშენის (Marcel Cachin) მიერ კომუნისტურ პრესაში გავრცელებული მონაჭორები და მოუწოდა საფრანგეთის რესპუბლიკის საზოგადოების რჩეულ წარმომადგენლებს, ხმა აიმაღლონ „ძალის გამოყენების“ წინააღმდეგ.

20-იანი წლების ლტოლვილებს ახსოვთ იმიგრაციისადმი თბილი დამოკიდებულების პერიოდი. ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანაში იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა. ეს პირდაპირ კავშირში იყო 1914-1918 წლების ომში ადამიანების ჟლეტასთან. 1927 წლის კანონი აადვილებს ნატურალიზაციას, რომლის მიღებას ქართველები არ ჩქარობენ: ისინი ელიან საერთაშორისო მხარდაჭერას, რომელიც აღადგენს მათი სამშობლოს დამოუკიდებლობას. „ქართველები ჩემოდნებს ალაგებდნენ, ზედ სხდებოდნენ, მაგრამ არ ცლიდნენ“, – სიმბოლურად გამოხატავდა მათ განწყობას ერთ-ერთი თანამედროვე.

საფრანგეთში ჩასული ქართველები თბილად მიიღეს სოციალისტებმა და ხელისუფლებამაც[29]. განსხვავებით სხვა აპატრიდებისაგან *(პირი, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობა და არც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვს მიღებული – გ.ა.)* მათ მიეცათ განსაკუთრებული ადმინისტრაციული სტატუსი: შეიქმნა „ქართული ლეგაცია“, რომელმაც იარსება 1933 წლამდე.

ლეგაციის დახურვა დაკავშირებული იყო საფრანგეთის მიერ სსრკ-ს ცნობის მეორე დეკრეტთან. ამავე დროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით დაფუძნდა „ქართველ ლტოლვილთა ოფისი“. მას სათავეში ედგა სოსიპატრე ასათიანი. ეს იყო ოფიციალური სამსახური, რომელიც აწესრიგებდა ადმინისტრაციულ საქმეებს, ადასტურებდა თანამემამულეების

29. თუმცა 30-იანი წლების ქსენოფობიის პირობებში ქართველი ბავშვები ხშირად იყვნენ ფრანგული სკოლიდან მათი ამხანაგების გაგდების მოწმენი: „ბინძურო უცხოელო! ჩვენს პურს ჭამ, დაბრუნდი შენს ქვეყანაში!..“ დღეს ეს გახსენებად არ ღირს.

იდენტურობას, უზრუნველყოფდა გადაადგილებისათვის საჭირო საბუთების მომზადებას და ნანსენის პასპორტის გაცემას, რომელიც აპატრიდებისათვის ერთა ლიგამ დააწესა.

1940 წელს გერმანელებმა ოფისი გაჩხრიკეს და დახურეს. ქართველ თანამშრომლებს უხეშად მოეპყრნენ და დაკითხეს. გაუქმებული სამსახურის ნაცვლად გერმანელებმა შექმნეს კავკასიელი ემიგრანტების ოფისი. ეს ოფისი მთლიანად მათ დაქვემდებარებაში იყო. მისი მეშვეობით ისინი აკონტროლებდნენ ემიგრაციას.

საფრანგეთში ქართული კოლონიის შესახებ წარმოდგენილი მოკლე ექსკურსი, ვფიქრობთ, იძლევა შესაძლებლობას უკეთ გავიგოთ, როგორ იცხოვრა მან მეორე მსოფლიო ომის დროს. 1939 წელს ემიგრაციაში მყოფი მთავრობის წარმომადგენელი ვასილ წულაძე ოფიციოზის ფორმატში პარიზში, იენას ავენიუზე მდებარე კაფე „პეტერბურგში" შეხვდა საბჭოთა კავშირის ემისრებს მათი თხოვნით. ამ უკანასკნელებს სურდათ გაეგოთ, თუ რა პოზიციას დაიკავებდნენ გადასახლებაში მყოფი ქართველები საერთაშორისო კონფლიქტის შემთხვევაში. წულაძემ დაადასტურა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ევგენი გეგეჭკორის განცხადება „მათ ნეიტრალიტეტზე"[30].

ომს, რომლის დაწყებიდან საფრანგეთი და ინგლისი იბრძოდნენ 1939 წლის შეთანხმებით[31] ერთმანეთთან დაკავშირებული გერმანიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არავითარი პრობლემა არ შეუქმნია ქართველებისათვის მოკავშირეთა სამხედრო ძალებში სამსახურის თვალსაზრისით.

1940 წლის 4 თებერვალს, საფრანგეთის გაურკვეველი სამხედრო პოზიციის გამო, ნოე ჟორდანია გამოდის ოფიციალური

---

30. ცნობა მოგვაწოდა ვასილ წულაძის ქალიშვილმა თამარ ტარასაშვილმა. 2005 წლის ივნისი.
31. რიბენტროპის და მოლოტოვის მიერ 1939 წლის 29 აგვისტოს ხელმოწერილი ათწლიანი შეთანხმება, რომელმაც სტალინს მისცა ორწლიანი ამოსუნთქვის შესაძლებლობა.

განცხადებით ყოფილი ქართული დამფუძნებელი კრების წევრების წინაშე. კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მისი მონაწილენი, როგორც პოლიტიკური ემიგრანტები — გამოხატავდნენ „თავიანთ მადლიერებას კეთილშობილი საფრანგეთის მიმართ სულგრძელი მასპინძლობისათვის“ და ადასტურებდნენ თავიანთ პოზიციას იმ „დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნების“ გვერდით, რომლებმაც 1921 წლის იანვარში ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. იმავე პათოსით კრებამ დაგმო ფინეთში შეჭრა და „ბარბაროსული დიქტატურა“. განცხადებაში იგულისხმებოდა ერთდროულად გერმანია და სტალინის საბჭოთა კავშირი, რომელმაც „გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე“[32].

1941 წლის ივნისში ალიანსში მოხდა მოულოდნელი მკვეთრი ცვლილება. გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გადასახლებაში მყოფი ქართველების წინაშე დადგა დილემა: ერთი მხრივ, ნაცისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში საფრანგეთის მხარდაჭერა, მეორე მხრივ კი, გერმანელებთან მიერთება მათი სამშობლოს საუკუნოვანი მჩაგვრელების – მეფის რუსეთისა და ბოლშევიკების – წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დილემისადმი ქართველებს განსხვავებული დამოკიდებულება აღმოაჩნდათ.

ემიგრაციის დახურულ გარემოში ისტორიის ამ მომენტში, როდესაც არჩევანი შეიძლება არასწორი ყოფილიყო, ზოგიერთის ნათელი გონება მიხვდა, რომ ცივილიზაციის მთავარი მტერი საფრანგეთში, მათ მასპინძელ ქვეყანაში, შემოჭრილი ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური გერმანია იყო. სხვა არავინ...

32. ჟურნალი *Prométhée*. 1940 წლის აპრილი, პარიზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. უცხოური ლეგიონის მეომრები

1939 წელს საფრანგეთის არმიამ მოუხმო ყველას, ვინც ექვემდებარებოდა გაწვევას და ვისაც გადავადება ჰქონდა. „წვრთნის" შემდეგ ეს ადამიანები გახდებიან აქტიური მონაწილეები ომისა, რომელშიც დაიღუპა 100000 კაცი, ხოლო 2 მილიონი ტყვედ ჩავარდა *(ეს მონაცემები ასახავს საფრანგეთის ვითარებას – გ. ა.).*

გაწვეულთა პირველ რიგებში აღმოჩნდნენ 23-30 წლის უცხოელები, მათ შორის, ქართველებიც. მათგან ერთ-ერთი არჩილ ციციშვილია ფანასკერტიდან. მისი საბრძოლო თავგადასავალი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, თავად აჩიკომ მოგვითხრო ცოცხალი იუმორით. იგი მეტად საინტერესოდ გვეჩვენება თავისი უჩვეულობის გამო.

ძველ ქართველ დიდებულთა შთამომავალი არჩილი დაიბადა 1916 წელს ბორჯომში. ფანასკერტი მათი საგვარეულო მამულია. 1921 წელს საშინელი არეულობის ვითარებაში ციციშვილების ოჯახი საფრანგეთში წავიდა. წითელი არმიის შემოსევისას მისი მამა, ნავთობის ფრანგულ-ინგლისური კომპანიის თანამშრომელი, მარსელში იმყოფებოდა. აჩიკო იხსენებს, თუ როგორ გახდა შესაძლებელი ოჯახის გაერთიანება: „ის, რომ დედამ სამ ბავშვთან ერთად მოახერხა საქართველოს დატოვება, ჩვენი შინამოსამსახურეების დახმარებით მოხდა. მათ გაგვიადვილეს მეტად რთული გამგზავრება კონსტანტინოპოლში (სტამბოლში)".

ციციშვილებმა პარიზში დაიდეს ბინა. გაჭირვებულები, სხვა ლტოლვილი ქართველების მსგავსად, შვილების აღსაზრდელად არანაირ შრომას არ თაკილობდნენ. აჩიკოს დედა, თავადის ქალი კნეინა მარიანე (Mariané), ერთხანს თავისიანებს იმით არჩენდა, რომ მოსამსახურედ მუშაობდა მდიდარი პარიზელების ოჯახებში.

აჩიკო ღიმილნარევი ირონიით იხსენებს ირენ ნემიროვსკის (Irène Némirowsky) რაუტებიდან „წამოღებულ მორჩენილ ქაშერ-ღვეზელებს („პიროჟკი“)“[33].

1938 წელს არჩილი მისაღებ კონკურსში გაიმარჯვებს და ჩაირიცხება ნატიფი ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის არქიტექტურის განყოფილებაზე. ბრწყინვალედ დაწყებულ სწავლას მალევე შეწყვეტს საფრანგეთის არმიაში გაწვევის გამო. მეორე კატეგორიის თადარიგში განწესებულმა არჩილმა სრულად იგემა ესკადრონის „ლაღი ცხოვრება“. ეს გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ერთმა მეთაურთაგანმა ყურადღება არ მიაქცია მის ნიჭს და არ გადააყვანინა იგი სენ-სირის კურსანტთა სასწავლებელში. 1940 წელს არჩილმა დაამთავრა სასწავლებელი („რეინ და მოზელის“ გამოშვება) ლეიტენანტის წოდებით. 1940 წლის 12 მაისს იგი მონაწილეობს რივოლის ქუჩაზე ჟანა დ'არკის ძეგლის წინ გამართულ სამხედრო აღლუმში. აღლუმს იღებდა მარშალი პეტენი (Pétain). მოულოდნელად ამ ქუჩის ცნობილი თაღედიდან გამოხტა მისი ბავშვობის მეგობარი, ქ-ნი ამილახვარი. იგი კოლონაში შეიჭრა და კისერზე მოეხვია მწყობრში მიმავალ აჩიკოს. ეს უსათუოდ ხელს შეუშლიდა ოფიცერს „სწორება მარჯვნივ“ ბრძანების შესრულებისას. პოს (Pau) სამხედრო ნაწილში განწესებამდე ცოტა ხნით ადრე, მოკლე შვებულების დროს, ვეზინეში (Vésinet) ბიძის სანახავად ჩასულს, ქუჩაში შეხვდა ქართული ჯარების ყოფილი სარდალი გენერალი კვინიტაძე. გენერალი მიაგორებდა მაწვნის (ემიგრანტი ქართველების საარსებო წყარო) ქილებით დატვირთულ ურიკას. არჩილმა მისკენ ნაბიჯი გადადგა, რათა ღირსეულად მისალმებოდა. მაგრამ გენერალმა ხელი უშვა ურიკას, ჟესტით

33. ირენ ნემიროვსკი – ებრაული წარმოშობის უკრაინელი მწერალი, 30-იან წლებში საფრანგეთში გამოცემული გახმაურებული რომანების ავტორი. იგი გარდაიცვალა 42 წლის აგვისტოში აუშვიცის (Auschwitz) საკონცენტრაციო ბანაკში. გარდაცვალების შემდეგ გამოსულ მის წიგნს „Suite française“ („ფრანგული სიუიტა“) 2004 წელს რენოდეს (Renaudet) პრემია მიენიჭა.

შეაჩერა ახალგაზრდა ოფიცერი, საყელოს ღილი შეუკრა და ხუმრობით დააყოლა: „აქედან იწყება ომების წაგება!“ აჩიკოს კომენტარი: „მგონი, თავადაც არ იცოდა, რა ზუსტად თქვა“[34].

და მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო ნგრევა, არეულობა, რომლის მოწესრიგებას ამაოდ ცდილობდა მისი ქვედანაყოფი. „გამოსვლის“ ქაოსი, როგორც წერს ირენ ნემიროვსკი, აპოკალიფსური გახდა. „ლტოლვილებს ტყვიამფრქვევებით ცხრილავდნენ. ჰაერში დათარეშობდა ფრთაგაშლილი, ფოლადის ნისკარტიანი სიკვდილი. იგი ზეციდან ქორივით თავს ესხმოდა გზის გაყოლებაზე მოლასლასე აცახცახებული შავი მწერების უწყვეტ ნაკადს“[35].

პოს ნაწილის ოფიცერთა სასადილოში არჩილი უკიდურესი შეშფოთებით ისმენს რადიოთი გადმოცემულ ახალ ამბებს და შეიტყობს პეტენის მიერ მიღებული დაზავების პირობებს. თავზარდაცემულს, ვერ წარმოუდგენია ამ სამარცხვინო მარცხთან შეგუება. მეორე დღეს იგი ზიზღით უსმენს ნაწილის მეთაურის მტირალა, მორჩილებით აღსავსე სიტყვებს: „თქვენ, ახალგაზრდებს თავს დაგატყდებათ დამპყრობელთა უსამართლობა, იქნებით შეურაცხყოფილნი, მაგრამ ყველაფერს უნდა გაუძლოთ და არ აჰყვეთ გრძნობებს“. „მაგიჟებს ენით გამოუთქმელი გონებაჩლუნგობა!“- შენიშნავს აჩიკო.

მის თავში იბადება იდეა: რამდენიმე სენ-სირელთან და თადარიგის ოფიცერთან ერთად პირენეებში წასვლა. ეს იყო მტერთან ბრძოლის ერთობ უნაყოფო და სასაცილო ილუზია. სხვადასხვა გარემოების გამო იდეა განუხორციელებელი დარჩა. თუმცა მის მისაღწევად იგი დაუკავშირდა ბეიონის (Bayonne) ნაწილში მივლინებულ ერთ ოფიცერს და მისი მეშვეობით შეეცადა იარაღის შოვნას. ეს პათოსი ნაკარნახევია შექმნილი ვითარების ანალიზით: „ინგლისი განაგრძობს ბრძოლას, დე გოლი უხმობს

---

34. ა. ციციშვილი-ფანასკერტელის ავტობიოგრაფია.
35. *Suite française, op. cit.*

ფრანგებს საომრად, კოლონიურ იმპერიას შეუძლია ჩაებას ომში. და... ჩაუქრობელი იმედი!“

ბეიონში აჩიკო შეხვდა სამხედროებს, რომლებმაც მოისმინეს 18 ივნისის მოწოდება და მოახერხეს საბუთების შოვნა ინგლისში ან მაროკოში წასასვლელად. პოს ბაზაზე დაბრუნების მეორე დღიდანვე, აღელვებული არჩილიც ცდილობს იმავე ნაბიჯის გადადგმას, თუმცა უფროსობისაგან ცივ უარს მიიღებს იმ მოტივით, „რომ დეზერტირობა დაუშვებელია“. მათი სიმხდალითა და უსიტყვო მონობით აღშფოთებული აჩიკო ამგვარ ბრძანებებს არ ემორჩილება და ბრუნდება ბეიონში. იქ ერთი, სხვებზე უფრო პატრიოტი მეთაურის მოადგილე, მის სამხედრო წიგნაკში ჩაწერს: „მიემგზავრება ჩრდილოეთ აფრიკაში უცხოურ ლეგიონთან შესაერთებლად“.

ამ საბუთით იგი 21 ივნისს[36] ახერხებს შვედეთის გემ „თაბორგზე“ (TABORG) ასვლას. გემი ლტოლვილებს ვეღარ იტევდა. მასზე აუწერელი ქაოსი სუფევდა. აქ იყვნენ გერმანელები, ავსტრიელები, ებრაელები, რომელნიც გაურბოდნენ ჰიტლერის რეჟიმს და ლონდონში გენერალ დე გოლთან მიმავალი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. 25 ივნისს კასაბლანკაში (Casablanca) ჩასული აჩიკოს მთელ ავლადიდებას მხოლოდ ერთი ზურგჩანთა შეადგენდა. თავიდან განწესებული უცხოურ ლეგიონში, სიდი ბელ აბეში (Sidi bel Abbés) (ალჟირი), იგი ითხოვს მეკნესში (Meknes) (მაროკო) გადაყვანას, სადაც მას სხვა ქართველები, მათ შორის კაპიტანი ოდიშელიძე და ბიბაშვილი ლეო კერესელიძე, ეგულებოდნენ.

1940 წლის დამლევს ვიშის მთავრობის ბრძანებით აჩიკო დემობილიზებულია. მაგრამ ნაწილის ოფიცერთა თხოვნით აგრძელებს სამსახურს ინსტრუქტორად. ამ ფუნქციებს იგი

36. ოფიციალურად დაზავებას ხელი მოეწერა 1940 წლის 22 ივნისს რეთონდში (Rethondes), ოღონდ იგი ძალაში მხოლოდ 25-ში შევიდა.

ასრულებდა 1942 წლის იანვრამდე. შემდეგ კი, საბოლოოდ დემობილიზებული, იძულებულია საფრანგეთში დაბრუნდეს.

1942-1944 წლებში აჩიკო აგრძელებს არქიტექტურის შესწავლას პარიზში. მას ხშირად უწყობენ დაკითხვებს გესტაპოში სოსეს (Saussaies) ქუჩაზე. გერმანელები ცდილობდნენ გაეგოთ ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ლეგიონში მის მოხვედრასთან. მან ცოლად შეირთო ნათელა ჟორდანია და 1944 წლის სექტემბერში, ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ, ისევ ჩაეწერა უცხოურ ლეგიონში. თავდაპირველად მას დაევალა 160 მოხალისის ჩაყვანა სიდი ბელ აბეში. ლეგიონის ქვეითთა I ბატალიონში განწესებული, იგი ჩამოდის მარსელში გემ „ჟანა დ'არკით» და 1945 წლის თებერვლიდან იბრძვის ჯერ ელზასში, ხოლო შემდეგ – გერმანიაში.

ნორდჰაიმთან (Nordheim) ბრძოლაში მისი ბატალიონი ძლიერ დაზარალდა. თავად აჩიკო კი მსუბუქად დაიჭრა. ამ ბრძოლისათვის იგი დააჯილდოვეს სამხედრო ჯვრით. ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ „მუდმივი საფრთხის მიუხედავად, მისი მეთაურობით უზრუნველყოფილ იქნა შენაერთის ტანკების და ჯავშანმანქანების ნაწილში დაბრუნება“.

ავსტრიაში საომარი მოქმედების დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მას, ერთ-ერთ ოფიციალურ სადილზე მიწვეულს, მიეცა შესაძლებლობა ესაუბრა კრონპრინცთან, რომელიც მისმა ნაწილმა თავის დროზე ტყვედ აიყვანა. აჩიკო „ძალიან გაერთო ვილჰელმ II-ის შვილის გვერდით ყოფნით“. ომის დამთავრების შემდეგ იგი უბრუნდება სამოქალაქო საქმიანობას. მთებზე უსაზღვროდ შეყვარებული, იგი გაპში (Gap) არქიტექტორის კარიერას აგრძელებს. ორიგინალურ ავტობიოგრაფიას არჩილ ციციშვილი-ფანასკერტელი ასრულებს შემდეგი სიტყვებით: „უღრმეს მადლობას ვუხდი უცხოურ ლეგიონს!“

უცხოურ ლეგიონში იმსახურებს კიდევ ერთი ქართველი.

1939 წლის ზაფხული. ოთარ ჯაყელი ბრიუსელშია. სწავლობს ნატიფი ხელოვნების აკადემიაში. გატაცებულია არქიტექტურით. მისი მიზანია ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნა. ისტორიის მიერ თავდაყირა გადაბრუნებული ბავშვობის შემდეგ, შეძლებს თუ არა იგი „ჩაეწეროს“ ლტოლვილის რთულ ცხოვრებაში?

ცხრა წლის ოთარი და მისი უფროსი ძმა გიორგი დედასთან ერთად საქართველოდან ბოლშევიკების რეპრესიებს გაექცნენ. რამდენიმე კვირა დასჭირდათ, რომ მიეღწიათ თურქეთის საზღვრამდე. გამყოლის თანხლებით ისინი ძირითადად ღამ-ღამობით გადაადგილდებოდნენ. დღისით იმალებოდნენ მონასტრებში. თურქეთში კი ერთი პატარა ფაშას ჰარამხანის ჰერქვეშაც აღმოჩნდნენ. მიდიოდნენ მცირე შესვენებებით, რომლებსაც ოთარი თბილად იგონებდა!

ხანგრძლივი მოგზაურობის დასასრულს ჯაყელების ოჯახი ცოტა ხნით საფრანგეთში რჩება საცხოვრებლად. საბოლოოდ, თავშესაფარს 1929 წელს ბელგიაში პოულობს. ომის გამოცხადების დროისთვის სერიოზული და ამაყი ჭაბუკი ჯერ 20 წლისაც არ იყო. იგი უყოყმანოდ გადაწყვეტს „ფრანგული კულტურის დაცვას“[37] და ცდილობს ჩაეწეროს ბელგიის ჯარში. მაგრამ ადამიანს, რომელსაც აღარ აქვს სამშობლო, უცნობი ერის შვილს, აპატრიდს ბელგია თხოვნაზე უარს ეუბნება: „დეე, წავიდეს, „შესთავაზოს სამსახური“ და თავისი სისხლი საფრანგეთს...“ იმავე, მოქალაქეობის არქონის მიზეზით, საფრანგეთს შეუძლია მისი განწესება მხოლოდ უცხოურ ლეგიონში, რომელიც განთავსებულია ობანში (Aubagne), მარსელთან ახლოს.

1940 წლის იანვარში ოთარსა და მის ძმას გიორგის გულთბილად შეხვდა კაპიტანი შალიკაშვილი[38]. ლეგიონის

---

37. ოთარ და ეთერ ჯაყელების მონაყოლი.

38. მისი ძმისწული ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი.

შემადგენლობაში ძმები მონაწილეობდნენ 1940 წლის 5-17 ივნისის სისხლისმღვრელ ბრძოლებში სედანთან (Sedan).

მარსელამდე ფორსირებული მარშით უკანდახევის დროს მათი პოლკი იცავდა განადგურებული ფრანგული არმიის არიერგარდს. ლიონში მეთაურმა ძმებს დაავალა პარიზის გრაფის (le Comte de Paris – *იგი ითვლებოდა საფრანგეთის ტახტის მემკვიდრედ* – გ. ა.) დაცვა. გრაფი ჯარში მსახურობდა თადარიგის მეორე კატეგორიის უცხოელი მოქალაქის ანრი დ'ორლიაკის სახელით (Henri d'Orliac)[39].

მათ ნაწილში, რომელიც მტრის ძლიერი მოწოლის გამო უკან იხევს (23 ივნისს გერმანელები უკვე კლერმონ-ფერანთან და ტურნონთან იყვნენ) (Clermont-Ferrand et Tournon), ძმები ჯაყელები იტალიის მეფის უმბერტოს ერთ-ერთი თანამებრძოლის ხელშეწყობით აყალიბებენ პატარა, ძალზე შეკრულ ჯგუფს, რომელშიც შევიდნენ ჟეჟენი (Gégène) – წყალსადენის მუშა პარიზიდან, რესტორან „მაქსიმის" შეფ-მზარეული და კიდევ ერთი ადამიანი (Montagnier), რომელიც მომავალში „იუნესკოს" პასუხისმგებელი თანამშრომელი გახდება.

დაზავების გამოცხადების შემდეგ ოთარი და მისი ძმა ლეგიონის სხვა გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად ისევ მარსელში აღმოჩნდებიან. მათ უბრძანებენ ნებისმიერი საშუალებით „სახლებში დაბრუნებას", თან ხუმრობით დაა-ყოლებენ: მატარებლით, თვითმფრინავით, მანქანით თუ ცხენით.

ამ კეთილ რჩევას ოთარი მაინცდამაინც სერიოზულად არ მოეკიდება და 1940 წლის ივლისში ბელგიაში ფეხით

39. Henri de France. მას არ ჰქონდა უფლება ემსახურა საფრანგეთის არმიაში რესპუბლიკის იმ კანონის თანახმად, რომელიც სამხედრო სამსახურს უკრძალავდა „სამეფო ოჯახების წევრებს..." მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს არც ინგლისელებმა და არც ბელგიელებმა. საბოლოოდ სამხედრო სამსახური მან მაინც დაიწყო უცხოურ ლეგიონში. 15 მაისს იგი ჩავიდა ლიონში როგორც საფრანგეთის ჯარების შტაბის საკუთარი კორესპონდენტი. *J. Bourdin. Le Comte de Paris, un cas politique.* La Table ronde, 1965.

დასაბრუნებლად ემზადება. მან უნდა გაიაროს მთელი საფრანგეთი, რომელიც არეულია და ჯერ კიდევ არ არის გამოსული გამანადგურებელი შოკიდან. ის იწყებს „მოგზაურობას“ სამხედრო ფორმაში, უფულოდ. მესამე დღეს, პაპანაქება სიცხეში, ოთარი შევიდა პროვანსის ერთ სოფელში. აქ ვიღაც კაცმა ყურადღება მიაპყრო მარტოხელა მოხეტიალე ჯარისკაცს. დაინტერესდა მისი ვინაობით და მდგომარეობით. ეს კაცი აღმოჩნდა სოფლის მერი, კეთილშობილი პატრიოტი, რომელიც დაეხმარა ოთარს ჩასულიყო ბრიუსელში ისე, რომ ხელში არ ჩავარდნოდა გერმანელებს. მან ჯარისკაცი სახლში მიიყვანა, დააპურა, ჩააცვა სამოქალაქო ტანაცმელი, აღჭურვა ყალბი საბუთებით და გადასცა გადარჩენისდარი საჩუქარი – ველოსიპედი. შინ ოთარი შედარებით მშვიდობიანად დაბრუნდა.

ამ დროს ბელგია ოკუპირებულია. ქვეყანაში სუფევს პირქუში და ცივი ატმოსფერო. ნატიფი ხელოვნების აკადემია წაგებული ომიდან დაბრუნებული ყოფილი სტუდენტის აღდგენას ეწინააღმდეგება. ერთმა ქართველმა იგი დაასმინა ლეგიონში მოხალისედ ჩაწერის გამო. პოლიციაში დაბარებულს ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. გერმანელს, რომელმაც იგი დაადანაშაულა რაიხის წინააღმდეგ ბრძოლაში, მან უპასუხა, რომ უნდოდა საფრანგეთის, მისი სულიერი სამშობლოს დაცვა. ამის გამგონე ოფიცერი უეცრად შეიცვალა, ხელი ჩამოართვა ოთარს და გაუმხილა დამსმენის სახელი. ოთარი, რომელიც სტუდენტობის დროს ჩემპიონი იყო კრივში, შეხვდა მას, თუმცა არც უფიქრია სამაგიეროს გადახდა და მხოლოდ ზიზღით სილა გააწნა.

ოთარ ჯაყელი მაინც ახერხებს სწავლის დასრულებას და მიდის ბელგიის კონგოში, სადაც მუშაობს ლეპროზორიუმების მშენებლობაზე, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რევოლუციონერები მას ქვეყნიდან გააძევებენ. აპატრიდის

მიღებაზე ბელგიაც ამბობს უარს და რამდენიმე წელს იგი საფრანგეთში იცხოვრებს.

1967 წელს მან გადაწყვიტა ოჯახთან, – მეუღლე ეთერსა და სამ შვილთან ერთად, – სამშობლოში დაბრუნება. იგი ოცნებობდა თანამედროვე ჰუმანურ არქიტექტურაზე. მას არასდროს დავიწყებია საფრანგეთი, რომელშიც ბრუნდებოდა „სუნთქვისა და სიამოვნებისათვის", როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა. ფრანგ მეგობრებს იგი ხშირად უყვებოდა 1940 წელს სასიკვდილოდ განწირულ საფრანგეთში მის ხანმოკლე, მაგრამ ერთგულ და თავდადებულ სამსახურზე.

ომის დროს უცხოურ ლეგიონში 22 ქართველი მოხალისე ჩაეწერა. აპატრიდის სტატუსი და ასაკი მათ არ აძლევდა საფრანგეთის ჯარში სამსახურის შესაძლებლობას. თუმცა ამ ფრანგული სამხედროფორმიანი მეომრების მამაცობა საყოველთაოდ ცნობილია. აქ დავასახელებთ დავით დავრიშაშვილს, რომელიც სომიურის კადეტებთან (les Cadets de Saumur) ერთად იბრძოდა ლუარაზე. გავიხსენოთ 1940 წელს ფრონტზე დაღუპული შოთა თაქთაქიშვილი.

მოხალისე ალექსანდრე, „საშა", მელიავა – ორი შვილის ახალგაზრდა მამა, აპატრიდი[40], ომის დროს მე-4 ქვეითი პოლკის არტილერიის დივიზიონს მეთაურობდა. 1940 წლის 16 ივნისს სენა და უაზთან (Seine et Oise) იგი ტყვედ ჩავარდა. რამდენიმე საკონცენტრაციო ბანაკის გამოვლის შემდეგ საშა მოხვდა ჰაზებრუკის (Hazebrouck) სტალაგში *(მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი სამხედრო პირებისათვის გერმანელების მიერ შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკები – გ.ა.)*, საიდანაც გათავისუფლდა 1941 წლის თებერვალში მძიმე ავადმყოფობის გამო.

40. 1939 წლის 19 მაისის დეკრეტით უცხოელებს მიეცათ ფრანგულ ჯარში სამსახურის უფლება.

ამ ერთხელ უკვე დემობილიზებულ მეომართა უმრავლესობა კვლავ უბრუნდება თავის ნაწილებს. რასაკვირველია, იმათ გარდა, ვინც ტყვედ ჩავარდა და სტალაგში აღმოჩნდა. ასეთთა რიცხვში იყვნენ ს. კარგარეთელი და მ. მიმინოშვილი. მათ უარი თქვეს ქართველი კოლაბორაციონისტების მიერ შემოთავაზებულ თავისუფლებაზე, „არჩიეს ფრანგი მეგობრების ბედი გაეზიარებინათ და ამგვარად გაეგრძელებინათ ბრძოლა საფრანგეთისათვის“[41].

და ბოლოს, იმათ შორის, ვინც ჩაეწერა გენერალ დე გოლის ირგვლივ გაერთიანებული „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების – (Forces Françaises Libre - FFL) რიგებში, უნდა დავასახელოთ გიორგი თურქია. იგი იბრძოდა გენერალ ლეკლერკის (Leclerc) ლეგენდარულ მეორე სატანკო დივიზიაში.

იმ ადამიანების გვერდით, რომლებმაც ომის დროს გადაწყვიტეს თავიანთი მეორე სამშობლოს მტერთან ბრძოლა, ჩვენ დიდ ადგილს დავუთმობთ პროფესიონალ მებრძოლებს, უცხოური ლეგიონის მეომრებს, რომლებიც ფრანგულ ჯარში მსახურობდნენ ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან.

რატომ აღმოჩნდნენ ქართველი ლტოლვილები ლეგიონში?[42].

1921 წელს, მიუხედავად ბოლშევიკური რუსეთის არმიისადმი გაწეული შეუპოვარი წინააღმდეგობისა, ქართული ჯარი უკან იხევს. თბილისის სამხედრო სასწავლებლის კადეტთა[43]

---

41. განთავისუფლების სანაცვლოდ მათ უნდა ემსახურათ ვერმახტში, ქართული ლეგიონის შემადგენლობაში. შდრ. თავი მე-5, თ. ნასყიდაშვილის მიერ მოწოდებული ცნობები.
42. 1831 წელს ლუი-ფილიპის მიერ შექმნილი – ლეგიონი თავის რიგებში აერთიანებს „უცხოელებს საფრანგეთის სამსახურში“. ფრანგული არმიის მთავარი დამრტყმელი ძალა კოლონიურ გამარჯვებებში, ლეგიონი აქტიურად მონაწილეობდა 1870 წელს პრუსიელებთან ომში. 1914-1918 წლების ბრძოლებში განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი მისმა გაერთიანებულმა პოლკმა.
43. კადეტებს „იუნკერებსაც“ ეძახდნენ. ეს იმ დროის გამოძახილია, როცა გერმანელები წვრთნიდნენ მეფის რუსეთის ჯარს.

ჯგუფი, სამშობლოს დამცველი თავდადებული გმირები, გენერალ კვინიტაძის მეთაურობით აღწევენ ბათუმს და 1918 წლის 18 მარტს იტალიის გემებით „MARIA" და „KIROULA"-თი კონსტანტინოპოლში ჩადიან.

ბიბლიოთეკა

ამ პატარა ჯგუფის ნაწილი ჩაირიცხება ათენის სამხედრო სასწავლებელში, ორმოცამდე ახალგაზრდა კი გაემგზავრება ვარშავაში სამხედრო კარიერის გასაგრძელებლად. პოლონეთზე რუსეთ-გერმანიის თავდასხმის შემდეგ მათგან რამდენიმე გადარჩენილი შეუერთდება პოლონელი გენერლის ანდერსის არმიას დიდ ბრიტანეთში. *(ვლადისლავ ანდერსი - 1892-1970 – პოლონელი გენერალი, სსრკ-ში ფორმირებული პოლონური არმიის სარდალი, რომელმაც თავი გამოიჩინა იტალიაში. 1946 წელს ანდერსმა თავისი შენაერთი ინგლისში ჩაიყვანა – გ. ა.).*

კადეტთაგან ხუთს საფრანგეთი მიიღებს.[44] გარდა ამისა, სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხავენ კიდევ ოთხს, ძალიან ახალგაზრდას, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი იბრძოდნენ საქართველოში. მათ შორის დიმიტრი ამილახვარიცაა. ჩვენ მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ. კადეტებს, როგორც საფრანგეთის სამხედროებს, მიავლენენ ჩრდილოეთ აფრიკაში ან შორეულ აღმოსავლეთში დისლოცირებული უცხოური ლეგიონის პოლკებში. ისინი მონაწილეობას მიიღებენ 1939-1945 წლების ომში და აღიარებულნი იქნებიან „ბრწყინვალე ქართულ ფალანგად"[45].

სწორედ რამდენიმე მათგანის თავგადასავალს გავადევნებთ თვალს. მაგრამ ამ ადამიანების ხვედრის გასაგებად უნდა გავიხსენოთ ზოგი რამ ისტორიიდან.

1940 წელს ფრანგების ომი გერმანელებთან ლეგიონერებისათვის გამანადგურებელი აღმოჩნდა. უცხოელ მოხალისეთა გაერთიანებული პოლკის პირადი შემადგენლობის ნახევარი

44. საფრანგეთში მეფის რუსეთის ყოფილი სამხედრო ატაშე თავადი ერისთავი მოახერხებს მათ ჩარიცხვას სენ-სირის (SAINT-CYR) და სენ-მექსანის (Saint-Maixent) სამხედრო სასწავლებლებში.

45. Jean de Vallières. *«Et voici la Légion»*, ed. André Bonne, 1963.

დაიღუპა ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტზე, მდინარე მეზის (Meuse) ხეობაში.

1940 წლის აგვისტოში მოხალისეები დემობილიზებულები აღმოჩნდნენ. ისინი კი, ვინც ოთარ ჯაყელივით კადრებში სამსახურს ექვემდებარებოდნენ, დააბრუნეს ჩრდილოეთ აფრიკაში, ლეგიონის ბაზაზე. გენერალ დე გოლის 18 ივნისის მოწოდების პასუხად, ზოგიერთი მათგანი წავიდა ლონდონში და შეუერთდა „თავისუფალი საფრანგეთის სამხედრო ძალებს". ჩვენ მათ ქვემოთ შევხვდებით.

დაზავების პირობების თანახმად, საფრანგეთში და კოლონიებშიც, ფრანგული არმიის მნიშვნელოვნად შემცირებული ნაწილი ვიშის მთავრობის განკარგულებაში იყო. ოფიცერთა უმრავლესობა, რომელმაც ერთგულება შეჰფიცა მარშალ პეტენს, აღმოჩნდა გენერალ დე გოლს დაპირისპირებული.

1942 წლის 8 ნოემბერს მაროკოსა და ალჟირში გენერალ ეიზენჰაუერის სარდლობით მოკავშირეების ჯარების გადმოსხმამ ვითარება შეცვალა. 11 ნოემბერს გერმანელებმა მეტროპოლიაში დაარღვიეს დაზავების პირობები: ისინი შეიჭრნენ „თავისუფალ ზონაში"[46] და დაშალეს ფრანგული ჯარი[47]. პეტენი ზოგიერთი მრჩევლის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად და იმათი გულის გასატეხად, ვინც იმედოვნებდა, რომ იგი შეუერთდებოდა თავის კოლონიურ ჯარებს, უგულებელყოფს რჩევას. ბევრი სამხედრო პირისთვის ფიცმა ძალა დაკარგა.

---

46. თავისუფალი ზონა (la zone libre) – საფრანგეთის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც გერმანელებს არ ჰქონდათ ოკუპირებული.
47. საფრანგეთის სამხედროებს შორის მოხდა განხეთქილება. მათი ერთი ნაწილი უერთდება „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებს" (FFL), მეორე კი ქმნის „წინააღმდეგობის სამხედრო ორგანიზაციას" (Organisation Resistante de l'Armée – l'ORA). გენერალი დე ლატრ დე ტასინი (De Lattre de Tassigny), მონპელიეში მე-16 სამხედრო ოლქის სარდალი, პორ-ვანდრში (Port-Vendres) ცდილობს გემზე ასვლას. მას აპატიმრებენ. 1943 წლის სექტემბერში იგი გაიქცევა რიომის (de Riom) საპყრობილედან და ჩავა ალჟირში. I არმიის სარდლის რანგში იგი ჩაატარებს ბრწყინვალე ოპერაციას ჩრდილოეთ აფრიკაში, კონსტანსას ტბასთან (lac de Constance).

შექმნილი ვითარება პირდაპირ კარნახობდა ჯარის გაერთიანებას და მოკავშირეებთან შეერთებას[48]. 19 ნოემბერს, ტუნისში, მეჯელზ-ელ-ბაბის (Medjelz-el-Bab) გარნიზონი, რომელიც გერმანელებს წინააღმდეგობას უწევს, „ომში აფრიკის ჯარის ჩაბმას აცხადებს"[49]. თუმცა „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებთან" შეერთებას იგი მხოლოდ 1943 წლის 1 აგვისტოს შეძლებს. თავის მხრივ, გაერთიანებული ლეგიონიც მიიღებს მონაწილეობას ყველა ბრძოლაში: იტალიაში, პროვანსში, ალზასსა და გერმანიაში.

იმ საბრძოლო მოვლენების გახსენებას, რომლებმაც ხელი შეუწყვეს 1945 წლის მაისის გამარჯვებას, დავიწყებთ ბატალიონის მეთაურით – გიორგი ოდიშელიძით. ღირსების ორდენის ოფიცერს, საბრძოლო ჯვრის კავალერს სარდლობამ ოთხჯერ გამოუცხადა მადლობა. 1940 წელს მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე აშკარად მეტყველებს საფრანგეთის უმაღლესი სარდლობის იმედზე, რომელიც, სამწუხაროდ, მალე გაქრა.

ომის გამოცხადების დროს ის მაროკოში ქვეითთა უცხოურ პოლკში (Régiment Etranger d'Infanterie – REI) მსახურობდა. 1940 წლის აპრილში მას ავალებენ საფრანგეთში, ბარკარეს ბანაკში (le Camp du Barcarès), „ქართული შენაერთის" შექმნას[50]. შენაერთი უნდა დაკომპლექტებულიყო მხოლოდ ქართველი პროფესიონალი სამხედროებით, მობილიზებულებითა და მოხალისეებით.

გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რომელმაც სტალინი და ჰიტლერი მოკავშირეებად აქცია, გენერალმა ვეიგანდმა (Weigande)

---

48. ჩვენ არ ვამართლებთ გენერლების დარლანის (DARLAN), ჟიროს (GIRAUD) და ჟიუნის (JUIN) პოლიტიკურ თამაშებს ამ კრიტიკულ პერიოდში.
49. P. Montagnon. *La grande Histoire de la seconde guerre mondiale*, Pygmallion.
50. ინფორმაცია ქართველი ოფიცრების შესახებ მთლიანად მოპოვებულია უცხოური ლეგიონის დოკუმენტური ისტორიის ცენტრში, ობანში (Aubagne). ზოგჯერ იგი შევსებულია თვითმხილველთა მიერ მოწოდებული ცნობებით, რასაც ვუთითებთ.

ჩამოაყალიბა საბრძოლო მოქმედების იდეა, რომელსაც უნ-და ეთამაშა ლტოლვილი ქართველების ანტირუსულ და ანტისაბჭოთა გრძნობებზე. ეს, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა კავკასიის ფრონტის გახსნას. „არა რაოდენობრივი სიმრავლის, არამედ იმ ფსიქოლოგიური შოკის გამო, რომელსაც ის მოახდენდა სსრკ-ს მიერ ოკუპირებულ საქართველოს მოსახლეობაზე"[51]. მაროკოში განლაგებული ჯარების შტაბის ორი დოკუმენტი ადასტურებს ქართველი ლეგიონერების გადაჯგუფებას ბარკარეს ბანაკში და ბრძანებას მათი ლევანტის (Levant) მიმართულებით გადასროლის შესახებ.

თუმცა ეს შენაერთი თითქმის მთლიანად განადგურდება 1940 წლის ივნისის კატასტროფის დროს. გადარჩენილები ბრუნდებიან ჩრდილოეთ აფრიკაში და იზიარებენ უცხოური ლეგიონის ბედს. თავად ბატალიონის მეთაური ოდიშელიძე 1943 წელს იბრძვის ტუნისის ფრონტზე[52].

მაროკოში, პირადი შემადგენლობის კადრების მომზადების ასეულში, 1927-1939 წლებში მსახურობს საპატიო ლეგიონის კავალერი ალექსანდრე ჯინჭარაძე. იგი მოხალისედ ჩაეწერა ლე-გიონის კავალერიაში. ყველა იმ ლეგიონერის მსგავსად, ვინც მსახურობდა ჩრდილოეთ აფრიკაში, ლევანტსა თუ შორეულ აღმოსავლეთში, ისიც დაჯილდოებულია სამხედრო ჯვრით ქვეყნის ფარგლებს გარეთ საომარ მოქმედებებში მონაწილე-ობისათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაში იქნა მიღებული მისი მონაწილეობა კოლონიებში წესრიგის დამყარებაში. 1940 წლიდან იგი ერთმანეთს უთავსებს ორ საქმიანობას: მებრძოლისა და მშენებლის (აშენებს გზებს, ხიდებს, საავადმყოფოებს).

ომის დროს ალექსანდრე იბრძვის დივიზიის სადაზვერვო ასეულის (Groupe de reconnaissance divisionnaire – GRD 97) შემადგენლობაში, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი.

---

51. De Bello Magazine, 1996

52. დოკუმენტი მოგვაწოდა მისმა ვაჟმა ნოდარმა.

1940 წლის ივნისში უაზში, ნორუაისთან (Noroy), ბრძოლაში, დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. ტყვეობაში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ იგი ისევ ჩრდილოეთ აფრიკაში დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე ასეულში ესკადრონის მეთაური იყო ჟან (ვანო) ვაჩნაძე, საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცერი, 1939-1945 წლების ომის საბრძოლო ჯვრის კავალერი. სომიურის (Saumur) კავალერისტთა სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სამხედრო სამსახურს გადიოდა სუსში (Sousse) (ტუნისი) კავალერიის I უცხოურ პოლკში (I REC). 1940 წელს ვაჩნაძე იბრძოდა სომის (la Somme) ფრონტზე. შენაერთის მთელი შემადგენლობიდან იგი აღმოჩნდა ერთ-ერთი იშვიათი გადარჩენილთაგანი.

ვანომ თავი დააღწია გერმანელების მიერ დაგებულ მახეს, გადაურჩა ტყვეობას და შეძლო ოკუპირებულ პარიზში ჩასვლა. მეგობრებს თავშეფარებულმა, სამხედრო ფორმა გაცვალა სამოქალაქო ტანსაცმელზე და ველოსიპედით მოახერხა „თავისუფალ ზონაში" შესვლა[53], იქიდან კი ჩრდილოეთ აფრიკაში გადავიდა.

1944 წლის სექტემბერში თავის შენაერთთან ერთად ვაჩნაძე გადმოდის საფრანგეთში და მონაწილეობს საომარ მოქმედებებში ალზასში. იგი იზეიმებს 1945 წლის გამარჯვებას, რომელსაც ვერ მოესწრო მაროკოში კიდევ ერთი ქართველი მოხალისე, ქიმიკოსი ახაზ ანდრონიკაშვილი. იგი დაიღუპა გერმანელთა დაბომბვის დროს, როდესაც დესანტის შემადგენლობაში გადმოდიოდა პროვანსის სანაპიროზე.

ლეიტენანტმა ჭიაბრიშვილმა განვლო საბრძოლო გზა რიგითი ჯარისკაციდან ოფიცრამდე. 1941 წელს გახდა მოხალისე. 1943 წელს პოლკის მეთაურის ბრძანებით მას გამოეცხადა მადლობა. მისი მამაცობა და ბრძოლისუნარიანობა განსაკუთრებით გამოჩნდა ალზასის კამპანიაში ჰირცბახსა (Hirzbach) და კოლმართან (Colmar) ბრძოლებში და გერმანიაში –

53. ცნობა მოგვაწოდა ქ-მა ნანო დ'აბო-კვინიტაძემ.

დურენბუხიგზე (Durrenbuchig) შეტევის დროს, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა სამხედრო ჯვრით პალმებით.

ამ ჯგუფურ პორტრეტს დავასრულებთ კაპიტან ნიკოლოზ თოხაძის ოდისეით შორეულ აღმოსავლეთში. საპატიო ლეგიონის III ხარისხის ორდენით დაჯილდოებულს, მიღებული აქვს სარდლობის რვა მადლობა „თავისი საქმის განსაკუთრებული ცოდნისათვის". იგი მსახურობდა ავიაციაში მაროკოში, ხოლო 1941 წლიდან – ტონკინში (Tonkin). მიუხედავად იმისა, რომ ინდოჩინეთი იმ დროს საფრანგეთს ეკუთვნოდა, იგი ღერძის[54] ძლიერი წევრის – იაპონიის – მუდმივი თვალთვალის ქვეშ იყო.

1945 წლის 9 მაისს იაპონელები დონგ დანგიდან (Dong Dang) იწყებენ შეტევას. ეს იყო ულმობელი ხოცვა-ჟლეტა[55], რომელშიც მარსუინები *(ზღვის ღომები – საზღვაო-ქვეითები – გ. ა.)* და ლეგიონერები თავგანწირულად იბრძოდნენ. მოკავშირეების გაერთიანებული სარდლობის ბრძანებებს დაქვემდებარებული ალესანდრის კოლონა (la colonne Alessandri) მცირე შეყოვნების შემდეგ, იაპონელების შეტევის დროს, იწყებს ფორსირებულ მარშს წითელი მდინარის გაყოლებაზე, ჩინეთის საზღვრებისაკენ. მდინარის ხეობის ვიწრო ბილიკებით, საშინელ კლიმატურ და გაუსაძლის ყოფით პირობებში, ზურგს უკან იაპონელების მუდმივი ცეცხლის ქვეშ, ლეგიონერთა მცირე ნაწილმა შეძლო მხსნელი საზღვრის გადაკვეთა. მათ შორის იყო ნიკოლოზ თოხაძეც. თავისი ჯგუფით 22 მარტიდან 19 აპრილამდე იგი უზრუნველყოფდა ბრძოლით უკანდახევას. ამას გვიდასტურებს სონ ლას (Son La) და ბონ'ტაის (Bon'Tay) ოპერაციები, რომლებშიც იგი „თავის ლეგიონერებთან ერთად მაგალითის მიმცემი იყო და უნარიანად ხელმძღვანელობდა არიერგარდის უსაფრთხოებას".

---

54. გერმანია, იტალია, იაპონია (1940 წლის ნოემბრის შეთანხმება).
55. P. Heduy, *Histoire de l'Indochine*. Albin Michel, 1998.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაცური და გააზრებული მოქმედებისათვის, როგორც ეს აღნიშნულია ბრძანებაში, იგი დაჯილდოვდა „1939-1945 წლების ომის საბრძოლო ჯვრით პალმებით".

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 18 ივნისის მოწოდებას ზოგიერთებმა ლონდონში ჩასვლით უპასუხეს. ეს ნაბიჯი ზოგმა პირადი რწმენის კარნახით გადადგა, ზოგი მებრძოლი კი თავის საყვარელ მეთაურს გაჰყვა. ამგვარი გადაწყვეტილება, რომლის პერსპექტივა იმ დროს ჯერ კიდევ ნათელი არ იყო, ორმა ქართველმა ოფიცერმაც მიიღო. ისინი დე გოლში ხედავდნენ სამხედრო ღირსების გარანტს და საფრანგეთის პოტენციურ განმათავისუფლებელს. მათ არ შეეძლოთ შერიგებოდნენ დამარცხებას. ყველა ასეთი სამხედრო პირი, ვიშის მთავრობის გადაწყვეტილებით, რეგულარული არმიიდან მოკვეთეს და სამშობლოს მოღალატეებად გამოაცხადეს.

ჩვენ მოვიგონებთ ერთ-ერთ მათგანს, ბატალიონის მეთაურს ალექსი ჩხენკელს, რისთვისაც მოვიხმობთ უცხოური ლეგიონისა და მისი შვილებისაგან მიღებულ, ზოგჯერ ერთმანეთის საპირისპირო, ცნობებს. მის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის სრული მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ბრწყინვალე ოფიცერი საიდუმლო სამსახურებში მოღვაწეობდა.

სენ-სირის დამთავრების შემდეგ იგი მიავლინეს ალჟირში, საიდაში (Saida). იქვე დაბინავდა მისი ოჯახიც. მოგვიანებით ალექსი შორეულ აღმოსავლეთშია. 1939-40 წლების ომის დროს მას საიდუმლო მისიით ნორვეგიაში აგზავნიან[56], სადაც ომი მიმდინარეობდა შვედეთის რკინის მადნისათვის. 1941 წელს, ალჟირიდან დაბრუნების შემდეგ, ლეგიტიმისტ ოფიცრებთან, რომლებიც დე გოლს არ შეუერთდნენ კონფლიქტის გამო, იგი წავიდა მაროკოში, ხოლო შემდეგ ტანჟერისა და გიბრალტარის გავლით მიაღწია ლონდონს. მას ეხმარებოდა ამერიკელი

56. ცნობა მოგვაწოდა თამი ჩხენკელმა. 2005 წლის აპრილი.

ოფიცერი, სავარაუდოდ, ისიც საიდუმლო სამსახურის თანამშრომელი[57].

„თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების" შეერთების შემდეგ[58] იგი ჩაირიცხა ბრიგადაში, რომელმაც თავი ისახელა ეგვიპტესა და ლიბიაში, რომელის (Rommel) წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლების დროს. ამის შემდეგ ალექსი ჩხენკელი მივლენილია მეკავშირე ოფიცრად ამერიკის არმიაში. იგი დესანტირებულია კორსიკაზე და მონაწილეობას იღებს იტალიის კამპანიაში. გათავისუფლებულ პარიზში დაბრუნებული ჩხენკელი შეიარაღებული ძალების სამინისტროს განკარგულებაშია. პირადი თხოვნის საფუძველზე იგი ჩაირიცხეს უცხოური ლეგიონის გაერთიანებულ პოლკში და გერმანიაში იმსახურა 1946 წლამდე.

კიდევ ერთი ღირსეული ქართველი, რომლის სახელი დაკავშირებულია სენ-სირის 143-ე გამოშვებასთან (კლასი 54-56). იგი პირველი დღეებიდანვე ლონდონშია, გენერალ დე გოლის გვერდით – დიმიტრი ამილახვარი, თანამემამულეებისთვის „ბაზორკა", – ნაცისტური ძალების წინააღმდეგ მებრძოლი უცხოური ლეგიონის მეომართა სიმბოლური სახე.

დიმიტრი დაიბადა 1906 წლის ოქტომბერში, გორში, თავადების ოჯახში. ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებით გამოწვეული აღფრთოვანება 1921 წელს შეიცვალა საბჭოეთის შემოსევით. ზედგინიძეების შთამომავლები იძულებულნი არიან, დატოვონ სამშობლო.

1924 წელს დიმიტრი ჩაირიცხა სენ-სირში. შემდეგ უცხოური ლეგიონის მე-4 პოლკის შემადგენლობაში მაროკოს მაღალი ატლასის მთებშია (le Haut Atlas). მოგვიანებით კი – კაპიტან

57. ცნობა მოგვაწოდა გივი ჩხენკელმა. 2005 წლის აპრილი.

58. 50-იან წლებში ალექსი ჩხენკელი ნიუ-იორკში „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების" ყოფილი მეომრების ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო.

კენიგის (Koenig) ასეულში. 1939 წლის 14 ივლისს ამ „მგზნებარე"[59] ოფიცერმა დაიმსახურა მხურვალე ოვაცია, როდესაც „თეთრი ბერეტების" (*Képis blancs – „თეთრ ბერეტებს" ატარებენ საფრანგეთის არმიის ზოგიერთი შენაერთის ოფიცრები, მათ შორის, სენ-სირის კურსდამთავრებულებიც – გ. ა.)* მწყობრში გაიარა ელისეს მინდვრებზე გამართულ სამხედრო პარადზე. იმ დღეს „თეთრი ბერეტები" პირველად მონაწილეობდნენ აღლუმში 1918 წლის შემდეგ.

ომის გამოცხადებისთანავე დიმიტრი ამილახვარმა მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა, რასაც დიდხანს თავს არიდებდა სამშობლოსადმი ერთგულების გამო. 1940 წლის მაისში უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადასთან ერთად იგი გემით მიდის ნორვეგიაში[60]. ეს შენაერთი შეიქმნა თებერვალში და მისი მეთაური იყო პოლკოვნიკი მაგრენ-ვერნერეი (Magrin-Verneray).

გერმანელების წინააღმდეგ პირველი ბრძოლები გაიმართა ბიერვიკთან (Bjervick), რომბაკენ ფიორდში (Rombaken Fjord). ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში ქალაქ ნარვიკის (Narvick) აღების შემდეგ მე-13 ნახევარბრიგადა ბრუნდება ბრეტანში (Bretagne).

ბრესტში (Brest) ბატალიონებმა თავი აარიდეს გერმანელების გამანადგურებელ შეტევებს და „იღბლის" გემებით ინგლისისკენ გაემართნენ. ლეგიონის ოფიცრებმა მაგრენ-ვეინერაიმ (იგივე მონკლარი – Monclar), კენიგმა და ამილახვარმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს 18 ივნისის მოწოდების შესახებ. ისინი არ დაემორჩილნენ მეთაურების ბრძანებებს, რომლებიც მოითხოვდნენ ლეგიონერებთან ერთად მაროკოში სასწრაფოდ დაბრუნებას. უფრო მეტიც: მათ შეუერთდა 1100 მეომარი. გენერალ დე გოლის

59. J.R. van der Plaeten, Le Figaro, 24.10.92.
60. 1940 წლის მარტში ფინეთი მარცხდება წითელ არმიასთან. ფრანგულ-ინგლისურ-პოლონური გაერთიანებული ძალები, გაგზავნილები ნორვეგიაში, ახერხებენ მდგომარეობის გამოსწორებას მოკავშირეთა სასარგებლოდ, რომლებიც ცდილობდნენ „რკინის გზის" გადარჩენას.

სიტყვებით, „ამ ადამიანებმა შეადგინეს „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების „ბირთვი“[61].

1 ივლისს „თავისუფალი საფრანგეთის“ მეთაურმა ოფიციალურად ადასტურებს ამ შენაერთის ბაზაზე ახალი ნახევარბრიგადის ჩამოყალიბებას. შენაერთი შეყვანილია „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების“ შემადგენლობაში. კაპიტანი ამილახვარი იტყვის, რომ არ მიატოვა საფრანგეთი, რადგან მის წინაშე უსაზღვრო ვალდებულების გრძნობა ჰქონდა. მისი ქალიშვილი მამის დაუყოვნებლივ ჩაბმას ბრძოლებში ახსნის „საფრანგეთის წინაშე ვალით, რომელიც ყველაფერზე მაღლა იდგა“[62]. ამილახვრის მითური პიროვნება ჩამოყალიბდა მისი მეორე სამშობლოსადმი ერთგულების იმ იდეალით, რომელმაც განაპირობა გმირი მეთაურის მაღალი ავტორიტეტი. ეს მეთაური ყოველთვის თავისი ჯარისკაცების გვერდით იდგა. ვიშის რეჟიმმა დიმიტრი ამილახვარს მისი არჩევანის გამო დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილი.

შორეული აღმოსავლეთის ფრანგული ბრიგადის შემადგენლობაში, რომელსაც სარდლობდა პოლკოვნიკი მონკლარი, უცხოური ლეგიონის ნახევარბრიგადამ შემოუარა მთელ აფრიკას – დაკარიდან (Dakar) ერითრეამდე (l'Erythrée). კერენის (Keren) დაკავებას, – „პარიზისკენ გზა კერენზე გადისო“, – აღნიშნა დე გოლმა, – და მასავაჰის (Masssawah) პორტის გათავისუფლებას კი მოყვა წითელ ზღვაში ნაოსნობის აღდგენა და აღმოსავლეთ აფრიკის იტალიური კორპუსის კაპიტულაცია.

შემდეგ იყო სირიის სასტიკი კამპანია, რომელშიც მასში ვიში იბრძოდა გერმანელთა მხარეზე. კოლაბორაციონისტებმა უსიტყვოდ მისცეს გერმანელებს სირიის პორტებითა და

---

61. გენერალი ბერნარ სენტ-ილიე (BERNARD SAINT-HILIER). სიტყვა მიძღვნილი პოლკოვნიკ ამილახვრის გარდაცვალების 50-ე წლისთავისადმი. უცხოური ლეგიონის ისტორიული დოკუმენტაციის ცენტრი, ობანი. სენტ-ილიე იყო დიმიტრი ამილახვრის თანამებრძოლი.

62. ცნობა მოგვაწოდა თამარ კინსკიმ. 2004 წლის ნოემბერი.

აეროდრომებით სარგებლობის შესაძლებლობა. „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების" ნაწილებს ბრძოლა მოუწევს სხვა ფრანგულ შენაერთებთან, მაგალითად, ქვეითთა მე-6 უცხოურ პოლკთან, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა რეგიონში ბრიტანელებისა და გოლისტების შემოსვლას[63].

ამ „ძმათამკვლელი ომის"[64] მიზანია დამასკო. ამილახვრისთვის ეს ომი მიუღებელია: იგი სოლიდარულია თავისი გზააბნეული, სხვა ბანაკში მოხვედრილი ძმები ლეგიონერებისადმი. მან გამოიჩინა საოცარი წინდახედულობა, თავიდან აიცილა სისხლისღვრა[65] და მიაღწია იმას, რომ მისი ბატალიონი „ბრძოლაში ჩაებმებოდა მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში"[66]. 1941 წლის 13 ივლისის სენ ჟან დ'აკრის კონვენციამ (La Convention de Saint Jean d'Acre) წერტილი დაუსვა „სამოქალაქო ომის" გაჩაღების შესაძლებლობას. ქვეითთა მე-6 უცხოური პოლკის 2000 მეომარი, ოფიცრები და უმცროსი ოფიცრები შეუერთდნენ უცხოური ლეგიონის ნახევარბრიგადას – დაიწყო ლეგიონერთა გაერთიანება[67].

1942 წლის იანვრიდან მოყოლებული, I თავისუფალი ბრიგადა გენერალ კენიგის და მისი მოადგილის ამილახვრის მეთაურობით პირამიდებიდან ფეხდაფეხ მისდევს იტალია-გერმანიის ძალებს და მთლიანად იკავებს უდაბნოს გამაგრებულ ადგილს: ბირ-ჰაქეიმს (Bir-Hakeim). რომელის აფრიკული კორპუსის არიერგარდთან ბრძოლების დროს ყველგან ჩანს პოლკოვნიკ ამილახვრის მაღალი სილუეტი. ამილახვარი უშიშრად

---

63. დე გოლმა „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების" ნაწილებს მისცა არჩევანის საშუალება. 1941 წლის მაისში პოლკოვნიკი მონკლერი ტოვებს სამსახურს და მის ადგილზე ინიშნება ამილახვარი, რომელიც უმეთაურებს უცხოური ლეგიონის ნახევარბრიგადას. *„Epopée de la France Libre"*, F. Brochi, Pygmalion, 2000.

64. *La Légion au combat, op. cit.*

65. *L'homme qui a étonné la Légion,* Match, 18.2.1956.

66. Général B. Saint-Hillier, *op. cit.*

67. Cdt. Le Mire, *L'épopée moderne de la légion*, Albatros, 1977.

მოქმედებს, ახორციელებს კონტრშეტევას: 10 აპრილს გენერალი დე გოლი მას აჯილდოებს თავისუფლების ჯვრით[68].

1942 წლის ივნისში, ლიბიაში, ბირ-ჰაქეიმთან გამარჯვება აღსანიშნავია არა მარტო მისი სამხედრო შედეგების გამო, არამედ წინააღმდეგობის მოძრაობის სიმბოლური მნიშვნელობის თვალსაზრისითაც[69].

1942 წლის ოქტომბერში გენერალმა მონტგომერიმ (Montgomery) დაიწყო მარშალ რომელის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევა ელ-ალამეინთან (El Alamein) (ეგვიპტე). I ბრიგადა შეტევის წინა ხაზზეა და ახორციელებს სადივერსიო დავალებას: იერიში მიაქვს იმეიმატის (l'Himeimat) მაღალ პლატოზე, რომელსაც იტალიელთა ბატალიონები იცავენ. იერიშის მიზანია გერმანელთა 21-ე სატანკო შენაერთის ყურადღების გადატანა მონტგომერის პოზიციებიდან.

23 ოქტომბრის მთვარიან ღამეს იწყება ფრანგების წინსვლა ნესტიან და დანაღმულ ქვიშაში. დილის 5 საათზე ლეგიონი ამილახვრის მეთაურობით უტევს მტერს და ბრძოლით იკავებს კლდოვან სიმაღლეს. მაგრამ მოწინააღმდეგის უძლიერესი კონტრშეტევა აიძულებს, უკან დაიხიოს. გამოსაყვანია დაჭრილები. უკანდახევის ბრძანება გაცემულია. მას ხელმძღვანელობს პოლკოვნიკი ამილახვარი. მშვიდი, თუმცა ძალზე შეწუხებული იმით, რომ იმეიმატის ფერდობებზე რამდენიმე დაჭრილი დარჩა. იგი უარს ამბობს ჯიპით გენერალ კენიგთან წასვლაზე: „ჩემი ადგილი ლეგიონშია. მე ჩემს ხალხთან უნდა ვიყო"[70].

24-ში, დილით, ჭურვის აფეთქებისას პოლკოვნიკი ამილახვარი თავში დაიჭრა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა.

68. მოგვიანებით იგი გახდება „თავისუფლებისათვის მებრძოლთა საზოგადოების წევრი (Compagnon de la Libération).

69. საფრანგეთის სამხრეთში მოქმედ ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმს ბირ-ჰაქეიმის სახელი მიენიჭა.

70. Général B. Saint-Hillier, *op. cit.*

რამდენიმე საათში იგი გარდაიცვალა. ჩირაღდნების შუქზე მისი ცხედარი გადაასვენეს გენერალ კენიგის კარავში. გენერალი ცხედარს წუთით არ მოშორებია. უსაზღვრო იყო ლეგიონერთა მწუხარება.

ყველა ჯარისკაცს კარგად ესმოდა, რომ შეტევა ყოველთვის სავსეა მოულოდნელობით, „მაგრამ ისინი ვერ ეგუებოდნენ იმას, თუ რა ფასად განხორციელდა იგი: აღარ ჰყავდათ მათ შორის საუკეთესო!" – წერს გენერალი კატრუ (Catroux)[71]. თუმცა ლევანტში გამარჯვება მოპოვებულია და 1942 წლის 4 ნოემბერს მონტგომერის მიერ დამარცხებული რომელი ლიბიისაკენ იხევს.

თავის მემუარებში დე გოლმა პატივი მიაგო „მამაც ამილახვარს", რომელმაც ჩინებულად იბრძოლა. ელ-ალამეინის მიწაზე, გმირთა სასაფლაოზე, ასეულობით ჯვარია. მათ შორის ერთი ყველაზე მაღალ ადგილზეა აღმართული, თითქოს სხვებს მფარველობსო. ეს პოლკოვნიკ ამილახვრის, ლტოლვილი ქართველი თავადის, საფლავის ჯვარია. იგი დაიღუპა 38 წლის ასაკში, როდესაც წინ მიუძღოდა თავის ლეგიონერებს საფრანგეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ერთ-ერთი მეომრის მოგონებაში გადმოცემულია ძლიერი და შთამბეჭდავი სცენა. იგივე სცენა შემორჩა ისტორიას ფოტოსურათის სახით. მასზე აღბეჭდილია ნახევაზრიგადის დროშის გადაცემა ჰომსში (Homs) – ლიბიაში. ცალმუხლმოდრეკილი პოლკოვნიკი ამილახვარი იღებს დროშას გენერალ კატრუს ხელიდან და ემთხვევა მის ემბლემას "Pro Patria". აბრეშუმის ნაკეცებზე ჩანს საბრძოლო დიდების ადგილთა სახელები: კამერონი, მასავაჰი, რასაც შემდეგ დაემატება ბირჰაქეიმი, ელ-ალამეინი.

71. Général Catroux, *Dans la bataille de la Méditerranée* .

ამ შემთხვევაში ლეგენდა სინამდვილეს არ აზვიადებს, იგი მხოლოდ ხაზს უსვამს ამილახვრის რაინდულ არსს, ქმნის მისგან „მხით გასხივოსნებულ გმირს“[72], წარმოაჩენს მის ფიზიკურ და მორალურ სრულყოფილებას, ამპარტავნობას მოკლებულ მამაცობასა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა ადამიანის ძმობას.

72. M.Larroumet, *Mythes et légendes de la Légion,* Préface de T.Kinsky, L'Harmattan 2004.

3. ქართველი ებრაელების გადარჩენა ოკუპირებულ საფრანგეთში[73]

ეროვნული ბიბლიოთეკა

1944 წლის აგვისტოს დამლევს, პარიზის გათავისუფლების დროს, გერმანელთა სიკვდილის ბანაკებში ქართველ ებრაელთაგან მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდა. იგი იქიდან არ დაბრუნებულა.

რამ განაპირობა და რამ შეუწყო ხელი ორმოციოდე ოჯახს, თავი დაეღწია ჰიტლერის მიერ 1942 წლის იანვარში ვანზეეში (Wansee) გამოცხადებული გენოციდისაგან? როგორ გადაურჩნენ ისინი დევნას, რომელსაც ფრანგული პოლიცია ახორციელებდა? დაპატიმრებულებს თავიდან აგზავნიდნენ ოკუპირებულ ზონაში მოწყობილ ინტერნირებულთა ბანაკებში: პითივიერში (Pithiviers), ბონ ლა როლანდში (Beaune-la Rolande), შემდეგ დრანსის (Drancy) საშინელ ციხე-სადგურში, სადაც ადამიანებს „ახარისხებდნენ" აუშვიცისთვის (იგივე ოსვენციმი – გ.ა.).

ქართველი ებრაელების ბედი არ შეიძლება შევადაროთ რუსი ებრაელების ხვედრს. ნაცისტების ოკუპაციის დროს პარიზში რუსული ემიგრაციის საქმეთა სამმართველომ რუსებისაგან ცალკე გამოჰყო რუსი ებრაელები. ამგვარად, ისინი იქცნენ დევნილ ლტოლვილებად და ვალდებულები იყვნენ, ეტარებინათ დავითის ყვითელი ვარსკვლავი. აქ უნდა მოვიგონოთ მართლმადიდებელი მონაზონი მარია სკობცევა[74], რომელიც ებრაელებს ეხმარებოდა. მარია დაასმინეს და ქრისტიანული იდეალებისადმი ერთგულების გამო დაამწყვდიეს რავენსბრიუკის (Ravensbrück) საკონცენტრაციო ბანაკში. გაუსაძლის პირობებში იგი დაუძლურდა და გარდაიცვალა. დორას (Dora) საკონცენტრაციო ბანაკში გარდაცვლილ მამა დიმიტრი კლეპინინთან ერთად მარია

---

73. *Testimony of Léon (Levi) Eligoulachvili*, Yad Vashem Stadies, vol.VI

74. *Le Patriote Résistant*, mars 2004, Paris .

უძღვებოდა პარიზის მართლმადიდებელ ცენტრს ლურმელის (Lourmel) ქუჩაზე. ორივენი წმინდანებად არიან შერაცხულნი.

იმისთვის, რომ გავიგოთ ქართველ ებრაელთა თემის გადარჩენის მექანიზმი, უნდა ვიცოდეთ თვითონ ქართველ ებრაელთა ისტორია, რომლის სათავეები გადმოცემით ქრისტიანულ ერაზე ბევრად ადრეულია.

იოსებ ფლავიუსი სხვა ისტორიკოსებზე ადრე ქართველების წარმოშობას უკავშირებს ბიბლიურ სახელებს, კერძოდ, ნოეს[75]. სხვები თვლიან, რომ ისრაელის შვილები საქართველოში მოდიან მე-9 საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე. მათი მოსვლა დაკავშირებულია იერუსალიმის ტაძრის მშენებლობასთან. მის ასაგებად საჭირო იყო საშენი მასალა, განსაკუთრებით, იშვიათი მარმარილო, რომელიც ჭარბად მოიპოვებოდა კავკასიაში. ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელების ბაბილონში გადასახლების 400 წლის შემდეგ ისინი საქართველოს ძველ დედაქალაქში, მცხეთაში, დამკვიდრდნენ[76].

საუკუნეების განმავლობაში ებრაელები მშვიდად ცხოვრობდნენ 326 წლიდან გაქრისტიანებულ საქართველოში. მათ შეინარჩუნეს სარწმუნოება. ჰქონდათ ჰარმონიული ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლისგანაც არაფრით გამოირჩეოდნენ: არც გვარით, არც ადათ-წესებით, არც საქმიანობით და არც ენით. მათ არ განუცდიათ ანტისემიტიზმი, რადგან თემის მშვიდი ცხოვრება და თანხმობა არასდროს დარღვეულა არც დევნითა და არც რბევით. ეს ყველაფერი საპირისპიროა იმისა, რაც ხდებოდა რუსეთსა და პოლონეთში, სადაც ებრაელობა მუდმივად იყო ძარცვისა და რბევის ობიექტი. მათ შესავიწროებლად მეფის ხელისუფლება ყოველთვის აქეზებდა პატარა ხალხებს.

75. N.Assatiani, A.Bendianichvili, *Histoire de la Géorgie*, L'Harmattan,1997.

76. ვახუშტი. *აღწერა საქართველოს სამეფოსი.* თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1941.

მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთის მიერ ანექსირებულ საქართველოში ხელისუფლება ებრაელებს თვლიდა „ადგილობრივი წარმოშობის"[77] მოსახლეობად და არ ავიწროებდა მათ. პირიქით ხდებოდა რუსეთში: გეტოები, ებრაელებისათვის განკუთვნილი სპეციალური სკოლები, უნივერსიტეტებში სტუდენტთა რაოდენობის შეზღუდული კონტინგენტი, გახანგრძლივებული სამხედრო სამსახური... ქართულ მიწაზე დამკვიდრებული, ქართველებთან ასიმილირებული ქართველი ებრაელები საქართველოს პატრიოტები არიან.

1907 წელს ქართველმა დეპუტატებმა ირაკლი წერეთელმა და და აკაკი ჩხეიძემ დუმის ტრიბუნიდან დაგმეს რუსეთსა და პოლონეთში წარმოებული „საზარელი ხოცვა-ჟლეტა"[78]. პასუხისმგებლობა მათ სტოლიპინის მთავრობას დააკისრეს და მოითხოვეს რბევების („პოგრომების") შეწყვეტა.

ეს სოლიდარობა ემიგრაციაში არათუ შესუსტდა, არამედ, პირიქით – უფრო გაძლიერდა. ებრაელების ოჯახებმა გადასახლებაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს იმავე პოლიტიკური მოტივებით, რაც ქრისტიანმა ან აგნოსტიკოსმა ქართველებმა.

ერთ-ერთი მათგანი იოსებ ელიგულაშვილია. მან ხელი მოაწერა 1919 წლის 12 მარტის დამოუკიდებლობის აქტს. ნ. ჟორდანიას მთავრობაში სახელმწიფო მდივანი ფინანსებისა და მრეწველობის დარგში, იოსებ ელიგულაშვილი, სოციალ-დემოკრატებს 1921 წელს პარიზში გაჰყვა. აბრეშუმსაქსოვი და ტრიკოტაჟის საწარმოს ხელმძღვანელი, იგი გადასახლებაში ქართველ ებრაელთა ჭეშმარიტი პატრიარქი გახდა. ამ ღირსეული პიროვნების ავტორიტეტი უცილობელი იყო მის გარდაცვალებამდე. იგი ომის შემდეგ გარდაიცვალა.

ქართველი ებრაელები ლტოლვილთა იმგვარივე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რა ცხოვრებითაც ცხოვრობდა მთელი კოლონია,

77. *De l'activité de minorités ethniques*, Archives de la Police parisienne.
78. D.Charachidzé, *op.cit.*

ანუ იმავე სირთულეებით, აღმასვლითა და ვარდნებით. ისინი არ გამოეყვნენ ქართველებს, არ ჩამოუყალიბებიათ ცალკე თემი, „თუმცა დაუახლოვდნენ საფრანგეთის ებრაელების თემს, რომელთან ნათესაური თუ კულტურული ურთიერთობები აკავშირებდათ“[79]. ეს დადასტურებულია გამოცემაში „ძირითადი ცნობები“ *(Renseignements Généraux – შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახური, რომელსაც ევალება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის შეგროვება – გ. ა.)*. იქვე ჩამოთვლილია 40-იან წლებში პარიზში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ოცი ოჯახის გვარები. აღნიშნულია მათი განსაკუთრებული მდგომარეობა ომის დროს. ჩვენ თვალს მივადევნებთ და დავაზუსტებთ ამ არასრულ, ფრაგმენტულ და ზოგჯერ ზედაპირულ ცნობებს იოსებ ელიგულაშვილის ძმისშვილის, ლეონ ელიგულაშვილის, დახმარებით. დაზუსტებული და გადამოწმებული ცნობები დადასტურებულია დღეს ცოცხალი არაებრაელი ქართველების მიერ.

1940 წლის 3 ოქტომბერს „ოფიციალურ გაზეთში“ (Journal Officiel) გამოქვეყნდა ვიშის მთავრობის პირველი ანტიებრაული ინსტრუქცია. იგი ზღუდავდა „ისრაელიტთა“ უფლებებს. ამის პარალელურად, გერმანელების მოთხოვნით, ფრანგულმა ადმინისტრაციამ დაიწყო ებრაელების საყოველთაო აღწერის ჩატარება[80]. 1941 წლის ივნისის კანონმა კიდევ უფრო გააფართოვა და გაამკაცრა ამ სახიფათო ზომების არსენალი. 1942 წლის ივნისიდან ოკუპირებულ ზონაში სავალდებულო გახდა დავითის ყვითელი ვარსკვლავის ტარება, ხოლო იმავე წლის დეკემბრიდან პირადობის მოწმობებსა და სასურსათო ტალონებში გაჩნდა აღნიშვნა "JUIF" („ებრაელი“). თუმცა ყველა ამ მოთხოვნას ქართველი ებრაელები თავიდან აცილებენ.

79. საუბარი ლეონ ელიგულაშვილთან. პარიზი, 2004 წლის ნოემბერი.
80. A. Kahn, *Le fichier,* Préface de S. Krasfeld, R. Laffont, 1993.

იმ დროს, როდესაც საფრანგეთის კანონებისადმი პატივისცემით გამსჭვალული ქართველი ებრაელები, იმ ათასობით ფრანგ და უცხოელ ებრაელთა მსგავსად, რომლებიც საფრანგეთს ენდობოდნენ, აღრიცხვაზე დგებოდნენ კომისარიატებში, ევგენი გეგეჭკორი, გაფრთხილებული თავისი მეგობრის, ვიშის მთავრობის მინისტრის ადრიან მარკეს (Adrien Marquet) მიერ, ნოე ჟორდანიასთან ერთად მიიღებს გადაწყვეტილებას თანამემამულეების გადარჩენის შესახებ. შედგება მათი შეხვედრა იოსებ ელიგულაშვილთან და მის ძმისშვილ ლეონთან (ჩვენი თანამოსაუბრე, მოწმე).

იოსებ ელიგულაშვილის საინტერესო პიროვნება უთუოდ იმსახურებს მასზე რამდენიმე სიტყვის თქმას. იგი დაიბადა 1890 წელს ქუთაისში. ძალიან ახალგაზრდა დაუპირისპირდა ცარიზმის ავტოკრატიას. რევოლუციური და სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეების გამო იგი დააპატიმრეს. 1917 წელს იოსები, მოსკოვში ბოლშევიკების მხეცური ქმედებების მოწმე, იძულებულია საქართველოში დაბრუნდეს. იგი შედის სოციალ-დემოკრატთა პარტიაში და 1919 წელს დამფუძნებელი კრების წევრი ხდება. მოსკოვში, ვაჭრობის ინსტიტუტში სწავლისას, შეძენილმა ცოდნამ და კომპეტენციამ ეკონომიკაში განაპირობა მისი მივლინება ევროპაში საქართველოს ეკონომიკური წარმომადგენლის პოსტზე. მოგვიანებით, მიუხედავად მისი ახალგაზრდული ასაკისა, მას დანიშნავენ საქართველოს ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში სახელმწიფო მდივნად. 1921 წლის თებერვალში იოსებ ელიგულაშვილი ეხმარება ექვთიმე თაყაიშვილს ქართული ეროვნული განძის დაცვაში. ნოე ჟორდანიას თანხმობით განძი შეინახება საფრანგეთში. ეს საგანძური 1946 წელს საზეიმო ვითარებაში დაუბრუნდება ქართველ ხალხს და მასთან ერთად სამშობლოში მეცნიერიც ჩამოვა.

ემიგრაციაში იოსები მოსეს რჯულის მიმდევარ ქართველთა შეუცვლელი თავკაცი იყო. იგი გარდაიცვალა 1952 წელს. მისმა ყოფილმა მინისტრმა კ. კანდელაკმა გამოსათხოვარ სიტყვაში გაიხსენა ადამიანთა ჭეშმარიტი მეგობრის კეთილშობილება და მისი იდეალები: „ქართველთა ერთობა და ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის". თავმდაბალი, იგი მუდმივად იდგა სამშობლოს ფასეულობების სადარაჯოზე, პატივს სცემდა ყველა ეროვნებას და რელიგიას, თუმცა მისი უზენაესი სალოცავი საქართველოს ისტორია იყო.

ვიშის რეჟიმის მძვინვარების დროს ადრიან მარკეს მიერ გაფრთხილებული ჩვენი თანამემამულეების პირველი გადაწყვეტილება იყო რეგისტრაციაზე უარის თქმა. როგორ უნდა აიხსნას შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მარკეს მიერ 1940 წლის ივლისში გადადგმული ნაბიჯი?

იგი უთუოდ დაკავშირებულია მუშათა ინტერნაციონალის ფრანგულ სექციასთან *(SFIO – საფრანგეთის სოციალისტური პარტია – გ.ა.)*. მართალია, მარკე მისი რიგებიდან 1933 წელს გარიცხეს, მაგრამ ჯერ კიდევ 1920 წელს, ევროპის სოციალისტთა მისიის წევრის რანგში, იგი შეხვდა ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, სოციალ-დემოკრატ მინისტრებს: ევგენი გეგეჭკორს, კონსტანტინე კანდელაკს, ალექსანდრე ჩხენკელს, ნოე ცინცაძეს, აგრეთვე დიპლომატ სოსიპატრე ასათიანს, იმ „ექვსკაციანი" ჯგუფის წევრს, რომელმაც მოგვიანებით დიდი როლი ითამაშა ქართველ ებრაელთა გადარჩენაში[81].

მარკემ მათთან მეგობრული კავშირები დაამყარა და კვლავ იხილა ისინი, უკვე პარიზში, გადასახლებაში. ნეოსოციალისტი და მიუნხენის პაციფიზმის მიმდევარი, იგი ვიშის პარტიის აქტიური წევრი იყო, მაგრამ არა ანტისემიტი. რასისტულ კანონებს დაპირისპირებულმა, მან 1940 წლის სექტემბერში დატოვა

81. *Yad Vashem Studies, op. cit.*

თავისი თანამდებობა. ამას ადასტურებს ლეონ ელიგულაშვილი, თუმცა ისიც ცნობილია, რომ მარშალი პეტენი არ ენდობოდა მესამე რესპუბლიკის ყოფილ პარლამენტარებს და ცდილობდა მათგან გათავისუფლებას[82].

მარკემ არაერთხელ დაადასტურა ქართველი ებრაელების მხარდაჭერა ხელისუფლების წინაშე შუამავლობით. 1942 წლის 16 ივლისის მასობრივი დაჭერების წინა დღეს, როდესაც ებრაელები საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნამდე შეყარეს „ველ დ'ჰივ"-ში ("Vel d'Hiv"), მან ატეხა განგაში, აცნობა იოსებსა და ლეონს გარდუვალი დაპატიმრებების შესახებ. მათ კი ეს ინფორმაცია სასწრაფოდ უნდა მიეწოდებინათ რაც შეიძლება მეტი ებრაელისთვის. ყველაფერ ამას, ქვეყნის გათავისუფლების შემდეგ, თემის თავკაცები დაადასტურებენ სასამართლო პროცესზე და ამით გადაარჩენენ მარკეს სიკვდილით დასჯისაგან.

იმ დროს კანონის გვერდის ავლა ძალიან სახიფათო იყო. როგორც წესი, ამას აუცილებლად მოჰყვებოდა უდიდესი ჯარიმები, უმთავრესად კი – ინტერნირებულთა ბანაკი[83]. კანონის დამრღვევ პირს უსათუოდ უნდა ჰქონოდა ოფიციალური საბუთი, რომელიც დაადასტურებდა მის უდანაშაულობას. თავისთავად ეს იდეა ალოგიკური არ არის: 1941 წლის 2 ივნისის კანონის მე-8 მუხლი „განსაკუთრებულ სამსახურში" დაკავებულ პირთათვის ითვალისწინებდა გარკვეულ შეღავათებს. ამის საფუძველზე საფრანგეთის ისრაელიტთა კავშირმა ფრანგ ებრაელთათვის

---

82. J.P. Courtet, *Histoire de Vichy,* Plon, 2003.
83. Les Centres d'internement – ინტერნირების ცენტრები – თავდაპირველად მათ ეწოდებოდა „კონცენტრაციის ბანაკები". ამ ბანაკებში თავს უყრიდნენ „ემიგრანტებს", განსაკუთრებით ებრაელებს, დაკავებულებს (ინტერნირებულებს) ოკუპირებულ და თავისუფალ (არაოკუპირებულ – გ. ა.) ზონებში პრეფექტურის განკარგულების საფუძველზე. ობერგ-ლავალის (Oberg-Laval) 1942 წლის მარტის შეთანხმების შესაბამისად, უცხოელი ებრაელები გადაეცემოდნენ გერმანელების ხელისუფლებას და ეტაპით პარიზის გავლით იგზავნებოდნენ პოლონეთში მოქმედ სიკვდილის ბანაკებში.

მოახერხა „დარღვევის უფლების“ დამაკანონებელი რამდენიმე საბუთის მოპოვება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

სწორედ მაშინ ნოე ჟორდანიასა და მის მეგობრებს გაახსენდათ მიხეილ კედია. მას, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიდი გავლენა ჰქონდა ოკუპანტთა ხელისუფლებაზე. მისი მეშვეობით ისინი ფიქრობდნენ გერმანელებთან მოლაპარაკებას.

ა. მარკემ, მატინიონის სასახლეში *(l'Hotel Matignon – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ოფიციალური რეზიდენცია – გ. ა)* ვიშის ხელისუფლების ელჩისა და მთავარი წარმომადგენლის ფერდინან დე ბრინონის (Ferdinand de Brinon) საშუალებით, მიაღწია ქართველი ებრაელების გათავისუფლებას ოფიციალური რეგისტრაციისაგან. ამის შემდეგ მათს პირადობის მოწმობებში აღარ კეთდებოდა ჩანაწერი "JUIF". 1941 წლის „მოსეს რჯულის ქართველების შესახებ“ მოხსენების თანახმად,[84] ქართველი ებრაელი კომერსანტები აღარ ექვემდებარებოდნენ „არიანიზაციას“[85]. ამით წერტილი დაესვა კომერციით დაკავებულ პირთა ძარცვას. დე ბრინონი, გავლენიანი პოლიტიკოსი, თავისი მდგომარეობით ფაქტობრივად იყო გერმანელ ხელისუფალთა და ფრანგული პოლიციური სამსახურების შემაკავშირებელი რგოლი.

იდენტურობის დამადასტურებელი სანუკვარი საბუთის მოსაპოვებლად, – იხსენებს ჩვენი თანამოსაუბრე, – საჭირო გახდა კომიტეტის შექმნა, რომლის წევრები უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ არაებრაელი ქართველები.

კომიტეტს უნდა ჰქონოდა უფლებამოსილება, გადაეწყვიტა, იყო თუ არა ებრაელი წარმოშობით ქართველი და გაეცა

---

84. Archives de la Police parisienne.
85. Aryanisation ხორციელდებოდა ვიშის მთავრობის მიერ მიღებული ანტიებრაული კანონების: „Lois anti-juives de Pétain de 1940 et 1941“ საფუძველზე. სრული დისკრიმინაციის გარდა, მიმდინარეობდა ებრაელების ქონების ჩამორთმევა და მისი გადაცემა ფრანგი ანტისემიტებისთვის.

შესაბამისი საბუთი, რომელსაც მიიღებდნენ გერმანელები და ცნობდა ფრანგული პოლიციაც.

ამ კომიტეტის უფროსი გახდა საშა ქორქია – იმ დროს კავკასიის ემიგრანტთა ოფისის ქართული განყოფილების დირექტორი. მისი ვაჟი, გივი, გერმანიაში გაიზარდა და ომის დროს მსახურობდა ავიაციაში. იგი დაიღუპა 1941 წლის ივნისში, კუნძულ კრეტაზე დესანტირების დროს. თავად საშა არ იყო პროგერმანულად განწყობილი. მიუხედავად ამისა, ოკუპანტები მას პატივისცემით ეპყრობოდნენ შვილის დამსახურების გამო. მოწმეები ადასტურებენ, რომ იგი მეტად ყურადღებიანი იყო ანტინაცისტი თანამემამულეების მიმართ და ყოველთვის აფრთხილებდა მათ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

აპატრიდთა ბიუროს ქართული განყოფილების უფროსი იყო სოსიპატრე ასათიანი. ამ დეპარტამენტს ევალებოდა „ქართველების დოკუმენტების აუთენტიკურობის შემოწმება“[86]. ბიურო ქართველ ებრაელებს ქართული წარმომავლობის დამადასტურებელ საბუთებს უმზადებდა. 1943 წლის თებერვალში ასათიანი დააპატიმრეს და რომენვილის (Romainville) სიმაგრეში დაამწყვდიეს. ციხიდან იგი გაათავისუფლეს „ბატონ ქორქიას ჩარევის“ შედეგად[87]. ორი თვის შემდეგ, დრანსის საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდა მისი მეუღლე სარა, რუსი ებრაელი. ქორქიას ჩარევის შედეგად ისიც გათავისუფლდა.

კომიტეტმა მხოლოდ ქართველი ებრაელები როდი გადაარჩინა. მის სიებში ჩამოთვლილია 243 ოჯახი, ანუ 1000 ადამიანი, რომელთა შორის ასობით ებრაელია თურქმენეთიდან, ბალკანეთიდან, ირანიდან და ესპანეთიდანაც კი. ეს კეთდებოდა მათი გვარების „გაქართულებით“ – გვარები იძენდნენ ქართულ დაბოლოებას[88]. თავის ანდერძში იოსებ ელიგულაშვილი

86. Archives de la Police parisienne.
87. დოკუმენტი მოგვაწოდა ოჯახმა.
88. *Yad Vashem Studies,* – ქართული გვარების უმრავლესობა ბოლოვდება სუფიქსებით „-ძე“ – ვაჟი მავანისა, „შვილი“ – შვილი მავანისა. ამდენად, მარტივი იყო გვარის „გაქართულება“ და მთხოვნელის იდენტურობის დამოწმება.

ხაზს უსვამს, რომ ამაყობს იმ ემიგრაციით, რომელმაც მისი თანამემამულე ებრაელები გადაარჩინა[89]. იქვე ნათქვამია, რომ ქართველები შუამდგომლობდნენ გერმანელების წინაშე ესპანელი ებრაელების გადასარჩენადაც.

კომიტეტი დაეხმარა კარაიტებსაც[90], რის შედეგადაც აგრეთვე შესაძლებელი გახდა მრავალი ებრაელის გადარჩენა.

კომიტეტის აქტიური მოქმედება გრძელდებოდა 1943 წლის ბოლომდე. ამ დროიდან ომის ჩარხი გერმანელთა საწინააღმდეგოდ შეტრიალდა. უფრო გაძლიერდა ნაცისტთა ისტერია. ამის დასტურია ლეონ ელიგულაშვილის მეუღლის, მირიამ სოლომონოვიჩის, ამაღელვებელი ამბავი. წარმოშობით იგი პოლონელი ებრაელი იყო. პირადობის მოწმობა და ყვითელი ვარსკვლავი მისი დაპატიმრების მიზეზი გახდა. იგი დაასმინეს. გვიან ღამით დააკავეს და მიიყვანეს პარიზის პოლიციის პრეფექტურაში. მირიამი ძალიან წუხდა სახლში მიტოვებულ ძუძუთა ბავშვზე. დილით პოლიციელებმა დედასთან ბავშვის მიყვანის ბრძანება მიიღეს.

---

89. Joseph Eligoulachvili. *Adresse aux Géorgiens.* დოკუმენტი ლეონ ელიგულაშვილის პირადი საკუთრებაა.

90. კარაიტები – ცენტრალური აზიის არასემიტური წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფი, რომელმაც იუდაიზმი მიიღო. ისტორიაში ისინი ცნობილნი არიან ხაზართა სახელწოდებით. მათი დამოუკიდებელი სამეფო გადაშლილი იყო ყირიმიდან ჩრდილოეთ კავკასიამდე. მე-10 საუკუნეში მათი ნაწილი ევროპაში დამკვიდრდა. ეკატერინე II-მ პოლონეთში კარაიტებს მიანიჭა უფლებები, რომლებიც წართმეული ჰქონდათ ებრაელებს. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მათი რაოდენობა 12000-ით განისაზღვრებოდა. ისინი გაბნეულები იყვნენ გერმანიაში, საფრანგეთში, ლიტვასა და პოლონეთში. ნაცისტურმა გერმანიამ 1939 წელს ეს ადამიანები ცნო „არაებრაულ" რელიგიურ ჯგუფად. საფრანგეთში ცხოვრობდა 240 კარაიტი. 1940 წელს ებრაელთა საქმეების უმაღლესმა კომისარიატმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქსავიე ვალა (Xavier Vallat), კარაიტების არაებრაელებად ცნობა ჩათვალა „შეცდომად" და ვიშის ხელისუფლებამ ისინი ებრაელებთან გაატოლა. თუმცა კარაიტებმა მაინც შეძლეს თავიანთი არაებრაელობის დამტკიცება და გადაურჩნენ საკონცენტრაციო ბანაკებს. იხ. Warren Green, *Oriental Jews in Vichy France.* Vol. XXXII, 49-50, the Wiener Lybrary Bulletin, London, 1979.

და სწორედ იმ დროს, როდესაც სრულიად უნუგეშო დედა და ჩვილი უნდა გადაეყვანათ დრანსის ბანაკში, გაირკვა, რომ კომიტეტის ჩარევის შედეგად მირიამი გათავისუფლებულია. მან მიიღო პირადობის ახალი მოწმობა, რომელშიც აღარ იყო ჩაბეჭდილი სიტყვა „JUIF"[91].

ქართველების მიერ გაცემული მოწმობები ბევრი ებრაელისთვის ეფექტური დამცავი საშუალება აღმოჩნდა. მან უდანაშაულო ადამიანებს შეუნარჩუნა სიცოცხლე, მისცა დროის მოგებისა და ძალების მოკრების შესაძლებლობა. მაგრამ... 1944 წლის გაზაფხულზე ნიცაში დააკავეს იოსებ ელიგულაშვილის ცოლისძმა ეფრაიმ რაბინოვიჩი. იგი გადაიყვანეს დრანსიში[92], იქიდან კი გადააგზავნეს პოლონეთის სიკვდილის ბანაკში, საიდანაც იგი აღარ დაბრუნებულა.

„ამის შემდეგ, – იგონებენ ცოლ-ქმარი ელიგულაშვილები, – იმისთვის, რომ გადავრჩენილვიყავით, ყველანი ვიმალებოდით". ისინიც, სხვა მათ მოძმეთა მსგავსად, ძლიერ ემადლიერებიან თავიანთ მხსნელებს[93].

გერმანელთა ხელისუფლების დამოკიდებულების გამოცვლა ქართველ ებრაელთა მიმართ მთლიანად აიხსნება ომის ძირითადი კონტექსტით. 1941-1942 წლებში გერმანელები ცდილობდნენ ქართულ კოლონიასთან და მის წარმომადგენლებთან კარგი ურთიერთობების დამყარებას. საბჭოთა კავშირის დამარცხებაში

---

91. საუბარი ქ-ნ ელიგულაშვილთან. 2004 წლის ნოემბერი.
92. დრანსი (Drancy) – ადგილი პარიზის მახლობლად, „აუშვიცის წინკარი", როგორც სატრანზიტო ბანაკი, ამოქმედდა 1941 წლის 20 აგვისტოს. იქ მოათავსეს პარიზის მე-11 არონდისმანში დაპატიმრებული 4000 ებრაელი. უკანასკნელი დიდი ეტაპი შედგებოდა 13000 ადამიანისაგან, რომელთა შორის 400 ბავშვი იყო. ეტაპი გერმანიაში გაიგზავნა 1944 წლის 31 ივლისს. 17 აგვისტოს კი ალოიზ ბრუნერმა (Alois Brunner) თავის ესესელებთან ერთად ბანაკი მიატოვა და თან გაიყოლია 51 მძევალი. M. Rajsfus, *Drancy, un camp de concentration ordinaire*, ed. Manya, 1991.
93. სამი წერილი, დათარიღებული 1944 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებით, გაგზავნილი მიხეილ კედიას სახელზე, ადასტურებს მის ძალისხმევას ქართველ ებრაელთა გადასარჩენად. წერილები გაგზავნილია მოსეს რჯულის ქართველთა თემის პრეზიდენტის, პარიზის სეფარადიტთა ასოციაციისა და პარიზის დიდი რაბინის იაკობ კაპლანის სახელით.

დარწმუნებულნი, ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ ქართველების გაწვევას მათ მიერ შექმნილ ანტიბოლშევიკურ ნაციონალურ შენაერთში. ამიტომაც მიდიოდნენ გარკვეულ დათმობაზე.

გერმანელების მარცხმა კავკასიის ფრონტზე და 1943 წელს გენერალ ფონ კლაისტის (Von Kleist) მიერ წაგებულმა კურსკის ბატალიამ ვითარება შეცვალა. გერმანელები ვერასდროს ვერ მიაღწევენ საქართველოს. ისინი ბრძოლებით უკან იხევდნენ და ბრუნდებოდნენ დასავლეთ ევროპაში. უკვე აღარ არსებობდა გაცვლითი კურსი. ქართველი ებრაელებიც, სხვა ებრაელების მსგავსად, ნაცისტებისათვის გახდნენ ადამიანისმაგვარი არსებები, რომლებიც უნდა მოესპოთ.

ქართველთაგან შეფარებულნი

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქართველები ძლიერ დაეხმარნენ თანამემამულე ქართველ ებრაელებს. „შემიძლია დავადასტურო, – ამბობს თამაზ ნასყიდაშვილი, – რომ პარიზის მე-15 არონდისმანში[94], სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, დანციგის (Dantzig), ჟობე დიუვალის (Jobbé Duval), დე მორიიონების (des Morillons), დომბასლის (Dombasle) ქუჩებზე, ლეონ გიიოს (Léon Guillot) და მარსელ ტუსენის (Marcel Toussaint) მოედნებზე ომამდე კოოპტაციის პრინციპით ჩასახლდნენ ემიგრანტები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. ბევრმა ჩვენმა მეზობელმა ქართველმა უბნის ებრაელებს თავის სახლებში მიუჩინა თავშესაფარი"[95].

„მათ რუსებიც ეხმარებოდნენ, – იხსენებს იგი და დასძენს: აღსანიშნავია, რომ კონსიერჟები, რომლებმაც იცოდნენ, ვინ

94. პარიზი ადმინისტრაციულად დაყოფილია 20 შიდა ოლქად, არონდისმანებად (l'arrondissement).

95. საუბარი თამაზ ნასყიდაშვილთან, რომელიც 80-იან წლებში საფრანგეთში ქართველთა ასოციაციის პრეზიდენტი იყო.

ვის და სად მალავდა, ხშირად იძლეოდნენ გამბედაობისა და კეთილშობილების მაგალითებს". „ზოგი პოლიციელიც, – განაგრძობს თამაზი, – მათ აფრთხილებდა მოსალოდნელი დაჭერების შესახებ. ყველაფერმა ამან უფრო ქმედითი გახადა კოლექტიური ძალისხმევა".

თანადგომის კიდევ ერთი მაგალითი: ლევილში პლატონ და ნადია სებისკვერაძეები თავის ბინაში გარკვეული დროის განმავლობაში მალავდნენ ებრაელებს; ეტყობა, იატაკქვეშეთში გადასვლის წინ. „კარგად მახსოვს, - ამბობს თამაზი, რომელიც იმ დროს 7 წლისა იყო და ზაფხულს ლევილის მამულში ატარებდა, - ვინმე ნიკიტა, მოხუცებული წყვილი..."

თამაზის ერთი მეგობარი საუბრობს ებრაელებზე, რომლებიც მისმა მამამ, დავითმა, შეიფარა სახლში, ვეზინეში. „მეხსიერებაში ჩამებეჭდა ორი პატარა გოგონა", – ამბობს იგი[96].

გავიხსენოთ მხარდაჭერის კიდევ ერთი ეპიზოდი, დაკავშირებული საოცნებო „აუსვაისებთან" (Ausweis). ამ საბუთს გერმანელთა ხელისუფლება გასცემდა. ქუჩებში დაჭერების დროს მის მფლობელს პირადობის მოწმობას არ უსინჯავდნენ. თამაზის მამას, მიხეილ ნასყიდაშვილს, ერთ-ერთი ელექტროქიმიური კომპანიის ინჟინერს, სამსახურებრივი გადაადგილებისათვის ასეთი საშვი ჰქონდა. ეს იყო ნამდვილი „სეზამი" სადემარკაციო ხაზის გადასაკვეთად და თავისუფალ ზონაში შესასვლელად. სწორედ იქ, 1942 წლამდე, ბევრმა ებრაელმა პოვა დროებითი თავშესაფარი. ამ ძვირფასი ქაღალდით ხშირად უსარგებლიათ „რეზისტანელებს", რომლებიც ან დავალების შესასრულებლად მიდიოდნენ, ან კიდევ ეძებდნენ „ადგილს" სამალავისთვის.

მიხეილის მეუღლეს, ლიდას, ჰქონდა ასთმით დაავადებული უფროსი შვილის ბალნეოლოგიურ კურორტზე სამკურნალოდ გაყვანის ნებართვა. კურორტი მდებარეობდა თავისუფალ ზონაში, ბურბულში (La Bourboule), მონ-დორის (Mont-Dore)

96. საუბარი გ. დავრიშევთან. 2004 წლის ოქტომბერი.

მასივში. „დედა, მე და ჩემი ძმა გავდიოდით აუსტერლიცის სადგურიდან. მაგონდება, რომ მგზავრების შემოწმების შემდეგ, მაშინ, როდესაც მატარებლის გასვლას წუთიღა აკლდა, სამივენი სწრაფად ჩამოვდიოდით ბაქანზე, კუპეში კი სკამზე ან სარკის უკან ვტოვებდით კონვერტში ჩადებულ საბუთებს. ჩვენ ადგილებს იკავებდა ებრაელი დედა თავის ორ ბავშვთან ერთად." თამაზი ფიქრობს, რომ ამგვარი ხერხით ადამიანთა გადარჩენაში იგი, სულ ცოტა, ორჯერ მაინც მონაწილეობდა. მისი ძმა, მასზე ექვსი წლით უფროსი, დარწმუნებულია, რომ მსგავსი შემთხვევა ბევრად მეტი იყო.

ემიგრანტების სპონტანური თუ მეტ-ნაკლებად ორგანიზებული მხარდაჭერა კარგად გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნის ებრაელებთან კავშირში. დრო მოვა და იად ვაშემის ინსტიტუტი (l'Institut Yad Vashem), ალბათ, შეიტანს იმ „მართალ" ქართველებს მათ სიაში, ვინც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად არ შეუშინდა ნაცისტთა დევნას.

განა შეიძლება აქ დასრულდეს თანამემამულე ებრაელთა გადარჩენის ეს განსაკუთრებული თემა, რომელიც, როგორც მიხეილ ცომაიამ აღნიშნა, „ერთადერთია მთელს ევროპაში"[97]. აქვე უნდა დასახელდეს სხვა ეპიზოდები, რომლებიც გაიხსენა ლეონ ელიგულაშვილმა 1996 წელს, კოპენჰაგენში, დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ თავყრილობაზე. სხდომაზე, რომელსაც საფრანგეთში ისრაელის ელჩი ესწრებოდა, ლეონმა თქვა: „სამმა სახელმწიფომ გადაარჩინა ებრაელები: დანიამ, ბულგარეთმა და უსამშობლო ხალხმა – ქართველებმა".

უნდა ითქვას, რომ ცენტრალური ევროპის ბევრი ებრაელისაგან განსხვავებით, რომლებიც გაერთიანდნენ MOI-ს „წინააღმდეგობის" ორგანიზაციაში, არც ერთ ქართველ ებრაელს არ მიუღია მონაწილეობა აქტიურ წინააღმდეგობაში[98].

---

97. A.Tsomaia, *Michel Kédia*, in *The voice of free Georgia*. N7, 1955, New-York.
98. MOI: (Main d'œuvre Immigrée) – კომუნისტური გავლენის ქვეშ მყოფი მუშა ემიგრანტები. FTP-MOI (FTP – Franc-Tireurs et Partisants – თავისუფალი

საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგ, „Renseignements Généraux"-სათვის პოლიციის მიერ მომზადებულ მკაცრ მოხსენებაში ქართულ კოლონიას და ქართველ ებრაელებს ბრალი ედებათ იმაში, რომ, იატაკქვეშეთში ბრძოლას მათ „არჩიეს ნაცისტებს დამონებოდნენ "[99].

თუმცა ამგვარ „სიმაგრეში" გადარჩენა თითქმის შეუძლებელი იყო. ვიშის პოლიციისა და ფრანგული ჟანდარმერიის მიერ დაპატიმრებული და საფრანგეთიდან გასახლებული 75721 ებრაელიდან (მათ შორის, 11000 ბავშვი იყო) დაიღუპა 73000, თითქმის ყველა გაზის კამერებში[100]. განცვიფრებული ვართ პოლიციის ინსპექტორის ამგვარი კატეგორიული, ჩვენი აზრით, უხამსი ბრალდებით.

ამავე დროს, განა შეიძლება არ ვახსენოთ საფრანგეთის ისრაელიტთა კავშირი (UGIF). ეს ორგანიზაცია, მორის რაჲსფუსის (Maurice Rajsfus) სიტყვებით, თანამშრომლობდა გერმანელებთან და მისი ზოგიერთი წევრის ან სოციალურად კარგად „მოწყობილი" პირისთვის ახერხებდა ლეგიტიმაციის საბუთების გაცემას. ამ საბუთების მფლობელებს, მიუხედავად მათი ებრაელობისა, შედარებით მშვიდი ცხოვრების საშუალება ეძლეოდათ[101]. თუმცა 1944 წელს ისინი, მდიდრები და ღარიბებიც, ფრანგი თუ უცხოელი ებრაელები, მაინც დააპატიმრეს.

ვფიქრობთ, რომ ქართველმა ებრაელებმა სხვა გზა აირჩიეს. მათ ყველაფერზე მაღლა მთელი ჯგუფის გადარჩენა დააყენეს. ეს კი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ქართველი პასუხისმგებელი

მსროლელები და პარტიზანები) – „წინააღმდეგობის" ერთ-ერთი ორგანიზაცია. იგი აერთიანებდა უცხოელებს, რომლებიც ქალაქებში საბრძოლო აქციებით ატერორებდნენ გერმანელებს. MOI-ის სტრუქტურა და მისი კავშირები ბოლშევიკებთან, რომელთაც 1921 წელს დაიპყრეს საქართველო, სრულიად გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ ამ ორგანიზაციაში არ შესულა არცერთი ქართველი ებრაელი.

99. *Archives de la Police parisienne.*

100. S.Klarsfeld, *Calendrier de la déportation des juifs de France*, FFJF, Paris, 1993.

101. M. Rajsfus, *Des juifs dans la collaboration*, L'Harmattan,1989.

პოლიტიკოსების მხარდაჭერით, რომლებმაც ქართველი ებრაელების გარდა ასეულობით არაქართველი ებრაელი გადაარჩინეს, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა.

ასეთ ვითარებაში, ალბათ, არც ერთ მათგანს წინასწარ არც უფიქრია იმ საფასურზე, რომლის გადახდა წილად ერგო „ქართულ ლეგიონში" ნებაყოფლობით შესულ ქართველ თანამემამულეებს. მათ ხომ ღირსებამ უკარნახა, უარი ეთქვათ საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნების ნებისმიერ საშუალებაზე. დარწმუნებული ვართ, რომ ქართველ ებრაელებს, და მხოლოდ მათ, აქვთ უფლება იმსჯელონ იმ სტრატეგიაზე, რომელიც დაუპირისპირდა ადოლფ ჰიტლერის "Judenfrei"-ს[102].

ორი ქართველი რჩეული მღვდელმსახური

მამა გრიგოლ ფერაძე — სწავლული და მეომარი

ქართული კოლონიის ორი მართლმადიდებელი მღვდელი უანგაროდ და აქტიურად დაეხმარა ყველა ებრაელს. აქ წარმოდგენილი მათი მოკლე ბიოგრაფიები უთუოდ გამოიწვევს მკითხველის აღფრთოვანებას ამ ორი ლტოლვილი ქართველის პიროვნებით.

1921 წლიდან საფრანგეთში ჩასულ ქართველთა უმრავლესობა მართლმადიდებელი იყო. ამიტომ სულ მალე გაჩნდა ეკლესიის საჭიროება, რომელიც უპასუხებდა თემის კულტურულ მოთხოვნებს. გრიგოლ ფერაძემ, მაშინ ჯერ კიდევ

102. ნაცისტების მიერ შემოღებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავდა „ებრაელებისაგან გაწმენდილ" ტერიტორიას.

საერო პირმა, მოაწყო წმინდა ნინო კაპადოკიელის სალოცავი[103]. საქართველოს მაღალმა მფარველმა ნინომ 326 წელს ქრისტეს რჯულზე მოაქცია მეფე მირიანი. ეს თარიღი მიჩნეულია ქართველთა გაქრისტიანების წლად.

თავად ილამაზ დადეშქელიანის მიერ მოწყობილი ეკლესია ოფიციალურად ცნეს 1929 წლის 21 ივლისის ასამბლეაზე, მაგრამ მუდმივი მღვდლის არარსებობის გამო იგი სულს ღაფავდა. ეს გაგრძელდა 1931 წლის მაისამდე, როდესაც გრიგოლ ფერაძე მღვდლად აკურთხეს და იგი წმინდა ნინოს ეკლესიის წინამძღოლი გახდა.

31 ივლისს მან აღასრულა პირველი ლიტურგია[104]. იქადაგა სასიამოვნო, პოეტური ენით. ისაუბრა „ბაბილონის ნაპირებამდე განდევნილთათვის სალოცავის აგების შესახებ“ და მრევლს მოუწოდა ერთმანეთისათვის დახმარების ხელის გამართვისაკენ. ეს იყო ქართველების ამაღელვებელი, სულში ჩამწვდომი დამოძღვრა – გადასახლებაში უბიწოდ შეენარჩუნებინათ „ქართველთა სულის სიმდიდრე“ და თავიდან აეცილებინათ უკეთურება – „განდგომა ადამიანობიდან და ღირსების გრძნობის დაკარგვა“.

წმინდა ნინოს ეკლესია ექვემდებარებოდა კოსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქს. მაშინ ეს იყო ერთადერთი მოქმედი ქართული ეკლესია საქართველოს საზღვრებს გარეთ. მამა გრიგოლ ფერაძემ მას იმთავითვე ინტელექტუალური მუხტი შესძინა: 4 წლის განმავლობაში იგი იყო წელიწდეულის „ჯვარი ვაზისა“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი. ვარშავის უნივერსიტეტში თეოლოგიაში ლექციების კითხვის გარდა, იგი გატაცებული იყო საეკლესიო მოღვაწეობით და ყოველ არდადეგებზე უსათუოდ უბრუნდებოდა მრევლის საქმეებს.

103. Père Henry Paprocki, *Biographie de l'Archimandrite G.Péradzé*. Revue des études géorgiennes et caucasiennes, n°4, 1988, Paris.

104. ქადაგება ქართულ ენაზე. იხ. *Djvari Vazisa,* n° 1, Bibliothèque du Caucase, Lavau, Saulieu

წმინდა ნინოს ეკლესიის დავთარში შეიძლება წავიკითხოთ 1939 წლის 1 იანვრით დათარიღებული მისი ხელით შესრულებული უკანასკნელი ჩანაწერი.

მას ხშირად უხდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში ყოფნა. ეს დაკავშირებული იყო მის სამეცნიერო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან. მიუხედავად ამისა, იგი ბოლომდე რჩებოდა მასსავით ლტოლვილი თანამემამულეების ერთგულ პარიზელ ქართველად.

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 13 სექტემბერს, კახეთში, სოფელ ბაკურციხეში, რასაც გვამცნობს მისი პასპორტი. ბავშვობაში ადრე დაკარგა მამა, სოფლის ეკლესიის მღვდელი და იგი დედამ, მარიამ სამადალაშვილმა, გაზარდა. თბილისის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და რუსეთის სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელების უფლება მიიღო (1864 წლიდან ცარიზმის რეჟიმმა საქართველოში ქართული სასწავლებლები დახურა). მაგრამ რუსეთის რევოლუციის ორომტრიალმა და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებამ გრიგოლს უფრო გაუღვივა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის სურვილი. იგი გახდა ახალდაფუძნებული თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი. აქ გრიგოლი შეხვდება ძველი ქართული ლიტერატურის უდიდეს მცოდნეს, დევანოზ კორნელი კეკელიძეს. მისმა გავლენამ განაპირობა ფერაძის მომავალი სამეცნიერო ინტერესები. სავალდებულო სამხედრო და სამასწავლებლო სამსახურის დასრულების შემდეგ იგი უბრუნდება უნივერსიტეტს. 1921 წელს პატრიარქი ამბროსი ხელაია მას მიავლენს ბერლინში თეოლოგიური ცოდნის გასაღრმავებლად. ძირითად სპეციალობაში მიღწეული წარმატების გარდა, მან საოცრად გაიფართოვა და გაიღრმავა ლინგვისტური ცოდნა: ინგლისური, ბერძნული, ლათინური

და პოლონური ენების პარალელურად, დაიწყო ებრაული, სირიული, არაბული, კოპტური და სომხური ენების შესწავლა. მის გამოკვლევას ათონის მთის ქართველი მონაზვნის, ჰაგიოგრაფოს გიორგი მთაწმინდელის (1000-1069) შესახებ იგი მიჰყავს ბონში, სადაც იმ დროის ცნობილი ორიენტალისტების ხელმძღვანელობით გრიგოლი იცავს სადოქტორო დისერტაციას ქართულ სამონასტრო ცხოვრებაზე. ლუვენის უნივერსიტეტში ფერაძე იღრმავებს პატრისტიკული ლიტერატურის ცოდნას, სწავლობს წმინდა მამების წერილებს, შემდეგ კი მიემგზავრება ლონდონსა და ოქსფორდში ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ.

ბონის უნივერსიტეტის პროფესორად არჩეულმა სწავლულმა საგრძნობლად გააფართოვა ქართველოლოგიური კვლევები. სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულმა წერილებმა მას შუა აღმოსავლეთის ქრისტიანობის ისტორიის საუკეთესო მცოდნის სახელი მოუხვეჭა. თუმცა წმინდა ნინოს ეკლესიაზე ზრუნვა აიძულებს მას, მიატოვოს თანამდებობა ბონის უნივერსიტეტში. იგი საცხოვრებლად გადადის პარიზში, რომელსაც ხანმოკლე დროით ტოვებს ხოლმე საზღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის გამო.

1933 წლიდან გრიგოლ ფერაძე დიდ დროს უთმობს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ვარშავის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის მართლმადიდებელი თეოლოგიის განყოფილების პატროლოგიის პროფესორი გამოირჩევა „ღრმა ცოდნით“, კვლევების მასშტაბურობითა და მრავალფეროვნებით. საბერძნეთში – ათონის მთაზე, სირიაში, ბულგარეთსა და პალესტინაში მუშაობისას მან მიაკვლია ეკლესიის პირველი მამების ტექსტებს, რითაც გაამდიდრა ბერძენი, ქართველი, რუსი და პოლონელი თეოლოგების მემკვიდრეობა. მისი 64 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი ფრიად მნიშვნელოვანი გახდა ქართველოლოგიის განვითარებისათვის[105].

---

105. Père Henry Paprocki, *op. cit.*

გრიგოლ ფერაძე იყო წევრი სხვადასხვა საზოგადოებისა თუ ასოციაციისა, რომელთაგან აღსანიშნავია ეკლესიათა მეგობრული თანამშრომლობის მსოფლიო ალიანსი. „ქებათა ქების" წიგნის ებრაულიდან ქართულად შესრულებული თარგმანი, 1936-1938 წლების მოგზაურობები წმინდა მიწაზე, სადაც უძველესი დროიდან დამყარდა და განვითარდა კავშირები ქართველ და პალესტინელ ქრისტიანებს შორის, ადასტურებს ხალხთა მეგობრობისათვის მოღვაწე ამ ღირსეული მორწმუნის ინტერესს ებრაული კულტურისადმი, რაც მისი მსხვერპლად გაღებული ტრაგიკული სიცოცხლის დასასრულის მომასწავებელი გახდა.

იგი მუდმივ, მოუსვენარ ძიებაში იყო. ყოველთვის ცდილობდა მეტი გაეცა სტუდენტებისა თუ ნაკლებად განსწავლული მკითხველისათვის. მამა ფერაძემ საფუძველი დაუდო პატრისტიკული დოკუმენტების მეცნიერულ კვლევას. იგი ხომ ამ საბუთებში გადმოცემული სიბრძნის თაყვანისმცემელი გახლდათ. მისი ცხოვრება გამოირჩეოდა კეთილშობილებით, მოყვასისადმი უდიდესი სიყვარულით. ჩვენ მოწმენი ვართ მისი თავდადებული ერთგულებისა პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიისადმი.

ცნობილია, თუ როგორ ეხმარებოდა გრიგოლ ფერაძე ღარიბ პოლონელ სტუდენტებს[106]. და ბოლოს, მისი მონაწილეობა ანტინაცისტურ ბრძოლაში, უკიდურესად ევანგელისტური დამოკიდებულება დევნილი ებრაელების მიმართ აგვირგვინებს ამ შეუპოვარი ადამიანის პორტრეტს, რომელმაც თავისი რელიგიური მრწამსი კაცობრიობის სამსახურში ჩააყენა.

დეკანოზი გრიგოლ ფერაძე, რომელიც მიტროპოლიტმა დიონისე ვალედინსკიმ ეპისკოპოსად აკურთხა, 1939 წლის 1 სექტემბერს, გერმანელების გამანადგურებელი შემოსევის დროს, პოლონეთში იმყოფებოდა. ომის დროს ვარშავაში, თავის ბინაში,

106. Témoignage de l'Archiprêtre Mikolay Lenczewski in *Biographie du P.Péradzé, op. cit.*

ბრუკოვას ქუჩის 22-ში, იგი თავაუღებლად მუშაობს, ეხმარება გერმანელების მიერ დევნილ თანამემამულეებს, მონაწილეობს პოლონეთის „წინააღმდეგობის" მოძრაობაში[107].

1942 წლის 5 მაისს ებრაელებისათვის გაწეული დახმარებისათვის მას აპატიმრებენ. ბინის ჩხრეკისას გრიგოლს ბიბლიოთეკაში დოლარები უპოვეს. ფული აშკარად ებრაელებს ეკუთვნოდა: მათ თანხის შენახვა თავიანთ მფარველს მიანდეს.

გესტაპომ ფერაძე გადაიყვანა პავიაკის (Pawiak) საპყრობილეში[108]. ზოგიერთმა ცნობამ ამ ციხის ტუსაღების შესახებ ჩვენამდე მოაღწია სიკვდილს გადარჩენილი რამდენიმე ყოფილი პოლონელი პატიმრის მოგონების სახით. ეს ჩანაწერები გაერთიანდა და დაიბეჭდა კრებულ „ხსოვნაში" (Souvenirs). პატიმრობის ექვსი თვის განმავლობაში ესესელები მამა გრიგოლს თარჯიმნად ამუშავებდნენ. შიმშილისაგან განაწამები თავის მეგობარ იეჟი კარენინთან გაგზავნილ წერილში იგი ადრესატს პურს სთხოვს. 1942 წლის ივნისით დათარიღებული წერილი, იმავდროულად, მისი ანდერძიცაა: იგი ანაწილებს თავის ქონებას, ნივთებს, ხოლო საკუთარ ძვირფას წიგნებს საქართველოს ეკლესიასაც უანდერძებს.

ვარშავის მართლმადიდებელ ეკლესიას არ მიუტოვებია პატიმრობაში მყოფი მამა გრიგოლი: მას უგზავნიდნენ პატარა ამანათებს, წერილებს. მის გასათავისუფლებლად გარკვეული ნაბიჯებიც კი გადაიდგა. თუმცა ყველაფერი ფუჭი გამოდგა: 1942 წლის ნოემბრის ერთ-ერთი ეტაპით გრიგოლ ფერაძე გადაიყვანეს აუშვიც-ბირკენაუს (Auschwitz-Birkenau) საკონცენტრაციო ბანაკში. 1931 წლის ერთ ქადაგებაში პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის წინამძღვარმა თანამემამულეებსა და თავის თავს უწინასწარმეტყველა „ტანჯვით უფრო მეტად დატვირთული მომავალი". უდავოა, მან უმძიმესი ტანჯვა-წამება გამოიარა.

---

107. Témoignage du Père Atanazy Semeniuk, *op. cit.*

108. *Wspomnienia Wiezniow Paviaka*, Varsovie, 1964.

ამას ადასტურებს სიკვდილის ბანაკში გადარჩენილი რამდენიმე პირი.

მიუხედავად ჩატარებული კვლევა-ძიებისა, მისი სიკვდილის გარემოებები დღემდე უცნობია. ბანაკის უფროსის მიერ იეჟი კარენენის სახელზე გაგზავნილი დეპეშა მოკლედ იტყობინებოდა „გჟეგოჟ ფერაძის გარდაცვალებას“. მართლმადიდებელთა კონსისტორიის მოთხოვნის პასუხად, მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის ბიუროს მიერ გაცემულ გარდაცვალების მოწმობაში ჩაწერილია: „გარდაიცვალა 1942 წლის 6 დეკემბერს, 16 ს. 45 წ., აუშვიცში, კოშაროვის ქუჩაზე“[109].

მოგვიანებით ბანაკში სიკვდილს გადარჩენილმა ერთმა პირმა აღიარა, რომ მამა გრიგოლ ფერაძე „მსხვერპლად იყო შეწირული“ სხვა პატიმრის ნაცვლად. თუმცა უცნობი პირის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია ვერ გადამოწმდა. რაც არ უნდა იყოს, ცხადია, რომ გრიგოლ ფერაძის მარტვილობა ადასტურებს ქრისტეს სიტყვებს წმინდა იოანეს სახარებიდან: „უფროისი ამისა სიყუარული არავის აქუს, რაითა სული თუისი დადვას მეგობართა თუისთათუის“ (იოანე 15: 13). სწორედ ამიტომ იგი წმინდანად იქნა შერაცხული 1995 წელს ქართული და პოლონური მართლმადიდებლური ეკლესიების მიერ. წმინდა გრიგოლ წამებულის ხსენების დღე, 6 დეკემბერი, შეტანილია ქართულ საეკლესიო კალენდარში. მამა ფერაძის სახე უკვდავყოფილია პოლონეთის ეკლესიის წმინდა ადგილებში, ხოლო ვარშავის წმინდა იოანეს კათედრალში, სამღვდელოების მემორიალზე, დამაგრებულია ფირფიტა, რომელზედაც გრიგოლ ფერაძის სახელია ამოტვიფრული.

ბევრი ქართველი, კაცი თუ ქალი, ვინც ბავშვობაში მონათლა ან აზიარა მამა გრიგოლ ფერაძემ, თავის მეხსიერებაში სათუთად ინახავს ამ უმაღლესი ინტელექტისა და ზნეობის სახეს,

109. Annexes VI et VIII, *Biographie du P.Péradzé, op.cit.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელიც თავისი ლოცვების პასუხად აღივსო „სიყვარულითა და მოთმინებით"[110].

მამა ელი (ილია) მელია — ღირსეული ქრისტიანი

მამა გრიგოლ ფერაძის შემცვლელი ქართულ თემსა და პარიზში ფრანსუა ჟერარის ქუჩაზე (rue François Gérard), ქართულ ეკლესიაში იყო დეკანოზი ელი (ილია) მელია.

ისიც, წინამორბედის მსგავსად, საეკლესიო-პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას – იყო თეოლოგიის პროფესორი პარიზის წმინდა სერგის ინსტიტუტში. მამა ილია კონფესიათა შორის დიალოგის აქტიური მომხრე იყო. მისი წინამორბედის, გრიგოლ ფერაძის, ტრაგიკული აღსასრულით ფრიად შეწუხებულმა, დაიყოლია მამა ჰენრი პაპროცკი,[111] შეესწავლა მღვდელმოწამის ცხოვრება. 1986 წელს პოლონურ ენაზე გამოქვეყნდა წამებულის ცხოვრებისადმი მიძღვნილი წერილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მამა მელია მამა გრიგოლ ფერაძის დარად აღსავსე იყო იმგვარივე სულიერებით. გადასახლებაში ორივე მღვდელმა ერთმანეთს შეუთავსა ღვთისმსახურება და სამეცნიერო კვლევები. გერმანელთა ოკუპაციის უმძიმეს პირობებში, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, ისინი იღვწოდნენ ქრისტიანული ფასეულობების დასაცავად და განსამტკიცებლად. საფრანგეთის ამ ორ ქართველ მოძღვარს წამით არ ასვენებდა „უბედურ დედასამშობლოზე ფიქრი". ნაცისტების მძვინვარებასთან მებრძოლებმა, მათი რწმენის და ეკლესიურობის შესაბამისად, გადასახლებაში ღირსეულად იღვაწეს საქართველოს დიდებისათვის[112].

---

110. 1931 წლის 31 მაისის ქადაგება, *op. Cit.*

111. მამა მელიას წინასიტყვაობა გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფიისათვის, *op. cit.*

112. Alexis Kniazeff, *In memorium.* Revue *Unité des chrétiens.*

ელი მელია დაიბადა 1913 წელს შავიზღვისპირა ბათუმში. 1921 წელს სხვა ლტოლვილებთან ერთად მას მოუხდა მშობლიური ქალაქის დატოვება. პარიზში თეოლოგიის ფაკულ-ტეტის დამთავრების შემდეგ მიტროპოლიტი ელოჟი (Euloge) მიავლენს მას საფრანგეთის აღმოსავლეთში იმისთვის, „რომ მოემსახუროს დიდ ქარხნებში უწესრიგოდ აღმოცენებულ სალოცავებს“. ამ ქარხნებში მუშაობდნენ 1920 წლის შემდეგ რუსეთიდან მასობრივად ჩამოსული ემიგრანტები. 1943 წლიდან იგი ბელფორის (Belfort) ეკლესიის წინამძღვარია და, ამავე დროს, ემსახურება მონბელიარის (Montbéliard), სოშოს (Sochaux), ბეზანსონისა (Besançon) და ნანსის (Nancy) თემების ეკლესიებს. მას გვერდში უდგას ახალშერთული ახალგაზრდა მეუღლე ალა. უმძიმესი მატერიალური პირობებისა და ოკუპანტების განუწყვეტელი მუქარების მიუხედავად, მათ ერთი წამით არ შეუწყვეტიათ მოღვაწეობა.

მამა ელის თანამედროვე, თეოლოგიის პროფესორი ელისაბედ ბეერ-სიეგელი (Elisabeth Behr-Siegel), ადასტურებს, რომ მასავით მამა მელიაც იყო ნანსის „ეკუმენური ჯგუფის წევრი. ეს ჯგუფი სხვადსხვა ფორმებით მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში“[113]. იგი წერს, რომ მამა მელიას საქმიანობა ხასიათდებოდა განსაკუთრებული მამაცობით. ბელფორში მცხოვრებმა, „მან ველოსიპედით გაიარა ვოგეზები (les Vosges) (ჯერ კიდევ საომარი მოქმედების ზონა), გადაკვეთა ფრონტის ხაზი და ჩამოვიდა ჩვენთან ჩემი ბიჭის მოსანათლად, რომელიც დაიბადა 1944 წლის ოქტომბერში“.

მამა ილიას გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის პანაშვიდზე ელისაბედ ბეერ-სიეგელი უყვება თამაზ ნასყიდაშვილს, თუ როგორ ზრუნავდა იგი ებრაელებზე, როგორ აფრთხილებდა მათ მოსალოდნელი დაჭერების შესახებ. ჩვეულებრივად ეს ხდებოდა ბუნების წიაღში სეირნობისას. მას არ ასვენებდა პოლიცია.

113. Témoignage écrit de E.Behr-Siegel, daté du 26.12.2004.

გერმანელები ცდილობდნენ გაეგოთ, ჰყავდა თუ არა მრევლში ებრაელები. ამით საკმაოდ თავმობეზრებულმა და შეწუხებულმა მამა ელიმ ერთხელაც პირდაპირ მიახალა მათ: „ეს თქვენ არ გეხებათ!“ და უარი თქვა გვარების დასახელებაზე[114]. მისი მეგობარი ელისაბედი ადასტურებს ადამიანთა გადარჩენის კიდევ ერთ აქციას. იგი იხსენებს, რომ 1944 წლის 14 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე ბელფორი მოკვეთილი და იზოლირებული იყო უკვე განთავისუფლებული საფრანგეთისაგან. ომის დროს ეს ქალაქი წარმოადგენდა „დახურული ზონის“ ნაწილს. მართალია, ის არ ითვლებოდა ოკუპირებულად, თუმცა მაინც იყო გერმანელების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

აგვისტოს თვეში, პროვანსში (Provence) გადმოსხმის შემდეგ, I ფრანგული არმია წარმატებულად მიიწევდა წინ, მაგრამ 15 სექტემბერს სურსათისა და საბრძოლო მასალის მარაგის შესავსებად ბელფორთან შეჩერდა. მართალია, შეტევა განახლდა, მაგრამ ქალაქის ალყა გახანგრძლივდა და მოკავშირეებს მის ასაღებად კიდევ ორი თვე დასჭირდათ. ქალაქში ისინი 20 ნოემბერს, ნაშუადღევს, შევიდნენ. ჩვენამდე მოღწეულ მამა ილიას ჩანაწერებში საუბარია იმ არეულ დროში მისი და მრევლის მიერ გერმანელებისადმი გაწეული წინააღმდეგობის შესახებ. აღწერილია, თუ როგორ ცდილობდნენ ისინი გერმანიაში სამუშაოდ გასაგზავნი განწირული ადამიანების, მათ შორის, ქალიშვილებისა და აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელების მიერ ტყვედ აყვანილი საბჭოთა რუსების გადარჩენას. დაღუპულთა, გადარჩენილთა და მათი მხსნელების (ბელფორის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი) სიების გარდა, ჩანაწერებმა შემოგვინახა ბევრი რამ, რაც დაკავშირებულია „სამოქალაქო ტყვეებთან“[115].

114. საუბარი ქეთევან მელია-კლიმისთან, 2005.

115. დოკუმენტი მოგვაწოდა მამა ილია მელიას ოჯახმა.

ამ ტყვეთაგან ორმოცდაათამდე მუშაობდა ნორმანდიის სანაპიროზე, ატლანტიკის კედლის მშენებლობაზე. უკან დახევისას გერმანელებმა ისინი ბელფორში ჩამოიყვანეს. „1944 წლის ზაფხულიდან მათ დაიწყეს ჩვენს ეკლესიაში სიარული", – შენიშნავს მათზე მზრუნველი მღვდელი.

ამ ადამიანების გერმანიაში გაგზავნა 6 ნოემბრისთვის იყო ნავარაუდევი. მომზადდა მათი გაქცევის გეგმა. გეგმა მამა ელიმ შეათანხმა ათიოდე რუსულ ოჯახთან (ასევე – მრევლი). მაგრამ გერმანელთა სამხედრო-სარეპრესიო ძალები ჯერ კიდევ მოქმედებდნენ. დაიწყო დაჭერები. მრევლი, მეგობრები, რომელთა შორის არიან მშრომელთა მსოფლიო კონფედერაციის პასუხისმგებელი მოღვაწე, მერი, „წინააღმდეგობის" აქტიური მებრძოლი და ერთი ვინმე ალზასელი, მალავენ გაქცეულებს საკუთარ ან მიტოვებულ სახლებში.

მამა ილია მელია „ეკლესიის სახლში ბერჟეს (Berger) ქუჩის N15-ში 6-დან 14 სექტემბრამდე მალავდა 6 ადამიანს, ხოლო შემდეგ, 10 ოქტომბრამდე – კიდევ ხუთს". სხვები მიწურებს თხრიდნენ და სამალავებად იყენებდნენ. 8 ოქტომბერს „წინააღმდეგობასთან" შეთანხმებით 19 გაქცეული დააბინავეს მეზობელ სოფელში. ზოგი მათგანი გერმანელებმა დაიჭირეს, თუმცა მათ როგორღაც მოახერხეს ეკლესიამდე მიღწევა, სადაც თავშესაფარი პოვეს. 15 ოქტომბერს ბელფორის ზონაში ჩატარებული მასშტაბიანი ოპერაციის შედეგად დაჭერილი აღმოჩნდა 16-იდან 35 წლამდე ასაკის 1000-ზე მეტი ადამიანი. მათ შორის ის ტყვეებიც იყვნენ. მათ ფეხით გარეკავენ შტუტგარტისაკენ.

მღვდლისა და მრევლის მიერ გაწეული რისკი იყო უაღრესად დიდი, დაკავშირებული მუდმივ საფრთხესა და მღელვარებასთან. მით უფრო, რომ ტყვეების გადარჩენის აქციაში მონაწილეობდა ფეხმძიმე და დასუსტებული ალაც. „იგი, – წერს მისი მეუღლე, – აღმოჩნდა გმირი და მომთმენი". ოჯახის დაუცველობას ემატებოდა სასურსათო ტალონების მოქმედების პირობებში 50

ლტოლვილის დაპურების პრობლემაც. ეპარქიას მოწყვეტილი მამა ელი ალყაშემორტყმულ ქალაქში მარტოდმარტო აღმოჩნდა ამ სირთულეების პირისპირ. „გერმანელების მიერ მიტოვებული ფრონტის ხაზის გასწვრივ, რომელსაც დროდადრო მოკავშირეები ცეცხლს უშენდნენ, მივაგორებდი პატარა ურიკას და ალასათვის ვეძებდი ბატატს ან ვაშლს“, – მოგვიანებით გაიხსენებს იგი. ქალაქის გათავისუფლების შემდეგ კიდევ ორმა კვირამ განვლო, სანამ საფრანგეთის ოფიციალურმა უწყებებმა მიიღეს გადაწყვეტილება ლტოლვილების სარეპატრიაციო ბანაკებში მოთავსების შესახებ[116].

მამა ელი (ილია) მელიას მიერ მოწყობილმა კოლექტიურმა აქციამ გადაარჩინა დაპატიმრებულთა ნახევარზე მეტი, რაც მას ძალიან ახარებდა.

ამონარიდი მისი ჩანაწერებიდან: „ეს გაგრძელდა 6 სექტემბრიდან 20 ნოემბრამდე, ორ თვეზე მეტხანს... და არც ერთი ღალატი, არც ერთი გაცემა! დიდება უფალს და ბრავო ჩემს მრევლს!“

---

116. მათი შემდგომი ბედის შესახებ იხ. მე-6 თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინააღმდეგობის მოძრაობა

ომი „წინააღმდეგობის" წინააღმდეგ – რეპრესირებული ქალები

მამაკაცები და ქალები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად ნებაყოფლობით შეუერთდნენ „წინააღმდეგობას", მამაცურად უპირისპირდებოდნენ არა მარტო გერმანელთა საოკუპაციო ძალებს: სამხედროს – ვერმახტს – და სადამსჯელოს – გესტაპოს, – ნაცისტების უსასტიკეს პოლიტიკურ პოლიციას. გესტაპოს ემორჩილებოდა ვიშის პოლიცია, ჟანდარმერია და მილიციის გასამხედროებული ნაწილებიც, ანუ „ფრანგული გესტაპო". ამას უნდა დაემატოს პარიზში შექმნილი „ქართული გესტაპო", რომელიც სადამსჯელო რეიდებს ახორციელებდა პროვინციებში.

ზამთრის მკრთალი ნათელი ოქროს ფერს სძენს უნივერსიტეტის კამპუსის ხეებს. არქივის პატარა დარბაზი ცივი და ნაცრისფერია. გაყვითლებული ფურცლებით სავსე საქაღალდეები, ერთხელ გახსნილი და მაგიდაზე მიტოვებული, დიდხანს ღია რჩება. ეს 1945 წლის 10-28 ივლისის კოლაბორაციონისტთა სასამართლო პროცესის მასალების ნაწილია, რომელიც ეხება „ქართულ გესტაპოს"[117].

გულდათუთქული კითხულობ „პრეპენის (Prépin), წმ. რემი ლე შევრეზის (St. Rémy-les-Chevreuses, თიეს (Thiais), PTT-ს (ფოსტა, ტელეფონი, ტელეგრაფი) საქმეებს, რომლებიც ეხება „წინააღმდეგობის" მებრძოლთა დაპატიმრებებს". ყველაფერი მოგვაგონებს ჩვენი წინა ნაშრომისთვის შესწავლილ საქმეებს[118]. ზუსტად მეორდება: „რეზისტანელების" დევნა, ფულის დატრიალება, გამომძალვები და დარბევები... ამას

117. Archives *„Résistance Repressions"* BDCI, Nanterre.

118. F. Nicoladzé. *Passant, souviens-toi! Montpellier, lieux de mémoire 1940-45*, Les Presses du Languedoc,1999.

ყველაფერს სჩადიოდა თხუთმეტიოდე ქართველი არამზადა შალვა ოდიშარიას მეთაურობით. სასამართლო პროცესზე ისინი შეეცადნენ ბოროტმოქმედება და გამყიდველობა შეენიღბათ პატრიოტული მოტივებით, მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ".

შფოთის, აყალმაყალის, ფულის, ქალების, თამაშის, მოჩვენებითი კეთილდღეობის დემონსტრირების დაუოკებელმა ჟინმა, წარსულში ბნელმა ავკაციობამ და, ნაკლებად, ნაციზმით აღფრთოვანებამ დააკავშირა ისინი ფრანგ და გერმანელ მკვლელებთან. ეს არაკაცები თანამშრომლობდნენ გერმანელთა გესტაპოსთან და, 1943 წლიდან მოყოლებული, გესტაპოს ბრძანებებით ულმობელ ბოროტებას სჩადიოდნენ. მათი თარეში და ძალმომრეობა გაგრძელდა 1944 წლის ზაფხულამდე. გესტაპოს გარდა, ისინი დაკავშირებულები იყვნენ სენა და უაზში მოქმედ ტავერნის სკოლასთან (l'Ecole de Taverny). სკოლას ხელმძღვანელობდა დაუნდობელი ბიკლერი (Bickler). იქ გესტაპოელებს სპეციალურად წვრთნიდნენ პარტიზანების დევნასა და წამებაში. საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგ ზოგიერთი მათგანი, მათ შორის ოდიშარიაც, გერმანიაში გაიქცა და ამგვარად გასამართლებას გადაურჩა. ზოგი კი დააპატიმრეს და სათანადო მიუზღეს. თავად ოდიშარია, როგორც Selbstschutz-ის (გერმანული პოლიცია, რომელიც დევნიდა კომუნისტებსა და წინააღმდეგობის მებრძოლებს) თანამშრომელი, აღმოჩნდა V.M-ის კატეგორიაში[119].

იცოდნენ თუ არა კოლონიის ქართველებმა ამ საშინელი და სამარცხვინო თანამშრომლობის შესახებ? 1903 წელს დაბადებული ოდიშარია საფრანგეთში ჩავიდა 1929 წელს. ომამდე მას თვლიდნენ საეჭვო მაწანწალად და დამსმენად, რომელიც არაფერს თაკილობდა. თანამედროვეთა თქმით, „მას

119. V.M. – Vertrauen Mann (გერმ.) – ნაცისტების ნდობამოპოვებული პირი. P. Miannay, *Dictionnaire des agents doubles dans la Résistance*, Le Cherche Midi, 2005.

ყველა ეჭვის თვალით უყურებდა“, მაშინაც, როცა არც იცოდნენ გერმანელებთან მისი ჯაშუშური თანამშრომლობის შესახებ. მაგრამ 1940 წელს მას უკვე ისეთი რეპუტაცია ჰქონდა, რომ მიხეილ კედიამ, რომელსაც, როგორც ვიცით, გერმანელების ნდობა ჰქონდა მოპოვებული, იგი დააპატიმრებინა. თუმცა SS-ის ერთი ოფიცრის, ოდიშარიასავით ძველი ჯაშუშის, ხელშეწყობით, იგი ციხიდან გამოვიდა. ომის დროს მის გარეგნობას შეცდომაში შეჰყავდა მიამიტები და გულუბრყვილოები. თავის თავს ოდიშარია კომერსანტად და სამშობლოს ერთგულ ადამიანად ასაღებდა.

რაც შეეხება მის თანამზრახველებს, ისინი თავიანთ უკეთურობას წესიერი საქმიანობით ნიღბავდნენ: მძღოლი, მდივანი, კომერციის აგენტი... თუმცა ზოგიერთი ქართველებივით, რომლებიც უფრო კულტურულ სფეროში იყვნენ დაკავებულნი, ისინი „თალგამის წვნიანის“ ჭამს არ მალავდნენ კარგად გაწყობილ დახვავებულ სუფრებს, ცნობილ კუტიურიეებთან შეკერილ ტანსაცმელს, რომლებშიც მათი ცოლები ჩნდებოდნენ წმინდა ნინოს ეკლესიაში. ქართველებს ახსოვთ ეს მოჩვენებითი, შავ ბაზართან დაკავშირებული ფუფუნება. გერმანელ ოკუპანტებთან დაახლოებული შეძლებულებიც კი მათ თავს არიდებდნენ შიშის, ხოლო უპირატესად – ზიზღისა და სიძულვილის გამო.

ჩვენ ვერასდროს ვერ გავუგებთ ამ შეიარაღებულ ჯგუფს, გერმანული გესტაპოს „დანამატს“[120], რომლის წევრების ნებაყოფლობითი „სამსახური“ ითვალისწინებდა თვალთვალს, „რეზისტანელების“ წინააღმდეგ მიმართულ აქციებს, ქარხნების გასამხედროებულ დაცვას, ანტინაცისტური პროკლამაციების გავრცელების აღკვეთას, ბრძოლას პარაშუტისტებთან და

---

120. Archives BDCI (თანამედროვე საერთაშორისო დოკუმენტაციის ბიბლიოთეკის არქივი). ფრანგული დანამატი იყო «La Carlingue» – ფრანგული გესტაპოს საზარელი ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ბონი და ლაფონი (Bony, Lafont). იგი განთავსებული იყო პარიზში, ლორისტონის ქუჩის n° 90.

ინგლისელების მიერ ჩამოგდებული იარაღის შემგროვებლებთან. მათმა ცენტრმა ლონდონის ქუჩიდან გადაინაცვლა ვარენის (Varenne) ქუჩაზე. იქაურმა კარგმა სასადილომ კი მიიზიდა რამდენიმე უტვინო წამლეჭი კოლონიიდან.

ეს შენაერთი გაშინაურებული იყო სოსეს (Saussaies) ქუჩასთან[121]. მისი წევრები მდიდრდებოდნენ „დავალებების" შესრულებისათვის მიღებული ფულადი ანაზღაურებითა და შესყიდვების გერმანულ ბიუროსთან ერთობლივი სპეკულაციებით. ეს ბიურო მარაგდებოდა „რეკვიზიციებით და საფრანგეთის ეკონომიკური რესურსების გადაქაჩვით"[122]. დაშინებით, მაღაზიებისა თუ საწარმოების დახურვის მუქარით, პირდაპირი, მაფიოზური ძალადობითა თუ დაპატიმრებებით ისინი იმ დროისათვის მნიშვნელოვან თანხებს შოულობდნენ.

ოდიშარიაც მათსავით ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა. იგი იყო საკმაოდ ჭკვიანი, ხისტი და ულმობელი ავანტიურისტი. მას დიდი გავლენა ჰქონდა ამ ხალხზე. სწორედ ამნაირებისგან მან შექმნა „1944 წლის იანვრიდან პროვინციებში მოთარეშე ჯგუფები". ისინი „ოპერაციებს ატარებდნენ" ლიონში, ტულუზში, კასტრსა და ნორმანდიაში.

„ქართული გესტაპოს" წევრებს ბრალი ედებათ „აქტიურ პოლიციურ საქმიანობაში, „წინააღმდეგობის" მებრძოლთა დევნასა და რეპრესირებაში, გერმანელებთან თანამშრომლობასა და მათ სასარგებლოდ შპიონაჟში". შეუძლებელია ამ ბრალდებების გამართლება. ბუნებრივია, რომ ამ ნაძირლების მსხვერპლი მათ მიმართ მხოლოდ ზიზღის გრძნობითაა გამსჭვალული: ისინი ხომ ნაცისტი ოკუპანტების სასტიკ და დაუნდობელ იარაღად აღიქმებიან.

სასამართლო პროცესზე დაიკითხა ქართველი მოწმე ივანე გეგელია. მას ზოგიერთ მათგანთან ჰქონდა ურთიერთობა, თუმ-

121. პარიზში გერმანული გესტაპოს დაკითხვებისა და წამების ცენტრი.
122. Archives BDCI.

ცა არაფერი იცოდა მათი ავკაცობის შესახებ. თავმჯდომარის შეკითხვაზე გაცემულ პასუხში მოწმემ ვერ დამალა აღშფოთება, იმის გამო, რომ ბრალდებულები თავიანთ უსუსურ აღიარებაში გესტაპოს მისი სამშობლოს სახელთან აკავშირებდნენ. ეს ავკაცები მან დაუპირისპირა წითელ არმიაში ათასობით დაღუპულ მებრძოლს[123] და ქართულ ემიგრაციას, რომელმაც „არ შეურაცხყო ფრანგული მასპინძლობა".

პროცესზე ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა: „ეს ქართველი გესტაპოელები არ შეიძლება მოვიხსენიოთ იმ ქართველების გვერდით, რომლებმაც პატივი სცეს თავშესაფრის უფლებას. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველთა მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა ქართული გესტაპო ისევე, როგორც ფრანგების მეხსიერებას – ფრანგული გესტაპო და მილიცია".

აქ აღარ გავაგრძელებთ გვარების ჩამოთვლასა და დეტალების დაზუსტებას. ეს გაფრთხილებაა, რომელიც სიფხიზლისაკენ მოწოდებად ჩაიბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ამ შავი ფურცლების გამოქვეყნება.

წინააღმდეგობის „პატარა ხელები"

მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა შესახებ საუბარს ვიწყებთ „რეზისტანსის" „პატარა ხელებით". ეს ადამიანები მეგობრული გრძნობითა თუ სიყვარულით მუდამ მოწოდებულნი იყვნენ, ებრძოლათ თავისუფალი საფრანგეთისათვის და დახმარებოდნენ „წინააღმდეგობის" მოძრაობას. თავმდაბალნი, დარწმუნებულნი იმაში, რომ მაინცდამაინც დიდ რამეს არ აკეთებდნენ, ისინი არასდროს არ ლაპარაკობდნენ, მათი აზრით, იმ „უმნიშვნელო" საქმეებზე, რომლებმაც ზოგი მათგანი საკონცენტრაციო ბანაკში

123. ომში დაიღუპა საქართველოდან წითელ არმიაში გაწვეული 350000 მებრძოლი.

მოახვედრა. პაკეტების მიტანა მისამართზე, რომელიც იქვე უნდა მისცემოდა დავიწყებას, გაზეთებისა თუ პროკლამაციების შენახვა, ეს ყველაფერი ხელს უწყობდა მოქმედების ქსელის გაფართოებას. ერთი შეკითხვის პასუხად, რომელმაც გააცოცხლა მათი ამაღელვებელი მოგონებები, გვიყვებიან... თუმცა მათ არ სურთ ამაზე საუბარი, რადგან ჭეშმარიტ გმირთა და მამაცთა გვერდით, რომლებმაც ბრძოლას სიცოცხლე შეალიეს, საკუთარ თავს არაფრად მიიჩნევდნენ. მაგრამ ჩვენი შეფასება სხვაგვარია: არსებობდა რეალური რისკი. ხოლო მათი სანაქებო გადაწყვეტილება მით უფრო დასაფასებელია, რომ წინასწარ არც უფიქრიათ ამ რისკის შესამლო შედეგებზე[124].

ქართველი ქეთევან ბარნოვი დაპატიმრებას გადარჩენილი „რეზისტანელების" ერთ-ერთი „პატარა ხელთაგანია." მამამისი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მაღალი თანამდებობის პირი, ბოლშევიკების რეპრესიების გამო იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა.

1924 წელს ოჯახთან ერთად იგი პარიზში დამკვიდრდა. ქეთევანი შეიყვანეს პანთეონის მუნიციპალურ სკოლაში. სწავლამ და თანასკოლელებთან ურთიერთობამ მას გაუადვილა ფრანგულ საზოგადოებაში დამკვიდრება.

1939 წელს, ომის გამოცხადებისთანავე, იგი შეეცადა სანიტრად ემუშავა, თუმცა ასაკის გამო უარი უთხრეს. 1940 წლის 11 ნოემბერს ქეთევანმა მონაწილეობა მიიღო პარიზში, ეტუალის მოედანზე (place de l'Etoile) გამართულ პატრიოტ სტუდენტთა მანიფესტაციაში. იგი იხსენებს, რომ ზევრ მათგანს ორი გრძელი ჯოხი *(ორი ჯოხი – deux gaules – ჟღერს როგორც დე გოლი – de Gaule – გ. ა.)* ეკავა, რითაც სიმბოლურად განასახიერებდნენ გენერალ დე გოლის 1940 წლის 18 ივნისის მოწოდებას წინააღმდეგობისაკენ[125].

---

124. ქვეყნის გათავისუფლების პროცესის დასაწყისისათვის „წინააღმდეგობის" აქტიურ მებრძოლთა რიგებში გაერთიანებული იყო საფრანგეთის მთელი მოსახლეობის 1 ან 2%.

125. საუბარი ქეთევან ბარნოვთან, 2004 წლის ნოემბერი.

1941 წელს ქეთევანი იწყებს სწავლას დეკორატიული ხელოვნების უმაღლეს ეროვნულ სკოლაში. ერთხელ მას სთხოვეს (თუმცა ამაზე თავად არც უფიქრია) „რაღაცის გაკეთება“ – და მყისვე დათანხმდა. ერთ დღეს, მეგობარ ჟენევიევასთან ერთად, მას მიჰქონდა „იმ ალზასელების პირადობის ყალბი მოწმობები, რომლებიც თავს არიდებდნენ გერმანელების ჯარში იძულებით გაწვევას.“ მეტროში ქალიშვილები ფრანგი საპოლიციო პატრულის პირისპირ აღმოჩნდნენ. პოლიციელები ეძებდნენ გერმანელების მიერ სამხედრო სამსახურში გაწვეულ პირებს. იმედდაკარგული გოგონები ფიქრობდნენ, როგორ აეცდინათ თავიდან გარდაუვალი ჩხრეკა.

სწორედ ამ დროს ახალგაზრდა უცნობმა პოლიციელმა, ალბათ, მოჯადოებულმა მათი სილამაზით, ან კიდევ ნაცისტებს შინაგანად დაპირისპირებულმა, თვალით მიანიშნა გვერდითა კორიდორზე. ქალიშვილები გადარჩნენ...

ერთხელაც ქეთევანს დაევალა ერთი „რეზისტანელის“ ბინაზე პროკლამაციების მიტანა. მას თან ახლდა ჟენევიევა. აქვე ვთქვათ, რომ ქეთევანი ორგანიზაციაში სწორედ ჟენევიევამ შეიყვანა. პატარა ჯგუფებად დაყოფილი და 1943 წელს ფართოდ გაფანტული ამ ორგანიზაციის სახელი ქეთევანისთვის ბოლომდე უცნობი დარჩა. დღემდე აუხსნელმა წინათგრძნობამ მას უარი ათქმევინა ასულიყო მითითებულ ბინაში. მეგობრებმა პაკეტი კონსიერჟთან დატოვეს. რამდენიმე დღის შემდეგ მათ შეიტყვეს, რომ იქ მათი თანამებრძოლისა და ჯგუფის სხვა წევრთა დასაპატიმრებლად მახე იყო დაგებული.

ქეთევანი გვესაუბრება თავისი მოკრძალებული და ერთგული თანამშრომლობის შესახებ „არდეკოს“ (*ინსტიტუტის შემოკლებული სახელწოდება – გ. ა.*) ჯგუფთან. იგი იხსენებს ერთ ანტინაცისტურ აქციას, რომელსაც დიდი ენთუზიაზმით შეუერთდა. 1942 წლის ივნისში ძალაში შევიდა გერმანელების განკარგულება ოკუპირებულ ზონაში ებრაელების მიერ დავითის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვითელი ვარსკვლავის სავალდებულო ტარების შესახებ. დამრღვევს ემუქრებოდა დიდი ჯარიმა და ინტერნირებულთა ფრანგულ ბანაკში მოხვედრა. სასწავლებლის რამდენიმე ებრაელი სტუდენტი ამ განკარგულებას არ დაემორჩილა. ზევრმა, მათ მიმართ სოლიდარულმა, არაებრაელმა სტუდენტმა ტანსაცმელზე მიიკერა წარწერა "ZAZOU" *(მეტსახელი, რომელიც II მსოფლიო ომის დროს პარიზელებმა შეარქვეს ამერიკული ჯაზით გატაცებულ და ექსტრავაგანტულად ჩაცმულ ახალგაზრდებს – გ. ა.).* ოკუპანტების წინააღმდეგ მოძრაობაში მონაწილე პროფესორებმა ახალგაზრდებს ურჩიეს შესაძლო პროვოკაციების თავიდან აცილება და მომავალში წარმატებული ბრძოლებისათვის ძალების დაზოგვა.

შეკითხვაზე, თუ რატომ აღმოჩნდა ქეთევანი ანტიჰიტლერულ ბანაკში, იგი პასუხობს: „კარგად ვიცნობდი ჰიტლერის რეჟიმს. საფრანგეთში ჩვენთან ხშირად სტუმრობდა მშობლების მეგობარი, 1918-1921 წლებში საქართველოს ელჩი გერმანიაში. თავის დროზე იგი იქ დარჩა და ომის ორომტრიალში დაიკარგა. ეს კაცი გვესაუბრებოდა გერმანიაში ებრაელებისა და ოპოზიციონერების ხვედრზე და გვაფრთხილებდა ნაცისტების ავთვისებიანი იდეოლოგიის შესახებ. და განა მარტო ჩვენ ვიცოდით ეს ყველაფერი?!"

თითქოს ამის გაგრძელებად, ქეთევანი გვიყვება ერთ საინტერესო ისტორიას: „ეს მოხდა 1937-1938 სასწავლო წელს, „კამიი სეე"-ს (Camille Cée) ლიცეუმში. ჩვენ გვყავდა გერმანელი მასწავლებელი ქალი. მოსწავლეები მას არ ვასვენებდით შეკითხვებით ჰაინრიხ ჰაინეს ნაწარმოების აკრძალვასთან დაკავშირებით. ნაცისტებმა მისი ნაწარმოების სწავლება აკრძალეს მხოლოდ იმიტომ, რომ პოეტი ებრაელი იყო. კლასში გვყავდა რამდენიმე ებრაელი ამხანაგი. ისინი უკეთ იცნობდნენ გერმანიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ეს მოსწავლეები მასწავლებელს ეკითხებოდნენ აკრძალულ ავტორთა სიაში

შეტანილი სხვა „უცნობი“ მწერლების შესახებაც. ამის გამო მასწავლებელი ისტერიკაში ვარდებოდა. ბოლოს და ბოლოს, ეს ქალი იძულებული გახდა გერმანიაში დაბრუნებულიყო.

ქეთომ ბრწყინვალედ დაასრულა სახელმწიფო სასწავლებელი. მოგვიანებით ცოლად გაჰყვა ბასკ არქიტექტორს. „საფრანგეთს ყველაფრისთვის მადლობას ვუხდი“, – ამთავრებს თხრობას ქეთევანი. ამ გულით ფრანგი ქალისთვის ნებისმიერი სხვა არჩევანი „ღალატის ტოლი“ იქნებოდა. 1941 წელს მან ახალგაზრდა ქართველი მეგობრების წინაშე მტკიცედ დაიცვა თავისი პოზიცია. მაშინ ტრაგიკულ უტოპიას ადვილად შეეძლო მიეყვანა ეს ახალგაზრდები გერმანელთა არმიაში იმ იმედით, რომ საქართველოს დაუბრუნებდნენ თავისუფლებას.

ამ ქალიშვილმა მშობლების ნათელი გონებით დანახული გზა აირჩია და მას ბოლომდე გაჰყვა.

ქეთო ჯინჭარაძე ფრანგულ „წინააღმდეგობას“ გულის კარნახით შეუერთდა. მისი ხვედრი ძალიან ჰგავს სხვა ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების შვილების ხვედრს: 1921 წელს მშობლების გადასახლება და უცხოეთში ლტოლვილთა ყოფა. თავიდან ცოლ-ქმარი ფლორენციაში მოხვდნენ. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან იქ მათ დახვდა ქეთევანის დედის ბიძა, მაშინ ჯერ კიდევ საქართველოს ელჩი გიორგი მაჩაბელი მეუღლე ნორინასთან ერთად. თავის დროზე ნორინა იყო „მშვენიერი ტრაგიკოსი“, შეყვარებული ბრწყინვალე კავკასიელ თავადზე.

ქეთევანის მამა, ალექსანდრე, წავიდა საფრანგეთში. აქ ქართული სამხედრო სასწავლებლის ყოფილი კურსანტი ჩაირიცხა ჯერ სენ-მექსანის სამხედრო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ გადავიდა ფონტენბლოს (Fontainebleau) საარტილერიო სკოლაში. ქეთო დაიბადა საფრანგეთში 1926 წელს. საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ალექსანდრე მიავლინეს აგადირში (Agadir) (მაროკო). იქ მან ოჯახიც ჩაიყვანა, თუმცა იქაური ჰაერი ასთმით დაავადებულ ბავშვს არ მოუხდა და დედა

ჩვილთან ერთად საფრანგეთში დაბრუნდა. ქეთო იზრდებოდა კლამარში (Clamart), კავშირის ქუჩაზე (rue de l'Union), რომელიც ამაღელვებელი დამთხვევის გამო, დღეს პიერ ბროსოლეტის სახელს ატარებს[126]. ამ ქუჩაზე ქეთევანი დღემდე ცხოვრობს.

აქ გაიარა მისმა მხიარულმა, მაგრამ უღარიბესმა ემიგრანტულმა ბავშვობამ. ოჯახის მთელი ავლა-დიდება შალის ძველ სამგზავრო ფუთაში ეტეოდა. ხშირად ბავშვებს ქუჩის მოვაჭრის ურიკის ქვეშ დაყრილი გადამწიფებული ხილისაგან მოხარშულ კომპოტს ასმევდნენ. მაგრამ ეს წლები გამდიდრებული იყო სათუთად დაცული კულტურით: ყოველი დღესასწაულის დამამშვენებელი მრავალხმიანი ჰანგებითა და ადრეულ ბავშვობაში ნასწავლი ცეკვებით, რომლებიც სრულდებოდა ფანდურისა და დოლის თანხლებით. ეროვნული ცეკვა „ლეკური" – გედი-ქალები დაცურავენ მეგობარი ვაჟების წრეში. სულ მალე ცეკვას უერთდებიან ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ამაყი ქართველი რაინდები.

1943 წლის ნოემბერში ქეთომ გაიცნო იქვე, კავშირის ქუჩაზე, მცხოვრები მეზობელი გი ემერი (Guy Hémery). იგი მასზე დაინიშნება. ახლოვდებოდა ომის დასასრული. მიუხედავად ამისა, გერმანელები და მილიცია უფრო გამძვინვარდნენ. ქეთოს საქმრო, სასიამოვნო და ენერგიული ახალგაზრდა, უშიშარი პატრიოტი, 40-იანი წლების დამდეგიდან ებრძოდა ოკუპანტებს. იგი პირველად ტულუზში დააპატიმრეს, აწამეს და ალბის (Albi) ციხეში დაამწყვდიეს.

22 თვის შემდეგ გი გაათავისუფლეს. განაჩენი მას თავისუფალ ზონაში გამოუტანეს. იგი დაუკავშირდა პარტიზანებს, რომლებმაც პატიმრობიდან თავდაღწეულს მოუარეს. ოდნავ

---

126. პიერ ბროსოლეტ (Pierre Brossolette) – „წინააღმდეგობის" მნიშვნელოვანი ფიგურა, ჟურნალისტი, სოციალისტი. გესტაპოს მიერ დაპატიმრებულმა, მან 1944 წლის მარტში თავი მოიკლა, რათა წამების დროს დუმილი არ დაერღვია.

მომჯობინებული გი ფარულად ჩავიდა პარიზში და შეუერთდა სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციას (Organisation Civile et Militaire – OCM), დაახლოებულს „წინააღმდეგობის“ ქრისტიან მებრძოლთა დაჯგუფებასთან. ამ ჯგუფის წევრები შედიოდნენ "პატრიოტი ახალგაზრდების გაერთიანებულ ძალებში" (Forces Unies de la Jeunesse Patriotique), რომელშიც წარმოდგენილი იყო „წინააღმდეგობის“ მოძრაობის სრული სპექტრი.

ქეთოს დაავალეს პარიზში, ვავენის (Vavin) ქუჩის ერთ სახლში, მოწყობილ სამალავში პაკეტების მოთავსება. ეს იყო არაერთხელ შემოწმებული სამალავი. თუმცა იმ დღეს ქეთევანი ეჭვებმა შეიპყრო. გონებაში კინოკადრებივით გაიელვა განვლილმა ამბებმა. თუმცა მან მათ შესახებ ცოტა რამ იცოდა: „უთუოდ საფრთხეს მარიდებდნენ", – ფიქრობს იგი დღეს[127], მაგრამ ის კი ახსოვს, რომ გი ემერის ჯგუფი დაკავშირებული იყო Intelligence Service-თან *(ინგლისის სახელმწიფოს სპეცსამსახურების ერთობლიობა – გ. ა.)* ლონდონში, სავარაუდოდ, ბაკმეისტერის (Buckmaster)[128] ქსელის მეშვეობით.

პარიზის განთავისუფლებისათვის ბრძოლების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გი ქეთოს ტოვებს და მიდის პარიზში, სადაც უნდა შეხვდეს ამხანაგებს. შეხვედრა დანიშნულია პორტ მაიოსთან *(Porte Maillot – პარიზის უბანი - გ. ა.)*, დღის 12 საათზე. აქ მათ დახვდა ტენტით გადახურული სამხედრო მანქანები. ყველანი დააკავეს. ამის შემდეგ ისინი აღარავის უნახავს. მხოლოდ ერთმა ქალმა მოახერხა გაქცევა და მოყვა იმ საშინელი ტრაგედიის დეტალები. გი დე მარშერე (Guy de Marcheret), რომელიც თავს „ინტელიჯენტ სერვისის“ აგენტ „კაპიტან ჯეკად“ ასაღებდა, სინამდვილეში გესტაპოსთან ყოფილა

---

127. საუბარი ქეთო ჯინჭარაძესთან, 2004 წლის ნოემბერი.

128. მორის ბაკმეისტერი – 1939-1940 წლებში საფრანგეთში ინგლისის საექსპედიციო კორპუსის დაზვერვის ოფიცერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებული. მან ახალგაზდა „რეზისტანელები“ ფრიდრიკ ბერჟეს (Friedrick Berger) ხალხს ჩააბარა[129].

დაკავებულები თავდაპირველად დაანაწილეს გესტაპოს დაკითხვებისა და წამების ცენტრებში: სოსეს, არმაიეს (d'Armaillé), ლერუს (Leroux) ქუჩებსა და ფოშის პროსპექტზე (avenue Foch). შემდეგ კი ეს 16-იდან 25 წლამდე ასაკის 35 ახალგაზრდა მიიყვანეს ბულონის ტყეში, ჩანჩქერთან. „1944 წლის 17 აგვისტოს ღამეს მათი ხელები სამუდამოდ ერთმანეთს ჩაჭიდებული დარჩა“[130]. გერმანელებმა ისინი მხეცურად მოკლეს ქლეტის უტყვი მოწმეების, ასწლიანი ხეების, წინ. ამას ადასტურებს წარწერა: „გამვლელო, პატივი მიაგე ამ მუხას, რომელსაც შემორჩა ტყვიების კვალი. ამ ტყვიებით დახოცეს ჩვენი წამებულები“.

მტანჯველ მოლოდინში ქეთო საქმროს დაბრუნების იმედს არ კარგავდა.

18 აგვისტოს გის მშობლებმა, დიდმა პატრიოტებმა, რომელთა მეორე ვაჟი ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე იყო, მიაღწიეს მოკლული შვილის ცხედრის დაბრუნებას... გლოვის ღამე და გამომშვიდობება 21 წლის ახალგაზრდასთან, რომლის სახესა და სხეულზე გადატანილი წამების კვალი იყო აღბეჭდილი.

რამდენად შესაძლებელია ამგვარი განსაცდელის გადატანის შემდეგ გონს მოსვლა? ერთადერთი ნუგეშია იმ ადამიანის ლამაზი სიყვარულის მოგონება, ვინც „ბრძოლაში პოვა თავისუფლება“[131]. იმ ბრძოლაში ხომ ქეთოც იყო ჩაბმული. ამ განცდებს ღრმა სევდა მოჰყვა. მისი მდგომარეობით ძლიერ შეწუხებულმა გენერალმა კენიგმა ქალიშვილი 1945 წლის დასაწყისში ალჟირში წაიყვანა. იქ

---

129. მარშერე დახვრიტეს 1949 წელს მონრუჟის ციხეში. *Les Comtesses de la Gestapo,* 2006.
130. Louis Morau. მოხსენება წაკითხული ბულონის ტყის ჩანჩქერის 35 მოწამის მკვლელობის მე-20 წლისთავზე. Comité parisien de la Libération. Conseil général de la Seine, 1964
131. Louis Morau, *op. cit.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყვეთა ბანაკიდან გათავისუფლებული მამის გვერდით ყოფნამ ქეთოს ტანჯვა ერთგვარად შეუმსუბუქა.

უდავოა, რომ ქეთოს მონაწილეობა „წინააღმდეგობაში" განაპირობა მისმა სიყვარულმა. მაგრამ მისი გადაწყვეტილება მარტო სიყვარულით არ აიხსნება. კაპიტან ჯინჭარაძის ქალიშვილისთვის სრულიად მიუღებელი იყო გერმანელებთან თანამშრომლობა[132]. 18 წლის ქეთომ ერთგულად გაითავისა გი ემერის საბრძოლო ცხოვრება. ცხოვრება იმ ადამიანისა, რომელიც ძლიერ უყვარდა და ტრაგიკულად დაკარგა. ამ ქალიშვილმა პირნათლად შეასრულა ის, რაც თავის მოვალეობად მიაჩნდა: მოიხადა ზნეობრივი ვალი საფრანგეთის წინაშე.

პარიზის FFI

ვაგრძელებთ ჩვენ საუბარს და ამჯერად საჭიროდ მიგვაჩნია დავასახელოთ წინააღმდეგობის მოძრაობის სხვა, ნაკლებად ცნობილი, სახეები.

ალექსანდრე (ალიოშა) მელივა მეუღლესთან ერთად შეუერთდა „საფრანგეთის შინაგანი სამხედრო ძალების" (FFI) პარიზის ჯგუფს. მისი ცოლი იყო მევავშირე, ერთ-ერთი იმ ველოსიპედისტთაგანი, რომლებიც ძალიან ეხმარებოდნენ „წინააღმდეგობას". ალექსანდრე ბოლშევიკების მტერი იყო. მიუხედავად ამისა, იგი არ დაეთანხმა გერმანელთა არმიაში საქართველოს გათავისუფლების ბრიგადის შექმნის იდეას, იბრძოდა კომუნისტ „რეზისტანელების" გვერდით, ხოლო როლ-ტანგი მის მეგობრად რჩებოდა[133]. FFI-ის პარიზის გათავისუფლების მე-7

132. საუბარი ქეთო ჯინჭარაძესთან, 2004 წლის ნოემბერი.

133. როლ-ტანგი (Rol-Tanguy; Henri Tanguy) 1908-2002 – FFI-ის რეგიონალური უფროსი, „რეზისტანსის" მეთაური პარიზის გათავისუფლების დროს. გენერალ ლეკლერკთან (Leclerc) ერთად ხელი მოაწერა გერმანელთა კაპიტულაციის აქტზე.

არონდისმანის კომიტეტმა ალექსანდრე მელივა დააჯილდოვა წარჩინების ნიშნით (n°43923) „1944 წლის აგვისტოს შეიარაღებულ აჯანყებასა და პარიზის გათავისუფლების ბრძოლებში მონაწილეობისათვის".

გიორგი (გრიგოლ) ლომაძე – 1939 წლიდან საფრანგეთის არმიის მოხალისე, პარიზის გათავისუფლებისათვის მებრძოლი. იგი 1924 წელს თბილისში ბოლშევიკთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეროვნული აჯანყების ერთ-ერთი დღემდე ცოცხალი მონაწილეთაგანია. თავმდაბალი და მორიდებული ადამიანი, „თითქმის არც საუბრობს თავის საბრძოლო წარსულზე", – ამბობს მისი ცოლი[134], რომელმაც კარგად იცის, თუ როგორ ეხმარებოდა იგი როლ-ტანგის. გიორგი თარჯიმნობას უწევდა ვერმახტიდან გამოქცეულ ქართველ ტყვეებს, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ „წინააღმდეგობასთან" შეერთება[135].

ამ ქართველებმა პარიზის გათავისუფლების ჟამს ხმამაღლა განაცხადეს: „ჩვენ აქ ვდგავართ".

ქართველი დაზვერვის ქსელში

მესამე რაიხთან საბრძოლველად და მის გასანადგურებლად მოკავშირეთა ძალებს სჭირდებოდათ ცნობები გერმანელთა ძალების შესახებ. ბრძოლის ეს განსაკუთრებული ფორმა ხორციელდებოდა დაზვერვის ქსელის მეშვეობით. ამ ქსელში ჩვენ ერთი ლტოლვილი ქართველის კვალს მივაგენით. „წინააღმდეგობის" მოხალისე მებრძოლის პირადობის მოწმობა" გვამცნობს, რომ გიორგი გვაზავა „დაიბადა თბილისში, 1916 წლის 27 აპრილს".

---

134. საუბარი ქალბატონ ლომაძესთან. 2005 წლის მაისი.

135. იხ. მე-6 თავი.

გიორგის მამამ, ადვოკატმა და მწერალმა, 1905 წელს დააფუძნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. იგი იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და 1918 წელს, საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, მონაწილეობდა კონსტიტუციის შედგენაში. დედამისი, ნინო ჩერქეზი, შთამომავალი იმ ოჯახისა, რომელიც მე-12 საუკუნეში მანავის ციხე-სიმაგრეს ფლობდა და დედაქალაქს სპარსელთა შემოსევებისაგან იცავდა.

მათი შვილი გიორგი (ჯამლეთი) გაიზარდა ემიგრაციაში. თავისუფლების გარემოში, სულ მალე მან საფრანგეთი მეორე სამშობლოდ აღიარა, ერთგულებითა და თავდადებით ემსახურა მას 1939-1945 წლებში. იმ უმძიმეს პერიოდში მას ეჭვიც არ შეჰპარვია თავისი არჩევანის სისწორეში. ომის დაწყებისთანავე იგი, როგორც კურსანტი, გაიწვიეს სამხედრო-საჰაერო ძალებში. გიორგი შეშფოთებულია იმ დროის მოახლოებით, როდესაც, ლეონ ბლიუმის გამოთქმით, „ვერმახტის ტანკები დაქსაქსავენ ფრანგულ არმიას". უმცროსი ლეიტენანტის წოდებით იგი იბრძვის ლეიტენენტ ჟან-როჟე კაუფმანის ასეულში. ამ ასეულმა უკანდახევის დროს ბრძოლებით მიაღწია პუატიეს (Poitiers) სამხრეთით მდებარე ქალაქ შარუს" (Charroux)[136]. დემობილიზაციის შემდეგ იგი უბრუნდება სამართლის შესწავლას, თუმცა ვერაფრით ეგუება საფრანგეთის დამარცხებას და ეძებს ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობას. მისი მეგობრები, „კაუფმანელები", ფრანგული „რეზისტანსის" აქტიური ლიდერები[137], არწმუნებენ მას, შეუერთდეს სახელოვანი ჯგუფის „ნოეს კიდობნის ალიანსის" (Allience dit L'Arche de Noé) იატაკქვეშეთში მოქმედ მებრძოლთა რიგებს.

---

136. ჟ.რ.კაუფნანის მიერ 1943 წლის 19 ოქტომბერს ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც მოგვაწოდა გვაზავას ოჯახმა.

137. გ. გვაზავას პირადი წერილი ამერიკელი მეგობრისადმი. 1950.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1942 წლის ივნისში გიორგი გვაზავა ხდება „საფრანგეთის მეომარი ძალების“ წევრი (Forces Françaises Combattantes - FFC). მისი პირადი ნომერია 68654.

გენერალ დე გოლის დახმარებით დაზვერვის ეს ქსელი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ბრიტანულ „ინტელიჯენტ სერვისს“. ქსელი ჩამოყალიბდა 1940 წლის ზაფხულში მაიორ ლუსტონო-ლაკოს (Loustaunau-Lacau) ინიციატივით. მისმა მოადგილემ, ქალბატონმა მარი-მადლენ ფურკადმა (Marie-Madeleine Fourcade), სამხედრო სამსახური დაიწყო მაშინ, როდესაც იხილა „1940 წლის ივნისის შავებით შემოსილი პარიზი“[138]. 1941 წლის ივნისში დაპატიმრებული მეთაურის ადგილი მადამ ფურკადმა დაიკავა.

ალიანსის მთავარი ამოცანა იყო ინგლისელებისათვის მოწინააღმდეგის შესახებ რადიოთი ინფორმაციის მიწოდება. ინფორმაცია მოიცავდა სამხედრო ბანაკების, აეროდრომების, წყალქვეშა ნავების ბაზების დისლოკაციის ადგილების ჩვენებას, იარაღის, ჯარებისა და სამხედრო კოლონების მოძრაობის მიმართულების მინიშნებას. გარდა ამისა, ქსელი უზრუნველყოფდა ურთულეს საველე პირობებში Lysander-ის ტიპის თვითმფრინავების მიღება-გაცილებას. თვითმფრინავებს პარტიზანებისთვის მოჰქონდათ საბრძოლო მასალები, ფული და ლონდონიდან სამხედრო სპეციალისტები ჩამოჰყავდათ. ქსელი არაერთხელ იქნა დარბეული. მისი ყოველი მეათე წევრი დახვრიტეს. მაგრამ იგი ყოველთვის ცოცხლდებოდა და მოქმედებდა ქვეყნის გათავისუფლების დღემდე. დიდი იყო გაღებული მსხვერპლი: მტერთან ბრძოლას შეეწირა 438 ქალი და მამაკაცი.

ეს ხვედრი ჟან-როჟეს მამამ, გვაზავას მეგობარმა ედუარდ კაუფმანმაც, გაიზიარა. კადრის ოფიცერი, დაზავების დროს იყო დორდონის (Dordogne) ზონის უფროსი. მარი-მადლენ ფურკადი

138. M.M.Fourcade, *L'Arche de Noé, réseau "Alliance", 1940-45.* Fayard, 1968.

ქსელის ყველა წევრს „ნათლავდა“ იმ მწერისა თუ ცხოველის სახელით, რომელიც მის ხასიათს ან ფიზიკურ მონაცემებს მიესადაგებოდა. ედუარდ კაუფმანის ფსევდონიმი იყო „კრიკე“ (Criquet).

საფრანგეთში დაპატიმრებული ვიცე-პოლკოვნიკი კაუფმანი დახვრიტეს ბრისგაუში (Brisgau), ფრიბურგის (Fribourg) ციხე-სიმაგრეში 1944 წლის 28 ნოემბერს. დააპატიმრეს და რავენსბრიუკის (Ravensbrück) ციხეში დაამწყვდიეს მისი ცოლიც, იმავე ქსელის წევრი, მარი-ტერეზი, თუმცა იგი სიკვდილს გადაურჩა. მარი-ტერეზმა დაამოწმა: „გიორგი გვაზავა მუდმივად იყო ქსელის სამსახურში. მას ჰქონდა მიბარებული იარაღი, რომელსაც მალავდა ოკუპაციის დროს. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩემს ვაჟთან, ჟან-როჟესთან, რომელიც იმავე ქსელის წევრი იყო“[139].

ასეთ დამხმარე აქციებს ემატება გვაზავას მონაწილეობა 1944 წლის აპრილში განხორციელებულ ვიგჟერის ოპერაციაში. მაიორი ჰ. რ. ვიგჟერი (H.R.Wiggers) 90 გერმანული ქარხნის კოორდინატორი იყო. ამ ქარხნებში ამზადებდნენ ფაუ-1 და ფაუ-2 რაკეტების ნაწილებს. იმ დროს გვაზავას ჰქონდა პატარა მექანიკური ქარხანა. მას დაევალა ვიგჟერთან დაახლოება. პოლკოვნიკ რემის (Rémy) დახმარებით მან მოხერხა ვიგჟერის გადაცემა „ინტელიჯენტ სერვისისთვის“. მაიორი დააპატიმრეს, ცნეს სამხედრო ტყვედ "n° A.946395 Powcamp 9. G.B." *(სამხედრო ტყვეთა ბანაკი 9. დიდი ბრიტანეთი – გ. ა.)*[140] და გადასცეს ამერიკელების საიდუმლო სამსახურს. ამერიკელებმა მაღალი შეფასება მისცეს „ალიანსის ქსელის წევრის დახმარებას მტერთან ბრძოლაში “[141].

139. მარი-ტერეზ კაუფმანი, 21 იანვარი 1948 წ. პარიზი.
140. მარი-მადლენ ფურკადი, 1977 წლის თებერვალი.
141. G-2 სადაზვერვო მიმართულების უფროსის, პოლკოვნიკ რალფ ჰოენშტაინის (Ralph Hauenstein), პატაკი, ნიუ-იორკი 12 ივნისი 1945 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გათავისუფლების“ (la Libération) შემდეგ გიორგი გვაზავა თავის მეგობარ ჟან-როჟესთან ერთად პოლკოვნიკ რემის[142] ფრანგული სპეცსამსახურების მიერ მივლენილია როშფორ ან ტერის პარტიზანთა რაზმში (le Corps Franc de Rochefort en-Terre), რომლის მეთაური კაპიტანი დე როანი (de Rohan) იყო. 1944 წლის სექტემბრიდან 1945 წლის იანვრამდე გიორგი ასრულებდა „ამერიკელთა 94-ე დივიზიონთან მეკავშირე ოფიცრის ფუნქციებს“[143].

სენ-ნაზერის „ჯიბეში“(la poche de Saint-Nazaire) 20000 გერმანელს დატყვევებული ჰყავდა 200000-მდე ფრანგი. აქ გერმანელებს 1945 წლის 7 მაისამდე დაკავებული ჰქონდათ წყალქვეშა ნავების მეტად მნიშვნელოვანი ბაზა. ტერიტორიაზე, რომელიც ფარავდა მორბიანისა (Morbihan) და ლუარა-ატლანტიკის (la Loire-Atlantique) დეპარტამენტების დიდ ნაწილს, ალყაში მოექცა როშ ბერნარის (Roche Bernard) „საფრანგეთის შინაგანი სამხედრო ძალების“ (FFI) ნაწილი. მას მხარს უჭერდა ადგილობრივი ჟანდარმერია. 1943 წლიდან რაზმი „წინააღმდეგობის“ მოძრაობას შეუერთდა. იგი დაუკავშირდა როანის პარტიზანთა რაზმს (le Corps Franc de Rohan), რომელიც მოკავშირეების მიერ დაკავებულ მდინარე ვილენის (la Vilaine) მარჯვენა სანაპიროზე პატრულის ფუნქციებს ასრულებდა. რაზმის წევრები გადასცემდნენ ცნობებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელთა მოსალოდნელი მზაკვრობის შესახებ, იფარებდნენ ვერმახტიდან გამოქცეულ დეზერტირებს, რომელთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. დეზერტირები გადაჰყავდათ მდინარის მეორე ნაპირზე, რაც, ბუნებრივია, დაკავშირებული იყო ძლიერ საფრთხესთან.

---

142. პოლკოვნიკი რემი (Rémy) (Gilbert Renault) – როიალისტი და კათოლიკე. დე გოლმა იგი დანიშნა პოლკოვნიკ პასის (Passy) დაზვერვისა და მოქმედების ცენტრალური ბიუროს (BCRA) უფროსად ლონდონში. *Rémy, l'agent secret n°1 de la France libre.* Guy Perrier, Perrin, 2004.

143. მოწმობა, ხელმოწერილი თვითმხილველის, ჟოსელინის (Josselin) მერის, ჟ. დე როან შაბოს (J. De Rohan Chabot) მიერ, 1969 წლის 25 ნოემბერი.

ჟ.რ. კაუფმანი იხსენებს, რომ „უფრო სწრაფი სატელეფონო კავშირის დასამყარებლად საჭირო გახდა მდინარე ვილენზე გატარებული მაღალი მაბვის ხაზის ქვეშ კაბელის გაყვანა. ჩემი მეგობარი გვაზავა, შეიარაღებული ავტომატით და ხელყუმბარებით, ჩაჯდა ნავში და, როგორც გაწაფულმა ტექნიკოსმა, FFI-ის მებრძოლთა დახმარებით კაბელი მდინარის ფსკერზე გაატარა.

სენ ნაზერის „ჯიბეში" საომარი მოქმედებები ჭიანურდებოდა. მსხვერპლი იზრდებოდა. ამ დროს მთელი საფრანგეთი, ალზასის გარდა, უკვე გათავისუფლებული იყო. კაპიტანი როანი შეეცადა გერმანელების წინააღმდეგობისათვის „წერტილი დაესვა ერთგვარი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით"[144]. როანმა შეერთებული შტატების 94-ე შატობრიანის დივიზიონის სარდლობასთან შეთანხმებით ოპერაციისათვის შეარჩია გიორგი გვაზავა. იგი სამხედრო საქმის გარდა გერმანულ ენასაც ფლობდა. ამერიკელების სატანკო დივიზიის სარდლობისაგან მან მიიღო დაპირება, რომ გერმანელ ტყვეებს მოეპყრობოდნენ საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და ორ ამერიკელ პარლამენტიორთან ერთად 1944 წლის 6 ოქტომბერს ავიდა კატარღაზე, რათა გადაეჭრა მდინარე ვილენი და გერმანელებს შეხვედროდა.

წყლის მიქცევის გამო მდინარის დონე მეტად დაბალი იყო. ნავი და თეთრი ბაირაღი ყლარტის ფონზე გამუქდა და ცუდად ჩანდა. გერმანელებმა კატარღას ცეცხლი გაუხსნეს. ამ უწესრიგო სროლის დროს გვაზავამ მოახერხა ნავის შეყვანა „მხსნელ" ლელქაშში. ამერიკელები გადარჩნენ, გიორგი კი სახეში დაიჭრა. როცა ყველაფერი დაწყნარდა, თეთრი დროშა აღიმართა და ჯგუფი მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ნაპირზე, „ჯიბის" შუაგულში, აღმოჩნდა.

---

144. ლეიტენანტ ჟ.რ. კაუფმანის მოხსენება: *Le Front de la Vilaine: la tentative du duc de Rohan pour libérer Saint-Nazaire.* Nouvelles éditions latines, Paris,1987.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიდან მოლაპარაკება თითქოს კარგად წარიმართა. გერმანელებზე ჰერცოგ როანის სახელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თუმცა სულ მალე გერმანელი ოფიცრები თავდაჯერებულები გახდნენ: თურმე ისინი ელიან „რევოლუციურ იარაღს, რომელსაც შეუძლია ერთ დღეში უზრუნველყოს მათი გამარჯვება"[145]. გარდა ამისა, მათ კატეგორიული უარი განაცხადეს კაპიტულაციაზე, რომლის შემდეგაც პარტიზანების, კომუნისტებისა და ებრაელების ხელში აღმოჩნდებოდნენ.

გერმანელმა პოლკოვნიკმა ოსკარ რიტმაიერმა (Oscar Ritmayer) შეწყვიტა მოლაპარაკება და განაცხადა, რომ იბრძოლებს, სანამ ბერლინი ომობს. იმედგაცრუებული პარლამენტიორები როშფორ ან ტერში დაბრუნდნენ. სენ ნაზერის გათავისუფლებას კიდევ შვიდი თვე დასჭირდა.

გიორგი გვაზავა ფრიად შეაწუხა რიტმაიერის მუქარამ სამხედრო ფორმის გარეშე ტყვედ ჩავარდნილ პარტიზანთა დახვრეტის შესახებ. მან თხოვნით მიმართა ამერიკელთა საინტენდანტო სამსახურს, მიიღო „ლურჯი ფერის ქსოვილის 170 რულონი" და ვილენის ფრონტის „რეზისტანელებისათვის" შეაკერვინა ფრანგული რეგულარული ჯარის უნიფორმები.

გიორგი გვაზავას უჩვეულო და ზოგჯერ გამოუცნობი მოქმედება შეიძლება აიხსნას საბრძოლო დავალებების საიდუმლო ხასიათით. მისი მამაცობა აღიარებულია „წინააღმდეგობის" მებრძოლთა და მოკავშირეთა ოფიცრების მიერ. ომის დამთავრებისა და ნატურალიზაციის მიღების შემდეგ საფრანგეთი მისთვის გახდა ოფიციალური სამშობლო, რომელიც არასდროს დაუტოვებია, თუ არ ჩავთვლით 1946-1947 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის ხანმოკლე პერიოდს. მხატვრობით გატაცებული, იგი მუდმივად ცხოვრობს პარიზში.

---

145. 1944 წელს გერმანიაში ორჯერ განხორციელდა ატომური ბომბის გამოცდა. საბჭოთა არქივების დოკუმენტები. ციტირებულია R.Karlsch-ის *Hitlers Bombe*- ში, Le Monde,16-17. 07. 2005.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-20 საუკუნის „რაინდი“[146]

სერგი წულაძე, ამ ქვეყნიდან ძალიან ადრე წასული, ისტორიაში შევიდა როგორც ნაცისტების ბარბაროსობისადმი დამოურჩილებელი ბანაკის წევრი. ჩვენ მას ვესაუბრებოდით არა იმისთვის, რომ გვესმინა „წინააღმდეგობის“ ყოფილი მებრძოლის ტრაბახი, არამედ, რომ გავცნობოდით გასული საუკუნის 40-იანი წლების ამბებს. განცდილს იგი გვიყვებოდა თბილი და, იმავდროულად, თავისებური ირონიული ინტონაციით. მის მონათხრობს ჩვენ დავუმატეთ მისი ჯერ კიდევ ცოცხალი თანამებრძოლების, ოჯახის წევრებისა და მეგობრების მიერ მოწოდებული ცნობები.

სერგი დაიბადა 1916 წელს დასავლეთ საქართველოში, გურიაში, „მოქეიფეთა და პოლიტიკოსთა“ მხარეში. 1921 წელს მისი მშობლები, ვასილ (ვასო) წულაძე და მარგარიტა, სამ შვილთან: სერგისთან, თამარსა და ნინოსთან ერთად, იძულებულნი არიან დატოვონ სამშობლო. სერგი ხუთი წლისაა. ამ ასაკიდან ადამიანს უკვე მოჰყვება მოგონებები. ამ მოგონებებში ცოცხლდება წარსულის სურნელი, ხმები, ფერები. დედაენა კი უდიდესი ემოციური დატვირთვით სამუდამოდ დაამკვიდრებს მეხსიერებაში ჭეშმარიტ ღირებულებებს. მშობლიური კუთხის ფოტოები, ვერცხლის რამდენიმე იშვიათი ნივთი, მარგარიტას ნათლობის ჯვარი, – ნაჩქარევი გამგზავრების დროს ბანკში დაგირავებას გადარჩენილი, ინახავენ ხსოვნას, რომელიც დასადგურებულია ოჯახურ საუბრებში: „გენაცვალე, ჩვენში ხილი ისეთი ტკბილია, რომ ჭამის შემდეგ უსათუოდ ჭიქა წყალი უნდა დააყოლო“; ტალავერი, თბილისის პაპანაქებას რომ აგრილებდა და სინანულით ნათქვამი: „ჩვენს აივანზე მუსაიფს რა

146. ეს ეპიტეთი მყისიერად შევარჩიეთ, როგორც კი თვალი გადავავლეთ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე წულაძისეულ თარგმანს. Gallimard, 1964. თარგმანი აღინიშნა ფრანგული აკადემიის პრემიით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯობდა". რწმენა, რომ დამოუკიდებლობასთან და თანამედროვე საზოგადოების პროგრესთან ერთად უსათუოდ აღორძინდება სათაყვანებელი საქართველოს მველი დიდება.

ქალიშვილების ლამაზი შავი ნაწნავები, მამაკაცთა ხმამაღალი სიცილი, ცოლების სიკოხტავე და კდემამოსილება, შემორჩენილი პატრიარქალური კეთილმოსურნეობა მუდამ ცოცხლობდა ემიგრანტების საუბრებში.

გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები აცოცხლებდნენ ზღაპრულ და მაცდუნებელ თქმულებებს. მოგვიანებით, ომის შემდეგ, მოულოდნელად გამოჩნდნენ „ჩიტებზე საბჭოთა მონადირეები". ისინი ამ თქმულებებს სატყუარად იყენებდნენ. უდიდესი ძალა ჰქონდა დედის მიერ ბავშვობიდან შთაგონებული დაკარგული სამშობლოს სიყვარულსა და იქ დაბრუნების სურვილს.

წულაძეების ოჯახი, როგორც ყველა პოლიტიკური ლტოლვილი, თავდაპირველად კონსტანტინოპოლში დამკვიდრდა. აქ ის ხუთი წლით „შეყოვნდა".[147] ევროპაში ისინი გაემგზავრნენ მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე გაუცრუვდათ ბოლშევიკების უღლისაგან საქართველოს გათავისუფლების იმედი.

სერგის მამა, სოციალისტთა პარტიის ფუნქციონერი, მენშევიკების მთავრობაში ერთ-ერთი სამინისტროს თანამშრომელი იყო. სხვა ლტოლვილი მინისტრების მსგავსად, ისიც არ კარგავდა ბრძოლის გაგრძელების იმედს. პარიზის პატარა ბინაში იგი ხვდებოდა ბოლშევიკების დევნას გადარჩენილ ქართველებს. „ბავშვებმა, – იგონებს თამარი, – ადრევე ვიწვნიეთ და განვიცადეთ რეპრესიების სიმწარე, რომელსაც ამლიერებდა დედის ცრემლები და მუდამ განრისხებული მამა". 1924 წლის დიდი ეროვნული აჯანყების დაწყებისთანავე ვასო უკავშირდება ამბოხებულებს.

147. საუბარი სერგი წულაძის დასთან, თამარ ტარასაშვილთან. მისი ცნობები ძმის ბავშვობის და სიჭაბუკის წლებზე ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენთვის (2004 წლის ნოემბერი - 2006 წლის სექტემბერი). თამარის მოგონებები მთლიანად დაადასტურა მისმა უმცროსმა დამ, ნინუკამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად სადამსჯელო ოპერაციებისა, ისინი შეუპოვრად იბრძვიან. საქართველოდან იგი ღებულობს დაშიფრულ ცნობებს და პარიზში, ჟორდანიასთან, აგზავნის.

გულის სიღრმეში საყოველთაო აჯანყებას იგი ეჭვის თვალით უყურებდა. მიაჩნდა, რომ აჯანყების დაწყება შეცდომა იყო ძალების აშკარა უთანასწორობის გამო. აჯანყების მონაწილე იყო თამარის მომავალი ქმარი სერგო ტარასაშვილი. დაპატიმრებას და სიკვდილს გადარჩენილმა სერგომ მოახერხა პარიზში ჩასვლა. ვასო წულაძე თურქეთში 1928 წლამდე დარჩა. საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებდა საბჭოთა რესპუბლიკებიდან გამოქცეულ პირთა თურქეთიდან გაძევებას. ვასო იძულებული გახდა დაეტოვებინა თურქეთი და საბოლოოდ გადასახლებულიყო საფრანგეთში.

კონსტანტინოპოლში სერგი და მისი დები ფრანგულ ატმოსფეროში აღმოჩნდნენ. ისინი შეიფარეს ქართველ კათოლიკე დედათა მონასტერში. მონასტრის წინამძღვარი ლურდის ღვთისმშობლის (Notre Dame de Lourdes) ტაძრის მღვდელი იყო.

მისი უშუალო მეთვალყურეობით ბავშვებს უღვივებდნენ ფრანგული კულტურის სიყვარულს. რაც შეეხება სერგის, მან წმინდა ჟანა დ'არკის სკოლაში (l'école Sainte Jeanne d'Arc), რომელსაც ფრანგი მამები პატრონობდნენ, შეისწავლა ფრანგული ენა.

1924 წლის აპრილში ქემალ ათათურქმა თურქეთი საერო სახელმწიფოდ გამოაცხადა. ამას მოყვა ქვეყანაში უცხოური რელიგიური სკოლების დახურვა. ოჯახმა გადაწყვიტა პარიზში წასვლა მამის გარეშე. მარგარიტა წულაძე ბავშვებთან ერთად მარსელში მიმავალი გემის გემბანზე მოკალათდა. ეს იყო ერთადერთი თავისუფალი ადგილი ლტოლვილებით გადაჭედილ გემზე.

პარიზში მათ დახვდნენ ადრე ჩასული სოციალისტი მეგობრები. მათ შორის, სილვესტრ (სილიბისტრო) ჯიბლაძე,

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი და 1905 წლის რევოლუციისდროინდელი ცნობილი ორატორი. მათთან ერთად წულაძეებიც აფრთოვანდებიან ფრანგული ყოფის „სურნელოვანი და გემრიელი საოცრებით": რძიან ყავაში ჩაწებული ცხელი კრუასანებით.

ამიერიდან სერგი ერთდროულად იცხოვრებს ორ სამყაროში. ერთნი - მისი ფრანგი მეგობრებია, მეორე კი – ქართველობა, რაც მჭიდროდ აკავშირებს კოლონიასთან. მეგობრები მას ხშირად ეპატიჟებიან, წულაძეების გარემოცვა კი პოლიტიკურად მოძღვრავს. „როდესაც დედა სამუშაოდ იყო წასული, – გვიყვება თამარი, – ჩვენ გვივლიდნენ მამის მეგობრები, პარტიული ინტელექტუალები ან ყოფილი მინისტრები". ეს უცნაური ძიძები ღრმად ჩაიბეჭდნენ ბავშვების გონებაში!

ემიგრანტთა ერთი ნაწილი პარიზის სამხრეთ რაიონში დასახლდა. წულაძეები სოში (Sceaux) ცხოვრობდნენ. მარგარიტამ პარიზში მოახერხა სამკერვალო ატელიეს გახსნა. „სერგი ყოველნაირად ეხმარებოდა დედას. მუდამ მის გვერდით ტრიალებდა. ხშირად კი, როდესაც პარიზში რჩებოდა, ატელიეში, მაგიდაზე ეძინა". თავიდან იგი მონთლერის (Montlhéry) პანსიონში სწავლობდა. შემდეგ ლაკანალის (Lakanal) ლიცეუმში. სერგის ძალიან ახარებდა ის, რომ სასწავლებლის ყოველ კლასში „სულ ცოტა ერთი ქართველი მაინც იყო"[148]. თავად იგი ძალიან პოპულარულია: ადვილად უამხანაგდება თანატოლებს. მალე მას აღიარებენ საუკეთესო ტანმოვარჯიშედ და ამხანაგად. ეს უკანასკნელი იყო ის ერთადერთი ჯილდო, რომლის მუდმივი მფლობელიც იგი იყო. მოგვიანებით სერგი გახდება ნახევრად პროფესიონალი ფეხბურთელი. ლიცეუმში იგი ერთ გუნდში თამაშობდა ჟაკ შაბან-დელმასთან *(Jacques Chaban-Delmas - ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე – გ. ა.)* ერთად.

---

148. პიერ რენოდელმა შეძლო ქართველების გათავისუფლება სწავლის ქირისაგან.

არაჩვეულებრივ მოსწავლეს ახასიათებდა გონებამახვილობა, ფიცხი ტემპერამენტი. ბუნებით მეამბოხე – იგი ყოველთვის ერიდებოდა უდისციპლინობას. მაგრამ ერთ პროფესორზე, რომელმაც თავი მოაბეზრა, მან სატირული პოემა დაწერა. ამის გამო სასწავლებლიდან გარიცხული, სწავლას განაგრძობს ჯერ ბიუფონის ლიცეუმში (lycée Buffon), ხოლო მოგვიანებით, როდესაც ოჯახი პარიზში, ლორისტონის ქუჩის n° 28-ში დასახლდება, იგი კონდორსეს (Condorcet) მოსწავლე გახდება.

„რეზისტანსის" რიგებში ყოფნის დროს, შინ დაბრუნებისას, იგი გადიოდა თავისი ქუჩის N° 93 სახლთან, რომელშიც განთავსებული იყო „ფრანგული გესტაპო". მის წინ გავლისას სერგის ჟრუანტელი უვლიდა. მეტად თავისებურმა მოწაფემ, მან 1935 წელს პირველსავე ცდაზე ჩააბარა საბაკალავრო გამოცდები. სორბონში (Sorbonne) იგი სწავლობს ლიტერატურას, ეუფლება ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას. ბოლოს მედიცინით ინტერესდება. 1950 წელს სერგიმ დაიცვა დისერტაცია და მთლიანად გადაერთო პიროვნების ფსიქოპათოლოგიის პრობლემების კვლევაზე.

სწავლის წლებში იგი გატაცებული იყო პოეზიითაც, განსაკუთრებით სიურეალიზმით. მას ხშირად ნახავდით ანდრე ბრეტონის (André Breton) წრეში, რომელსაც სიურეალიზმის „პაპმა" „კაფეში შეკრებები" უწოდა. თამარი იხსენებს, რომ სერგიმ მას გააცნო ჯგუფში გაერთიანებული პოეტები. იგი დაუახლოვდა მორის ნადოსაც (Maurice Nadeau), „სიურეალიზმის ისტორიის" მომავალ ავტორსა და „ლიტერატურული თხუთმეტეულის" ხელმძღვანელს. 1937 წელს ნადომ გაიზიარა პიროვნული და კოლექტიური რევოლუციის ტროცკისეული იდეა: „შევცვალოთ სამყარო, შევცვალოთ ცხოვრება!"[149] და დაიწყო სტალინის აქტიური კრიტიკა.

149. Maurice Nadeau, *Graces soient rendues*, Albin Michel, 1990.

დადგა თუ არა სერგი წულაძე იმ პოზიციაზე, რომელიც აკავშირებდა მარქსიზმსა და ლიტერატურულ ავანგარდს? შეძლო თუ არა მან, როგორც დომინიკ დეზანტიმ[150], არ აჰყოლოდა ტროცკისტულ ცდუნებას იმ დროს, როდესაც ანტიფაშისტური ფრონტი მიესალმებოდა კომუნისტების აქტიურობას? არა გვგონია, რადგან ტროცკის ვეებერთელა აჩრდილი ეფინებოდა საქართველოზე ბოლშევიკების აგრესიას. სერგის ოჯახის პრინციპები მაშინაც კი, როდესაც მან გაიზიარა ზოგიერთი ტროცკისტული იდეა, ვერ გაუღვივებდნენ იმ ადამიანისადმი ნდობას, რომელმაც გაანადგურა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

სერგი პოეზიის ტრფიალი იყო. პოეზია მისთვის იყო ალი, რომელიც წყვდიადის წლებს უნათებდა. მადლენ რიფო, მისი თანამებრძოლი 1943 წლიდან, გვიხსნის, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა პოეზიას განსაცდელის ჟამს, როდესაც უჩინარი ბავშვები აქციებს შორის ერთმანეთს საკუთარ ლექსებს უკითხავდნენ[151].

არაგონი (Aragon) და ელუარი (Eluard) თავიანთი ლექსებით იბრძოდნენ. ამხნევებდნენ „ბროსელიანდის ტყვე ქალწულს", საფრანგეთის მეტაფორას, რომელიც უნდა გაეთავისუფლებინათ ჭაბუკ რაინდებს: ხალხური პოეზიის თემა ჰარმონიულად ერწყმოდა მებრძოლი ახალგაზრდების იდეალებს. ორი სიურეალისტი პოეტიდან მომდინარე სულისკვეთებამ „დაატყვევა" სერგი: მისი სულის ლიტერატურული ნაწილი არ უპირისპირდებოდა მეცნიერულს – იგი მას ანათებდა და ავსებდა. დოქტორმა წულაძემ შეძლო სიკვდილამდე შეენარჩუნებინა ეს მთლიანობა და საქართველოში თავის ოცნებას ფრთები შეასხა[152].

სერგის ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ ძვირფასი ცნობები მოგვაწოდა ჟან-პიერ ვერნანმა (Jean-Pierre Vernant). ისინი

---

150. Dominique Desanti, *Ce que le siècle m'a dit*, Plon, 1998.

151. Madeleine Riffaud, *On l'appelait Rainer*, Julliard, 1994.

152. იხ. „ვეფხისტყაოსნის" მისი თარგმანი ფრანგულ ენაზე, *op. cit.*

ერთმანეთს შეხვდნენ სტუდენტობის დროს, სორბონში. 1936 წელია. სახალხო ფრონტის მოძრაობა. ორივენი აქტიურად თანამშრომლობენ ანტიფაშისტურ ჯგუფთან, „რომელიც იმ დროს აერთიანებდა კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს“[153]. იგი გულთბილად გვესაუბრება „ლაღ, მომხიბვლელ და უცნაურ „ძმაკაცზე“. ვერნანი იხსენებს, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ წულაძე საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრობდა. „წინააღმდეგობაში“ მათი ყოფნის 15 წლის შემდეგაც, როდესაც ყველა თავის საქმიანობას დაუბრუნდა, „იგი ისევ აქ იყო და ისევ წასვლაზე საუბრობდა, რაზედაც ერთმანეთში ბევრს ვხუმრობდით“.

თამარ წულაძე იხსენებს: „ჩვენ ვიყავით საერთაშორისო ახალგაზრდული წრის წევრები. იქ გავიცანი ლიუსი ობრაკი (Lucie Aubrac). ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ქართველი როლანდ ასათიანი, სოციალისტი, ბავშვობის მეგობარი. 1940 წელს იგი ტყვედ ჩავარდა. წრეში ბევრს ვსაუბრობდით პოლიტიკაზე, ფაშიზმის საშიშ აღმასვლაზე. იქ სერგი შედარებით იშვიათად ჩნდებოდა. გამომდინარე მისი ტემპერამენტიდან, მას ყველაფერი აინტერესებდა და სურდა ყველგან ყოფილიყო. ბუნებრივია, რომ 1940 წელს გერმანელებმა წრე დახურეს“.

როგორც ყველა აპატრიდი, რომელიც ექვემდებარებოდა მობილიზაციას, სერგიმაც გაიარა სამხედრო სამსახური. იგი დემობილიზებულ იქნა 1939 წელს. თუმცა ომის დროს იგი გაიწვიეს სამედიცინო სამსახურში, რადგან უკვე ექიმად მუშაობდა. თავის პოლკთან ერთად იგი სენ კანტენიდან (Saint Quentin) შატორუმდე (Chateauroux) უკან იხევს. გზებზე 8 მილიონი ლტოლვილია. მათ უკიდურეს გაჭირვებას კიდევ უფრო ამძიმებდა შეუწყვეტელი დაბომბვები. უკანდახევისას დაჭრილების გაუთავებულმა

153. ჟ.პ. ვერნანი – საბერძნეთის ისტორიის მკვლევარი, „COLLÈGE DE FRANCE“-ის პროფესორი, ხელმძღვანელობდა „წინააღმდეგობას“ სამხრეთ-დასავლეთში და გაათავისუფლა ტულუზი. 2005 წლის იანვრის საუბარი.

მოვლა-პატრონობამ სერგი საშინლად გადაქანცა. მეგობრების წრეში ოდნავ მოსულიერებული, იგი, როგორც იქნა, ოქტომბერში პარიზში დაბრუნდა. მან უნდა იმკურნალოს ტუბერკულოზის დაწყებული პროცესი. ამ სენით სერგი დაავადდა კოშენის საავადმყოფოს (l'Hopital Cochin) ტუბერკულოზის კლინიკაში მუშაობის დროს.

სერგი წულაძის მონაწილეობა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში საიდუმლოებით იყო მოსილი. ომის დროს ეს კეთდებოდა ახლობლებისა და ამხანაგების უსაფრთხოების მიზნით. შემდეგ კი... სერგი ცხოვრობდა კომუნისტების გარემოცვაში. მათგან თითქმის ყოველი „რეზისტანსელი" იყო და თანაც „იმის გახსენების დროც აღარ იყო: დადგა სხვა პოლიტიკური ბრძოლების წარმართვის ჟამი"[154].

რამდენიმე სარწმუნო მტკიცებულება და იშვიათი დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ საფრანგეთის იმ ღირსეული ქართველის განვლილი გზა, რომელმაც ისურვა სიცოცხლე დაესრულებინა დიდი ხნის წინ დაკარგულ სამშობლოში. იგი გაანახლებს სამედიცინო პრაქტიკას კოშენის საავადმყოფოში. იწყება მისი გაორებული ცხოვრება. ღამეებს სერგი ხან ათევს მშობლებთან, ლორისტონის ქუჩაზე, ხანაც – სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, ფობურ სენ-ჟაკის 26-ში (Faubourg Saint Jacques), ხან კი ძმაკაცის ბინას აფარებს თავს. ამგვარი „გადაადგილებები" აიხსნება ცხოვრების მეორე მხარით – იგი „რეზისტანელი" გახდა.

17 ივნისს პეტენის მიერ გამოცხადებული დაზავებისა და 18 ივნისის დე გოლის მოწოდების შემდეგ „რეზისტანსის" პირველი მანიფესტაცია ჩატარდა 1940 წლის 11 ნოემბერს, პარიზში, ეტუალის მოედანზე (place de l'Etoile). მანიფესტაციისაკენ მოსახლეობას მოუწოდებდნენ „საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნული კავშირი" (UNEF) და „კომუნისტ სტუდენტთა იატაკ-

154. საუბარი სერგის მეუღლე მადლენთან, 2004 წლის ნოემბერი.

ქვეშეთის კავშირი". „ფრანსუა ლეკიური (François Lescure) იყო პირველის ოფიციალური და მეორის ფარული პრეზიდენტი"[155]. ამ პატრიოტული აქციისაკენ ვერმახტის მიერ კვადრატებად დაყოფილი პარიზის მოქალაქეებს ლონდონის რადიომაც მოუწოდა. მოწოდებაში ხაზგასმული იყო, რომ ტრიუმფალურ თაღზე აფრიალებული ნაცისტების დროშა ამ თაღის სიმბოლიკას ბილწავს.

მანიფესტაციაზე ასეულობით სტუდენტი შეგროვდა. ერთმანეთში აირია მემარჯვენე და მემარცხენე... დილით დემონსტრანტებმა გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. აჟღერდა „მარსელიეზა". მალე ფაშისტების ბანდებიც გამოჩნდნენ. პროვოკაციას შეტაკება მოყვა. გერმანელმა ჯარისკაცებმა ფრანგული პოლიციის თვალწინ სტუდენტების წინააღმდეგ ძალა გამოიყენეს. მანიფესტაციის დროს დაიჭრა 100 კაცი. ათეულობით დემონსტრანტი დააპატიმრეს. აქციის მონაწილეთა შორის სერგიც იყო, „ფრანსუა ლეკიურის გვერდით"[156]. იგი იმათ რიგებშია, ვინც ომს უცხადებს ოკუპანტებს. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ ჩუმი, გაუბედავი ნაბიჯია, რომელსაც მომავალში გამოაწრთობს შემართება, სისხლი, ცრემლები[157]. ფრანგები ვერ ეგუებიან დამარცხებას და 2 მილიონ ტყვეს. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში: ლიონში, მარსელში, მონპელიეში...[158] უცებ იფეთქებს ძლიერი გამოსვლები. ამ აქციებს ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს – ეროვნული მოწოდება ფრანგების გაერთიანებისაკენ.

---

155. საუბარი მადლენ რიფოსთან, 2004 წლის ნოემბერი.
156. საუბარი მადლენ წულაძესთან, 2004 წლის ნოემბერი
157. ოკუპირებულ ზონაში იატაკქვეშეთის პირველი ორგანიზაცია შეიქმნა 1940 წლის ოქტომბერში „ადამიანის მუზეუმში" (le Musée de l'Homme). მისი წევრები იყვნენი ჟან კასუ (Jean Cassou), ჟერმენ ტიიონ (Germaine Tillon), მომავალში რავენსბრიუკის ტყვე, ბორის ვილდე (Boris Vildé) – დახვრეტილი 1942 წელს.
158. იმავე დროს „თავისუფალ ზონაში" დაფუძნდა მოძრაობა „Liberté" (თავისუფლება), რომელშიც შევიდნენ პიერ-ანრი ტეიტჟანი (Pierre-Henri Teitgen) და რენე კურტენი (René Courtin).

სერგის მშობლები ხვდებოდნენ, რომ შვილი „რეზისტანსის“ რიგებს შეუერთდა. ისინი ხომ კარგად იცნობდნენ მის მტკიცე ხასიათს, ტემპერამენტს, ანტიფაშისტურ განწყობას. ამიტომ მისი გადაწყვეტილება მათთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ამაში ბოლომდე დარწმუნებულები არ იყვნენ. თავად სერგი ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე სახლში, ყოველთვის მომღიმარი, ყურადღებიანი. შემდეგ კი... ისევ უბრუნდებოდა შენიღბულ ცხოვრებას.

და მაინც, – იხსენებს უფროსი და, – ერთ დღეს მას მამასთან შელაპარაკება მოუვიდა. მამამ უსაყვედურა გაუფრთხილებლობა და წინდაუხედაობა: სერგიმ გასავრცელებელი პროკლამაციები კარადაში შეინახა და, როდესაც მშვიდად და აუღელვებლად მოვიდა მათ წასაღებად, მამამ უსაყვედურა: – „კი, მაგრამ, ეს პროკლამაციები აქ რომ დამალე, არ გიფიქრია დედაზე, დებზე“? სერგიმ მოჩვენებითი გულუბრყვილობით უპასუხა: „მაშ, სად უნდა დამემალა?“ მისი და დასძენს: „ამ პასუხზე მამას გაეღიმა. იგი აშკარად ამაყობდა შვილის გადაწყვეტილებით“.

სერგი კომუნისტების გვერდით იბრძოდა საფრანგეთის გათავისუფლებისათვის. „თუმცა, – ამბობს მისი ცოლი, – იგი არ გაწევრიანებულა არც ერთ კომუნისტურ ორგანიზაციაში. „სერგი არ იყო პარტიული მოღვაწე. მიუხედავად ამისა, იგი კომუნისტებთან ერთად ინაწილებდა რევოლუციურ ხედვას, უკეთესი მომავლის იმედს. მისი თაობის ინტელექტუალებში ჩატარებული კვლევა გვაძლევს საშუალებას უფრო ღრმად ჩავწვდეთ მის მიერ განვლილი ცხოვრების გზას.

ბავშვობაში იგი ხშირად უსმენს ომისშემდგომი *(I მსოფლიო ომი – გ. ა.)* ევროპის არასტაბილური მდგომარეობით შეწუხებული უფროსების საუბრებს. მან იცის, რომ არ შეიძლება უფროსს სიტყვა შეაწყვეტინოს, მაგრამ ერთხელ ამ წესს დაარღვევს და მამას რაღაც უაზრობას ჰკითხავს. ვასო გაბრაზებით უპასუხებს:

„ნუ მეკითხები ამას, ვერ ხედავ, ქვეყანა იქცევა". პასუხს მეორე შეკითხვა მოჰყვა: „მამა, ერთი დამანახე, ქვეყანა საით იქცევა"?

იგი სულ მალე მიხვდება – როგორც ამას ხუმრობით შენიშნავს თამარი, – თუ რატომ „დაიბადა მარქსიზმის ატმოსფეროში". მათ სახლში მიმდინარეობდა გაუთავებელი დისკუსიები მენშევიკებთან. მუდმივად ისმოდა ერთი და იგივე კითხვები: „რა უნდა გვექნა? როგორ აგვეცდინა თავიდან საქართველოს უბედურება? ვის უნდა დავკავშირებოდით? შესაძლებელი იყო თუ არა ბოლშევიკების დამარცხება?" ამ დისკუსიებში ბევრი ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის სერგიც, თავისი ახალგაზრდული აღტყინებით.

რასაკვირველია, მას შეეძლო აჰყოლოდა მენშევიზმის ცდუნებას, რომელიც, გამომდინარე მარქსისტული ანალიზიდან, უარყოფდა რევოლუციურ ძალადობას და უფრო სახალხო დემოკრატიისაკენ იხრებოდა. მაგრამ 1936 წლიდან, ესპანეთის ომის დროს, იგი იმედგაცრუებულია ლეონ ბლიუმის ჩაურევლობის პოლიტიკით და მუშათა ინტერნაციონალის ფრანგული სექციის *(საფრანგეთის სოციალისტური პარტია – გ. ა.)* მერყეობით[159].

ნაციზმის საფრთხე მას გადახრის უფრო რადიკალური მარქსიზმისკენ, რომელიც კაცობრიობას „გადაარჩენს". სამხედრო სამსახურში ყოფნისას, – მისი დის სიტყვებით, – მას ჰქონდა საუბარი „ინტელექტუალ კომუნისტ ექიმებთან". ამ შეხვედრამ სერგი თეორიული თვალსაზრისით გააძლიერა. თავისუფლება მოითხოვს უკლასო საზოგადოების შექმნას და უკომპრომისო ბრძოლაში იმათ მხარეზე დგომას, ვისაც სამყაროს ამგვარი ხედვა აქვს. თუმცა ნაცისტების 1940 წლის შემოსევის შემდეგ თავისუფლება დამპყრობელი ნაციზმის ტყვე გახდა.

---

159. თუმცა ამგვარი ხედვა მას ხელს არ უშლის 1950 წელს დასთან მიწერილ ერთ წერილში შეაფასოს ლეონ ბლიუმი როგორც ნიჭიერი მწერალი და მაღალი რანგის პოლიტიკოსი.

თავიდან, 1940-1942 წლებში, „გერმანელების აღმასვლა ძალზე ძლიერი იყო“[160]. ჩამოყალიბებული აზრის დასამსხვრევად „წინააღმდეგობამ“ ბრძოლა დაიწყო პროპაგანდისტული აქციებით: იატაკქვეშეთში გამოცემული გაზეთებისა და პროკლამაციების გავრცელება, კედლების წარწერებით „აჭრელება“... საბრძოლო ოპერაციები მოგვიანებით დაიწყება, როდესაც ინგლისელები პარტიზანებს პარაშუტებით იარაღს მიაწვდიან.

სერგი წულაძე აქტიურად მონაწილეობდა ამ აქციებში. გარდა ამისა, – გვიყვება მისი და, – იგი დაკავებული იყო ებრაელების საქმეებითაც. დრანსის ბანაკში მომუშავე მეგობარი ექიმის მეშვეობით ცდილობდა დახმარებოდა ტყვეებს. ეს მისია, რომელიც ნაადრევი და თავიდანვე მოუმზადებელი აღმოჩნდა, მან ნებაყოფლობით იტვირთა. თავისი გადაწყვეტილების სისწორეში – გამხდარიყო უჩინარი მებრძოლი – იგი ერთმა მნიშვნელოვანმა შემთხვევამ დაარწმუნა. სავადმყოფოში იგი ხვდებოდა ექიმ მორის ტემინს (Maurice Temine), რომელსაც ძალიან აფასებდა. ტემინი 1940 წელს დააპატიმრეს და ჩასვეს „სანტეში“ *(la Santé – უძველესი ციხე პარიზის ცენტრში – გ. ა.)* მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნისტი იყო. მისი უკურნებელი სენით დაავადებული ვაჟი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მან მიიღო მამის მონახულების უფლება. სერგი, შემთხვევის შესაბამისად „კორექტულად“ ჩაცმული, გაჰყვა შვილს მამის სანახავად. იგი ელოდებოდა შეხვედრის მძიმე წუთებს. ორმა ინსპექტორმა დარბაზში შემოიყვანა ხელბორკილდადებული ტემინი. სერგის ერთდროულად განრისხებისა და სიბრალულის გრძნობა დაეუფლა: მისი ძვირფასი მეგობარი უკანასკნელად ხვდებოდა თავის შვილს ასეთ დამამცირებელ ვითარებაში.

მოგვიანებით მორის ტემინი გადაიყვანეს შატობრიანის (Chateaubrillant) საპყრობილეში. იქ მან 27 ამხანაგის ტრაგიკული

160. Serge Ravenel, *La Résistance, Le Nouvel Observateur,* Hors série.

ბედი გაიზიარა. OS-ის *(l'Organisation Spéciale – სპეციალური ორგანიზაცია – გ. ა.)* ერთმა წევრმა, ბრიუსტლეინმა (Brustlein), 1941 წელს მოკლა ნანტის (Nantes) ფელდკომენდანტი ჰოტცი (Hotz). ამის პასუხად, 22 ოქტომბერს გერმანელებმა დახვრიტეს მძევლებად გამოცხადებული 27 ტყვე-პატიმარი[161]. ერთ-ერთი კარიერში მიყვანილები, ისინი სიკვდილს „მარსელიეზით" შეხვდნენ, ხოლო ტემინმა ჯალათებს უთხრა: „თქვენ ახლა ნახავთ, როგორ კვდება ფრანგი ოფიცერი"[162].

მეორე დღეს შინ მიმავალი თამარის ყურადღება მიიპყრო შავი ასოებით დაწერილმა წითელმა აფიშამ. აფიშა გამოკრული იყო პოლ ვალერის (Paul Valéry) და ლორისტონის ქუჩის კუთხეში. იგი იტყობინებოდა შატობრიანის მძევალთა დახვრეტის შესახებ. აშკარაა, რომ აფიშა გამოაკრეს მოსახლეობის დასაშინებლად. სახლში თამარს დახვდა დივანზე „დაგდებული", ძლიერ დამწუხრებული ძმა. მას უკვე ყველაფერი სცოდნია. ეს გახდა, – ფიქრობს თამარი, – „რეზისტანელი" სერგის ცხოვრების ერთ-ერთი განმსაზღვრელი დღე.

სერგი წულაძე ხდება OS-ის წევრი. „ეს იყო კომპარტიის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც დივერსიულ აქტებს ახორციელებდა. მისი წევრები ყოველთვის მზად იყვნენ, საჭიროების შემთხვევაში მებრძოლთათვის დახმარება გაეწიათ", – ადასტურებს პიერ დექსი (Pierre Daix). იმ მძიმე წლებში სწორედ პიერ დექსმა შეაფასა სერგის გამბედაობა, ერთგულება, გულგახსნილობა და

161. ეს იყო პირველი მასიური დახვრეტა: 21 პატიმარი მოკლეს ნანტში. მეორე დღეს, 23 ოქტომბერს 50 კაცი – ბორდოში. ამას წინ უსწრებდა 22 აგვისტოს დეკრეტი, რომელიც „ყოველ დაკავებულ ფრანგს განიხილავდა როგორც მძევალს".

162. „Libération"-ის *(აქ: „გათავისუფლება" – ტერმინი, რომლითაც აღინიშნება 1944-45 წლებში ფორმირებული „წინააღმდეგობის" და მოკავშირეთა ერთობლივი ბრძოლა საფრანგეთის ტერიტორიის გასათავისუფლებლად – გ. ა.)* შემდეგ პარიზის რეგიონის მუნიციპალიტეტები მათი რაიონის ერთ-ერთ ქუჩას წამებულის სახელს არქმევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი აზროვნება[163]. OS-ის რაზმელები ზაზრებში, ქარხნებში იცავდნენ აქტივისტების გამოსვლებს, რომლებიც ამხელდნენ ვიშის პოლიტიკას და ნაცისტების რეპრესიებს. ორგანიზაციის წევრები აფეთქებდნენ გერმანიაში ნედლეულის გადამზიდ მატარებლებს. 1942 წელს OS-მა შეწყვიტა არსებობა და მას შეენაცვლა FTP, რომელიც ოკუპანტების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას აგრძელებდა[164].

მეტად მნიშვნელოვანია მადლენ რიფოს მიერ მოწოდებული ცნობები. მისი მონაწილეობა „რეზისტანსში" იწვევს აღტაცებას და აიხსნება პატრიოტული იდეალის სიწმინდით. მოყოლებული 1942 წლიდან, იგი გახდა სერგის თანამებრძოლი. ორივენი ეროვნული ფრონტის ჯანმრთელობის კომიტეტის სტუდენტ-მედიკოსთა სექციაში შედიოდნენ[165]. წულაძე იმავე ჯგუფის წევრია, რომელშიც მოქმედებდნენ ექიმი როჟე (Roger), მეტსახელად „დ'არკური" (d'Harcours) და ცნობილი ონკოლოგი პროფესორი რუჟო (Rougeaud) მეტსახელად „პოლი" (Paul). ისინი ლაენეკის საავადმყოფოში (l'hopital Laennec) ფარულად უვლიდნენ დაჭრილ „რეზისტანელებს". მათ გვერდში ედგა განყოფილების მთელი პერსონალი.

როგორი დაინახა 17 წლის მადლენ რიფომ სერგი წულაძე? დავიწყოთ მისი ფსევდონიმით – „სერჟან" („Sergent"). ეს იყო ასაკით უფროსი, პატივსაცემი ადამიანი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, – ამბობს იგი, – მმართველ სამეულში შედიოდა, ანუ მონა-

---

163. პიერ დექსი (Pierre Daix) – კომუნისტი „რეზისტანელი", მაუთჰაუზენის (Mauthausen) საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ტყვე, გახდა ლიტერატორი კრიტიკოსი და რომანისტი. ჩაწერილია 2005 წლის იანვარში.

164. FTP-ს (Francs-Tireurs et Partisans – „თავისუფალი მსროლელები და პარტიზანები") მიზანი იყო გერმანელთა საჯარისო ნაწილებისათვის მუდმივი დაძაბულობის შექმნა. ამას ისინი აღწევდნენ სხვადასხვა ადგილებში „ცეცხლის გამჩაღებელთა ჯგუფების" აქტიური მოქმედებით. H. Noguères. *Histoire de la Résistance*. Robert Laffont, 1976.

165. შეიქმნა 1942 წელს საფრანგეთის გათავისუფლების და დამოუკიდებლობის ეროვნულ ფრონტზე უფრო ადრე. დაკავშირებული იყო კომპარტიასთან. ოფიციალურად ამოქმედდა 1943 წლის მაისში.

წილეობდა აქციების მომზადებაში და მუშაობდა ჯგუფების შევსებაზე. მადლენი მას თბილად იგონებს. „ჩვენ ვიცოდით, რომ სერგი ქართველი იყო და, რადგან ჩვენში გაბატონებული იყო სტალინგრადის ბრძოლაში მომავალი გამარჯვებულის (სტალინის – გ.ა.) კულტი, თავისთავად მარტო ის ფაქტი, რომ უფროსად საბჭოელი გვყავდა, საკმარისი იყო ჩვენი აღფრთოვანებისათვის". თავიდან მის გვერდით უხერხულობას ვგრძნობდი. განსაკუთრებით მაფრთხობდა მისი შენიშვნები და სიცილი. კეთილად დამცინოდა იმის გამო, რომ არ მეხერხებოდა საჯარო გამოსვლები".

თვითონ სერგის ჰქონდა შესაძლებლობა, სამედიცინო აუდიტორიის ამფითეატრიდან სტუდენტებთან ესაუბრა რეპრესიებზე. ამას სჭირდებოდა დამაჯერებლობა, მოკლე სიტყვით მსმენელების აღელვების უნარი. „სერჟანი" აუდიტორიის სიღრმიდან გამოხედვით ამხნევებდა სტუდენტებს. მზად იყო ატეხილი აყალმაყალის შემთხვევაში დახმარებოდა მათ. ზოგჯერ, როდესაც მათ გადაუფრენდნენ ანტინაცისტური პროკლამაციები, ისმოდა მისი ხმა: „გაათავისუფლეთ თეთრი, მსუბუქი მტრედები. დაე, დაეშვან მაგიდებსა და სკამებზე: მოთოვა"[166].

რამდენიმე თვის შემდეგ მადლენ რიფო უფრო რადიკალურ აქციებში მონაწილეობის მისაღებად შეუერთდება FTP-ს ქალაქის პარტიზანულ ჯგუფს და გაეხვევა იატაკქვეშეთის საბურველში. სერგი მისი თვალთახედვიდან ქრება. ამ დროს კი მადლენის თვალში „მოხდენილი" ადამიანი და ძმობის განსახიერება მოძრაობს პარიზსა და სენ-და-უაზს შორის და განსაკუთრებულად სახიფათო საქმეებში მონაწილეობს. იგი ისევე „დაფარულია ბურუსით", როგორც ჟან-პიერ ვერნანი მაღალ გარონაში (la Haute-Garonne). მაგრამ ეს იყო იმ „რეზისტანელთა" ხვედრი, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი.

---

166. *On l'appelait Rainer, op. cit.*

„ლიბერასიონამდე“ ერთი წლით ადრე სერგის, რომელიც შესანიშნავად გრძნობდა „იატაქვეშეთის დაძაბულობას“[167], ჰქონდა პირადობის ყალბი მოწმობა n°2260222, გაცემული 1943 წლის 2 აგვისტოს „ჟან-სერჟ-ანრი ტავერნიეს (Jean-Serge-Henri TAVERNIER) სახელზე, დაბადებული პარიზში 1918 წლის 7 სექტემბერს; 1, 73 მ, თმები – წაბლისფერი, თვალები - ნაცრისფერი, სახე – ოვალური“. იგი პატრიოტ სტუდენტთა კავშირის პარიზის კომიტეტის წევრია (UEP) და პარტიზანული მოძრაობის მონაწილე. შეიარაღებული „წინააღმდეგობის“ პერიოდს იგი გაიხსენებს საყვარელი დისთვის – „თალალასათვის“ – გაგზავნილ წერილში. ეს ის დროა, როდესაც მან მონმორანსიში (Montmorency) სახლი იქირავა. „სახლი ახლოა „გრო-ჟაკების“ (Gros Jacques – „სქელი ჟაკები“) მამულთან, დომონის (Domont) მიდამოებში. თავის დროზე ჩემი პატარა შტაბიც (GQG – grand quartier général - უმაღლესი სარდლობის შტაბი) მონლინიონში (Montlignon) იყო, მონმორანსის ტყეში. თუ შენც იქ დასახლდები, მომაგონდება გმირული საათები“[168].

სენა და უაზის – დღევანდელი ვალ დ'უაზის (Val d'Oise) – რეგიონს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იქ მოქმედი ქარხნებისა და სარკინიგზო ქსელის გამო. მოყოლებული 1941 წლიდან, ამ ზონაში აქტიურად იბრძოდნენ „წინააღმდეგობის“ სხვადასხვა მიმართულების ჯგუფები. გაღებული მსხვერპლი დიდი აღმოჩნდა. ამას ადასტურებს დომონში (Domont), ოთხ მუხასთან დახვრეტილთა სახელების უკვდავსაყოფად აღმართული სტელა. ეს სტელა მძიმე რეპრესიების მოგონებაა[169]. ადგილობრივი პარტიზანული ჯგუფების FFI-ისთან გაერთიანების შემდეგ დეპარტამენტის ჩრდილოეთი ნაწილის მეთაური ხდება ფილიპ ვიანეი (Philippe Vianney) „საფრანგეთის დაცვის

167. L. Douzou, *La Résistance Française: une histoire périlleuse*. Point Seuil, 2005.

168. წერილი თამარ ტარასაშვილის საკუთრებაა.

169. M. Larrocque, *Mémoire de l'occupation allemande, de la résistance et de la libération du Val d'Oise*. ANACR Argenteuil 1986.

მოძრაობიდან" (Défence de la France). იგი კომუნისტებთან ერთობლივი მოქმედების მომხრე იყო და თავის ჯგუფს შეუერთა „FTP-ს მებრძოლებიც"[170], რომელთა მეთაური კორანტენ კიდო (Corentin Quideau) გახლდათ.

შესაძლებელია, სერგი წულაძე კიდოს რაზმის წევრი იყო. ისტორიკოსები და მოწმეები ხაზს უსვამენ ადამიანების ინტენსიურ მიმოსვლას პარიზსა და ამ დეპარტამენტს შორის. ხშირად ჯგუფის წევრებს აპატიმრებდნენ, რასაც ქსელების დაშლაც მოჰყვებოდა. ამიტომ მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩატარებისას FTP მათ შეიარაღებულ დახმარებას უწევდა. ამ დროს, – სერგის დების თქმით, – მათი ძმა შედარებით ხანგრძლივი დროით „იკარგებოდა". თავად სერგი ხშირად იხსენებდა თავის მონაწილეობას რკინიგზისა და ეშელონების აფეთქებებში. იგი ასახელებს პარიზ-კრეის (Creil) ხაზზე დეილ-ლა-ბარის (Deuil-la-Barre) მახლობლად 1944 წლის 7 ივნისს კიდოს ჯგუფის მიერ აფეთქებულ გერმანელთა ტანკებით დატვირთულ ეშელონს.

1944 წლის ნოემბრის ერთი დოკუმენტი გვიდასტურებს მის მონაწილეობას ბრძოლებში 1944 წლის 6 ივნისიდან, სენ-და-უაზის დეპარტამენტში მოკავშირეთა ჯარების შემოსვლის შემდეგ[171]. მეორე საბუთი, ხელმოწერილი პიერ კასტის (Pierre Kast) მიერ, გვაუწყებს, რომ სერგის 1943-1944 წლებში სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლა შეუწყვეტია[172].

პიერ კასტმა სამუდამოდ შეინარჩუნა სერგისადმი ერთგულება. როდესაც ამ უნიჭიერესმა კინოხელოვანმა შეიტყო მეგობრის გარდაცვალების ამბავი (სერგი წულაძე გარდაიცვალა 1977 წლის 2 ივლისს), მან თავის უკანასკნელ ფილმს „ყველაზე

---

170. F. Bourrée, *La Résistance dans la Seine et Oise, 1940-1944,* Mémoire de Maitrise, Université de Versailles, 1998.

171. დოკუმენტი მადლენ წულაძის საკუთრებაა.

172. პიერ კასტი (PIERRE KAST) იყო ევროპის ზავშვთა ექიმ-ფსიქიატრთა კავშირის (L'UEP) საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის წევრი.

მოკლე დღე“ ასეთი მიძღვნა წაუმძღვარა: „სერგი წულაძეს, რეზისტანსელ მეგობარს“.

აქ ჩვენ ვწყვეტთ მისი ბიოგრაფიის იმ ნაწილის თხრობას, რომელიც ეხება „წინააღმდეგობის“ პერიოდს „ლიბერასიონამდე“. გავიხსენოთ, რომ სამედიცინო სწავლის დასრულების შემდეგ მან მოითხოვა და 1946 წელს მიიღო საბჭოთა მოქალაქეობა[173]. 1956 წელს იგი მიდის საქართველოში, ახალგაზრდობაში დაკარგულ სამშობლოში, რომელსაც ვერასდროს იხილავენ მისი გადასახლებული მშობლები. წინაპართა ნაკვალევზე ფეხის დადგმისთანავე იგი შეერწყა რძის, სიმინდისა და თაფლის უძველეს მხარეს. ოდეტ კენის მსგავსად[174] იგი მოაჯადოვა გაშლილი, შუქით მოფენილი ველების, ალვის ხეებით გარშემორტყმული ვენახების, ფორთოხლების, ხის აივნებზე დაკიდებული უცხო ყვავილების გირლანდების, ტაძართა საოცარმა მხარემ[175]. სამშობლოში დაბრუნებით აღელვებული, იგი მისწერს თავის დას: „ბოლოს და ბოლოს, ფეხქვეშ მყარი მიწა ვიგრძენი!“

დასკვნისათვის დავესესხებით „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგს: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“. სერგი წულაძე „სწორად მიჰყვა პოეტის მცნებას“[176].

---

173. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 14 ივნისის დადგენილებით, „ყოველ პირს, რომელიც 1917 წლის 7 ნოემბრამდე იყო „რუსეთის იმპერიის სუბიექტი“, ეძლეოდა საბჭოთა მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა.

174. ოდეტ კენი (Odette Keun) – ფრანგი მოგზაური. მან საქართველოში იმოგზაურა 1920 წელს.

175. Odette Keun, *Le Prince Tariel*, Flammarion, 1923.

176. ჩვენ არ ვეთანხმებით სერგი წულაძის მიერ საქართველოში გატარებული წლების მისი ოჯახის წევრისეულ შეფასებას. მის ნათესავებს და მეგობრებს მიგვაჩნია, რომ სერგიმ საბჭოთა საქართველოში შეძლო თავისუფალი და მებრძოლი კრიტიკოსის შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

5. ქართველი ლტოლვილები ვერმახტში

მშობელი მიწის იძულებით დატოვების ოცი წლის თავზე, მას მერე, რაც ამ მიწას საზარელი მტერი დაეპატრონა, ოკუპირებულ საფრანგეთში ემიგრანტი ქართველები კორნელიურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ[177]: ებრძოლათ მასპინძელი ქვეყნის ნაცისტი ოკუპანტების წინააღმდეგ თუ მათი სამშობლოს დამპყრობ ბოლშევიკებთან? საუბედუროდ, ზოგიერთმა ქართველმა „რეზისტანსის" ნაცვლად მეორე გზა აირჩია.

რაიხის გადაწყვეტილება საბჭოთა ტერიტორიების დაპყრობის, მათი შეიარაღებული ანექსიის შესახებ სათავეს იღებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან. სტალინგრადის დაცემამდე[178] ამ გამანადგურებელი გადაწყვეტილების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად მათ კავკასიელების ეროვნული შენაერთების შექმნა მიაჩნდათ. ეს პროცესი 1941 წლის დეკემბრიდან დაიწყო. საკუთრივ „ქართული ლეგიონი" შეიქმნა პოლონეთში 1942 წლის 8 თებერვალს[179]. ევროპაში ემიგრირებული პოლიტიკური დევნილები მოხალისეებად ჩაეწერნენ ამ სამხედრო შენაერთში, რომელიც დაკომპლექტებული იყო გერმანელ მეთაურებს დაქვემდებარებული პოლონეთიდან ჩამოსული ქართველი ოფიცრებით.

ამ შენაერთში აღმოჩნდა 100-ზე მეტი ქართველი საფრანგეთიდან. მათი მიზანი იყო, დახმარება აღმოეჩინათ გერმანელთა ხელში ჩავარდნილი უამრავი ქართველი ტყვისათვის. ისინი მსახურობდნენ თარჯიმნებად, თუმცა მთავარი, რაც მათ

177. Situation cornélienne – კონფლიქტი გრძნობასა და მოვალეობას შორის.

178. სტალინგრადის ბრძოლა მიმდინარეობდა 1942 წლის სექტემბრიდან 1943 წლის თებერვლამდე. უზარმაზარი მსხვერპლის ფასად მასში სსრკ-მა გაიმარჯვა. ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისათვის.

179. გ. მამულია. ქართული ლეგიონი. „ცოდნა", თბილისი, 2005 წ. (რუსულ ენაზე).

ამოძრავებდა, იყო საქართველოს დამპყრობელი ბოლშევიკებისთვის სამაგიეროს მიზღვა. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ იბრძოლებდნენ საქართველოს ფრონტზე. ენისა და ქვეყნის ცოდნას მოსახლეობის მხრიდან მათ მიმართ გარკვეული ნდობა უნდა მოჰყოლოდა. ეს ადამიანები ვარაუდობდნენ, რომ სამშობლოში მათ მიიღებდნენ როგორც გმირებს. გერმანელების შეტევისას მათ უნდა მოემზადებინათ გარკვეული საფუძველი და ხელი შეეწყოთ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული აჯანყებისთვის[180]. მომავლის ამგვარი ილუზორული ხედვით ქართული ლეგიონის მებრძოლებს თავი წარმოედგინათ განმათავისუფლებლებად, რომლებიც სამშობლოს დამოუკიდებლობას დაუბრუნებდნენ.

საფრანგეთში სოციალ-დემოკრატთა ლტოლვილი მთავრობის წევრები ოფიციალურად მხარს უჭერდნენ ამ მისწრაფებას. პროცესში ჩაერთო კოლონიის წევრთა ერთი ნაწილი. თუმცა, უნდა ითქვას, მათი გადაწყვეტილება არ სარგებლობდა საერთო მოწონებით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთები, მოჯადოებულნი ჰიტლერული გერმანიით და მისი ბრძოლით სტალინის წინააღმდეგ, ხმამაღალი განცხადებებით ჩაეწერებიან ამ შენაერთში.

გერმანიით აღფრთოვანება საქართველოში დაიწყო მე-19 საუკუნის დამლევს. ამ დროს ბევრ ქართველ სტუდენტს თვალი ევროპისკენ ეჭირა. სასწავლებლად ისინი გერმანიას ირჩევდნენ, რადგან საფრანგეთთან შედარებით იქ ცხოვრება უფრო იაფი იყო. გარდა ამისა, საყოველთაოდ აღიარებული იყო გერმანული განათლების მაღალი ხარისხი, განსაკუთრებით ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და სამხედრო დისციპლინებში[181]. 1870 წლის ფრანგებზე პრუსიელთა გამარჯვების შემდეგ გერმანია

180. გავიხსენოთ, რომ 1940 წელს, როდესაც სტალინი ჰიტლერის მოკავშირე იყო, გენერალმა ვეიგანდმა ჩაიფიქრა საფრანგეთში „ქართული ლეგიონის" შექმნა. ეს შენაერთი უნდა მომზადებულიყო სამხრეთის ფრონტზე საბრძოლველად.

181. *ვახტანგ ღამბაშიძის მემუარები*. იბეჭდება. თავად მან 1896 წელს აირჩია საფრანგეთი, სადაც უნდა დაესრულებინა თავისი სამედიცინო განათლება.

ქართული ბურჟუაზიისა და არისტოკრატიისათვის გახდა უფრო პრესტიჟული და ბევრად მიმზიდველი.

და ბოლოს, იგი აღმოჩნდა ერთადერთი დასავლური ძალა, რომელიც 1918 წელს, თურქების შემოტევის დროს, მხარში ამოუდგა საქართველოს სუსტ რესპუბლიკას. ამ გასაგებმა გერმანოფილიამ მომავალში ბევრს აუბნია გზა-კვალი და დასრულდა მათი ჰიტლერის რეჟიმთან მიერთებითა და მის რასისტულ იდეოლოგიასთან შეგუებით.

ამგვარად აღმოჩნდა მიხეილ კედია გერმანელთა მხარეზე იმისთვის, რომ ებრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ[182]. მას ევალებოდა ვერმახტისთვის ჯარისკაცთა შერჩევა და მათი სამხედრო სამსახურში განწესება. მიხეილ კედია დაიბადა 1902 წელს ზუგდიდში. განათლება მიიღო გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, სადაც სამართალს სწავლობდა. ომის დაწყებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა პარიზში და, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მონაწილეობდა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრებაში[183]

ჰაიდელბერგში სწავლის დროს მან დაამყარა სასარგებლო კონტაქტები, შესანიშნავად დაეუფლა გერმანულ ენას და საფუძვლიანად გაეცნო გერმანულ კულტურას. სწორედ ამის გამო, ომის დროს ნოე ჟორდანიასა და ევგენი გეგეჭკორის თხოვნით იგი გახდა ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი გერმანიაში. მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართველ ებრაელთა გადარჩენის საქმეში, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

მიხეილ კედია ხშირად ჩადიოდა ბერლინში საქართველოს მოქალაქეთა დასაცავად. მისთვის ეს ადამიანები იყვნენ „ჩვენი მებრძოლები, ჩვენი მუშები, ჩვენი ტყვეები". 1944 წელს, მიუხედავად დიდი რისკისა, იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისთვის, რომ ქართველი წითელარმიელები (ტყვედ

182. *Michel Kédia, op, cit.*

183. მიხეილ კედიას ავტობიოგრაფიული ცნობები. დოკუმენტი მოგვაწოდა მისმა ვაჟმა ზურაბმა.

ჩავარდნილები – გ. ა.) ვლასოვის არმიაში არ მოხვედრილიყვნენ[184]. ვლასოვმა უარყო გამარჯვების შემთხვევაში სსრკ-ს მიერ ანექსირებული ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენა. ბერლინელ ქართველთა პატარა ჯგუფს მიხეილ კედია „ნაცისტებად" თვლიდა. ამბობდა, რომ მათ განყოფილება ჰქონდათ პარიზში. იგი არ ეთანხმებოდა „ნაცისტების მხეცურ პოლიტიკას" და ითვლებოდა ანტიკომუნისტ და ანტისაბჭოთა პატრიოტად"[185]. მიხეილს კარგი ურთიერთობები ჰქონდა ჰიტლერთან დაპირისპირებულ გავლენიან გერმანელ მეგობრებთან. ერთ-ერთი მათგანი იყო გრაფი ფონ შულენბურგი, რომელიც 1944 წლის 20 აგვისტოს წარუმატებელი შეთქმულების შემდეგ ჩამოახრჩვეს [186].

გერმანელებთან დამყარებულმა მჭიდრო კავშირებმა კედიას ქართველ ებრაელთა დაცვისა და გათავისუფლების საშუალება მისცა. იგი აფრთხილებდა სპეციალურ სიებში შეტანილ ქართველებს, რომლებსაც გერმანელები ეჭვის თვალით უყურებდნენ, მოსალოდნელი რეპრესიების შესახებ. ინფორმაციის სიზუსტის გამო, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მან ყველაფერი იცის და ყოვლისშემძლეა. „ამიტომ მას უფრთხოდნენ და თავს არიდებდნენ", – იხსენებს რამდენიმე ძველი ემიგრანტი.

1944 წლის აპრილში მიხეილ კედია გავლენიანი მეგობრების დახმარებით, რომელთა შორის საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელიცაა, ტოვებს გერმანიას და თავს აფარებს

---

184. „ვლასოვის არმია", შემოკლებით РОА (**Русская Освободительная Армия**). მისი სარდალი, საბჭოთა გენერალი ვლასოვი, გადავიდა გერმანელების მხარეზე. ჯარმა სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 1944 წლის ნოემბრიდან. იგი დაკომპლექტებული იყო სსრკ-ს მიერ ანექსირებული ტერიტორიებიდან გამოსული მოხალისეებით. ადრე ისინი დანაწილებულები იყვნენ აღმოსავლეთის ჯარების (Osttruppen) სხვადასხვა შენაერთებში.*19-45 Magazine*, N 9, mars 1997.

185. *ავტობიოგრაფიული ცნობები, OP. CIT.*

186. ფრიც-დიტლოფ ფონ შულენბურგი (Fritz-Dietlof von Schulenburg) – 1918 წლის მაისში, თურქეთ-საქართველოს ომის დროს, გერმანელთა სამხედრო მისიის წევრი იყო. 1944 წლის შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო ჰიტლერის მოკვლა და ნაციზმის დამხობა, იგი ასრულებდა სამოქალაქო და სამხედრო პირებს შორის შუამავლის ფუნქციას. ეს შეთქმულება კრახით დამთავრდა.

შვეიცარიას. ამგვარად იგი ცდილობს აიცილოს სასამართლო პროცესი. მას ბრალად ედება გერმანელებთან თანამშრომლობა. ფრანგები მას „სამხედრო დამნაშავედ“ თვლიდნენ, რითიც ბევრი მისი თანამემამულე ფრიად შეწუხებული იყო.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვდა მიხეილ კედიას ინტერნირებას. მას საცხოვრებლად ჟენევა განუსაზღვრეს, სადაც ავადმყოფმა და იმედგაცრუებულმა გაურკვეველ პირობებში, თითქმის ქალიშვილის თვალწინ, თავი მოიკლა. მიხეილი გარდაიცვალა ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ადამიანებთან ურთიერთობისა და მოქმედების ნებისმიერი ფორმა გამართლებული იყო იმ პატრიოტიზმით, რომლითაც იგი „ებრძოდა ბოლშევიკებს“ და იცავდა თანამემამულეებს.

„კოლაბორაციონიზმი“ („თანამშრომლობა“) თავისი უმძიმესი შედეგებით აისახა ქართულ ლეგიონზე. ამ შავბნელმა საქმემ დაამსხვრია მრავალთა ცნობიერება, რასაც მოჰყვა პიროვნული თუ ოჯახური ტრაგედიები. შეირყა ერთობა, გაიყო ოჯახები და ქართული კოლონიაც: თქვენ შეხვდებოდით ძმებს, ბავშვობის მეგობრებს, რომელთაგან ერთმა არჩია თავისუფალი საფრანგეთი, ხოლო მეორემ – „ანტიბოლშევიკური“ ლეგიონი.

ერთ ფოტოზე (გადაღებულია 1939 წელს) პარიზში, დანციგის (Dantzig) ქუჩაზე, ორი ჯარისკაცი უღიმის მშვენიერ ქართველ ქალიშვილს. ამ ჯარისკაცთაგან ერთი, მონაცრისფრო-მოცისფრო ფორმაში გამოწყობილი, გიორგი (გოგი) ბერიძე, იბრძოლებს გერმანული არმიის ქართულ ლეგიონში. მეორე კი, ხაკისფორმიანი, სერგი (სერგო) წულაძე, შეუერთდება FTP-ს.

უნდა ითქვას, რომ გერმანული ჩექმის ქვეშ მოქცეულებისათვის, ლეგიონში ჩაწერაზე უარის თქმას საკმაო გამბედაობა სჭირდებოდა. ასეთებს გერმანელთა მეხოტბე „კოლონისტები“ ხმამაღლა შეურაცხყოფდნენ. „არ მიდიხარ? ესე იგი ლაჩარი ხარ, სამშობლო არ გიყვარს“, – მუდმივად უკიჟინებდნენ მათ, ვინც

უარს ამბობდა ამ უღირს ავანტიურაში ნაცისტების გვერდზე დგომაზე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თუმცა კოლონიის ყველა წევრი როდი დაეთანხმა მასპინძელი ქვეყნის მტრებთან თანამშრომლობას. ამ ადამიანთა შორის ვასილ წულაძეც იყო. იგი ნეიტრალიტეტის შესახებ ლტოლვილი მთავრობის დეკლარაციის ერთგული დარჩა და წინ აღუდგა ვერმახტში გაწვევას. თეიმურაზ აბდუშელიშვილს, აწ გარდაცვლილ ფსიქიატრს, კარგად ახსოვდა ომის დროც (1940 წელს იგი 16 წლისა იყო) და მისდამი მამის დამოკიდებულებაც. შალვა აბდუშელი საბჭოელებმა ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი, როგორც სოციალ-დემოკრატი, საქართველოდან გააძევეს. 80 სოციალისტ ამხანაგთან ერთად მან თავი შეაფარა გერმანიას, ხოლო შემდეგ საფრანგეთში წასვლა არჩია. მოგვიანებით მას მეუღლე ლუბაც შეუერთდა.

1941 წელს შალვა აბდუშელს წამითაც არ უყოყმანია[187] და უპირობოდ დადგა „საფრანგეთის ერთგულთა რიგებში“. მას არაერთხელ ჩაუგდია თავი საფრთხეში, როცა ნაცისტების ცხვირწინ იფარებდა არა მარტო ებრაელებს, არამედ BCRA-ს ქსელის მეთაურსაც[188]. იმ დროს გერმანელებთან ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმა გაჩნდა: ძვირფასი მეტალებით ვაჭრობა, რომელიც კოლონიის ზოგიერთმა მერყევმა ადამიანმა გამდიდრების წყაროდ აქცია. ისინი მასპინძლობდნენ მოკლევადიან შვებულებაში მყოფ ქართველ ლეგიონერებს. შალვა მათ საყვედურობდა თანამემამულეების მიმართ საეჭვო ერთგულებისათვის და მოუწოდებდა, უარი ეთქვათ ამგვარი სახით ნამდვილ კოლაბორაციონიზმზე.

---

187. საუბარი თ. აბდუშელთან, 2005 წლის სექტემბერი.

188. BCRA (Bureau Central de renseignement et d'Action) – გენერალ დე გოლის „თავისუფალ საფრანგეთთან“ დაკავშირებული „დაზვერვისა და მოქმედების ცენტრალური ბიურო“, ახორციელებდა საფრანგეთის ტერიტორიაზე მებრძოლი მამაკაცებისა და ქალების პარაშუტირებას.

თამაზ ნასყიდაშვილი იხსენებს, რომ მისი მამა, მიხეილი, არ აჰყვა საქართველოს გათავისუფლების პერსპექტივის ცდუნებას და უარი თქვა საფრანგეთის დამპყრობელთა სამხედრო ფორმის ტარებაზე[189]. ეს გახდა ორი თანამემამულის დაპირისპირების მიზეზი: მიხეილ ნასყიდაშვილის საუკეთესო მეგობარმა ვერმახტის ოფიცრობა არჩია. თამაზი დღესაც დარწმუნებულია, რომ ბევრი ემიგრანტი მამამისივით ფიქრობდა: „არ ვითანამშრომლებ!“ თავის მოგონებებში თამაზი ხშირად უბრუნდება იმ დრამატული პერიოდის ამბებს და ერთმანეთის გვერდით, მათი არჩევანის მიუხედავად, იხსენებს „ნიკოლოზ და აპოლონ ანთაძეებს, შერიფ ბერიძეს, გერასიმე ბოლქვაძეს, დავით დავრიშაშვილს, ვანო ენუქიძეს, მიხეილ მაკარაშვილს, ალექსანდრე მელივას, კოტე გიგოლოვს, პლატონ სებისკვერაძეს, ილია თაყაიშვილს, ფელიქს ვარლამიშვილს, ლევან ზურაბიშვილს...“ რასაკვირველია, მათ გარდა სხვებიც იყვნენ, თუმცა თამაზი იხსენებს მხოლოდ იმას, რაც უდავო და უცილობელია. გენერალი კვინიტაძე, ლტოლვილების პატრიარქიც და პატრიოტიზმის სიმბოლო, მასთან რჩევის საკითხავად მოსულთ ასე მოძღვრავდა: „ნუ გაერევით ამაში! ეს გერმანელების საქმეა და არა ლტოლვილი ქართველების, რომლებიც საფრანგეთმა შეიფარა“[190]. იგი საშინლად აღშფოთებული ხვდებოდა გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ქართველებს (მათ მარცხენა სახელოზე ამოქარგული ჰქონდათ „GEORGIEN“), რომლებიც აკითხავდნენ, როდესაც მიდიოდნენ მეზობლად მცხოვრები მიხეილ კედიას მოსანახულებლად.

გერმანელთა სამხედრო სამსახურში მყოფ ქართველთა უმრავლესობამ ეს ნაბიჯი საკუთარი იდეალის განსახორციელებლად გადადგა. თუმცა იყვნენ ისეთებიც (სულ რამდენიმე

189. საუბარი თ. ნასყიდაშვილთან, 2005 წლის აპრილი.

190. საუბარი მის ქალიშვილ ნინო კვინიტაძე-დ'აბოსთან. 2005 წლის აპრილი.

შემთხვევა), რომელთათვისაც განმსაზღვრელი აღმოჩნდა ფაშიზმისა და ნაციზმის მიზიდულობის ძალა. ეს პოზიცია ძნელი გასაგებია მათთვის, ვისაც არასდროს უწვნევია პოლიტიკური დევნილის ტანჯვა-წვალება. როგორ უნდა წარმოიდგინოს მან, ვინც არასდროს ყოფილა სამშობლოს მოკვეთილი, ის ნოსტალგია, რომელიც გიბიძგებს, ნებისმიერი საშუალებით ებრძოლო შენი ქვეყნის დამპყრობელს. 1939-1940 წლების საომარი მოქმედების დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი და გერმანია დადებული პაქტის თანახმად მოკავშირეები გახდნენ, 300 ქართველი ჯარისკაცი გმირულად და მამაცურად იბრძოდა ფრანგებთან ერთად მასპინძელი ქვეყნის დასაცავად.

ჩვენ ყურადღებას ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერებთ. დავით ხარისჭირაშვილი – ფრანგული არმიის სადივერსიო ნაწილების (Groupes Francs) მებრძოლი-მხალისე, რომელიც „მუდამ მზადაა ყველაზე სახიფათო დავალების შესასრულებლად"[191]. სარდლობის მადლობის ბრძანებებში იგი დახასიათებულია როგორც „გონიერი, ერთგული და მამაცი ჯარისკაცი, რომელმაც საფრანგეთის ბედი გაითავისა".

დავითი დაიბადა თბილისში 1905 წელს. იგი იზრდებოდა სამშობლოს დამოუკიდებლობაზე ოცნებით. მისი ახალგაზრდული იდეალიზმი ვერ შეეგუა საბჭოთა რუსეთის დამპყრობლურ ხელისუფლებას და ჩაერთო ფარულ ბრძოლაში, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. 1927 წელს დავითი იძულებულია დატოვოს სამშობლო – მას არ უნდოდა „მოკლული ყოფილიყო ქართველების ხელით". დევნილის ეკლიანი გზა ერთგვარად შეურბილა ევროპული კულტურისადმი ცხოველმა ინტერესმა. თუმცა მეხსიერებაში ჩაბეჭდილი სისხლიანი რეპრესიების სურათი მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა. სწორედ ამან განაპირობა 1941 წელს მისი არჩევანი.

---

191. დოკუმენტი ვასილ კარისტის საკუთრებაა.

მეგობრებში „მართალი და კარგი კაცის“ სახელით ცნობილ 36 წლის დავითს, ფრანგებიც პატივს სცემდნენ ომის დროს მისი მოქმედების გამო. დახვეწილი კულტურა, ემიგრაციაში მიღებული სამედიცინო განათლება იმის საწინდარი იყო, რომ ომის დამთავრების შემდეგ მას წარმატებული მომავალი ელოდა. მაგრამ ადრე განცდილი ტკივილით ნაკარნახევი აჩქარებული გადაწყვეტილება მას მიიყვანს ქართულ ლეგიონში იმისთვის, რომ გაათავისუფლოს საქართველო. მას სჯეროდა, რომ ძლიერი მოწინააღმდეგის, საბჭოთა კავშირის, დამარცხება მხოლოდ ნაცისტურ გერმანიას შეეძლო. იგი ტოვებს ცოლს და სამი წლის საყვარელ ბიჭუნას. „ძნელად მისაღები თვალსაზრისი და გასაკიცხი ნაბიჯი“,–ფიქრობს ის ბიჭუნა დღეს და ვერ ეგუება იმას, რომ პატარამ ბოლომდე ვერ გაიგო მამის გადაწყვეტილება[192].

კავკასიაში გაგზავნის წინ დავითი რუმინეთში შეხვდა მეგობარს, რომელთან ერთადაც ახალგაზრდობაში იბრძოდა და უთხრა: „ვიცი, რასაც ვაკეთებ სიგიჟეა, თუმცა უკვე ძალიან გვიანია!“ 1942 წელს, გერმანელთა შეტევის დროს, მას პარაშუტით გადასვამენ საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთში. მასთან ერთად იყო კიდევ ერთი კაცი, რომელმაც ომის შემდეგ გამოიარა გულაგი. თავის ჩვენებებში მან დაადასტურა, რომ პარაშუტისტები იპოვეს და რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიფარეს საბჭოთა რეჟიმით უკმაყოფილო გლეხებმა. საბოლოოდ ისინი გასცეს. ერთ დღეს სამალავიდან გამოსული შეიარაღებული დავითის დანახვით დამფრთხალმა ახალგაზრდა წითელარმიელებმა იგი მოკლეს. მოხდა ის, რაც მან ერთხელ თავიდან აიცილა: 1942 წლის 4 დეკემბერს იგი „ქართველის ხელმა“ მოკლა. უაზრო, ტრაგიკული და გულშემზარავი ხვედრია.

დავითი, სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობით შესული ბევრი სხვა ქართველის დარად, ეროვნულმა ხასიათმა, გამძაფ-

192. საუბრები ვ. კარისტთან. 2005 წლის იანვარი, აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულმა „დედამიწისაგან“[193] მოწყვეტით, ჩაკეტა საკუთარ პატრიოტულ ნაჭუჭში. მათგან განსხვავებით, განვლილმა წლებმა, უფრო ღია გარემოში ცხოვრებამ და გონიერმა მშობლებმა ბევრ მათ თანამემამულეს სხვა არჩევანი უკარნახეს, თუმცა ამით დაკარგული სამშობლოს სიყვარული მათში არ განელებულა.

ამ თვალსაზრისით, პასუხისმგებლობა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ლიდერებსაც ეკისრებათ. მათ უცილობლად მიაჩნდათ, რომ გერმანიის გამარჯვების ან თუნდაც დამარცხების შემთხვევაში, მოკავშირეთა შორის გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობა ქართველებსაც უნდა მიეღოთ. მათ ვერ წარმოედგინათ 1943 წელს თეირანის საიდუმლო შეთანხმებით დაკანონდებოდა მსოფლიოს ახალი წესრიგი. თეირანში ჩამოყალიბებული ხედვა განმეორდა იალტაში და განმტკიცდა 1945 წელს პოტსდამში. ამ შეთანხმებებმა დაადასტურა სტალინის გაბატონება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში[194]. ემიგრანტ პოლიტიკოსებს ძალიან უნდოდათ ერწმუნათ, რომ საბჭოთა რეჟიმის აღკვეთის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდებოდა დაკარგული დამოუკიდებლობა. ეტყობა, გერმანელებმა ნოე ჟორდანიას ამის ერთგვარი დაპირებაც მისცეს[195].

სოლომონ ზალდასტანიშვილის თავგადასავალი, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. 1921 წელს ბოლშევიკების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ საქართველოში დარჩენილი ქართული ჯარის ყოფილი პოლკოვნიკი გახდა 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1939 წელს საფრანგეთში გადახვეწილი ეს პოლიტიკური დევნილი უშედეგოდ სთხოვს ქვეყნის ხელისუფლებას ქართველ მოხალისეთა

193. „დედამიწა“ ქართული სინონიმი „დედასამშობლოსი“ ("Matrie") ქართულ ცნობიერებაში დაკავშირებულია ძლიერ ემოციებთან მშობლიური ქვეყნის მიმართ. რაც შეეხება „მამულს“ ("Patrie"), იგი უფრო ისტორიულ ფესვებს არის მიბმული.

194. *La paix armée*, Librio, Le Monde, 2005.

195. საუბარი მის ქალიშვილთან ნათელა ჟორდანიასთან. 2005 წლის იანვარი.

ოცეულის შექმნას, რომელიც იბრძოლებდა ფინეთის მხარეზე საბჭოთა კავშირთან უთანასწორო ომში.

მიუხედავად უკიდურესი სიღარიბისა, მან ღირსეულად იცხოვრა, აღზარდა ორი ვაჟი, რომლებიც შემდეგ ბრწყინვალე სტუდენტები გახდნენ[196]. 1941 წლის ზაფხულში 50 წლის სოლომონი პატრიოტული გრძნობების კარნახით ჩაეწერა ქართულ ლეგიონში. იგი დაინიშნა „თამარ II"-ის რაზმის მეთაურად. თავდაპირველად შენაერთი გაიგზავნა რუმინეთში. იქ ზალდასტანიშვილმა თავის მებრძოლებთან ერთად ცხადად დაინახა ჰიტლერული რეალობა: გერმანელები განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ დაპყრობილი, მათი თქმით, „განთავისუფლებული" ქვეყნების მიმართ. ეს აშკარად თვალშისაცემი გახდა უკრაინაში ბრძოლების დროს.

გულგატეხილი სოლომონი წერს: „გერმანელებთან ნებისმიერი პოლიტიკური თანამშრომლობა ამაოა. ჩვენ ახლა უნდა შევეცადოთ ფიზიკურად გადავარჩინოთ ჩვენი ბიჭები"[197]. ლეგიონერებმა დანამდვილებით გაიგეს, რომ 500-ზე მეტი ქართველი ტყვე რუმინეთში, საკონცენტრაციო ბანაკის არაადამიანურ პირობებში, ებრძოდა სიკვდილს[198].

სოლომონმა შეძლო ამ ბანაკთაგან ერთის მონახულება და მოახერხა ტყვეების მდგომარეობის ერთგვარი შემსუბუქება, ანუ სამუშაოდ მათი გაყვანა ბანაკის ფარგლებს გარეთ. თუმცა ადმინისტრაციამ „პრივილიგირებულთა" რაოდენობა 90 კაცამდე დაიყვანა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დანარჩენი 400 სასიკვდილოდ იყო განწირული. 1941 წლის დეკემბერში

---

196. ოთარ ზალდასტანიშვილმა, სამი წლის ასაკში საქართველოდან გადასახლებულმა, 1945 წელს დაამთავრა „ხიდების და გზების ინსტიტუტი". ჰარვარდის (აშშ) პროფესორმა, მან თბილისში დააარსა უმაღლესი სასწავლებელი ქართველი ახალგაზრდებისათვის.

197. შესავალი ს. ზალდასტანიშვილის ჩანაწერებისათვის *„1924 წლის აჯანყება საქართველოში"*, ჩაწერილი 1938 წელს და ქართულ ენაზე გამოცემული 1956 წელს მიუნხენში.

198. იხ. მე-6 თავი.

ტყვეებთან ურთიერთობის დროს სოლომონი მენინგიტით დაავადდა. უკიდურესად დაღლილი, იმედგაცრუებული, სამსხვერპლოზე დადებული – იგი გარდაიცვალა ბუქარესტში ჩასვლიდან ოთხი თვის შემდეგ.

რუმინეთის სასწავლო ბანაკებში შეკრებილ ლეგიონერთა დიდ ნაწილს თავზარი დასცა ნაციზმის რეალური სახის დანახვამ[199]. მათ მოითხოვეს და სერიოზული კონფლიქტის შედეგად მიაღწიეს საფრანგეთში დაბრუნებას. საქართველოს გათავისუფლება კიდევ უფრო შორეული მიზანი გახდა. საფრანგეთში დაბრუნებული ლეგიონრები გამოიყენეს სხვადასხვა საგუშაგოებზე გერმანელი ჯარისკაცების ნაცვლად. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა აუხსნა თავის ამერიკელ მეგობარს, „მოხდა სისხლის შეცვლა".

იმათ შორის, ვინც მშობლიურ მიწაზე თვითმფრინავით გადაისროლეს, ბევრი ყოყმანობდა. მაგრამ, როგორც ერთ-ერთმა მათგანმა გადაფრენამდე ცოტა ხნით ადრე აღნიშნა, ისინი დაატყვევა „საქართველოს სურნელმა"[200]. ლეგიონერთა მცირე ნაწილი (ვისაც უნდოდა ბრძოლის გაგრძელება) 1943 წლის გაზაფხულზე მოკავშირეთა ძალების წინააღმდეგ საომრად სხვა ფრონტებზე გაგზავნეს: იტალიაში, ნორმანდიაში.

„ლიბერასიონის" შემდეგ გენერალ კენიგის უშუალო ჩარევამ გადაარჩინა ისინი შარლემანის დივიზიის (Division Charlemagne) მეომართა ბედს *(ეს დივიზია შედგებოდა ფრანგი მოხალისეებისაგან. იგი შეიქმნა 1944 წელს და შევიდა SS-ს 33-ე დივიზიის შემადგენლობაში. იბრძოდა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ პომერანიაში. ომის დამთავრების შემდეგ მისი მეომრები საფრანგეთის სასამართლომ სამშობლოს*

---

199. ერთი მათგანი, პოეტი-იდეალისტი, ფსიქიკურად დასნეულდა. რუმინეთში, სამხედრო კარავში ავადმყოფობის შეტევის დროს, რომელმაც გამოავლინა მისი სრული უიმედობა, იგი გერმანელმა ოფიცერმა მოკლა. ეს ისტორია რ. ნიკოლაძეს მოუყვა ერთმა გადარჩენილმა თვითმხილველმა.

200. ეს ეპიზოდი ე. მაყაშვილმა ე. ჯაყელს მოუყვა. საუბარი ე. ჯაყელთან, 2005 წლის ივლისში.

მოღალატეებად ცნო – გ. ა.): სასამართლომ ისინი არ ცნო სამშობლოს ღალატში დამნაშავეებად, რადგან ვერმახტში მოხალისეებად შესული ფრანგების მსგავსად მათ არ უომიათ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ.

თუმცა ისინი თავად გახდნენ საკუთარი თავის მსაჯულები: ბევრი მათგანი მწარედ განიცდიდა მონაწილეობას ამ სისხლისმღვრელ უტოპიაში, რითაც ბრძოლის ველზე ხელი შეუწყვეს მისი ნამდვილი არსის რეალიზაციას. ისინი ხომ თავად აღმოჩნდნენ ამ უტოპიის სამიზნეები. დაბრუნების შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ქართული
ბიბლიოთეკა

6. წითელარმიელი ქართველები ფრანგული „წინააღმდეგობის“ მოძრაობაში

1941 წლის 22 ივნისს ნაცისტურმა გერმანიამ დაიწყო ოპერაცია „ბარბაროსა“: დაარღვია საბჭოთა კავშირთან დადებული 1939 წლის აგვისტოს ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ და ოკუპირებული პოლონეთიდან მოულოდნელად თავს დაესხა ყოფილ მოკავშირეს. გამანადგურებელი და შეუჩერებელი წინსვლისას ვერმახტმა დაატყვევა ასობით ათასი წითელარმიელი. წარმოშობით ისინი სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკის (უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის და სხვ.) მკვიდრნი იყვნენ.

ტყვეთა შორის ათასობით ქართველიც აღმოჩნდა. ბევრმა მათგანმა არაადამიანურ პირობებში სიკვდილს გერმანელთა არმიაში სამსახური არჩია. ტყვეთა ბანაკებში შიმშილს, ავადმყოფობას, საშინელ სიცივეს ემატებოდა SS-ელების სისასტიკე. ტყვეთა 30% პროცენტი ამ ბანაკებში დაიღუპა. ცნობილია, რომ თავიანთ რასისტულ იერარქიაში ნაცისტები სლავ ხალხებს ქვეადამიანების კატეგორიაში მოიაზრებდნენ. ამ იერარქიაში ისინი მხოლოდ ებრაელებზე მაღლა იდგნენ[201], „Untermenschen aus Osten!“ ეს კაცთმოძულე იდეოლოგია ორმაგად ძლიერდებოდა სხვადასხვა განსხვავებული ეთნოსების გენეზისის აბსოლუტური არცოდნით. ამის დასადასტურებლად საკმარისია ითქვას, რომ მისი შემქმნელები კავკასიელ ხალხებს რუსებთან აიგივებდნენ.

სულ ცოტა, ერთი მილიონი სხვადასხვა ეროვნების ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცი გერმანიის „აღმოსავლეთის ჯარებში“ (“Ost-

201. 1942 წლის ივლისში მარშალ კეიტელის განკარგულება მოითხოვს ტყვეების დაბორკვას. აქვე უნდა ითქვას, რომ აუშვიცში გაზით ადამიანთა განადგურება პირველად განხორციელდა 1941 წლის დეკემბერში, როდესაც მოკლულ იქნა 600 საბჭოთა ტყვე. J. C. Pressac. *Les crématoires d'Auschvitz: la machinerie du meurtre de masse*. CNRS, 1993.

truppen") აღმოჩნდა. ნაცისტებმა ისინი თანდათანობით ოკუპირებულ ევროპაში დაანაწილეს.

ამ „დამხმარე (უმწყობრო – გ. ა.) ჯარისკაცთა" კონტინგენტი სამ კატეგორიად იყოფოდა: პირველი – მოწინააღმდეგის მხარეზე გადასულები, ანუ ისინი ვინც ქვეყანაში ვერმახტის შემოსვლისთანავე მიემხრნენ გერმანიას და უარყვეს ბოლშევიკების რეჟიმი. 1943 წლიდან ისინი მარცხენა მკლავზე ატარებდნენ ემბლემას POA (რუსეთის განმათავისუფლებელი არმია). მეორე – „Ostarbeiter" – „მუშები აღმოსავლეთიდან" – სტალაგებში იძულებით სამუშაოებზე განაწილებულები. მათ ამუშავებდნენ ატლანტიკის კედლის მშენებლობაზე გასკონის ყურედან კუნძულ ტექსელამდე (ჰოლანდიის დაბლობზე).

და ბოლოს, – "Ostbatalion" („აღმოსავლეთის ბატალიონი"), ანუ ყოფილი ტყვეები. მათ გერმანელი ოფიცრები მეთაურობდნენ. 1943 წლის შემოდგომაზე ამ ადამიანებს აგზავნიან დასავლეთის ფრონტზე, კერძოდ, საფრანგეთში, თუმცა სარდლობა მათ არასაიმედოებად მიიჩნევდა[202].

ქვემოთ ვნახავთ, რატომ და როგორ არჩია რამდენიმე ასეულმა ქართველმა საფრანგეთში დეზერტირობა იმისთვის, რომ შეერთებოდა ფრანგ ანტინაცისტ მეომრებს და უნებლიედ მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა 1943-1944 წლის ზამთრის ბრძოლებში[203]. თუმცა ბევრი გერმანელთა მხარეზე დარჩა. ჩვენ მოვიგონებთ იმათ, ვინც „რეზისტანელები" გახდნენ და სიცოცხლე შესწირეს უცხო მიწის გათავისუფლებას. ხშირად ტყვეობიდან გერმანულ უნიფორმაში გამოქცეულებს კლავდნენ და ხელმეორედ აღარ ატყვევებდნენ. მათ იცოდნენ აღმოსავლეთის დაპყრობილი ქვეყნების ოკუპაციის გეგმით (Ost plan) გათვალისწინებული რეპრესიების შესახებ. ეს გეგმა

---

202. G. Coudry. *Les camps soviétiques en France*. Albin Michel, 1977.

203. *Histoire de la Résistance, op. cit.*

კრძალავდა სამოქალაქო მოსახლეობის ნებისმიერი სახით შებრალებას, მის მიმართ თანაგრძნობის გამოხატვას.

ამიტომაა, რომ მათში ძლიერდებოდა თავისუფლებისაკენ სწრაფვა და ჰიტლერელთა განადგურების მუდმივად მზარდი სურვილი. ურჩი მოსახლეობის წინააღმდეგ გატარებული სადამსჯელო ოპერაციები მათს უმრავლესობაში უფრო „აღვივებდა შეურიგებლობას"[204]. ბევრ მათგანს ამოძრავებდა პატრიოტული გრძნობა საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელიც გახდა აგრესიის მსხვერპლი, ზოგიერთს – იდეოლოგიური მოტივები, სხვებს კი – მშობლიური მიწის ნახვის სურვილი.

1944 წლის დასაწყისში საფრანგეთში აღმოჩნდა ათეულ ათასობით ასეთი ტყვე-ჯარისკაცი. როგორ მოხვდნენ ქართველები „რეზისტანსში"? გერმანელების მიერ შექმნილ შენაერთებში, რომლებშიც ისინი მსახურობდნენ, მოქმედებდნენ იატაკქვეშეთის ჯგუფები. ამ ქსელების ორგანიზატორები საბჭოთა კომუნისტები იყვნენ. ისინი ცდილობდნენ ფრანგ პატრიოტებთან დაკავშირებას, მათი „ფრთხილი" თხოვნების შესრულებას. „წინააღმდეგობის" სხვადასხვა შენაერთები თავის რიგებში იღებდნენ გერმანელებისაგან გამოქცეულებს. ერთ-ერთი ასეთი შენაერთი იყო „საიდუმლო არმიის დივერსიული რაზმები" (les Corps Francs de l'Armée Secrète). „პროკლამაციების მეშვეობით ვცდილობდით ტიულში (Tulle) ვერმახტის ქართველებთან კავშირის დამყარებას. ზოგი მათგანი პერიგეში (Périgueux) პარტიზანებს შეუერთდა", – გვეუბნება საიდუმლო არმიის (AS) ერთი ყოფილი „მაკიზარი"[205]. ფრანგი კომუნისტების წარმოდგენაში ეს ადამიანები ქმნიდნენ რუსული რევოლუციის აურას და განასახიერებდნენ საბჭოთა ჯარების გმირობას, რის შესახებაც ისინი ყოველ საღამოს ისმენდნენ მოსკოვის რადიოგადაცემებში.

204. *La Légion Géorgienne, op. cit.*

205. *Maquis de Corrèze.* Collectif Maquis de Corrèze. Musée de la Résistance et de la Déportation, Tulle, 1995.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური ვითარება იქმნებოდა საფრანგეთის ჩრდილოეთშიც. ამ მხარის ქვანახშირის საბადოებზე ყოფილი საბჭოთა ტყვეები მუშაობდნენ. მათი შრომის რენტაბელობა დაბალი იყო, გაქცევის პროცენტი კი – მაღალი. ადგილობრივების დახმარებით გაქცეულები უერთდებოდნენ „რეზისტანსს". MOI–FTP-მ თხოვნით მიმართა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციას, რომ გამოეგზავნა თარჯიმნები და „მიეხედა" იმ ჯარისკაცებისთვის, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთში ურევდნენ პარტიზანულ ბრძოლასა და ბანდიტიზმს.

ამიტომ ზოგიერთ პარტიზანულ შენაერთში შესვლისას ვერმახტის დეზერტირებს ფიცი უნდა დაედოთ. „მე, საბჭოთა კავშირის პატრიოტი, შევდივარ პარტიზანთა რიგებში და ვხდები ანტიჰიტლერული ფრონტის მებრძოლი... ვასრულებ რა მოვალეობას ჩემი საბჭოთა ქვეყნის წინაშე, იმავდროულად პირობას ვდებ, რომ ვიქნები პატიოსანი და ერთგული ფრანგი ხალხისადმი, რომლის ტერიტორიაზე ვიცავ ჩემი ქვეყნის ინტერესებს".[206] ფრანგი კომუნისტი „რეზისტანელები" ამ მებრძოლების მიმართ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ.

გადაწყვეტილება გაქცევის შესახებ შეიძლება სპონტანურად ყოფილიყო მიღებული. გასათვალისწინებელი იყო, რომ გაქცეულები უნდა გადარჩენილიყვნენ ოკუპანტების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე. პარტიზანებამდე მისვლის იმედით ისინი ღამ-ღამობით მოძრაობდნენ, იკვებებოდნენ ნაყარი ხილით. რეზისტანელებთან შეხვედრა ხშირად შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. პარტიზანულ რაზმში მათი მიღების საკითხს, ჩვეულებრივად, ჯგუფის მეთაურები წყვეტდნენ. ეგლეტონში (Egletons) ბაზირებული, გერმანელ მაიორს დაქვემდებარებული ბატალიონი მთლიანად ქართველებით იყო დაკომპლექტებული. სოფლის კაფეში ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთ იუგოსლავიელ

206 S. Courtois, D. Peschansky, A. Raysi, *Le sang de l'Etranger*, Fayard, 1989.

ომამდელ ემიგრანტს. ამ იუგოსლავიელის მეშვეობით ერთ-ერთი პარტიზანული ჯგუფის ქირურგი ივანე ბოლგინსკი 1943 წლის აპრილში დაუკავშირდა ქართველების მეთაურს.

დათქმულ დროს, ღამით, ტყეში მოვიდა გერმანულ სამხედრო ფორმაში ჩაცმული 12 შეიარაღებული ქართველი. ხანგრძლივი, ორივე მხრიდან ფრთხილი, მოლაპარაკების შემდეგ, ქართველები „მაკიზარებს" გაჰყვნენ მარსიაკის (Marcillac) ბანაკში. შემდგომში მათ მონაწილეობა მიიღეს „ბევრ სხვადასხვა აქციაში, რომლებიც ხორციელდებოდა FTP-ს Dix de der"-ის[207] *(„უკანასკნელი, ბოლო ათეული" – გ. ა.)* ბატალიონის მეთაურის ხელმძღვანელობით. ხშირად ოპერაციის წარმატების უზრუნველსაყოფად MOI-ს და FTP პარტიზანთა ჯგუფები ერთმანეთს უცვლიდნენ ამ მებრძოლებს.

1944 წლის მაისში MOI-ს ესპანელთა ასეული გაძლიერდა საბჭოელთა ერთი ჯგუფით. მათ შორის იყო „ქართველი ვასილი". მან მონაწილეობა მიიღო კორეზის (Corrèze) ჟანდარმერიაზე თავდასხმაში. გერმანულ უნიფორმაში გადაცმული პარტიზანები მოულოდნელად თავს დაესხნენ ფრანგ ჟანდარმებს და ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი ნადავლი: იარაღი და მოტოციკლები.

პარალელურად დორდონშიც (Dordogne) FTP-ს პოლკოვნიკი გასტონ ლაროში (Gaston Laroche) იმავე წესით ზრდის შენაერთის მებრძოლთა რიგებს და აომებს მათ. ერთ სამხედრო პატაკში აღნიშნულია, რომ „ყოფილ ტყვე ჯარისკაცთა გაქცევა მოამზადა ჩვენმა ჯგუფმა, ხოლო მათ ჩაცმასა და დაბინავებაზე „ლიბერასიონამდე" ჩვენი მეგობარი გლეხები ზრუნავდნენ".[208]

1943 წლის დამლევს დაწყებული დეზერტირობა მოკავშირეთა 1944 წლის 6 ივნისს კონტინენტზე გადმოსხმის შემდეგ მასობრივი ხდება. ამ პროცესს ხელს უწყობდა გერმანელთა ჯარების გადაადგილება დასავლეთისაკენ. ანალოგიური ვითარება

---

207. *Maquis de Corrèze, op. cit.*

208. Gaston Laroche et Boris Matline. *On les nommait des étrangers*, Editeurs Français réunis, 1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო კარმოშიც (Carmaux). 98-მა ქართველმა ყაზახებთან ერთად დატოვა თავისი შენაერთი. მათ დახოცეს ოფიცრები და შეუერთდნენ ჟუკვილის (Jouqueviel) პარტიზანებს.

ეს ეპიზოდი შეგვიძლია უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუკი გადავხედავთ მასში ერთ-ერთი მონაწილე ქართველის თავგადასავალს. ვახტანგ სეხნიაშვილი, გამორჩეული თავისი მამაცობით, 1945 წლის 7 ივლისს დაჯილდოებული სამხედრო ჯვრით, გენერალ კენიგის მადლობის ბრძანებაში დახასიათებულია როგორც „უბადლო ოფიცერი... რომელიც არაფრად აგდებდა საფრთხეს“[209]. ფრანგების მიერ დაფასებულ და სამშობლოში თავისი ნებით დაბრუნებულ ამ ქართველს 2005 წლის 14 ივლისს (60 წლის შემდეგ) საქართველოში საფრანგეთის ელჩმა საპატიო ლეგიონის ორდენი გადასცა.

თავისი თავგადასავალი ვახტანგმა ერთ ჟურნალისტს მოუთხრო[210]. 18 წლის „წითელი არმიის ტანკისტი ებრძვის მტერს. 1942 წელს, უკრაინისთვის ბრძოლებში, იგი ნაცისტებმა ტყვედ ჩაიგდეს“. მან საკუთარ თავზე გამოსცადა საკონცენტრაციო ბანაკის გოლგოთა, გახდა „ოსტარბაიტერი“ და სხვებივით აღმოჩნდა ვერმახტის რიგებში. თავის ბატალიონთან ერთად მან იარა ყირიმიდან საფრანგეთამდე და 1944 წლის ივლისში კასტრში (Castres) ჩავიდა[211].

კასტრიდან 40-იოდე კილომეტრის დაშორებულ კარმოს (Carmaux) სტრატეგიულ სამთო-სამრეწველო ცენტრს ქალაქის სკოლებში დაბინავებული საჯარისო ნაწილები განსაკუთრებული ყურადღებით იცავდნენ. მიუხედავად ამისა,

---

209. საქართველოში საფრანგეთის ელჩის სიტყვა, წარმოთქმული თბილისში 2005 წლის 14 ივლისს, ვახტანგ სეხნიაშვილისთვის საპატიო ლეგიონის ორდენის გადაცემის დროს. www://amba.france.ge.org.

210. F. Bonnet. *Le Géorgien oublié de la résistance.* Le Monde, 23.10.2000.

211. P. Trouche. *Les événements de Jouqueviel et de Carmaux, juillet-aout, 1944.* ANACR, Carmaux, 2003. დოკუმენტი მოგვაწოდა ჟან კუტულიმ (Jean Coutouly) FTPF-ს (Francs Tireurs et Partisans Français – თავისუფალი მსროლელები და ფრანგი პარტიზანები) 4206-ე ასეულის ყოფილი „რეზისტანელი“.

იატაქქვეშა გაერთიანებული ძალები FTP-MOI, MUR და AS[212] აქტიურ საბოტაჟს მაინც ეწეოდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ ოკუპანტების სპეციალურ პატრულს, რომელიც მუდმივად აკონტროლებდა ქარხნებსა და მაღაროებს. კარმოს გერმანელთა სამხედრო გარნიზონში მსახურობდნენ მოხალისე კაზაკები და ყოფილი ტყვე-ჯარისკაცები. ტყვეებს შორის ყაზახებიც იყვნენ. მათ (უსამართლოდ „ვლასოველებად" წოდებულებს) „ეძებდნენ „რეზისტანელები", იყოლიებდნენ გაქცევაზე და შეჰყავდათ პარტიზანთა (maquis – მაკიზართა) რიგებში".

FTP-MOI-ს 42414-ე ასეული რომან პიეტროვსკის მეთაურობით ბლეიე ლე მინში (Blaye les Mines) იწყებს გერმანელთა გარნიზონის დაშლის ოპერაციას. 1944 წლის ივლისში აწყობს 50 ყაზახის გაქცევას. ამ აქციაში მათ ეხმარება ყაზახი ექიმი ზექტაევი. ვერმახტის ოფიცრები დარჩენილ „მოღალატეებს" სასწრაფოდ შეცვლიან კასტრიდან ჩამოყვანილი „ქართული ბატალიონით". „რეზისტანელები" ამ ბატალიონში ავრცელებენ პროკლამაციებს და მოუწოდებენ ჯარისკაცებს მათთან შეერთებისაკენ.

და აი, 4 აგვისტოს ღამით ქართველები ტოვებენ გარნიზონს, თან მიაქვთ იარაღი და ტვირთიც, კლავენ სამ სპეციალურად გაწვრთნილ გერმანელს და ატყვევებენ 7 ოფიცერს. ჯგუფს მეთაურობდა ოთარ იმხნელი. მისი მოადგილე ვახტანგ სეხნიაშვილი გვიყვება: „101 ქართველი ვიყავით. გეგმის მიხედვით სხვებიც უნდა გაქცეულიყვნენ. თუმცა დარჩენილები უმალ დააბრუნეს კასტრში. გერმანელთა სარდლობა საპასუხო დარტყმას ახორციელებს, რომლის მიზანია ტყვედ აყვანილი ოფიცრების გათავისუფლება და ღალატისთვის ქართველი ოფიცრების სამაგალითო დასჯა".

6 აგვისტოს, კვირადღეს, ქართველთა რაზმი ჟუკვილის მახლობლად, ვიორის (Viaur) ველის თავზე მოწყობილ FTP-

212. FTP-MOI – თავისუფალი მსროლელები და პარტიზანები – იმიგრანტი მუშები; MUR – „წინააღმდეგობასთან" გაერთიანებული მოძრაობა" და AS – „საიდუმლო არმია".

MOI-ს ბანაკში იმყოფებოდა. პარტიზანები გერმანელთა სა-ტანკო კოლონაზე იერიშისთვის ემზადებოდნენ. ეს კოლონა კარმოდან მოდიოდა. ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა. პიეტროვსკიმ სასწრაფოდ განათავსა თავისი ხალხი ფლანგებზე, თავად კი პოლონელებთან ერთად გმირულად იცავდა ცენტრს. რაც შეეხება ქართველებს, ისინი მკაცრი სახეებით, გაბედულად და დამატყვევებელი სიმშვიდით, იარაღით ხელში უზრუნველყოფდნენ პარტიზანებისა და ჟუკვილის მცხოვრებლების უკანდახევას, ფეხმოუცვლელად იბრძოდნენ, ვიდრე ტყვია-წამალი მთლიანად არ გაუთავდათ.

ქვედანაყოფის უფროსი სეხნიაშვილი, მეტსახელად „კომან-დან ვანია[213]", ამხანაგებს რევოლვერითა და ხელყუმბარებით იცავდა. მან მოახერხა მტრისგან თავის დაღწევა. დიდხანს იბ-რძოლა მარცხენა ფლანგმაც. მეტყვიამფრქვეებმა მიჩინაშვილმა, შალვა გავაშელმა და ნიკოლოზ ლაცაბიძემ ბრძოლაში „საოცრება ჩაიდინეს". და იმ დროს, როდესაც თავისიანებს მოწყვეტილი ზოგიერთი ქართველი ესესელებს დაედევნა, გადარჩენილები „კომანდან ვანიასთან" შეგროვდნენ და თავი დანგრეულ ფერმას შეაფარეს.

ბოლოს გერმანელები მათაც აიყვანენ და შურს სასტიკად იძიებენ: სოფელს დაწვავენ. ხოლო მათ, ვინც ვერ მოახერხა გაქ-ცევა, სიკვდილამდე აწამებენ და გვამებს დაასახიჩრებენ. ოპე-რაციის შედეგი ძალზე მძიმე აღმოჩნდა: რომან პიეტროვსკი ავტომატით ხელში დაიწვა. მოკლულ იქნა 8 სამოქალაქო პირი. იმავე დღეს ნაცისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს FTP-MOI-ს შენაერთის 14 პარტიზანი და 7 ქართველი. დაღუპულთა ხსოვნის მემორიალზე პოლონელებისა და ესპანელების გვარების გვერდით ვკითხულობთ: ცეცვაშვილი, ხატიაშვილი, გრიგოლ ობოლაძე, ალექსანდრე ტაბაღუა *(ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პროფესორ ილია ტაბაღუას ძმა – გ. ა.)* ... ომის შემდეგ კარ-

213. Commendant – აქ: მეთაური

მოზინელი პარტიზანები ბლეიე ლე მონში, სასაფლაოზე, აღმართავენ მონუმენტს. იმ ადგილას დასაფლავებული არიან FTPF-ს დაღუპული მებრძოლები, ტარნის (Tarn) და ავეირონის (l'Aveyron) პარტიზანები (maquis). მათთან ერთად იქვე განისვენებს ორი უცნობი ქართველი.

კარმოსა და მისი რეგიონის განთავისუფლებაში „კომანდანი ვანიაც" მონაწილეობდა. საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე იგი ტულუზში დაბრუნდა[214], სადაც საბჭოთა პარტიზანების ბატალიონის მეთაურად დანიშნეს. მას შესთავაზეს სამსახური დე ლატრ დე ტასინის (De Lattre de Tassigny) პირველ არმიაში, რომელიც მდინარე რონასთან (le Rhone) დევნიდა მტერს. მაგრამ გახარებულ ვახტანგს 1945 წელს სამშობლოში დაბრუნება აქვს გადაწყვეტილი, რომელიც სრულიად ახალგაზრდამ დატოვა. 1945 წელს იგი 22 წლისაა და მომავლის იმედითაა აღსავსე.

მაგრამ საბჭოეთმა იგი მოღალატედ და „იმპერიალისტთა აგენტად" ცნო, დააპატიმრა, მიუსაჯა 20-წლიანი პატიმრობა და იძულებითი სამუშაოები. თუმცა, როგორც თავად ამბობს, ბედმა მაინც გაუღიმა: სასჯელს ვახტანგი საქართველოში, რუსთავში, იხდიდა. მას ამუშავებდნენ ქალაქისა და ქარხნის მშენებლობებზე. „საშინლად მძიმე შრომა იყო, მაგრამ ჩემი ქვეყნის ჰაერით მაინც ვსუნთქავდი"[215]. მისი ტანჯვა 6 წელიწადს გრძელდებოდა და დასრულდა 1955 წელს, სტალინის გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ. „რეზისტანსის" მებრძოლის მოწმობის N 850446 მფლობელი დღეს ბედნიერი და ამაყია იმით, რომ მას დაუბრუნდა საფრანგეთის ჯილდოები, რომლებიც სტალინიზმმა წაჰგლიჯა. ვახტანგმა აღადგინა თავისი კავშირები საფრანგეთთან: 2003 წლის 20 აგვისტოს

214. იმ დროის ერთ ფოტოზე აღბეჭდილია 300 ყოფილი ქართველი წითელარმიელი.

215. ვ. სეხნიაშვილის საუბარი რ. ნიკოლაძესთან. თელავი, 2005 წლის სექტემბერი.

იგი პარტიზან მეგობრებთან ერთად მონაწილეობდა ალბის და კარმოს გათავისუფლებისადმი მიძღვნილ ზეიმზე. იმ დღეს მას არ დავიწყებია ბრძოლის ველზე დაღუპული თანამემამულეები, რომლებმაც ვერ გაიზიარეს გამარჯვების სიხარული. საუკეთესო ღვინოებით განთქმული კახეთიდან მან ჩამოიტანა სპეციალურად ჩამოსხმული ძველი ღვინო, გაავსო სუფრაზე ჩამწკრივებული ჭიქები და, ტრადიციის თანახმად, მეგობრებთან ერთად შესვა იმ ქართველებისა და ფრანგების შესანდობარი, რომელთაც სისხლი დაღვარეს ფრანგულ მიწაზე.

ზოგიერთნი, რომლებიც უნდობლად უყურებდნენ ბრძოლებში ამ ადამინების დაგვიანებულ ჩართვას, აცხადებდნენ, რომ გამარჯვება მთლიანად მოკავშირეების მიერ იყო მოპოვებული. მათ მიაჩნდათ, რომ ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცები პარტიზანებს უერთებოდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელი ან კიდევ იმის გამოც, რომ გაეადვილებინათ ევროპაში დარჩენა. ალბათ, ზოგიერთნი ამ განზრახვითაც მოქმედებდნენ, თუმცა მათი საბრძოლო დამსახურება თავისთავად უარყოფს ამგვარ მარტივ ახსნას და უფრო მათი ღირსების სასარგებლოდ მეტყველებს. პარტიზანების შეფასებით, ისინი იყვნენ მამაცი და დისციპლინირებული მეომრები. საბრძოლო პატაკებში მათ ხშირად მადლობებს უცხადებდნენ.

კარმოსაკენ ძლევამოსილ მარშში 200-მა ქართველმა მიიღო მონაწილეობა. „მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს 19 აგვისტოს ლეკიურ დ'ალბიჟუას (Lescure d'Albigeois), დ'ართეს (d'Arthès) და კიუნაკის (Cunak) კომუნების გათავისუფლებაში". ამ ოპერაციებში მონაწილე ორი შენაერთიდან ერთი ქართველებისაგან შედგებოდა. მოგვიანებით ეს შენაერთი ალბიში შევიდა. როგორც FFI-FTP-MOI-სამხრეთის ზონის (Zone Sud) სარდლობის ერთ-ერთ კომუნიკეში იყო აღნიშნული, „ფრანგმა და საბჭოთა პარტიზანებმა ერთობლივი ძალებით

გაათავისუფლეს ტარნის (Tarn) დეპარტამენტი“[216]. ალბის ახალ ხიდთან (Pont Neuf), პარტიზანების ესპლანადასთან (l'esplanade des Partisans), აღმართულია პატარა, სადა ობელისკი, მიძღვნილი თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი. ამ ადგილზე 1944 წლის 22 აგვისტოს პარტიზანებმა შეაჩერეს ლიონისკენ მოძრავი გერმანელთა კოლონა. ქვაზე ამოჭრილ დაღუპულ მებრძოლთა გვარებს შორის ვკითხულობთ: სერგი თართალაძე (Serge Tartaladzé), FTP.

დასავლეთ საფრანგეთში, ვანში (Vannes), პატივს მიაგებენ ქართველთა მე-4 ბატალიონს, „რადგან იგი აჯანყებულებს შეუერთდა“. იგივე მოხდა შერბურში (Gherbourg), სადაც აჯანყებულ მოსახლეობას მიემხრო პირველი ბატალიონი. ამ ხანგრძლივი ომის ნაკვალევებზე ჩვენ ხშირად ვხვდებით ქართველთა გვარებს. კასტრში სახელი გაითქვა ლეიტენანტ ინაშვილის რაზმმა. აღმოსავლეთში, მოზელში, ერთ-ერთ ქვედანაყოფს პავლე შაშიაშვილი მეთაურობდა. პა დე კალეში ჰენენ-ლიეტარის FTP-ს ჯგუფში (FTP du Hénin Liétard), რომელიც მონაწილეობდა ერთ-ერთი ხიდისათვის გამართულ სისხლისმღვრელ იერიშში, ლეიტენანტი შარლ რენო (Charles Renaud) ასახელებს „რვა ქართველ ჯარისკაცს, მათ შორის, აპოლონ წაბრიას, ილია დარჩიაშვილს, დავით იშელიძეს და სიმონ როთაშვილს“.

ქართველებმა თავი ისახელეს სამხრეთ-დასავლეთში: დორდონში, ტარნსა და გარონაზე, ჩრდილოეთში: კორეზსა და ნორმანდიაში მიმდინარე ბრძოლებში. 1944 წლის 12 სექტემბერს დასავლეთის ღრმულებში ქართველთა 16-კაციანი რაზმი სამაგალითო თავდადებით იბრძვის ფერიერთან (Ferrière), – საკვანძო პოზიცია ლა როშელის (La Rochelle) ალყისათვის, – რომელიც ჯერ კიდევ გერმანელების ხელში იყო.

216. *On les nommait des étrangers, op. cit.*

ბევრი მათგანი ვეღარ იხილავს მშობლიურ საქართველოს: კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს, გალავნიან სოფლებს, ბარაქიან ველებსა და ზვრებს, მტკვრის ხეობაში გაშენებულ ხის აივნებიან თბილისს და აივნებზე მათ მოლოდინში მსხდომ შავთვალება დედებს.

ისინი დაიღუპნენ უცხო მიწაზე, რომელსაც იცავდნენ. ამის დასტურად საკმარისია თუნდაც ერთი გადარჩენილი AS-ის მებრძოლის მიერ მოთხრობილი ამბავი. 1944 წლის მაისში მათი ჯგუფი მოქმედებდა შამბულივის (Chamboulive) მახლობლად, ლა სერვანტიში (la Servantie), ტიულიდან 25 კმ-ის დაშორებით. 4 მაისს, განთიადზე, გერმანელები იერიშზე გადავიდნენ. შეტევას პარტიზანებმა სწრაფად უპასუხეს. ავტომატის ჯერმა დაცხრილა მარცხენა ფლანგზე მყოფი გიორგი (Georgius), რომელიც ჟანტ დე სენ სალვადურში (Gente de Saint Salvadour) ზამთრის დასაწყისში მოვიდა. P-40-ის სროლის ხმაზე რაზმის დასახმარებლად მოსულ ამხანაგებს საშინელი სურათი დახვდათ: მთლიანად განადგურებული ჯგუფი. გერმანელებმა 14 კაცი ტყვედ აიყვანეს, რომელთაგან მხოლოდ 4 გადარჩა.

დახოცილთა შორის დასვენებულია ტყვიებით დაცხრილული მეტად წარმოსადეგი ქართველი. იგი „იმათ გვერდითაა, ვისთანაც იწილებდა განსაკუთრებულად მძიმე ცხოვრებას და მათთან აკავშირებდა საერთო იმედი“[217]. სან სალვადურში დაღუპულთა მემორიალი პატივს მიაგებს „სერვანტიში დაღუპულ შორეული თბილისის ღირსეულ შვილს. კომუნა ამაყობს მამაცი დათიკო ვერონაშვილით“ და „მშვიდ ძილს უსურვებს კორეზის მიწაში“.

ამ უცხოელმა მეომრებმა, — მევენახეებმა, ინჟინრებმა, მუშებმა თუ მასწავლებლებმა, — ისტორიის ქარიშხლის მიერ საყვარელ საქართველოს მოწყვეტილებმა, შემთხვევითობა საკუთარ

217. *Maquis de Corrèze, op. cit.* რენე გენზის (René Guenzi) და ლუი გურინალის, მეტსახელად „პიეროს“ (Louis Gourinal, dit „Pierrot“) მონაყოლი.

ზედად აქციეს. „ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში მათ სისხლი ფრანგების გასათავისუფლებლად დაღვარეს“.

მათი არჩევანი საერთო განწყობიდან გამომდინარეობდა: ოკუპირებულ ევროპაში გერმანელთა სამხედრო ძალებში მოხვედრილი უცხოელი ჯარისკაცებიც, წითელარმიელების მსგავსად, დგებოდნენ ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. გავიხსენოთ 1940 წლის მაისიდან ოკუპირებული ჰოლანდიის კუნძულ ტექსელის ტრაგიკული, მაგრამ ბრწყინვალე მოვლენები. ტექსელი გახდა მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უკანასკნელი ბრძოლის ასპარეზი. ჰოლანდიელ პარტიზანებთან გაერთიანებული გარნიზონის 800 ქართველი მეომრიდან 1945 წლის აპრილის აჯანყების დროს დაიღუპა 640.

ქართველთა რაზმის მეთაურმა, ლეიტენანტმა შალვა ლოლაძემ, გაიგო, რომ მისი 822-ე ბატალიონი გადაჰყავთ ზიუიდერზეეში (Zuiderzee) კანადელებთან საომრად. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს მუდმივად 400 გერმანელი მეთვალყურეობდა, ისინი 6 აპრილს მოულოდნელად აჯანყდნენ, ტექსელელ „რეზისტანელებთან“ ერთად დახოცეს ბევრი გერმანელი და დაიკავეს კუნძულის საკვანძო პუნქტები: დენ ბურგი (Den Burg) და ოდ ჟერენი (Od Gerin). „ჩვენ გავხდით კუნძულის ბატონები,“[218] – იგონებს ევგენი არტემიძე, რომელიც 40 წლის შემდეგ ტექსელზე დაბრუნდა. მაგრამ ერთმა გაქცეულმა ოფიცერმა აჯანყებულები გასცა. გერმანელთა დამხმარე ძალები კუნძულზე გადმოსხდნენ და დაიბრუნეს ორი ბატარეა. მხოლოდ მსუბუქი იარაღით აღჭურვილი შესანიშნავი მსროლელი ქართველები ორი კვირის განმავლობაში მტერს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. 21 აპრილს ისინი იძულებულები გახდნენ, შეეწყვიტათ ბრძოლა.

---

218. *Die Nacht der Georgian, 6 avril 1945* (ქართველების ღამე, 6 აპრილი 1945 წ.). ფოლკერ დიტრიხის (Volker Dietrich) და ვოლფგანგ ბროდის (Wolfgang Brod) ფილმი. Prod. Nippes Medien Gmish, 2002.

ამ აჯანყების დროს დაიღუპა 2000 გერმანელი, 525 ქართველი და 170 ტექსელელი. გერმანელებმა დაიწყეს სასტიკი რეპრესიები, მაგრამ, მიუხედავად სიკვდილის მუქარისა, კუნძულის მოსახლეობა კანადელების მოსვლამდე კიდევ 4 კვირის განმავლობაში მალავდა 235 ქართველს.

ტექსელის დატოვებისას გემზე ასულმა ნოე გონგლაძემ, ვიდრე მას საბჭოელებს გადასცემდნენ[219], თანამებრძოლების სახელით მადლობა გადაუხადა ტექსელელებს „შესანიშნავი თანადგომისათვის“. ამიერიდან ქართველები მათ „ძმებად თვლიდნენ.“ ქართველი ჯარისკაცების მორალური მხნეობა და მამაცობა, კანადელების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმა და მოკავშირეების მხარეზე გადასვლა აიხსნება მათი სერიოზული გადაწყვეტილებით, „არ დაბრუნებულიყვნენ საქართველოში გერმანელების სამხედრო ფორმაში“.

ჰოგ ბერგის მიწაში თანამებრძოლებთან ერთად განისვენებს კაპიტანი ლოლაძე. 1946 წელს უილიამ კილიხმა (W. Kielich) დე მოკში (De Mok) მოინახულა ქართული ბატალიონის სხვა მებრძოლთა საფლავები. იგი აღფრთოვანებული დარჩა გაზაფხულის სილამაზით. 1946 წლის გაზაფხული საოცრად ჰგავდა 1945 წლის გაზაფხულს, დაკავშირებულს დაღუპულთა ხსოვნასთან.

გაზაფხულის ცისფერ ცაზე მოკაშკაშე მზე, პლაჟიდან – ტალღების ხმა. ეს პლაჟი სულ ახლოსაა იმ თხრილთან, რომელიც ქართველებს გაათხრევინეს დახვრეტის წინ. აქვე, მინდვრის იებში, გდია ნიჩაბი, რამდენიმე ვაზნა, სამხედრო ქამარი... „It was like this on the day when these seventry men hat to dig then

219. მოკავშირეთა გაზეთებში აჯანყებულთა სამხედრო გმირობისა და ბრძოლის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის წყალობით გადარჩენილებმა თავიდან აიცილეს ვერმახტში გადასულ ტყვეთა ხვედრი. თუმცა საბჭოთა კავშირში მათი რეაბილიტაცია მოხდა მხოლოდ 1956 წელს. *The Georgian rebellion in Texel*, Dick van Reeuwjit, Het Open Boek, Binnenburg 3, Den Burg, Texel, Hollande.

own grawe!“[220] (ეს დღე ჰგავდა იმ დღეს, როდესაც ამ 70 ადამიანს საკუთარი საფლავი ჰქონდა გასათხრელი).

საქართველოს ამაყი შვილი

საფრანგეთში მებრძოლი უცხოელი მეომრების ისტორია იმ მძიმე დროში ერთ-ერთი საბედნიეროდ გადარჩენილის თავგადასავალსაც მოგვითხრობს. მრავალ ჭირგამოვლილი პეტრე ქიტიაშვილის ავტობიოგრაფია გვაუწყებს, რომ მან საქართველოდან დორდონის პარტიზანებამდე მიაღწია. ეს „მოგზაურობა“ უთუოდ ყურადღების ღირსია.[221]

პეტრე დაიბადა გორში, 1921 წელს. ქვეყანა უკვე შეძრული იყო ბოლშევიკების მიერ ახალგაზრდა რესპუბლიკის დაპყრობის გამო. ბავშვობა მან რაიონში, თბილისის მახლობლად, გაატარა. იქვე სწავლობდა აგრონომიას.

1940 წელს პრესა ტრიუმფალური ტონით იუწყებოდა გერმანელთა ჯარების ძლევამოსილი წინსვლის შესახებ. ეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის პირდაპირი შედეგი იყო. თავად მოლოტოვმა დეპეშით მიულოცა ჰიტლერს პარიზის აღება. თუმცა ქიტიაშვილების ოჯახი ამას განსხვავებულად აღიქვამდა. გორში პეტრეს ბიძა მინარდი, შორეული შთამომავალი ფრანგი ჯვაროსნისა, რომელიც წმინდა მიწაზე დამარცხების შემდეგ კავკასიაში დამკვიდრდა, დასტიროს ოკუპირებული საფრანგეთის უბედურებას. ერთ კვირადღეს იგი მეგობრებთან და ძმისწულთან ერთად მაშინ ჯერ კიდევ მოქმედ ფრანგთა წმინდა ლუის ეკლესიაში (Saint-Louis) მივიდა.

---

220. უ. კილიხის წერილი დოქტორ ვახტანგ ღამბაშიძეს, რომელიც იმ დროს საფრანგეთში ქართველთა ასოციაციის პრეზიდენტი იყო. დოკუმენტი პირადი საკუთრებაა.

221. P. Kitiaschvili, *Du Caucase à l'Atlantique, de l'Armée Rouge aux maquis de France*, 1985. წიგნი ეძღვნება „ბრძოლის ველზე დაღუპულ თანამემამულეებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო სამსახურს პეტრე იხდის საბჭოთა კავშირ-გერმანიის საზღვარზე, ქალაქ პერემიშლში. ეს მხარე პოლონეთის გაყოფის შემდეგ საბჭოელების მიერ იყო ანექსირებული. 1941 წლის 22 ივნისს ვერმახტი ოთხმილიონიანი არმიით მოულოდნელად თავს დაესხა ყოფილ მოკავშირეს. ამ თავდასხმას წინ უძღოდა 5000 თვითმფრინავით განხორციელებული ხანგრძლივი და მასირებული დაბომბვა. გერმანულმა ტანკებმა მთლიანად გასრისეს საომრად მოუმზადებელი საბჭოთა ჯარისკაცები. უკანდახევის ჯოჯოხეთურ ქაოსში, შემდეგ კი საჯარისო ნაწილების გადაჯგუფების დროს, პეტრემ მიიღო ოფიცრის პირველი სამხრეები. იგი უკვე მტკიცე და გამოცდილი მეომარია, რომელსაც ძალუძს ნებისმიერი გაჭირვების ატანა.

1942 წლის 18 ივლისს მე-6 არმიის ოფიცერი ტყვედ ჩავარდა. ფეხებში დაჭრილი, იძულებულია დიდხანს იაროს, იშიმშილოს და, ბოლოს, გაუძლოს სიკვდილის მატარებლის საშინელებას: სხვა კავკასიელ ტყვეებთან ერთად დაუსრულებელი ოთხი დღისა და ოთხი ღამის განმავლობაში „იმგზავროს" უწყლოდ, მომაკვდავთა და ამხანაგების გვამებს შორის, პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებით.

კრაკოვიდან 100 კილომეტრში მდებარე მაიდანის საკონცენტრაციო ბანაკში სხვა ქართველებთან ერთად დამწყვდეული, ჯოჯოხეთგამოვლილი პეტრე ცდილობს და ახერხებს კიდევ პირველ გაქცევას. ამაში მას პოლონელები ეხმარებიან. ბანაკიდან გაქცეულმა უკრაინამდე მიაღწია, სადაც პარტიზანების ჯგუფს შეუერთდა. ჯგუფი საწარმოებში დივერსიებსა და საბოტაჟს აწყობდა. იგი კვლავ დააპატიმრეს, აწამეს. გაქცევის რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ ჩააგდეს პოლონეთის ჭაობებში მოქმედ შელმის (Chelm) საკონცენტრაციო ბანაკში. ბანაკის დაცვის სისასტიკისაგან განადგურებული, გვამებით გავსებული თხრილების გვერდით მცხოვრები მშიერი, ავადმყოფი, უძლური ქართველები და სომხები გადარჩენის უკანასკნელ ხავსს

ჩაეჭიდებიან. ეს ხავსი ვერაგმა გამარჯვებულებმა გადაუგდეს. ბანაკის ადმინისტრაციამ მათ შესთავაზა „ანტიბოლშევიკურ ლეგიონში ჩაწერა და წითელი ტირანიისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლა".

ქიტიაშვილი თანხმდება და სხვა ყოფილ ტყვეებთან ერთად 1943 წლის დასაწყისში ქართული ლეგიონის მე-5 ბატალიონში ჩაირიცხება. მათ ყველას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ჰიტლერის ჯარიდან გაქცევა და პოლონელ პარტიზანებთან დაკავშირება. პეტრეს ოცეულში შეიქმნა „ანტიფაშისტური ჯგუფი". ეს ნამდვილი პატრიოტები, როგორც კი მიეცემოდათ შესაძლებლობა, ანადგურებდნენ „ფაშისტ-ნაძირალა მოღალატეებს, რომლებიც ფაშისტებთან თანამშრომლობდნენ". როგორც პეტრე წერს, „ისინი თავიდან იცილებდნენ პარტიზანთა სოფლების წინააღმდეგ დაგეგმილ სადამსჯელო ოპერაციებში მონაწილეობას იმით, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ წინასწარ აფრთხილებდნენ მათ".

სტალინგრადის კატასტროფის შემდეგ, 1943 წლის მაისში, გერმანელებმა ქართველები საფრანგეთში გადაისროლეს. ქიტიაშვილსა და მის მეგობრებს ალიმბარაშვილს, შუბიძეს *(იქნებ – შუბითიძე – გ. ა.)*, მახარაძეს ევალებათ ბარ-ლე-დიუკთან (Bar-le-Duc) არხის ყარაულობა. ისინი ცდილობენ „მაკიზარებთან" დაკავშირებას. თუმცა მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია: ჯგუფი ჯერ ნევერში (Nevers), ხოლო შემდეგ პერიგეში (Périgueux) გადაიყვანეს. აქ მათი მეთაური ხდება ლეიტენანტი აბრამიძე. სამწუხაროდ, ჯგუფს გერმანელების მოსყიდული ქართველი „ჩაუშვებს". მათ უმოწყალოდ სცემენ და მკაცრ მეთვალყურეობას დაუწესებენ.

და მაინც, 2 ოქტომბერს, პეტრე რამდენიმე ამხანაგთან ერთად ახერხებს გერმანელთა 799-ე ბატალიონიდან გაქცევას. 15 დღის

შემდეგ ერთი კომუნისტი „რეზისტანელის“ დახმარებით[222] ისინი შეიერთეს ჟაკუ ლე კროკანის (Jacou le Croquant) პარტიზანებმა. ამ რაზმის მეთაური ანდრე ბონეტო (André Bonnetot) იყო ჟერიგეს დასავლეთის ზონის პოლიტიკური კომისარი. ქართველები მოხვდნენ MOI – FTP-ის იმ ჯგუფში, რომლის უმრავლესობას ესპანელები შეადგენდნენ.

ასამდე პარტიზანმა საბაზო ბანაკი ტუნაკში (Tunac), სარლატის (Sarlat) მახლობლად, დორდონის მაღლობის ერთ გამოქვაბულში მოაწყო. გამოქვაბული პირდაპირ მონფორის სასახლეს (chateau de Montfort) უყურებდა. იქ პეტრეს ბედნიერება ჰქონდა ქართულად ელაპარაკა „პილოტოსთან“, ესპანელ მფრინავთან. თურმე 1937 წელს, ესპანეთის ომის დროს, რომელშიც საბჭოთა კავშირი რესპუბლიკელებს ეხმარებოდა, ამ მფრინავს კავკასიაში უსწავლია.

„მაკიზარები“ აპრობირებული პარტიზანული ტაქტიკით მოქმედებდნენ. მათი ბანაკები მოწყობილი იყო ტყეებში, მდინარის გაყოლებაზე გაშენებული სოფლების მახლობლად: ვეირინიაკი (Veyrignac), სენ ჟიულიენ დე ლანგონი (Saint Julien de Langon)... თანამდგომი სოფლელები მათ ეხმრებოდნენ, იფარებდნენ. პარტიზანები აწყობდნენ დივერსიებს, გერმანელებზე მოულოდნელ თავდასხმებს, იბრძოდნენ ფრანგი მილიციელების წინააღმდეგ.

პეტრე ქიტიაშვილი, როგორც წესი, არ ეთანხმებოდა მეთაურების დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს. ამის გამო ესპანელებთან კონფლიქტიც კი მოუვიდა. თავის ჯგუფთან ერთად იგი დროებით შეუერთდა FTP-ის „ჰერაკლეს“ ბატალიონს, რომელიც მოქმედებდა ლოტსა და გარონაში (le Lot et Garonne). იქ იგი შეხვდა პერიგედან გამოქცეულ ასამდე თანამემამულეს. მათგან შეიტყო, რომ მისი ცხრა მეგობარი გერმანელებმა

222. დადასტურებულია გენერალ ჟ.პ. ფორის (J.P. Faure) მიერ. 2004 წლის ნოემბერი.

დახვრიტეს. პერიგეს ჩრდილოეთის სასაფლაოს სამხედრო მონაკვეთში მათი ხსოვნის აღსანიშნავად დადებულ საფლავის ქვაზე ამოჭრილია ქართული გვარები: აბრამიძე, აბულაძე, ალიხანაშვილი, ჯიქია, ეიბრამიძე (Eibramidzé), მარგებაძე (Marguébadzé), ნირანიშვილი (Niranichvili), პატარაშვილი (Patarachvili), ჩხენკელი. დღეს ასოციაცია „ფრანგული ხსოვნა“ (le Souvenir Français) უვლის ამ „საბჭოთა“ ძეგლს, რათა დავიწყებას არ მიეცეს „საფრანგეთისთვის დაღუპული საქართველოს შვილების სახელები“.[223]

პარტიზანები დარწმუნდნენ, რომ რაზმის მეთაური პეტრე უდრეკი პიროვნებაა. იგი განხეთქილების წინააღმდეგია და უარყოფს ისეთ უაზრო, გაუმართლებელ მოქმედებას, როგორიც იყო მიუსიდანში (Mussidan) ჯავშნოსან მატარებელზე თავდასხმა. ამ აქციაში მრავალი „მაკიზარი“ დაიღუპა. გერმანელებმა დახოცეს მძევლად აყვანილი 52 სამოქალაქო პირიც. „რეზისტანსისთვის“ სამარცხვინო სისხლისღვრა,“ – წუხდა იგი დიდი ხნის შემდეგ, 1985 წელს.

ერთ-ერთი ოპერაცია, რომლითაც პეტრე და მისი ამხანაგები ამაყობენ, ჩატარდა 1944 ივნისს, სულ მალე მოკავშირეთა გადმოსხმის შემდეგ. ნორმანდიის ფრონტზე ჯარების გადასროლის წინ გერმანელები ახორციელებდნენ მათ გადაჯგუფებას. პარტიზანებმა გადაწყვიტეს ამ პროცესის შეფერხება. ქართველების რაზმი იცავდა კასტელნოს (Castelnaud) სასახლესა და ხიდს. გერმანელთა კოლონა მოძრაობდა დორდონის სიმაღლეების გასწვრივ. თოფებითა და ავტომატებით შეიარაღებულმა პარტიზანებმა მას ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს. კლდეებში ხშირი გადაადგილებით მათ შექმნეს ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერი ნაწილის შთაბეჭდილება და აიძულეს მოწინააღმდეგე, უკან დაეხია.

---

223. *La Patrie reconnaissante*, Sud-Ouest, 6.11.2005. დოკუმენტი მოგვაწოდა პერიგეს მერიის თანამშრომელმა ქ-მა ჟ. ბეილემ (J. Baylet). იგი დადასტურებულია ასოციაცია „ფრანგული ხსოვნა“-ს მდივნის, ბ-ნ ჟ. რაბას (J. Rabat) მიერ.

1944 წლის ივლისში დორდონის FFI-ს ნაწილების მეთაური გახდა პოლკოვნიკი ადელინი „საიდუმლო არმიიდან“ (Adeline de l'AS). მან სთხოვა ქიტიაშვილს ბონ-ანკონტრში (Bon-Encontre) დაბანაკებული კასტრისა და ალბის ორი ქართული ბატალიონის „რეზისტანსში“ შეყვანა. ფრანგული ენის არცოდნა და გერმანული უნიფორმა მათ მიმართ გარკვეულ უნდობლობას იწვევდა, რაც, ბუნებრავია, ართულებდა შეერთებას პარტიზანებთან.

პეტრე უკავშირდება მიხეილ მახარაძეს, ექიმ გვეტაძესა და ამბროსაშვილს. მისი რჩევით, ქართველთა 66-კაციანი ასეული უნდა გაფანტულიყო და ემოძრავა მის მიერ ნაჩვენები გზით, რომელიც რაზმს მშვიდობიანად მიიყვანდა დანიშნულების ადგილამდე. უკანა გზაზე ჩამინებულს, მას თავს დაესხნენ მილიციელები. მძიმედ დაჭრილმა პეტრემ მაინც მოახერხა გაქცევა. საბოლოოდ იგი აღმოჩნდა ტულუზის საავადმყოფოში და იძულებული გახდა, იქ დარჩენილიყო 1945 წლის იანვრამდე. ამის გამო მან მონაწილეობა ვერ მიიღო „გათავისუფლებისათვის“ მომავალ ბრძოლებში

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, კაფარელის კაზარმაში (la Caserne Caffarelli) იგი შეხვდა თავის ამხანაგებს, გაერთიანებულებს „საბჭოთა პარტიზანების პოლკში“. მისი სიტყვებით, მათ შორის ყოფილი კოლაბორაციონისტებიც იყვნენ. ეს ადამიანები „რეზისტანსში“ დაგვიანებული შესვლით „გათეთრებას“ ცდილობდნენ. მაშინ პეტრემ უარი თქვა მეთაურის თანამდებობაზე, რომელიც მას შესთავაზეს. 1945 წლის მაისში, გამარჯვების შემდეგ, ტულუზში გადაღებულ ფოტოსურათზე აღბეჭდილია 150 ქართველი „მაკიზარი“. მათი უმრავლესობა 20 წლისაა. მათ შორის მოტოციკლეტზე „ამხედრებული“ უმცროსი ლეიტენანტი პეტრე ქიტიაშვილიცაა. ამავე სურათზე ვხედავთ ვახტანგ სეხნიაშვილსაც. მის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ომის დასრულების სიხარული უმცროს ლეიტენანტს ჩაუმწარდა. დაღუპულ მეგობრებზე დარდს დაემატა ახალი წვრილფეხა, უფროსობასთან დაპირისპირება. ეს იყო ოფიცრების, უფრო სწორად, პოლიტიკური კომისრების ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან ჩამოვიდა გენერალ დრაგუნის სამხედრო მისიასთან ერთად. კაპიტოლიუმის მოედანზე პეტრეს უფროსი, ლეიტენანტი ხინჩიკაძე, გამოირჩეოდა ტყავის პრიალა ჩექმებით. პეტრეს სამართლიანობის გრძნობა, ფიცხ ტემპერამენტთან შერწყმული, ძლიერად შეეჯახება მას, „ვისაც თავი დიდ ბატონად წარმოედგინა“. ბრივის ქართველებმა (les Géorgiens de Brive), „ჰერაკლეს“ ბატალიონის მეომრებმა, პეტრე დაჭერას გადაარჩინეს.

ფრანგული სამხედრო ჯვრის ორდენით დაჯილდოებული, სარდლობის ბრძანებებში არაერთგზის მადლობით აღნიშნული 24 წლის გახარებული გმირი საყვარელ სამშობლოში, საქართველოში დაბრუნებას ფიქრობს. ეს კი, როგორც ჩანს, არ ეთანხმებოდა სტალინის პოლიტიკური პოლიციის, „ენკავედეს“, გეგმებს. ჩეკისტებმა ეს პატრიოტი, ძლიერი ადამიანი ეჭვმიტანილად ცნეს გერმანელებთან თანამშრომლობაში იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა თავის ამხანაგებზე ინფორმაციის მიწოდებაზე.

როგორც ქიტიაშვილი ირონიით წერს: „ჩემი ხასიათი მათ სურვილებს არ ეთანხმებოდა“. მას, ჯოჯოხეთურ ომგამოვლილს, სხვა ქართველებთან ერთად დაამწყვდევენ ციხეში, ლაიფციგის მახლობლად, საბჭოელების მიერ კონტროლირებად ზონაში. იმის გამო, რომ იგი უარს ამბობს თავისი ამხანაგების გაცემაზე და არ ემორჩილება სასტიკ და გონებაჩლუნგ უფროსს, მას უმოწყალოდ სცემენ და აწამებენ შტეე-ბუნკერში.[224] ციხეში პეტრემ ნათლად

224. Steh-bunker: პატიმრების წამების საშუალება, გამოგონილი ნაცისტების მიერ. ამ შემთხვევაში იგი გამოიყენეს საბჭოელებმა. ეს არის „ფეხზე დგომის საკანი“, ლუდოვიკო XI-ის გალიის ნაირსახეობა. მისი ყოველი კედლის სიგანე 50 სანტიმეტრია. მასში ქიტიაშვილი მთელი დღე-ღამე ჰყავდათ დამწყვდეული.

გააცნობიერა, რომ იგი ჩაწერეს „სამშობლოს მოღალატეთა სამარცხვინო სიაში" და პირდაპირ ციმბირში უკრავდნენ თავს.

ამ არანორმალურ ვითარებაში უკეთ გასარკვევად საჭიროა გავიხსენოთ სტალინის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მტრის ხელში მოხვედრილი ნებისმიერი საბჭოთა ჯარისკაცი სამშობლოს მოღალატედ ითვლებოდა. 1941 წლის ივლისის „ენკავედეს" N246 ბრძანებაში საუბარი იყო გერმანულ ჯარში გადასულ ათასობით დეზერტირზე და მათ დასჯაზე. ამავე ბრძანებით დეზერტირებს გაუტოლეს ტყვედ ჩავარდნილებიც. სოლჟენიცინი „არქიპელაგ გულაგში" იხსენებს სიკვდილს გადარჩენილებს, რომლებიც ბანაკებში „იწმინდებოდნენ" ამ „დანაშაულისგან".

ურთიერთანხმობის ლოგიკით, ფრანგი ტყვეები უნდა გაეცვლათ საბჭოთა ტყვეებზე, რაც დღის წესრიგში ჯერ კიდევ 1942 წელს სირენაიკში (Cyrenaique, ლიბია) ინგლისელებმა დააყენეს, რაზეც 1943-ში მოკავშირეებმა თეირანში იმსჯელეს და რასაც დე გოლმა 1944 წლის ოქტომბერში მხარი დაუჭირა. მაგრამ შემდეგ საფრანგეთმა განაცხადა, რომ არ მისცემდა თავშესაფრის უფლებას საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი უცხოურ ლეგიონში მსახურობდნენ.[225]

პარიზის გათავისუფლების შემდეგ მათ შეყრიან საფრანგეთში მე-16 დასახარისხებელ, ბორეგარის (Beauregard) მსგავს ბანაკში.[226] ამ დროს კი 1000 საბჭოთა ოფიცრისგან შემდგარი სამხედრო მისია გენერალ დრაგუნის მეთაურობით აღმა-დაღმა სურავდა მთელ საფრანგეთს საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომთა ძებნაში. ეს მისია, ანუ „ენკავედე", ამ ადამიანთა სიების მოთხოვნით მოსვენებას არც ფრანგ ხელისუფალთ აძლევდა. ყველაფერი ხდებოდა ადამიანის ნების პატივისცემის შესახებ ჟენევის კონვენციის საწინააღმდეგოდ. სახელმწიფოს პოზიციამ

225. კაპიტანმა ივანე ვარნაძემ გადაარჩინა ლეგიონის ბევრი მებრძოლი, როდესაც უარი უთხრა საფრანგეთის ხელისუფლებას მათი გვარების დასახელებაზე.

226. *Les camps soviétiques en France, op. cit.*

ამჯერადაც გადასწონა. ეს გაგრძელდა 1946 წლის აპრილამდე, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არ მიიღო გადაწყვეტილება თავშესაფარზე ადამიანის უფლების შესახებ. ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდებოდა სამხედრო დამნაშავეებზე.

რაც შეეხება პეტრე ქიტიაშვილს, მან არაფერი იცოდა სამთავრობო გარიგებების შესახებ. თუმცა სულ მალე მიხვდა, რომ ოფიციალური რეპატრიაცია მას „ოკუპანტებთან თანამშრომლობის“ ბრალდებით მიიყვანდა გულაგში. „ჩემი სული ატირდა, – წერს იგი, – როდესაც ვაგონზე, რომლითაც უნდა გადავეყვანეთ, წავიკითხე სიტყვა КОЛЫМА“. არც პეტრეს და არც მის ამხანაგებს არასდროს უღალატიათ ქვეყნისა და საკუთარი ხალხისთვის.[227]

იმ წუთიდან მოყოლებული, ის, ვისაც ნაცისტები აღმოსავლელ „არაადამიანად“ თვლიდნენ, გახდა „ჩორნი ჟოპ“,[228] როგორც მას დაუღრიალა ერთმა რუსმა ოფიცერმა. პეტრემ ზურგი შეაქცია ტოტალიტარულ რეჟიმს და მამაცობისა და შემთხვევის წყალობით კიდევ ერთხელ გაიქცა. მან მოახერხა „ფრანგულ საოკუპაციო ზონაში“ შეღწევა, სადაც „მაკის“ ყოფილი კაპიტანი დაეხმარა, ჩასულიყო პარიზში, მის „მეორე სამშობლოში.“

თავდაპირველად იგი იმალებოდა ელენე ცაგარელთან, მშვენიერ თანამგრძნობ ქართველ ქალთან. ელენეს რესტორანი ჰქონდა სეგიეს (la rue Séguier) ქუჩის 13-ში. მაგრამ ჩეკისტების მიერ დევნილი პეტრე იძულებულია კიდევ ერთხელ გაიქცეს. ამჯერად მას რუხაძეების ოჯახი შეიფარებს. მათთან ბელაკში (დორდონში) (Bellac en Dordogne) პეტრე დარჩება 1946 წლის მაისამდე. იქ მან დაიწყო ახალი ცხოვრება: შეირთო ადგილობრივი

---

227. ГУЛАГ – ი. სოლჟენიცინის მიერ შექმნილი „ბანაკების მთავარი სამართველოს“ (Главное Управление Лагерей) რუსული აბრევიატურა. ბანაკებში გადარჩენილთა გათავისუფლების პროცესი დაიწყო 1956 წელს, ხრუშჩოვისეული ე. წ. „დათბობის“ („оттепель“) შემდეგ.

228. „ჩორნი ჟოპ“: ამ უხამსობით რუსი რასისტები ამცირებენ კავკასიელებს მათი პირისახის მუქი ფერის გამო. ეს ლანძღვა დღესაც იხმარება ჩეჩნების მიმართ: „საუბარია არა ადამიანებზე, არამედ შავ ტრაკებზე...“ (ვ. პუტინი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი. მისგან ეყოლა ორი შვილი, რომლებიც ამაყობენ თავიანთი ფრანგული მოქალაქეობით.[229]

მხოლოდ 40 წლის შემდეგ პეტრე ქიტიაშვილი, ბოლოს და ბოლოს, შეძლებს საქართველოში ჩასვლას. იქ სადღეგრძელოებში ჩაქსოვილი გრძნობები გააღვიძებენ გამოვლილ პარტიზანულ წარსულს. 1984 წელს გორში გადაღებულ ფოტოსურათზე გამოსახულია ყვავილებით დამშვენებული სუფრა, სადაც მან და მისმა ამხანაგებმა: ლეიტენანტმა შალამბერიძემ, უფროსმა ლეიტენანტმა ჟორა ბერაძემ, ზემდეგმა წერეთელმა, სერჟანტმა ამირანაშვილმა გაიხსენეს „მაკიზართა" საფრანგეთი.

პეტრეს მოუსვენრობა, მუდმივი მოძრაობა და უწყვეტი ტანჯვა ისტორიის ბობოქარი ტალღების ანარეკლია და აიხსნება მისი უდრეკი ხასიათით. სწორედ ამან გადაატანინა ომის სიმძიმე, სიცივე, შიმშილი, ციხე, წამება და ყველაზე ვერაგი და მწარე საშინელება – ღალატის ტკივილი.

ამ 22 წლის შავთვალება „ონავარი" (gamin) „მაკიზარისაგან" მეგობრებმა ლეგენდა შექმნეს. მისი მამაცობა, გამბედაობა, წინდახედულობა, „ყველაფრის ახალი ძალით თავიდან დაწყების უნარი" მართლაც განსაკუთრებული იყო. ახალგაზრდობაში იგი გამძაგებით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ებრძოდა ყოველ ხელისუფლებას, რომელიც არაკანონიერად მიაჩნდა. მას არ ახასიათებდა სისასტიკე, თუმცა მუდმივად იყო მოწოდებული, შური ეძია ნაცისტების გაუგონარ მხეცობაზე: „მკვლელების სისხლი უნდა დაიღვაროს ხანგრძლივ, განუწყვეტელ ომში".

ბრძოლის ველზე მას ხელიდან არ გაუშვია მტრის განადგურების არც ერთი შემთხვევა. ასე მოხდა 1944 წლის მაისში, როდესაც სოფლის გზაზე მიმავალმა დაინახა ორი შიშველი გერმანელი ოფიცერი. ისინი მდინარე დორდონის მხიან ნაპირზე დაუფარავად მრუშობდნენ. პეტრემ იქვე მოკლა ორივე. თუმცა მასვე, გაცხარებული ბრძოლის დროს, შეეძლო

229. ვაჟი მუნიციპალიტეტში მსახურობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი ეთქვა ძველი მეგლის დანაღმვაზე: „კასტელნოს მშვენიერი ხიდის აფეთქება? არა! ეს ხომ საფრანგეთის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იქნება!“

ჩვენც მივესალმოთ თავისუფლების ტრფიალ ადამიანს, რომელსაც უყვარდა საფრანგეთი და იბრძოლა მისთვის. პეტრე ქიტიაშვილის პორტრეტი წინააღმდეგობრივი იდენტურობითაა შეზავებული: თავისი ქართველობით ამაყი ქართველი, ასევე წითელი არმიისა და ფრანგული „წინააღმდეგობის“ მალების ამაყი მებრძოლი.

იდეალი სიცოცხლის ფასად

გასული საუკუნის 20-იან წლებში მონპელიეში დამკვიდრდა ქართველების პატარა კოლონია. ხმელთაშუაზღვისპირეთის ეს მხარე ფრიად სასიამოვნოა სამხრეთ კავკასიელებისათვის. აქ მათ დახვდათ ნაცნობი ვაზი და თბილი საღამოების მუსაიფში გატარების შესაძლებლობაც მიეცათ.

სენ-როშის ქუჩაზე (rue Saint-Roche), თავის უკანასკნელ ნავსაყუდელში, „აივანზე გასასვლელი ღია კარის წინ“, ზაფხულის სიცხეში ნატაშა ციცქიშვილი, სუზიზე მუდამ მგლოვიარე დედა, იხსენებს მშობლიურ სოფელს ქუთაისთან.[230] ლანგდოკის მხარემ (le pays languedocien), რომელშიც თავის დროზე იშვიათი ჯიშის ვაზის მოშენება დაიწყეს, უზრუნველყო ლტოლვილი ქართველები სეზონური სამუშაოებით: შემოდგომაზე რთველი და ხილის კრეფა, სხვა დროს კი სასოფლო კოოპერატივებში საქმიანობა.

მონპელიე, სადაც 1920 წლის 30 დეკემბერს სუზი დაიბადა, ომამდე მშვიდი და საცხოვრებლად მშვენიერი ქალაქი იყო. ციტადელის ძირას ველზე გაშლილი სოფლები... ერთ-ერთ მათგანში, არსოში (Arceaux), იცხოვრებს ელიზ-სიუზან

230. Geor ges Tsitskichvili, *Le passé du présent*, Quick-print, Montpellier, 2002.

ციცქიშვილი, რომელიც სულ მალე ყველასთვის გახდება სუზი. ეს სახელი მასპინძელ ქვეყანაში მისი დამკვიდრების უტყუარი დასტურია. 1927 წელს სუზი მცირე ხნით დატოვებს სოფელს და დარჩება პარიზის გარეუბანში, ისი ლე მულინოში (Issy-les-Moulineaux). სწავლას იწყებს მუნიციპალურ სკოლაში. ბრწყინვალე მოწაფეა. მისი პირველი წარმატება, შესანიშნავი ნიშნები – ლტოლვილი მშობლების ჭეშმარიტი ბედნიერების წყაროა.

უნდა ითქვას, რომ სუზის მშობლები არ იყვნენ პოლიტიკური დევნილები: ისინი თბილისიდან მარსელში ჩავიდნენ 1920 წლის 13 იანვარს. მისი მამა, ვასილ ციცქიშვილი, გააგრძელებს სწავლას და დაამთავრებს მონპელიეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს. დედა, ნატაშა, დიპლომირებული ექიმი-სტომატოლოგია. 1922 წელს, ვასილის სწავლის დასრულების დროისთვის, ოჯახის წინაშე საქართველოში დაბრუნების საკითხი არ დამდგარა. ქვეყანაში ბოლშევიკების შემოსევით შექმნილი დრამატული ვითარება გადაიზარდა სასტიკ რეპრესიებში, რომლებიც ციცქიშვილების ოჯახსაც არ ასცდა და მშობლებმა ახალგაზრდებს სამშობლოში დაბრუნება გადააფიქრებინეს.

სუზი გაიზრდება განათლებულ, თუმცა ღარიბ ატმოსფეროში. ოჯახში ძლიერ იყო გამჯდარი ქართული ტრადიციები. ვასილი და ნატაშა ძლივს ახერხებდნენ შვილების (გიორგი 12 წლის შემდეგ დაიბადა) გამოკვებას შინ დამზადებული მაწვნის გაყიდვით. ამას მათი მწირი დამატებითი შემოსავალიც ემატებოდა: მამა მუშაობდა სოფლის ბაღ-ბოსტნებში, დედა კი სხვის ოჯახებში პატარა ბავშვებს უვლიდა.

მოგონებების წიგნში სუზის ძმამ, შინაურებისთვის გიორგიმ, სხარტად და გონებამახვილურად გადმოგვცა „მაწვნის ქილის თავგადასავალი“[231], რომელშიც აღწერა ორ ნაპირს შორის გატარებული ბავშვობის წლები, ქართველ მეგობრებში

231. *Le passé du présent*, op. cit.

გაბატონებული „სითბოსა და კინკლაოების" ატმოსფერო, გაჯერებული „დაკარგული სამოთხის მრავალხმიანი სიმღერებით".

ციცქიშვილების მთელი ოჯახი, მათ შორის სუზიც, მიუხედავად იმისა, რომ მას ბრწყინვალე სწავლის გამო უფრო ინდობდნენ, ყოველ დღეს დაკავებული იყო 200 ცალი მაწვნის ქილის ავსება-შეხვევით. ქილებს დაკრული ჰქონდა ეტიკეტი: „Véritable Yaourt du Caucase" („კავკასიის ნამდვილი იაურტი"). თუმცა გაყიდვამდე საჭირო გახდა მეტად მნიშვნელოვანი საფეხურის გავლა – „მაწვნის შედედების საიდუმლოებაში ჩაწვდომა". მასზე იყო დამოკიდებული ხარისხი ამ ცხიმიანი და მომჟავო ნაწარმისა, რომელსაც ვასილი ყოველდღე კარდაკარ დაატარებდა.

ყოველი ქართული ოჯახი, რომელიც ამ, „ჯანმრთელობისათვის საუცხოო ეროვნული დესერტით" თავს ირჩენდა, გაუსაღებელ, ხარვეზიან ქილაში შედედებულ მაწონს შინ მიირთმევდა. პატარა გიორგის მკურნალი ექიმის, ცნობილი პედიატრის, პროფესორ შაპტალის (Chaptal), რეკომენდაციამ ოჯახს მნიშვნელოვნად გაუზარდა მყიდველთა რიცხვი. დღეს ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ომის შემდეგ რძის მეწარმე ფაბრიკანტებმა მოსპეს ქართველების საარსებო წყარო. ქართველებმა ვერ გაუძლეს მათთან კონკურენციას. თუმცა კი, უნდა ითქვას, რომ მეორე თაობის ბევრ ქართველ ბავშვს შინ დამზადებული მაწვნით ვაჭრობამ მისცა შესაძლებლობა, შესანიშნავ პატარა ფრანგად ჩამოყალიბებულიყო.

სუზის ბავშვობამ გაიარა „კლო პომონში" (Clos Paumone), ასას (d'Assas) მშვიდი ავენიუს მახლობლად, ჟიულიანის ხეივნის (allée Julian) ერთ მყუდრო ვილაზე. საუკუნის დასაწყისში აგებული პატარა სახლი გარშემორტყმული იყო მეზობლებით. ისინი დიდად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ „ბატონ და ქალბატონ ბაზილებს". ხეხილის ბაღში სურნელოვანი ლეღვის ხე მცხუნვარე მზისაგან გიცავდა. ბაღი „ბედნიერი, მეგობრული

ცხოვრების“ და სტუმრების მისაღები ადგილი იყო. მაგრამ, ამავე დროს, აქ აშკარად იგრძნობოდა გადაღლილობის ერთგვარი ატმოსფერო, გამოწვეული იმით, რომ იქვე, პატარა საწარმოში, საოცარი მაწონი მზადდებოდა.

მშობლიური სიყვარულითა და მეგობრობით გამთბარ ამ ძველ ედემში სუზი, – ნორჩი ასული, – გადაღებულია ქართულ კაბაში. ჯერ კიდევ შორია საზარელი ურჩხულის კლანჭები, თუმცა ურჩხული უკვე ჩასაფრებულია. სუზი ზის ხვიარა ვარდით დაფარულ კედელთან. გრძელი, შავი ნაწნავი ოდნავ ეხება მეგობარ ქეთევანისაგან ნათხოვარ კაბას. შავი თვალების მტკიცე და მშვიდი მზერა მიმართულია ობიექტივისკენ. ეტყობა, რომ ამ დროს სუზი თავის ფესვებთანაა დაახლოებული.

მან იცის საქართველოს ისტორია და ქართული ენა, ქართულად წერს და ლაპარაკობს. შესანიშნავად მღერის ქართულ სიმღერებს. როდესაც სტუმართმოყვარე სახლში, სურნელოვანი და მადისაღმძვრელი ხაჭაპურით დამშვენებულ სუფრაზე, სიმღერა იწყება, სუზიც აყვება „მრავალჟამიერს“. ამ სიმღერით იწყება ლხინი, რომელსაც დროდადრო სადღეგრძელოები და სიმღერები თუ შეწყვეტს.

იგი ამაყობს თავისი ქართველობით, რომელიც მის სილაღეში ვლინდება. მაგრამ ამავე დროს ელიზ-სუზი ერწყმის ფრანგულ საზოგადოებას, ფრანგულ კულტურას. მისი ყველა მეგობარი მონპელიელია. კვირადღეებში „Clos Pomone“-ის სასადილო ოთახი ეთმობა – „ნაშუადღევის ცეკვებს“. 7 წლის გიორგის ევალება მიხედოს ფონოგრაფს, რასაც იგი დიდი პასუხისმგებლობით ასრულებს.

სუზის პირველი მეგობრები არიან თანაკლასელებია. სხვებს კი, როგორიცაა ჟიულიეტა, ლათინური და ბერძნული ენების მასწავლებლის ქალიშვილი, სუზი მოგვიანებით, მონპელიეს გოგონათა ლიცეუმში, დაუმეგობრდა. სწავლაში მუდამ ბეჯითი იყო. მეცადინეობდა თავის პატარა ოთახში, რომელშიც შესვლა

უმცროს ძმასაც კი ეკრძალებოდა. ამ ოთახში მოამზადა საბაკალავრო ნაშრომი, დაწერა დიპლომი ლიტერატურაში. მისი სამუშაო მაგიდა პიანინოს გვერდით იდგა და ყოველთვის სავსე იყო „რვეულებითა და გაშლილი წიგნებით“. მისი დაუღალავი შრომა მშობლების სიამაყის წყაროა. იგი მათ უმსუბუქებს ყოველდღიურ ცხოვრებას და ალამაზებს გადასახლების წლებს. სუზის ელის ბრწყინვალე მომავალი. როგორც ლიტერატურის მასწავლებელი, იგი უთუოდ დაიმკვიდრებს ადგილს ფრანგულ საზოგადოებაში, ისევე, როგორც მის მშობლებს ჰქონდათ მოპოვებული საკადრისი ადგილი თბილისში. სუზის პიროვნების ერთი მგრძნობიარე თვისებაა დედობრივი ზრუნვა უმცროს ძმაზე. გიორგის მის ცხოვრებაში, – იხსენებს სუზის მეგობარი ჟიულიეტა, - უმთავრესი ადგილი ეკავა. მისი დაბადების შემდეგ 12 წლის სუზი მთლიანად ჩაეფლო პატარა ბავშვზე ზრუნვაში. როდესაც დედა სამუშაოზე იყო, იგი ძმას ღამეებს უთევდა. დაჰყვებოდა სკოლაში და საერთოდ დაკავებული იყო მისი განათლებით. მუდამ მომღიმარი და მომთმენი, გიორგისთან ერთად დადიოდა კინოში, ასწავლიდა ლიტერატურული ტექსტების გარჩევას, კინოფილმების სცენარების წერას. „ბედნიერი სახე“ – ასეთად შემორჩა გიორგის მეხსიერებას უფროსი და. სახე, რომელიც თანდათან ბურუსით მოსავს 50-იანი წლების მძიმე და უნუგეშო ყოფას. 1938 წელს სუზი მხიარული, ენერგიული გოგონაა. თამაშობს კალათბურთს, უყვარს თეატრი. ჯერ ლიცეუმში, შემდეგ კი პედაგოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელ კურსუზე (Khagne) სწავლის დროს მონაწილეობს კლასიკური და თანამედროვე პიესების დადგმებში. სიცოცხლის ხალისი, სამყაროს სილამაზის აღქმა და გათავისება – ყველაფერს ამას იგი უხვად აფრქვევდა თავის გარშემო, – იხსენებს მისი ერთგული ჟიულიეტა. „იმ დღეს, როდესაც მე-6 კლასში შევედი, უმალ შევამჩნიე იგი. ეს იყო სიცოცხლით აღსავსე ბავშვი, თანაბრად გულანთებული შრომასა თუ თამაშში“.

იმავე აღტყინებით სუზი ჩაება თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მისი იდეალის საფუძველი ერთდროულად იყო ქართული სულიერება და ფრანგი ფილოსოფოსების, ლიუმიერებისაგან (des Lumiéres), შეძენილი ცოდნა. ერთ-ერთი, მისი აზრით, ლოგიკური გადაწყვეტილებით, იგი იწამებს კომუნისტურ იდეას ძმობაზე. მისი ამხანაგები „ახალგაზრდული ბანაკების" (des Auberges de Jeunesse) მოძრობიდან მარცხნივ იხრებიან და სუზი ნებაყოფლობით ჩაეწერება „ახალგაზრდობის პატრიოტულ ფრონტში" (FPJ), რომელიც დაკავშირებულია პარტიასთან (*კომპარტიასთან – გ. ა.*) და მის სამხედრო ორგანიზაციასთან (FTP). ნაცისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში სუზის ჯგუფიც დადგა.

მონპელიე 1942 წლის 11 ნოემბრამდე „თავისუფალ ზონაში" იყო. მას აკონტროლებდა ვიშის პოლიცია. ამ რეგიონში მოქმედი „წინააღმდეგობის" სპექტრი საკმაოდ ჭრელი იყო – ქრისტიანული მოძრაობით დაწყებული და დამთავრებული „თავისუფალ პარტიზანთა ფრონტით" (FTP). როდესაც ვერმახტი „თავისუფალ ზონაში" შევიდა, გესტაპოსა და 1943 წლის იანვარში შექმნილი მილიციის მარწუხებმა უფრო მძლავრად მოუჭირეს „წინააღმდეგობის" მებრძოლებს.

„ახალგაზრდობის პატრიოტული ფრონტი" მოქმედებდა „ბრძოლის"[232] ახალგაზრდებთან კავშირში. ისინი აგროვებდნენ ინფორმაციას და დოკუმენტებს, აწყობდნენ ერთობლივ, უმთავრესად პროპაგანდისტულ აქციებს. ახალგაზრდები ამრავლებდნენ და ავრცელებდნენ ისეთ გაზეთებს, როგორებიც იყო: „ახალგაზრდა მებრძოლი", „პატრიოტი სტუდენტი", „გარდატეხა", საფოსტო ყუთებში ყრიდნენ პროკლამაციებს, სახლებზე, ჯიხურების დარაბებზე აჩქარებით წერდნენ: „გაუმარჯოს საფრანგეთს", „FTP", ხატავდნენ ლოტარინგიულ

232. „ბრძოლა" (Combat – „კომბა") – ანრი ფრენეის (Henri Frenay) მიერ შექმნილი და ამოქმედებული „წინააღმდეგობის" მოძრაობა. 1943 წლის ოქტომბერში ახალგაზრდული მოძრაობები გაერთიანდნენ „ახალგაზრდობის ერთიან ფრონტში" (le Front Unie de la Jeunesse).

ჯვარს. ქალაქების კედლები აჭრელებული იყო წარწერით: „მკვლელი მილიციელები“. გარდა ამისა, მალავდნენ პარტიზანებსა და ებრაელებს, ზრუნავდნენ მათ კვებაზე, უმზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს.

ისინი მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც STO-ს[233] მოთხოვნას უგულებელყოფდნენ და ცდილობდნენ ეროს (l'Hérault) ან სევენის (les Cévennes) მაღალ კანტონებში მოქმედ პარტიზანთა ნაწილებთან შეერთებას. 1943 წლის ზაფხულში საჭირო გახდა ამ წვევამდელთა გაერთიანება. ჟორჟ შარპაკი[234] (Georges Charpac), – მონპელიეს სპეციალური მათემატიკური ვაჟთა ლიცეუმის სტუდენტი, რომელიც შარპანტიეს (Charpentier) გვარით მალავს თავის ებრაელობას – ინიშნება „ახალგაზრდობის პატრიოტული ფრონტის“ (FPJ) რწმუნებულად. აშკარაა, მისი ასაკი არ შეეფერება ამ თანამდებობას. მაგრამ იმ დროისთვის „წინააღმდეგობის“ ბევრი გამოცდილი მებრძოლი დაპატიმრებული იყო და მათ ცვლიდნენ უშიშარი, თუმცა გამოუცდელი ახალგაზრდები.

სუზის ჯგუფს დაევალა გავრცელება ჯარში გაწვევის წინააღმდეგ დაბეჭდილი ანტივიშისტური პროკლამაციებისა: „არც ერთი სტუდენტი ჰიტლერს!“. პროკლამაციები უნდა შეეტანათ მატიე დიუმას (Mathieu Dumas) ყაზარმაში, სადაც თავმოყრილი იყვნენ გერმანიაში გასაგზავნი ახალგაზრდა მშენებლები. ეს აქცია პარტიზანების რიგების შევსებასაც ითვალისწინებდა და დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. როგორ უნდა

233. STO (Service du Travail Obligatoire) – სავალდებულო სამუშაოს სამსახური, შექმნილი ვიშის მთავრობის მიერ 1943 წლის თებერვალში. აღრიცხავდა 1920-1922 წლებში დაბადებულ მამაკაცებს. მათ ორი წლის განმავლობაში უნდა ემუშავათ გერმანიაში. დაუმორჩილებლებს ქუჩებში მოწყობილი დაჭერების – ე.წ. „ობლავების“ – დროს აპატიმრებდნენ.

234. ფრანგი ფიზიკოსი, 1992 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი.

განხორციელებულიყო იგი? ყაზარმაში შესული, როგორ მოახერხებდა იქიდან გამოსვლას?

სუზი დაგებულ მახეში გაება. იგი დააკავეს. მისი უფროსი, შარპაკი, ძლიერ განიცდიდა[235] შეუდრეკელი ამხანაგის დაპატიმრებას. მაგრამ თავად შარპაკიც მოხვდება ხაფანგში. იგი დაიჭირეს მეორე დღეს, როდესაც მიდიოდა „კლო პომონში“ სუზის დამწუხრებული მშობლებისა და ჟიულიეტას გასაფრთხილებლად.

1943 წლის 10 აგვისტოს სუზი მოათავსეს იუსტიციის სასახლეზე მიშენებული შატოს (Chateau) ძველ საპყრობილეში. ციხის სახურავის ქვეშ გავარვარებულ, ბაღლინჯოებით სავსე საკანში მან მთელი ზაფხული გაატარა. იქვე, მეზობელ საკანში, მისი მეგობარი ჟორჟ შარპაკი ხედავს, რომ „პურიც კი გავსებულია ამ მწერებით“.

შატოს ჭუჭყიან ციხეს ფრანგები იცავდნენ. ისინი ოჯახებს არ უშლიდნენ პატიმრებისთვის საჭმლის მიტანას. ნატაშა და ჟიულიეტა რეგულარულად იდგნენ რიგში იმისთვის, რომ სუზისთვის გადაეცათ პატარა კალათა, ზოგჯერ კი ენახათ კიდევაც. „მებრძოლი ქალიშვილი, – ამბობს მისი მეგობარი, – სიმშვიდით გარწმუნებდა თავის ძლიერებაში. მწერებისაგან დაკბენილი მისი სხეული იწვოდა, მაგრამ სუზის იმედი არ დაუკარგავს. იგი დარწმუნებულია, რომ ერთ დღეს, განთავისუფლებული, კვლავ გააგრძელებს ბრძოლას“. 7 ნოემბერს იგი გაასამართლეს. ანტისახელმწიფოებრივი ქმედებისთვის მიუსაჯეს ერთი წლის პატიმრობა და ჯარიმის სახით 1000 ფრანკის გადახდა. ეს ოჯახს უმძიმესი შრომის ფასად დაუჯდა.

სუზის მიმოწერა არა მარტო მის მიერ პატიმრობაში გამოვლილი პერიპეტიების თანამოზიარედ გვხდის, არამედ,

235. Georges Charpac, *La vie à fil tendu*, O. Jacob, 1993.

და ეს ბევრად მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია, გვიხატავს მის სულიერ განწყობას. ლიტერატორის დახვეწილი ხელით დაწერილ მოყვითალო ფურცლებზე (ხშირად, ციხის ბლანკებზე), იგი უპირველესად ცდილობს მშობლების დამშვიდებას: „ნუ წუხდებით... მე არაფერი მჭირდება ... ყველაფერი კარგადაა ... ჩემი სული ძლიერია“. ეს სიტყვები მეორდება ჯერ დედისა და შემდეგ ძმის მიერ სათუთად შენახულ ათეულობით წერილში. სუზის ძმისშვილმა, რომელიც ჯერ კიდევ მის დაბადებამდე დაკარგული მამიდის სიყვარულით აღიზარდა, საგულდაგულოდ გადაწერა ეს წერილები ცალკე რვეულში.

სუზი „ალამაზებს“ პატიმრის ყოფას. წერს, რომ „მოთავსებულია დიდ ოთახში... საკანი ძალიან ნათელია... გადასარევი შხაპებია. უფრო მეტიც, ვერც წარმოიდგენთ, რომ ასჯერ მაინც თქვენზე უკეთესად ვჭამ!“ და აღწერს წითელი ჯვრის გამოგზავნილ ამანათებს...

მუდმივად ფიქრობს თავისიანებზე. ამხნევებს ძმას, ურჩევს: „წაიკითხოს „კაპიტან გრანტის შვილები“ და პატარა წერილებში მოუყვეს მისი შინაარსი“. ეს წიგნი გიორგის დაბადების დღეზე ჟიულიეტამ აჩუქა, თან უთხრა: „ამ ჟიულ ვერნს მე და სუზი ერთად გჩუქნით“. გიორგი ციცქიშვილი იხსენებს იმ დაუვიწყარ დღეს: „სუზისთან ერთად! ეს მაშინ, როდესაც ჩემი და ექვს თვეზე მეტხანს ციხეში იყო გამომწყვდეული!“ წიგნზე წარწერაა: „ჩვენს გიორგის, 12 წლის აღსანიშნავად“. „დედის და ჩემი თვალები ცრემლებით აივსო“, – წერს იგი.

პატიმრობის დასაწყისში სუზი სხვებისგან იზოლირებული იყო. ამის თაობაზე თავის წუხილს იგი მხოლოდ მეათე, საერთო საკანში, გადაყვანის შემდეგ განცდილი სიხარულით გამოხატავს. ეს სიხარული უფრო გაძლიერდა, როდესაც იქ „რეზისტანელებს“ შეხვდა. საკანში მათ შექმნეს „ძმური, ამხანაგური ატმოსფერო“.

ბედნიერებაა ისეთი „მეგობრების“ გვერდით ყოფნა, როგორებიც „ექსის გოგონები არიან“ (les filles d'Aix), „ექვსი მახსავით მსჯავრდებული“. ეს ძალების მოსაკრებად აუცილებელია ერთსულოვნებაა.

საერთო საკანი მისთვის უფრო სასიკეთო გამოდგა იმიტომაც, რომ იქ დაუახლოვდა განსხვავებული გრძნობიერებისა და ინტერესების ადამიანებს. მონპელიეს ციხიდან გადასაყვან პატიმართა სიაში სუზი შეყვანილია „ზოგადი სამართლის დამნაშავეთა“[236] კატეგორიაში. მოულოდნელად იგი მოაცილეს საკნის მეგობრებს. „ძალიან ვწუხვარ, რომ გვერდში აღარ მყავს ჩემი ამხანაგები, ვერ მოვხვდი მათთან ერთ ეტაპში“. თუმცა უხარია პარიზში გადაყვანა: „ყველანი ერთად ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ, გაუთავებლად ვლაპარაკობთ. გეგონება, ნამდვილ პანსიონში ვიმყოფებით“.

იმ პერიოდის წერილები მისი სულის ძლიერების დასტურია. მას არაფრად მიაჩნია მძიმე პირობები და ტანჯვა საპატიმროში. რეალური ვითარების მისეული ანალიზი სავსებით მოკლებულია ეგოცენტრიზმს. სუზი მადლობას უხდის მშობლებს იმისთვის, რომ საშუალება მისცეს მიეღო სასურველი განათლება და ხელი შეუწყვეს მისი ცნობიერების ჩამოყალიბებას. სწორედ განათლება აძლევდა საშუალებას, გაეგო პატიმრობის აზრი და მიეღო სასარგებლო გამოცდილება: „ეს გამოცდა სჭირდება ყოველ გაწონასწორებულ პიროვნებას. იგი იძლევა უფრო ნათელი, ადრინდელზე უფრო თავისუფალი ხედვის საშუალებას“.

დაპატიმრების მიზეზებზე ღიად საუბარი მას არ შეეძლო ცენზურისა და კონსპირაციის აუცილებლობის გამო. „რაც შეეხება ჩემს იდეებს და საქმიანობას, მასზე დაწვრილებით

236. მონპელიეს რეგიონალური არქივი, 1999.

ვილაპარაკებთ განთავისუფლების შემდეგ". ეს სიტყვები დიდი იმედითაა გამსჭვალული.

სუზის თავდავიწყებით უყვარდა მამა, აღმერთებდა მას, თუმცა ვასილ ციცქიშვილი, მტკიცე და ურყევი ანტიბოლშევიკი, მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ქალიშვილის პოლიტიკურ შეხედულებებს. სუზის შესვლა „რეზისტანსის" მოძრაობაში და იდეები, რომელსაც იგი იზიარებდა, მას კომუნისტურ პარტიასთან აახლოებდა. ციხეში ხშირად უფიქრია დაპირისპირებული მსოფლმხედველობის პატიოსან ადამიანთა შორის გულახდილი საუბრის შესახებ. მძიმე ხვედრმა მას არათუ შეაცვლევინა თავისი კრედო, არამედ ზევრად გაუსაძლისი ტანჯვაც არგუნა.

ერთწლიანი პატიმრობა სუზიმ ოთხ საპყრობილეში მოიხადა. მონპელიედან იგი მარსელში, ბომეტებში (aux Beaumettes), გადაიყვანეს. უმკაცრესი რეჟიმისა და უმძიმესი პირობების მიუხედავად, 1944 წლის პირველ იანვარს იგი იტყობინება: „წუხელ რეჟიმით დაწესებულ 19 საათზე დაწოლილებმა შუაღამემდე არ დავიძინეთ. შემდეგ ერთმანეთს ახალი წელი და მომავალი გათავისუფლება მივულოცეთ". მოგვიანებით, მარტის თვეში, იგი ეტაპით გადაჰყავთ ლიონის საპყრობილეში, საიდანაც იუმორით იწერება: „აქაური სუპი უკეთესია, იქნებ ლიონის გასტრონომიის გამო?" ლიონის შემდეგ იგი მოხვდება შალონ-სიურ-მარნის (Chalons-sur-Marne) მკაცრი რეჟიმის (იზოლირებული საკანი) ციხეში. ფიქრობს, რომ პატიმრობის ვადა ერთი თვით შეუმცირდება. „იმედი მაქვს, რომ 44 წლის აგვისტოს ნაცვლად 9 ივლისისთვის გამათავისუფლებენ".

პირველ მაისს ორაზროვანი წერილით შეფარულად აფრთხილებს ოჯახს, რომ მათი შვილი საფრანგეთს ტოვებს. „მადმუაზელ ბაზილი მიდის ფრანსისის (Francis – ციცქიშვილების მეზობელი, იმჟამად ტყვედ მყოფი გერმანიაში) სანახავად და, რადგან იგი უმუშევარია, სასურველი იქნებოდა მისი დასაქმება".

კიდევ ერთი ხელმოუწერელი ბარათი მოსდით ნატაშას და ვასილს. ადვილად წარმოსადგენია მათი მღელვარება: სუზი გადაიყვანეს პარიზში, რომენვილის (Romainville) საპყრობილეში, ეტაპი, რომელშიც იგი მოხვდა, გერმანელებს ფრანგ სამხედრო ტყვეებზე[237] გაუცვალეს.

12 მაისს უკანასკნელი წერილი საფრანგეთიდან იტყობინება: „ვტოვებთ რომენვილს და მივდივართ აღმოსავლეთში". თავის მეგობარ ჟიულიეტას იგი ამხნევებს: „მომავალი ჩვენია"[238].

ამ შემაშფოთებელ ამბავს ერთი თვის სიჩუმე მოჰყვა. სუზის მშობლებს ვერც წარმოედგინათ ეტაპის სისასტიკე. 13 მაისს პარიზიდან გასული ეშელონი გაივლის ტულს (Toul), ნანსის (Nancy), სარებრუკს (Sarrebruck), ფრანკფურტს (Francfort), ვაიმარს (Weimar), ჰალეს (Halle) და ექვსი დღე-ღამის შემდეგ მიაღწევს საკონცენტრაციო ჯოჯოხეთს.

ივნისის ბოლოს გერმანულად დაწერილ მოკლე ბარათში პატიმარი იტყობინებოდა, რომ რავენსბრიუკის ბანაკიდან, რომელშიც ხშირად თავს უყრიდნენ „რეზისტანსის" წევრ ფრანგ ქალებს, იგი გადაიყვანეს სუდეტებში, ჩეხოსლოვაკიის ჩრდილო-აღმოსავლეთში და გაამწესეს ზვოდაუს (Zwodau) შრომის ბანაკის (Arbeitsleger) VI ბლოკში, პირადი ნომრით 39-136. იგი წერს, რომ ნახა კლოდ შოვე (Claude Chauvet). ეს 17 წლის მონპელიელი ჭაბუკი სუზის მამასთან მუშაობდა და ამავე დროს იყო ქალაქში

---

237. რომენვილის პატიმართა სიების შესწავლა ცხადყოფს, რომ სინამდვილეში „ვიშიმ გერმანელებს გადასცა საფრანგეთის ცენტრალებში *(ციხეები, რომლებშიც სასჯელს იხდიდნენ მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულები – გ. ა.)* დამწყვდეული ქალები. ეს ბანაკი 1940 წელს გერმანელებმა გახსნეს ებრაელთა და ბოლშევიკთა კონცენტრაციისა და წამების მიზნით. მოგვიანებით რომენვილში თავს უყრიდნენ გადასახლებას დაქვემდებარებულ „წინააღმდეგობის" მებრძოლ ქალებს: აქედან კი 3500 ფრანგი ქალი გადაიყვანეს რავენსბრიუკსა (Ravensbrück) და მის ფილიალებში. *Les oubliés des Romainville, un camp allemand en France, 1940-1944.* T. Fontaine, Tallandier, 2005.

238. ილია ჭავჭავაძის ლექსის სტრიქონი, რომელიც ჭეშმარიტ ეროვნულ ჰიმნად გადაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წინააღმდეგობის" გაერთიანებული მოძრაობის მეთაური.[239] იგი სუზისთან ერთად გათავისუფლდება, თუმცა ბანაკის საზარელმა პირობებმა მასაც სიცოცხლე მოუსწრაფა.

საკონცენტრაციო ბანაკის სახელწოდებამ, „შრომის ბანაკი," ერთგვარად დაამშვიდა ჟიულიეტა და ოჯახიც, მით უმეტეს, რომ სუზის გათავისუფლება უკვე მოახლოებული იყო. თუმცა გადარჩენილი შვილის დაბრუნების შემდეგ მშობლები ნამდვილმა სასოწარკვეთამ შეიპყრო. გადასახლებაში განცდილმა სისასტიკემ იგი გმირად კი აქცია, „სუზი ლაზარესავით აღდგა, მაგრამ ვეღარ შეეთვისა მისთვის უკვე უცხოდ ქცეულ სამყაროს", – წერს ჟან კეიროლი[240].

შინ დაბრუნებული სუზი თითქმის არ ლაპარაკობდა. 1945 წლის 18 მაისს, როდესაც დედა და ჟიულიეტა გახარებულები გავარდნენ მონპელიეს სადგურზე მის დასახვედრად, სუზის დანახვამ ისინი ადგილზე გააქვავა: ყოფილი N13-136-ის შესახედაობა შემზარავი იყო. გალეული, ფერმიხდილი, უაზროდ სადღაც მზირალი,[241] არაამქვეყნიური. მას არ ესმოდა დედისა და მეგობრის აღელვებული, ვითომ ხალისიანი შეკითხვები... თითქოს ყველაზე საზარელი უკან დარჩა, მაგრამ არანაკლებ უარესი იწყებოდა: საშინელება, რომელსაც იგი ვერ გრძნობდა. რას ფიქრობდა ამ დროს მისი უმცროსი ძმა, რომელმაც ამ სავსებით შეცვლილ, გათიშულ, გონებადაკარგულ არსებაში

---

239. „წინააღმდეგობის" ერთიანი მოძრაობა (MUR – Mouvements Unis de Résistance) აერთიანებდა „ბრძოლას" (Combat), თავისუფალ მსროლელებს (Franc-Tireur), „თავისუფლებას" (Libération). ჟაკ-ედუარდ შოვე (Jacques-Edouard Chauvet) მონპელიეს უნივერსიტეტის ლიტერატურის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საპატიო მდივანი, პატიმრობაში გარდაიცვალა ნეიენგამის (Neuengamme) საკონცენტრაციო ბანაკში 1945 წლის აპრილში.

240. ჟან კეიროლი (Jean Cayrol) – მწერალი და გამომცემელი, მაუთჰაუზენის (Mauthausen) საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე. ალენ რენეს (Alain Resnais) ფილმის „ღამე და ნისლი"-ს (Nuit et brouillard) სცენარის ავტორი. ასეთი სახელწოდება ჰქონდა კეიტელის (Keitel) 1941 წლის 7 დეკემბრის დეკრეტს „წინააღმდეგობის" დაპატიმრებული მებრძოლების გერმანიაში გადასახლების შესახებ.

241. Jorge Semprun, *L'Ecriture et la vie.* Gallimard, 1996.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ წარმოიდგინა ჯერ კიდევ ორი წლის წინ მხიარული, გამარჯვებაში დარწმუნებული უფროსი და?

ძალზე შემაშფოთთებელია სუზის მორალური დაუძლურება. იგი შეკითხვებზე ვერ პასუხობს. შეუსაბამობა განცდილსა და მასზე მონაყოლს შორის[242] მყისვე წარმოაჩენდა საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმრის უნუგეშო მდგომარეობას. ადამიანებთან გაყინული ურთიერთობები. ზოგჯერ გადარჩენილი იხსენებს „მუდმივ მჩხვლეტავ შიმშილს: „ბანაკში მიხდებოდა ნაკელში მცირე საცუცნავის ძებნა, იმისა, რაც ბრბოს გადაურჩა," – წერს იგი ჟიულიეტას. ასეთ დღეებში სუზი საჭმელს არ ეკარებოდა.

სამაგიეროდ, სიხარულისაგან აკანკალებული იგონებს…„აი იმას"... შაქრის ნატეხს. ეს ნატეხი ვიღაც გულმოწყალე ჯარისკაცმა მისცა „სიკვდილის მარშის"დროს,[243] ვიდრე მას შეაჩერებდნენ ბანაკის განმათავისუფლებლის, გენერალ პატონის (général Patton), ტანკები. „პატარა ნატეხი, შაქრის ერთი პატარა ნატეხი, შეგიძლია წარმოიდგინო, გაძლევს საშუალებას იარო მთელი დღის განმავლობაში!"

მართალია, სუზის ხმამაღლა თითქმის არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ მან მოინდომა წერილობით გადმოეცა ის, რის ატანასაც ზვოდაუს ქალებს აიძულებდა ნazzისტი (nazzi)[244] „ბანაკის სადისტი უფროსი". ნაწერის პირველ გვერდზე იგი წყვეტილად იმეორებს: „მე, ქვემორე ხელის მომწერი ციცქიშვილი ელიზ..." და აცხადებს სურვილს, გამოვლილი ტანჯვა-წამება დაუდასტუროს ფრანგულ სასამართლოს. აკანკალებული ხელი,

---

242. Robert Anthelme. Avant-propos à *L'Espéce humaine* . Gallimard, 1947 et 1957.

243. საკონცენტრაციო ბანაკების გაქცეული ზედამხედველი ესესელები (მათ მოკავშირეები მოსდევდნენ) მიერეკებოდნენ გადარჩენილ პატიმრებს, რომელთა ერთადერთი საარსებო წყარო იყო თხრილების წყალი, გზისპირა ბალახი. ისინი ვერ ებრძოდნენ ვერც დაუძლურებას და ვერც სასიკვდილო ცემას.

244. ჩვენ პატივისცემით ვეკიდებით სუზის ორთოგრაფიას, ერთობ უცნაურს ეგზომ განათლებული ადამიანისთვის და გვინდა ავხსნათ სიმბოლო SS-ის მცდარი დაწერილობა *(lapsus calami)* ფროიდისტული წაკითხვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადაშლილი სიტყვები, ლაქები, ალბათ, საკუთარი არსებისაგან განთვისების შედეგია.

თანდათანობით, მომდევნო გვერდებზე, თხრობა უფრო დალაგებული ხდება. ავტორისეული სტილისა და ლექსიკის შესწავლა ადასტურებს ტექსტის ლიტერატურულ ღირსებებს. იგი გმობს ბანაკის კომენდანტის გახრწნილებას, რომელსაც პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით დაპატიმრებული 1200 ქალი ჰყავდა „არაადამიანური არსებობის უკიდურეს ზღვარზე".

გამხეცებული და მუდამ მოღრიალე კაპოს *(უფროსის – გ.ა.)* მხარდაჭერით მან დაამკვიდრა ტერორი. ყოველდღიური 13-საათიანი შრომისაგან მალაგამოლეულები უსიტყვოდ ემორჩილებიან შემზარავი, „ყოველგვარი უბედურების მაცნე" სასტვენის ხმას. ამის შესახებ სუზი წერდა ბანაკიდან გამოგზავნილ ერთადერთ ბარათში: „ბევრს ვმუშაობ ნახშირის მაღაროში, მინდვრებში, ქარხანაში". ქალები საშინლად განიცდიან მუდმივ შიმშილს. „სასწაულის ტოლფასია, როცა ჩვენს ორგანიზმში რაღაც ბუყბუყებს", – წერს სუზი. გარდა ამისა, ეს „უბედური, გაყინული ჩონჩხები" 1944-1945 წლის ზამთარში განწირულები არიან, გარეთ იდგნენ ტილების მოსასპობად ანუ დეზინფექციისათვის. უაზრო წამებაა, რადგან მათი დაფლეთილი ტანისამოსი მთლიანად ინფიცირებულია. პატიმრებს ყველაფერი აშინებთ, განსაკუთრებით თოვლში დგომისას სიის ამოკითხვა, რომლის დროსაც „ატილას მალას დამორჩილებული მიწაში ჩარჭობილი უძრავი ნარგავები" ან გადარჩებიან, ან – ვერა.

„ატილა" ბანაკის კომენდანტის მეტსახელია, რომლითაც სიკვდილის ეს ანგელოზი გამოეცხადა პატიმრებს მათი ჩამოსვლის პირველსავე დღეს. „ყველგან, სადაც ფეხს ვადგამ, ბალახიც კი არ ამოდის!" თხრობაში ხაზგასმულია, რომ ტყვეებისთვის კვირა უმძიმესი დღეა. ატილა იგონებს აბსურდულ და დამამცირებელ სამუშაოებს, „ათასჯერ გამეორებულს. უთუოდ გავგიჟდებით". სუზი იხსენებს ჯოხებით ცემას და „შეუხორცებელ

იარებს“. ხოლო, როდესაც ეს ქალები კვდებიან, განსაკუთრებით ახალგაზრდები და ებრაელები (მათ უფრო მეტად ასაქმებდნენ), დარჩენილებმა უნდა თხარონ მათი საფლავები.

სუზი არაფერს ამბობს იმ სოლიდარობაზე, რომელიც აერთიანებდა ზოგიერთ პატიმრებს, იმ მეგობრობაზე, რომელიც უადვილებდა ყოფას. მართალია, იგი ლაპარაკობს „ყველა ამხანაგი ქალის სახელით“, მაგრამ აშკარად იგრძნობა, რომ მარტოსულია ამ „ჯოჯოხეთში“, ბედის მიერ მოწყვეტილი ყოველგვარ პოლიტიკურ კავშირებსა თუ ძლიერ მეგობრულ ურთიერთობებს.

ეს მორალური მარტოსულობა მომავალში მისი დაუძლურების მიზეზი გახდება. მაგრამ ჯერ კიდევ ეს „Stück“,[245] რომლის პირადი ნომერია 8399-196, არ ნებდება, არ თმობს ადამიანობას, თუმცა მიღებული უძლიერესი ტრავმა უკურნებელია. ბანაკის გაუსაძლისმა ყოფამ თავი იჩინა ბევრად უფრო გვიან, ბრძოლის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

სუზი ცდილობს დაუბრუნდეს სწავლას, ჩვეულ ცხოვრებას. იგი ბედნიერია ძმის თანადგომით, ისევ აინტერესებს კომუნიზმი, რომლის ერთგული რჩება, ცდილობს დაუკავშირდეს ძველ მეგობრებს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როდესაც თითქოს ოდნავ აღიდგინა ძალები, მისი ჯანმრთელობა მკვეთრად უარესდება.

როგორც ჩანს, განვლილი აუტანელი ყოფის სურათები მას არ ტოვებენ. დასასვენებელი სახლიდან იგი გადაჰყავთ ფსიქიატრიულ კლინიკაში. მოყოლებული 1950 წლიდან, საავადმყოფოდან გამოგზავნილ წერილებში აშკარად იკვეთება უიმედობა: „ძვირფასო ძმაო, როგორ ხარ? შენ მაინც გესმის, რაოდენ მძიმე და მტანჯველია ჩემი სენი!“ უნუგეშო და შეწუხებული სუზი სანატორიუმიდან იტყობინება: „ძლიერი გადაღლის გამო არც ვიცი, რასა ვწერ“.

---

245. „ცალი“ (STÜK) – ასე უწოდებდნენ ნაცისტები პატიმრებს, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ იძულებითი სამუშაოები. ისინი მათ თვლიდნენ „ცალებად“ – ადვილად შესაცვლელ „ნაჭრებად“.

და განა მისი ბრალია, რომ ველარ იბრძვის? მას გვერდში მუდმივად უდგას დედა, მშვენიერი ქალბატონი, რომელიც ყოველნაირად ეხმარება შვილს. საბოლოოდ მას ანიჭებენ პირველი კლასის კატეგორიას და უნიშნავენ ინვალიდობის პენსიას. 1948 წელს, როდესაც მას თანდათან უბრუნდება ფერი და სიცოცხლის უნარი, იგი თითქოს გრძნობს უბედური დასასრულის მოახლოებას და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ერთ მომენტში დედას ეკითხება: „ნუთუ არ შეიძლება საქართველოში დაბრუნება?" ეს შეუძლებელი „მკვდრეთით აღდგენა", ოცნება მშობლიურ მიწასა და წინაპრებზე საოცრად სულში ჩამწვდომია და ამაღლევებელი.

კიდევ ერთი იარა, რომლის მოშუშებაც სუზიმ ვერ შეძლო, ზანაკიდან დაბრუნებისთანავე მამის სიკვდილი იყო. ვასო ციციშვილი გარდაიცვალა 1945 წლის 26 აპრილს. თვეების განმავლობაში მას „არ ასვენებდა ზვოდაუს ბანაკში დატყვევებული ქალიშვილის მდგომარეობა".[246] თუმცა კარდიალური კრიზი მხოლოდ ამ საშინელი მიზეზით არ ყოფილა გამოწვეული.

იანვრის თვეში იგი ხდება „უკანონო დაპატიმრების მსხვერპლი". სრულიად უმიზეზო და უხეში დაკითხვების შემდეგ ეს მართალი ადამიანი მოხვდა „ბომეტებში", ანუ იქ, სადაც სუზიმ რამდენიმე თვე გაატარა. ვასო, როგორც ეჭვმიტანილი, დააპატიმრეს იმის გამო, რომ მისი მისამართი ჩაწერილი ჰქონდა უბის წიგნაკში ერთ ქართველს. ამ ქართველს კი ბრალი ედებოდა გერმანელებთან თანამშრომლობაში. დაკავებისას ვასომ გიორგის სთხოვა მზრუნველი და ყურადღებიანი ყოფილიყო დედის მიმართ. 13 წლის ყმაწვილმა იმ დღეს უკანასკნელად ნახა მამა, რომელმაც მის დასაკავებლად მოსულ ორ ჯარისკაცს განუცხადა: „მე ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ!"

---

246. *Le passé du présent, op. cit.*

ვასო ციცქიშვილი მუდმივად განიცდიდა თავის სამშობლოსთან, საქართველოსთან განშორებას. იგი გამსჭვალული იყო ანტიკომუნისტური სულისკვეთებით. ეს სულისკვეთება ეფუძნებოდა ბოლშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობასა და 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე მისი ორი ძმის სიკვდილით დასჯას.

როდესაც საფრანგეთში ქართველები სუფრას მიუსხდებიან, სადღეგრძელოებში უსათუოდ სათანადოს მიუზღავენ რუს დამპყრობლებს... გაიხსენებენ სამშობლოდან გამოყრილებს და ამით მორალურ თანაგრძნობას უცხადებენ „ქართულ ლეგიონში" მოხვედრილ თანამემამულეებსაც. როგორც ჩანს, რამდენიმე თვის განმავლობაში ვასომ პოზიცია შეიცვალა და ამ ამაღელვებელ თემაზე თავის მეგობრებთან აღარ უსაუბრია. „მამა რომ გერმანელებთან დაახლოებული ყოფილიყო, განა უარს ეტყოდნენ ციხეში ქალიშვილის მონახულებაზე?" — შენიშნავს მისი ვაჟი. თუმცა, რაც არ უნდა ითქვას, ცხადია, რომ უბედურება თავიდან ვერ იქნა აცილებული.

სამუდამო მიძინებამდე ერთი წლით ადრე ღრმად დამწუხრებული სუზი ჟიულიეტას თვალწინ უფრო და უფრო იძირება უცნაურ განმარტოებაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავს ისევ ბანაკში გრძნობს და ისევ იტანჯება ბანაკის გოლგოთაზე. თავის პატარა ოთახში ჩაკეტილი, სკამზე მოკუნტული ან ლოგინში გაქვავებული, ბოლოს და ბოლოს, უარს ამბობს საჭმელზე. მისი ნათელი სული დანგრეული აღმოჩნდა საკონცენტრაციო ბანაკის მტანჯველი გამოცდით. დედისა და ძმისთვის მისი მდგომარეობა ბნელი და დაუსრულებელი გვირაბი გახდა: მათ ვერ ანუგეშეს ძვირფასი ადამიანი, ვერ შეუმსუბუქეს ტანჯვა. დამანგრეველმა მკურნალობამ და იმდროინდელი ფსიქიატრიის შეზღუდულმა შესაძლებლობებმა უფრო გააუარესეს სუზის ისედაც შერყეული ჯანმრთელობა. იქნებ ფსიქოანალიზს გადაერჩინა იგი? ეს მას

შესთავაზა კიდეც კლოდ შოვეს (Claude Chauvet) ქმარმა, თუმცა შეთავაზებას გაგრძელება არ ეწერა. თავისი წიგნის [illegible] მიძღვნილ თავში მისი ძმა თავშეკავებულად წერს: „1955 წლის 20 ოქტომბერს მან დაგვტოვა“.

ელიზ-სუზი ციცქიშვილს, ფრანგული კულტურის შვილს, არ დასცალდა მისთვის საყვარელი ქვეყნის ლიტერატურის შესახებ საუბრები, მაგრამ საფრანგეთის თავისუფლებისათვის სიცოცხლის შეწირვით მან სხვა ანდერძი დაგვიტოვა. იდეალიზმით და მამაცობით გაბრწყინებული ქართველი ქალიშვილის მიმართ გულში უნდა გავიმეოროთ ის სიტყვები, მისი წინაპრების სამშობლოში რომ ამბობენ: „საუკუნო იყოს მისი ხსენება!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოთქმა

ჩვენ ძალიან გაგვიტაცა ჯერ კიდევ დაუსრულებელმა კვლევამ. დროის სწრაფი დინებით დაშინებულებს, გვსურდა უკვდავგვეყო საფრანგეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი მოხალისეების ხსოვნა. ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ და შევეცადეთ შეგვედარებინა ზოგჯერ მსგავსი, ზოგჯერ ურთიერთგადამკვეთი, ზოგჯერ კი განსხვავებული სვებედი იმ ადამიანებისა, რომლებიც პოლიტიკურ გადასახლებაში თემად ჩამოყალიბდნენ. საფრანგეთში, მასპინძელ ქვეყანაში, ეს ემიგრანტები, მაშინ ჯერ კიდევ უცხოელები, ცდილობდნენ 1939-1945 წლების თავსმოხვეულ ომში არჩევანი გაეკეთებინათ. პირველი ბრძოლები, 1940 წლის კატასტროფა, შემდეგ – ოკუპაციისა და ვიშის რეჟიმის შავბნელი წლები... გმირული ბრძოლა გამარჯვებისთვის...

ლეგენდებისა და ისტორიის გარდა, საჭირო მასალას ვეძებდით გაბნეულ საარქივო დოკუმენტებსა და მეცნიერთა შრომებში. თვითმხილველთა არაერთგზის გადამოწმებულმა მოგონებებმა შესაძლებლობა მოგვცა, დაგვენახა ამ ქართველთა ნამდვილი ჰუმანურობა.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და ფასეული იყო საუბრები წიგნში აღწერილი ამბების მოწმეებთან გასული საუკუნის 80-90-იან წლებში. მათი ამაღელვებელი მონათხრობის მეშვეობით ვცდილობდით წარსულის აღდგენას. ისინი დაგვეხმარნენ, უკეთ წარმოგვედგინა დაკარგულ სამშობლოზე მუდამ მგლოვიარე ლტოლვილთა რთული ცხოვრება. ქართული კოლონიის ყოფის შუქ-ჩრდილების, აგრეთვე, კოლონიასთან დაკავშირებული ფრანგული საზოგადოების კვლევისას, თანდათანობით გამოიკვეთა ნეიტრალიტეტის, კოლაბორაციონიზმისა თუ „რეზისტანსის" მიმართ დამოკიდებულების სურათი.

მეხსიერებას შემორჩენილი მოვლენის სწორად გადმოცემისა და ისტორიასთან მისი შეულამაზებლად შეჯერების აუცილებლობამ სირცხვილის გრძნობაც გამოგვაცდევინა: დაგვანახა ადამიანის დაცემა და გახრწნილება. თუმცა ეს კრიმინალებს ეხებოდა, მთლიანობაში კი თემის ღირსება ნათელყო. საფრანგეთში ჩასული უკანასკნელი ლტოლვილები 1924 წლის დიდი შეიარაღებული აჯანყების მონაწილეები იყვნენ. განცდილმა გაუსაძლისმა წარსულმა, პატრიოტულმა გულგატეხილობამ ისინი დარაზმა დაკარგული სამშობლოს ბოლშევიზმისაგან უპირობო განთავისუფლების სურვილის გარშემო და არასწორი არჩევანიც გააკეთებინა: მათი იმედები ნაციზმს დაუკავშირა.

მაგრამ უფრო ახალგაზრდა, ფრანგულ კულტურაში ინტეგრირებულმა ქართველებმა დროზე გაიგეს და გადასახლების ურთულეს პირობებში სწორად შეაფასეს ის უდიდესი საფრთხე, რომელიც მათ ემუქრებოდა. „წინააღმდეგობის“ მოძრაობასთან დაკავშირებით ანდრე ფროსარი (André Frossard) წერდა: „ მე ვიცი, რომ ომის დროს საფრანგეთში დაიბადა რაინდობის ნაირსახეობა“. ქართველი წინაპრებისაგან მიღებული რაინდობის ტრადიცია უთუოდ შეერწყა ნამდვილი ფრანგი მეომრების იდეალებს. ამ ქართველებმა საფრანგეთის ის უზარმაზარი ვალი გაისტუმრეს, რომელიც თავშესაფრის მიღებით დაიდეს. მშობლიური ქვეყნის ოკუპაციასთან შეურიგებლობა, ნაცისტური ტოტალიტარიზმის არაადამიანური იდეოლოგიის უარყოფა ზნეობრივი ამბოხის გამოვლინება იყო. ამ ამბოხში მონაწილეობა თანაბრად შეეძლო მიეღო ორივე თემს.

ნათელ სურათებში განსაკუთრებული მღელვარებითაა გადმოცემული ის საერთო განწყობა, რომელიც დაეუფლა საფრანგეთის ქართველებისა და მათი საბჭოთა თანამემამულე მებრძოლი პარტიზანების არცთუ მცირე რაოდენობას. „წინააღმდეგობის“ აქტიურმა მონაწილემ და მკვლევარმა ჟან-პიერ

ვერნანმა (Jean-Pierre Vernant) მას „გმირული შეგნება" უწოდა. ძველმა ბერძნებმა მას უმღერეს, როს მიემართებოდნენ კოლხეთში, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. სიკვდილთან შებრძოლებისკენ განცდა, რომელიც არ გსურს, თუმცა მაინც თანხმდები მასზე, რადგან ეს ბრძოლაა, რომელიც ცხოვრების საზრისს ბადებს და მნიშვნელობას ანიჭებს მას.

მაშ ასე, მამაკაცები და ქალები აღდგნენ საბრძოლველად. მათი მამაცი სახეები თაობიდან თაობაში გადავა და უკვდავჰყოფს საფრანგეთის ქართველების უცილობელ ღირსებას. ამ ქართველების მემკვიდრეებმა შეიძლება იამაყონ, ისევე როგორც ფრანგებმა, რომელთა მამებმაც ვიქტორ ჰიუგოს რესპუბლიკურ სამშობლოში თავშესაფარი მისცეს საკუთარი სამშობლოდან დევნილ მათ მშობლებს. ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა დაუსრულებელია. ღირსების ამ უსასრულო მდინარებაში მომდევნო თაობებმა შეიძლება ცნონ ერთმანეთი და ყველაფერი გადასცენ შთამომავლებს.

ეს მეხსიერება უკვე მათია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საფრანგეთის რუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


Charte d'Indépendance du 26 Mai 1918

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის აქტი

ქართველი სამხედრო კურსანტები კონსტანტინოპოლიდან ათენში მიმავალ გემზე გენერალ კვინიტაძესთან (1) ერთად. სურათზეა აგრეთვე ავტორის მამა (2) და ბიძა (3) (Photo D. D'Allegio).

30-იანი წლების უცხოელთა ლეგიონის ქართველი ოფიცრები: ვ. ვაჩნაძე, ნ. თოხაძე, ა. კინწურაშვილი, ა. ჯინჭარაძე, გ. ოდიშელიძე (რ. ნიკოლაძის კოლექციიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1940 წლის აპრილში ბარკარეს ბანაკში (აღმოსავლეთი პირენეები) ჩამოყალიბებული ქართული შენაერთი კაპიტან ოდიშელიძესთან ერთად (ა. ციციშვილის კოლექცია).

არჩილ („აჩიკო") ციციშვილი მეკნესში, 1941 წელი
(ა. ციციშვილის კოლექცია).

პირველ რიგში: მარჯვნივ – ოთარ ჯაყელი, მარცხნივ – ჟეჟენი.
დგანან: მარჯვნივ – პარიზის გრაფი, მარცხნივ – მონტანიე (ე. ჯაყელის კოლექცია).

პოლკოვნიკი დიმიტრი ამილახვარი. გმირულად დაიღუპა ელ-ალამეინთან ბრძოლაში. იბრძოდა გენერალ დე გოლის „თავისუფალი საფრანგეთის ძალების“ შემადგენლობაში (Photo Presse La Charte).

გენერალი კატრუ ნახევარბრიგადის დროშას გადასცემს პოლკოვნიკ ამილახვარს.
1942 წლის სექტემბერი, ხომსი, ლიბია (Photo Presse La Charte).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



DÉPARTEMENT d

ORTHODOXE Géorgienne
ÉGLISE ~~RÉFORMÉE~~ DE FRANCE

Consistoire de

Paroisse de Orthodoxe Géorgienne de S^t Nino

Association Cultuelle déclarée le 23 août 1929
conformément aux lois des 1 juillet 1901 et 9 décembre 1905

REGISTRE

DES BAPTÊMES

Registre ouvert le 31Mai 1931 par le P. Peradzé

მამა გრიგოლ ფერაძის მიერ 1931 წლის 31 მაისს დაწყებული ნათლობის წიგნი (რ. ნიკოლაძის ფოტო).

მამა გრიგოლ ფერაძის (1899-1942 წწ.) ხატი.
მამა გრიგოლი გარდაიცვალა აუშვიცში. პოლონეთის და საქართველოს ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდა გრიგოლ მოწამედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამა ელი მელია, ომის დროს ბელფორის, მონბელიარის, სოშოს, ბეზანსონის და ნანსის სამწყსოთა წინამძღოლი (ა. მელიას კოლექცია).



Liste des personnes qui ont caché des prisonniers russes évadés.

Elie Mélia prêtre, dans la maison paroissiale 15 rue du Berger
6 prisonniers du 6 au 14 sept.
5 " du 14-IX au 10-XI
2 depuis et un 3e à la libération.
Mme Rosenkopf, même adresse.
3 prisonn. du 6 au 14 sept.
4 " 14-IX au 8-X.
3 " 8-X au ...-XI et depuis.
Roussanoff, même adresse
3 pr. du 6 au 14 sept.
2 " (j. filles) du 14-IX au 8-X.
ces 2 j. filles + 2 prisonniers du 8-X à ce jour
2 se sont joints à la veille de la libération
et 2 autres depuis, après la libération

მრევლის სია. ეს ადამიანები 1944 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მალავდნენ გაქცეულ რუს ტყვეებს (ა. მელიას კოლექცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ბარნოვი „არ დეკოში“ მისაღები გამოცდებისთვის მზადების დროს. 1940 წ. (ქ. ბარნოვის კოლექცია).

ქეთო ჯინჭარაძე, რომელიც ბრძოლაში მხარში ამოუდგა თავის საქმროს (ქ. ჯინჭარაძის კოლექცია).

გი ემერი, დახვრეტილი 1942 წელს ბულონის ტყის ჩანჩქერებთან (ქ. ჯინჭარაძის კოლექცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გვაზავა (ავტომატით ხელში) „როშფორ ან ტერის“ პარტიზანთა შორის (გ. გვაზავას კოლექცია).

„შორეული თბილისიდან“ ქართველ პარტიზანთა ხსოვნის უკვდავსაყოფად სან-სალვადურის (ტარნი) მცხოვრებლების მიერ 1944 წლის მაისში აგებული სტელა (თ. ნასყიდაშვილის ფოტო).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგი წულაძე, 1939-40 წლებში სამხედრო-სამედიცინო სამსახურში (თ. ტარასაშვილის კოლექცია).

RÉPUBLIQUE FRANÇAISE

PRÉFECTURE DE POLICE

N° 2260222 Série B

CARTE D'IDENTITÉ

Nom : Caverrier

Prénoms : Jean-Serge-Henri

Né le 7 Septembre 1918

à Paris

département Seine

Nationalité : Française

Profession : étudiant

Domicile : Paris

SIGNALEMENT

Taille 1m 73

Cheveux châtains

Moustache

Yeux gris

Signes particuliers

Nez { Dos

Dimension moyenne

Forme générale du visage ovale

Teint clair

Empreinte digitale

Signature du titulaire,

Paris, le 2 AOUT 1943

LE PRÉFET DE POLICE,

La « Fausse » carte d'identité de Tsouladzé

იატაკქვეშეთში „სერჟანად" ცნობილი წულაძის, FTP-ს მებრძოლის პირადობის ყალბი მოწმობა (თ. ტარასაშვილის კოლექცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი (გოგი) ბერიძე (ღია ფერის უნიფორმაში) და სერგი წულაძე

კუნძულ ტექსელზე აჯანყებულ ქართველთა ჯგუფი. 1945 წლის აპრილი (Photo Het Open Bock).

1945 წლის მაისში ტულუზში ფორმირებული საბჭოთა პარტიზანების პოლკი. მის შემადგენლობაში შევიდა 150 ქართველი „მაკიზარი". მოტოციკლეტზეა პ. ქიტიაშვილი (პ. ქიტიაშვილის კოლექცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის ელჩი საქართველოში ფილიპ ლეფორი გადასცემს „საპატიო ლეგიონის“ ორდენს ვახტანგ სეხნიაშვილს. თბილისი, 2005 წლის 14 ივლისი (Photo Presse Géorgie Plus).

სუზი ციცქიშვილი ქართულ კაბაში მონპელიეში, ომის დაწყებამდე (გ. ციცქიშვილის კოლექცია).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

DISTRIBUTION DES PRIX

VILLE de Tuy

ECOLE de Mme Giault

Classe 4 Division 2

Prix d'Honneur

1er prix de lecture, d'écriture, d'orthographe, de calcul, d'instruction civique, de conduite, d'application accessit de Dessin, de travail manuel

Décerné à l'Elève S. Tsitsichvili

le 12 juillet 1927

La Directrice

J. Giault

საპატიო სიგელი, რომელიც გადაეცა სუზის ისი დე მულინოს დაწყებით სკოლაში (გ. ციცქიშვილის კოლექცია).

IX^e RÉGION MILITAIRE

CERTIFICAT D'APPARTENANCE

AUX FORCES FRANÇAISES DE L'INTERIEUR

Le présent certificat annule et remplace le précédent délivré le 29 Décembre 1951 sous même numéro. (1)

LE GÉNÉRAL COMMANDANT LA IX^e RÉGION MILITAIRE, certifie que :

Madame TSITSICHVILI Elise

né le 30 Décembre 1908 à Montpellier (Hlt)

actuellement domicilié à Montpellier – 107, Avenue de Lodève

A SERVI DANS LES FORCES FRANÇAISES DE L'INTÉRIEUR

F.T.P.F. Montpellier du 1-7-43 au 10-9-43

Circonstances particulières antérieures

Le 10-9-1943 Madame TSITSICHVILI Elise a été arrêtée par la Gestapo et déportée.

La présente attestation constitue un Certificat de presence au Corps.

domicile à Montpellier – 107, Avenue de Lodève

A MARSEILLE le 196

(1) Rectification orthographe nom patronymique : TSITSICHVILI au lieu de TSITSKICHVILI

Le Général de C.A. Commandant la 9^e région militaire

საფრანგეთის შინაგანი ძალების წევრის, 1944 წელს შეპყრობილი და გადასახლებული ელიზ-სუზი ციცქიშვილის მოწმობა (გ. ციცქიშვილის კოლექცია).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუზი და მისი მეგობარი კლოდ შოვე საკონცენტრაციო ბანაკიდან დაბრუნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (გ. ციცქიშვილის კოლექცია).



გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ქართულად დაწერილი სუზის ერთ-ერთი ბარათი: „ძვირფასო დედა, მალე შეხვედრამდე (à bientot). გაკოცებ ბევრს. შენი სუზი (გ. ციცქიშვილის კოლექცია).



ტექსელის კუნძულზე ქართველების ძმათა სასაფლაოს საერთო ხედი

მადლობა

უპირველესად მადლობას მოვახსენებთ თამაზ ნასყიდაშვილს მეგობრული მხარდაჭერისათვის, საკითხის ცოდნის, მოწოდებული ზუსტი ცნობებისა და ხელნაწერის გულმოდგინედ წაკითხვისათვის;

– ჰიუგეტ ბალნის, რომელმაც ნაშრომის წაკითხვით მას ფრანგი ისტორიკოსის ხელი დაატყო;

– ნათელა ნიკოლაძე-ვიეკურს, იმ განუმეორებელი ერთგულებისათვის, რომლითაც იგი ეძებდა აღწერილი მოვლენების ქართველ თვითმხილველებსა და ქართულ დოკუმენტებს.

კარგად გვესმის, რომ გარდასულ დღეთა გაცოცხლება ყოველთვის დაკავშირებულია ძლიერ განცდებთან.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გვესაუბრა, გვიჩვენა რელიკვიები, რამაც უფრო სარწმუნო გახადა გამოკვლევა:

თეიმურაზ აბდუშელს (†), ნანო დ'აბო კვინიტაძეს, მირეი ასათიანს, ქეთევან ბარნოვს, ქ-ნ ე.ბეერ-სიგელს (†), პიერ დექსს, გიორგი დავრიშევს(†), ეთერ ჯაყელს, ოთარ ჯაყელს (†), ქეთო ჯინჭარაძეს, ლეონ, მირიამ ელიგულაშვილებს, ვასილ კარისტს, ზურაბ კედიას, თამარ კინსკის, ქ-ნ ლომაძეს, ქ-ნ ა. მელიას და ქეთევან მელია-კლიმის, ნოდარ ოდიშელიძეს, მადლენ რიფოს, ვახტანგ სეხნიაშვილს, მანანა თაქთაქოვს, თამარ ტარასაშვილს, გივი და თამარ ჩხენკელებს, არჩილ ციციშვილ-ფანასკერტელს, გიორგი ციცქიშვილს, მადლენ წულაძეს, ჟან-პიერ ვერნანს (†).

მოწოდებული ცნობებისთვის მადლობას ვუხდით ბ-ნ კუტულის – „წინააღმდეგობის" ყოფილ მებრძოლთა ეროვნული ასოციაციის ტარნის დეპარტამენტის პრეზიდენტს; გენერალ ჟ.-პ. ფორს; არჩილ დავრიშაშვილს – პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მღვდელს; უცხოელთა ლეგიონის საისტორიო დოკუმენტაციის ცენტრის თანამშრომელს, მაიორ მიშონს; ბერნარ უტიეს – კავკასიის ბიბლიოთეკის ფუძემდებელს და ნიკო ჭავჭავაძეს.

აგრეთვე, ციტირებული შრომების ავტორებს, პარიზის პოლიციის, ნანტერის თანამედროვე საერთაშორისო დოკუმენტაციის ბიბლიოთეკის, ვალ დ'უაზის „რეგიონალური ექოს", შამპინის „რეზისტანსის" მუზეუმის თანამშრომლებს, ქ-ნ ჟ. ბაილეს პერიგეს მერიიდან და ბ-ნ ჟ. რაბას ფრანგული „ხსოვნიდან".

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათქმა 5
შესავალი 8
1. ლტოლვილი ქართველები საფრანგეთში 11
ისტორიული მიმოხილვა და პოლიტიკური კურსი 11
2. უცხოური ლეგიონის მეომრები 25
3. ქართველი ებრაელების გადარჩენა ოკუპირებულ საფრანგეთში 49
ქართველთაგან შეფარებულნი 60
ორი ქართველი რჩეული მღვდელმსახური 64
მამა გრიგოლ ფერაძე – სწავლული და მეომარი 64
მამა ელი (ილია) მელია – ღირსეული ქრისტიანი 71
4. წინააღმდეგობის მოძრაობა 76
ომი „წინააღმდეგობის" წინააღმდეგ – რეპრესიული ძალები 76
წინააღმდეგობის „პატარა ხელები" 80
პარიზის FFI 88
ქართველი დაზვერვის ძალში 89
მე-20 საუკუნის „რაინდი" 96
5. ქართველი ლტოლვილები ვერმახტში 114
6. წითელარმიელი ქართველები ფრანგული „წინააღმდეგობის" მოძრაობაში 127
საქართველოს ამაყი შვილი 141
იდეალი სიცოცხლის ფასად 151
ბოლოთქმა 170
მადლობა 173

12г.
n13/1424
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ილია ხელაია
ალექსანდრე ჯიქურიძე

ტირაჟი 1000 ეგზემპლარი

გამომცემლობა ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ბ
ტელ.: 25-05-22, 8 (93) 25-05-22
www.intelekti.ge

271.022
3

ქართველები საფრანგეთისთვის ბრძოლებში
1939-1945 წლები

რატომ გადაწყვიტეს სამშობლოდან 1920 წლიდან პოლიტიკური ნიადაგზე დევნილმა და საფრანგეთში დასახლებულმა ქართველებმა ფრანგებთან ერთად წინააღმდეგობა გაეწიათ მასპინძელი ქვეყნის დამპყრობი ნაცისტებისათვის 1939-1945 წლების იმ ომში, რომლის სიმძიმეც დღემდე აწვება მეხსიერებას?

თავისუფლებისათვის მებრძოლ მამაკაცთა და ქალთა გზები მჭიდროდ გადაეჯაჭვა გენერალ დე გოლის საფრანგეთის თავისუფალი შეიარაღებული ძალების, „წინააღმდეგობის" უჩინარი არმიის, პარტიზანთა, აგრეთვე, ვერმახტისგან თავდაღწეული წითელარმიელების გზებს. ყველა ეს ძალა საფრანგეთის გასათავისუფლებლად გაერთიანდა.

თვითმხილველთა მიერ მოწოდებულ ცნობებსა და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით დაწერილი ეს გამოკვლევა წარმოგვიდგენს ქართული ემიგრაციის კონტრასტულ სურათს; იმ ქართული ემიგრაციისა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა მე-20 საუკუნის ევროპული ისტორიის კატაკლიზმები.

ფრანსუაზ ნიკოლაძე – პარიზის ანრი IV-ის ლიცეუმის, მონპელიეს უნივერსიტეტის თანამედროვე ლიტერატურის პროფესორი. გონკურის აკადემიის წევრის, ჟორჟ სემპრიუნის (Jorge Semprun), შემოქმედების მკვლევარი. ავტორი რამდენიმე წიგნისა „წინააღმდეგობისა" და „დეპორტაციების" შესახებ. მისი ნაშრომები აღნიშნულია საფრანგეთის, ესპანეთის და გერმანიის სხვადასხვა პრესტიჟული პრემიებით.

რევაზ ნიკოლაძე – ნიკო ნიკოლაძის ძმისშვილის, 1921 წელს კოჯორთან ბრძოლების მონაწილის, შოთა ნიკოლაძის, ვაჟი. დაბადებულია საფრანგეთში. პედიატრი და ინტერკულტურული ფსიქოლოგიის პროფესორი. საფრანგეთში მან დააფუძნა ორგანიზაცია „Migration-Santé". იკვლევს მეორე თაობის ემიგრანტების იდენტურობის პრობლემებს.

ბერნარ უტიე – ფრანგი ქართველოლოგი, აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურის მკვლევარი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო უცხოელი წევრი, ჟურნალ „ბედი ქართლისას" სამეცნიერო საბჭოს წევრი და მდივანი.